

აჯარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუცხაპო
დაცვისა და მუზეუმური სამსახურის სამსახურთველო

SUB-DEPARTMENT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
GOVERNMENT – ARCHIVES ADMINISTRATION

ISSN 2298-0776

სამსახურთველო-დაცვლების საქართველო
(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

**საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები**

II

**SOUTH-WEST GEORGIA
(HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY)**

**INTERNATIONAL SCIENCE CONFERENCE
MATERIALS**



გამომცემულია „უნივერსალი“
თბილისი 2012 Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

თენგიზ ცინცქილაძე – აჭარის არ რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს უფრო-სი, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე; **თამაზ ფუტკარაძე** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკი-ისა და გამოყენების განყოფილების უფროსი, რედაქტორი; **სანდრო ბერიძე** – აჭა-რის არ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ნარგიზ ბასილაძე** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **რამინ ზოიძე** – აჭარის არ საარ-ქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე; **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის არ საარქი-ვო სამმართველოს აპარატის უფროსი, **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სა-მეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი, **ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგა-რეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **კარინა ბა-ზეიანი** – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთმცოდნეობის შირაქის ცენ-ტრი, მეცნიერებათა კანდიდატი; **ლუბა სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკა-დემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგისა და ანთროპოლოგის ინსტი-ტუტი, პროფესორი.

Editorial Board

Tengiz Tsintskiladze – head of Ajara Ar – Archives Administration, chairman of editorial board; **Tamaz Putkaradze** –head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, editor; **Sandro Beridze** – Deputy chief of Ajara AR - Archives Administration; **Nargiz Basiladze** - Deputy chief of Ajara AR - Archives Administration; **Ramin Zoidze** - Deputy chief of Ajara AR - Archives Administration; **Elguja Chaganava** - head of office of Archives Administration; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, **Karina Bazeyan** – candidate of science, Shirak Armenian Research Center (Armenia); **L. T. Soloveva** – professor of N.N. Miklukho-Maklai institute of Ethnology and Anthropology (Russia).

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორთა მოსაზრე-ბებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors style is retained.

ნინასი ტყვაობა

საარქივო საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო ფორუმებს, საარქივო მასალების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას, დისკუსიებს, იდეების გაცვლას. თანამედროვე ევროპულ საარქივო სივრცეში დოკუმენტსაცავების ძირითადი სტრატეგია საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ახალი სამეცნიერო იდეების გენერირება, წმინდა საარქივო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაცია.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა ცხადყოფს, რამდენად მრავალმხვრივია მონაწილეთა სამეცნიერო ინტერესები, კვლევის სფერო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა – ეს იყო ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც წარიმართა დისკუსიები.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, რუსეთის, სომხეთის, ბულგარეთის, თურქეთის საარქივო დაწესებულებების, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრების, ასევე სამუზეუმო გაერთიანებების წარმომადგენლებმა. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლირსება ისიც იყო, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა-დასხვა თაობის მეცნიერები. მათ შორის ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარები. მათთვის განსაკუთრებით სასარგებლო იყო ცნობილი არქივისტების და მეცნიერების გვერდით სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარება, დისკუსიები.

აქტუალური და საინტერესო იყო კონფერენციის დევიზი - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. საყოველთაო გახსნილობის, საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ეპოქაში, როცა მოქმედებს პრინციპი „არქივები საზღვრების გარეშე“, როცა იცვლება საარქივო ცხოვრების მუშაობის წესი, რიტმი და მეთოდოლოგია, როცა მიმდინარეობს დიგიტალიზაციის გრძელვადიანი პროგრამა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მეცნიერულ აზრთა გაზიარება. კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნების ზოგიერთი ფსიქოლოგიური პრობლემა“, „საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შესახებ“, „სად მდებარეობდა ქალაქი ფრიქსოპოლისი?“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობის სამეურნეო სახე ნეოლით-ადრერკინის სანაში“, „ხალხური დრამის ელემენტები აჭარის ხალხურ მუსიკალურ კულტურაში“ და სხვა. ყოველივე ეს ცხადყოფს,

რომ კონფერენციის თემატიკას ნამდვილად არ აკლდა აქტუალობა, დისკუსიებს კი სიმძაფრე.

მუდმივად ისმის კითხვები: რამდენად სწორია სამეცნიერო ორიენტირები, რომელსაც ვირჩევთ ამ ცვალებად დროში? „რა ლირებულებები დავკარგეთ და რა შევიძინეთ”, „რა შეიცვალა საარქივო ცხოვრებაში?” ჩვენი კონფერენციის კრებულის ყდას ორი ფოტო ამშვენებს, ჩვენი საარქივო დაწესებულება დღეს და რამოდენიმე წლის წინ. ჩვენი შენობა ამ ბოლო დროს მართლაც გალამაზდა, ფერი იცვალა, დაემსგავსა იმ შენობას, რომელიც აკმაყოფილებს ერის ისტორიული მეხსიერებისადმი-დოკუმენტსაცავებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

დრო იცვლება, იცვლებიან ადამიანები, მაგრამ უცვლელი რჩება ზნეობრივი კატეგორიები. სამეცნიერო კონფერენცია ერთგვარი პასუხიცაა საზოგადოებისათვის, რომ ერის გადარჩენის, მისი ძირითადი ფასეულობების შენარჩუნების გზა ისტორიულ მეხსიერებაზე, ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე მოდის, რადგან ის, ვინც ივიწყებს წარსულს, ვერასოდეს შეძლებს მომავლის აშენებას.

თამაზ ფუტკარაძე
ნატო ქიქავა

ი ს ტ მ რ ი ა

ბიჭიკო დიასამიძე

საიდან იცყვება სხალთის ეპარქიის ისტორია

ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით, რომლის მონაცემებსაც მხარს უჭერს არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი და ტოპინიმიკური მასალებიც, ქრისტიანობა აჭარის ტერიტორიაზე ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში გავრცელდა. აქ აიგო პირველი ეკლესიაც. მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV საუკუნის შუახანებში, როცა საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდა, აჭარა ტერიტორიულად **თუხარისის** სამწყსოში შედიოდა (**ლვთივკურთხეული... ბათუმი, 2004:4**). V-VI საუკუნეებში საეპისკოპოსოთა რაოდენობა გაიზარდა, **თუხარისის** სამწყსოს ადგილი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულმა **ახიზის** საეპისკოპოსომ დაიკავა და აჭარაც ამ საეპისკოპოსოში შევიდა, თუმცა პ.ინგოროვას მტკიცებით, აჭარა VI საუკუნიდან პეტრას საეპისკოპოსოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროის აჭარის ბარის ტერიტორია (ქობულეთ-ბათუმის მხარე გონიო-აფსაროსამდე) ეგრისის ქართულ სახელმწიფოში შედიოდა, ხოლო აჭარისწყლის ხეობა (მთიანი აჭარა)-ქართლში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბარის აჭარა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში იქნებოდა გაერთიანებული, ხოლო მთიანი აჭარა-ახიზის საეპისკოპოსოში. მალე ეს ტერიტორიები **ანჩის** ეპარქიის საზღვრებში მოექცა. (**ლვთივკურთხეული... ბათუმი, 2004:4**) X-XI საუკუნეებში განხორციელებული საეკლესიო რეფორმით, „ძველი“ საეპისკოპოსოების „ახლით“ შეცვლის ხანაში, რაც საქართველოს გაერთიანების პროცესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ბარის აჭარა ხინოს საეპისკოპოსოს ფარგლებში ჩანს, მთიანი აჭარა კი ტბეთის საეპისკოპოსოს საზღვრებში (**დიასამიძე, 2001:179**).

XI საუკუნის დასაწყისიდან მთიანი აჭარის საერისთავოს აბუსერისძეთა საგვარეულო განაგებდა, ფართოდ გაიშალა აქ საეკლესიო მშენებლობა. თითქმის სოფელი არ დარჩენილა სეკლესიონაგებობის გარეშე, ზოგან ორი ეკლესიის ნანგრევებიცაა დაფიქსირებული (**ორთახოხნა, სალორეთი, დარჩიძეები**) (**დიასამიძე, 2009:365**) ამ პერიოდში, XIII საუკუნეშია აგებული სხალთის ეკლესიაც, რომლის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებამ მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ გაიგო, როცა ცნობილმა მკვლევარმა დ.ბაქრაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოვზაურობა გურიასა და აჭარაში“. მკვლევარი ძეგლის შესახებ წერს: „ეკლესიის სტილი მოგვაგონებს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას, სახელდობრ X-XIII საუკუნეებს.

მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკანასკნელი ფრესკები ისტატურად არის შესრულებული, მათში ნატამალიც არ არის საღებავების იმ სიჭრელი-სა და ბრჭყვიალისა, რაც ასე მაოცებდა შემდეგ გურიის ძველ ეკლესიებში” (ბაქრაძე, 1987: 57).

XIV საუკუნიდან, ჯერ თემურ ლენგის, შემდეგ ირან-ოსმალეთის შემოსე-ვებმა შეცვალა სრულიად საქართველოს და მისი ცალკეული მხარეების სოცია-ლურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი როგორც ადმინისტრაციული, ისე სა-ეკლესიო ეპარქიათა საზღვრები. მაგალითად, თუ XVI საუკუნის წყაროში „კათა-ლიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში” სამცხეში 13 ეპარქიაა დასახელებული, ცნობილი მკვლევარის მ.თამარაშვილის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე” შეტანილი საქართველოს მარ-თლმადიდებელი ეკლესის საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სის მიხედ-ვით სამცხის ეპარქიათა რაოდენობა გაზრდილია 19-მდე. ახალ ეპარქიათა შო-რის ორი აჭარიდანაა: სხალტის ოიანე მახარებლის საკათედრო ტაძარი ეპისკო-პოსის ზედნოდებით „სხალტელი” და ევფრატის წმიდა ლვთისმშობლის საკა-თედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედნოდებით- „ევფრატელი” (თამარაშვილი, 1995:469-470).

მ.თამარაშვილის თქმით, საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების ეს სია შედგენილია თეატინელი კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მი-ერ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა 1630-1649 წლებში.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნისას, იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართველთა ყოფასა და სარწმუნოებას, დაუახლოვ-და როგორც საერო ხელისუფალთ, ისე მაღალ საეკლესიო პირებს (პაპაშვილი, 1995, 181-185). მ.თამარაშვილის თქმით, „იგი არამარტო იცნობდა ქართველ ეპისკოპოსთა უმრავლესობას, არამედ ბევრი კათოლიკურ მრნამსზედაც კი მო-აქცია” (თამარაშვილი, 1995:467), ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას და ნდობას იმსახურებს მის მიერ შედგენილი ქართლის, კახეთის, სამცხის და და-სავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიათა სიები. მ.თამარაშვილი წერს: „ვინაიდან ეპისკოპოსებს რეზიდენცია, ჩვეულებისამებრ, მონასტერში ჰქონდათ, ამის გამო ძველ საეპისკოპოსთა უმრავლესობა სოფლებსა და მთებში იყო მოთავსებული. ეპისკოპოსებსა და ეპარქიებს სახელწოდება ერ-ქმეოდათ ეპისკოპოსთა რეზიდენციის, ან იმ წმინდანთა სახელის მიხედვით, რომელთაც საკათედრო ტაძარი განეკუთვნებოდა” (თამარაშვილი, 1995:467). შემდეგ მ.თამარაშვილს მოცემული აქვს ა.ლამბერტისეული სიები საკათედრო ტაძრებისა და შესაბამისი ეპარქიებისა. ქართლში—21 ეპარქიაა დასახელებუ-ლი, კახეთში—20, დასავლეთ საქართველოში—17 (სამეგრელოში—10, აფხა-ზეთში—4, გურიაში—3); სამცხეში—19. სამცხის საკათედრო ტაძრებისა და

ეპისკოპოსთა ზედნოდებების სიაში პირველ ნომრად სხალტელია დასახელებული, მეორედ კი ევფრატელი.

ვფიქრობთ, აქ საუბარია სხალთის ეკლესიაზე და მისი ეპისკოპოსის ზედნოდებაზე, მაგრამ ასეა კი? სხალტა და სხალთა ერთი და იგივეა? ან დღეს სხალთის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, ხოლო წყაროში წმ.იოვანე მახარებლის. როგორ ავხსნათ ყოველივე ეს?

დავიწყოთ იმით, რომ სხალტის სახელწოდების სხვა ეკლესია არაა ცნობილი. რაც შეეხება სახელწოდებაში თ-ს ნაცვლად ტ-ს ხმარებას, ვფიქრობთ, ლათინურში თ-ს არარსებობის გამოა ასე. ამასთან, სიაში მეორე ნომრად მეზობელი მხარის მაჭახლის დედა ეკლესია (ევფრატის) მოხსენიებული და საეჭვოა, რომ არარსებული საკათედრო ტაძრები ავტორს სიის თავში მოეთავსებინა.

სარწმუნო ახსნა ეძებნება საკათედრო ტაძრის სახელწოდებასაც. ღვთისმშობლის სახელი ტაძარს XIX საუკუნიდან მიენიჭა, როცა დ.ბაქრაძემ რუსულ ენაზე, 1878 წელს, სანტპეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში”, სადაც მოუთხრო მკითხველს ამ ეკლესის შესახებ. რადგან ეკლესის ძველი სახელწოდება მაშინ არ იყო ცნობილი, შესასვლელის მარჯვენა მხარეს მკაფიოდ გამოსახული ღვთისმშობლის სახელი მიეცა მას. რაც შეეხება წყაროში მოცემულ სახელწოდებას (იოვანე მახარებელი): ცნობილია, რომ ტბელების ფეოდალურ სახლში დიდი პატივისცემით სარგებლობდა იოვანე მახარებელი, მის სახელზე აგებდნენ ეკლესიებს (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია), იოვანეთა სახელზე შექმნა წმ. ტბელმა საგალობლები (ხალვაში, 1992) და სრულიად მისაღებად ჩანს აბუსერისძეთა ძლიერების ხანაში-XIII საუკუნეში სხალთაში აგებულიყო იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია.

მართალია, ჯერჯერობით ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს სხალთელის ზედნოდებით არ ვიცნობთ, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს დ. ბაქრაძის წიგნში მოტანილი ერთი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც სხალთის ეკლესიას ეხება. ავტორი წერს: „ზოგი ადგილობრივი მოხუცი მარწმუნებდა, თითქოს სხალთის ეკლესია საეპისკოპოსო ყოფილიყოს” (ბაქრაძე, 1987:57), ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1874 წელს გ.ყაზბეგი წერდა: „ერთნი ამბობენ, აქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპსკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები: მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო“ (ყაზბეგი, 1995:41). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ინფორმაცია სხალთაში ოდესაზე საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ? ამ ეჭვს ამყარებს სხალთის ეკლესის გრანდიოზულობა, მოხატულობის მაღალი დონე, მათი გააზრების სიღრმე და მისი დაცვის მიზნით გავრცელებული და დღემდე შემონახული ხალხური გადმოცემები (სახოკია, 1985:301).

იქნებ ყველაფერმა ამან დაიცვა დღემდე მეტნაკლებად პირვანდელი სახით სხალთის ტაძარი, იქნებ ამანაც განსაზღვრა ის, რომ ეპარქიას ჩვენს დროში სხალთის სახელი დარქმეოდა („მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება”).

ვფიქრობთ, კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ XVII საუკუნის 30-40 იან წლებში შედგენილი საკათედრო ცენტრებისა და ეპარქიების სია იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ფუნქციონირებდა სხალთის ეპარქია და მისი ეპისკოპოსის სახელწოდება იყო „სხალთელი”, მაგრამ როდის? ერთი კი ვიცით, რომ მეცე ალექსანდრე პირველის (XVI.) გუჯრით სოფელი **სხალთა** მცხეთის საპატრიარქო კათედრის კუთვნილებად იყო აღიარებული (ბაქრაძე, 1987:57), მაგრამ არც XV და არც XVI საუკუნის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში სხალთის ეპარქია არ ჩანს. ამასთან, XVI საუკუნის დასაწყისის წყაროში ცამეტი ეპარქიაა მოხსენიებული, ა.ლამბერტის სიით კი 19 ეპარქია ჩანს, რამდენიმე სრულიად ახალი სახელებით (სხალტელი, ევფრატელი, არზრუმელი და ა.შ.). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ოსმალებმა დაიკავეს სამცხე, ძველ ეპარქიათა საზღვრები დავიწროვდა, ზოგიც შეიცვალა. ასევე მათი მართვის გაადვილების, და მრევლის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ახალი ეპარქიებიც. სწორედ ამ პერიოდს ხომ არ ასახავს ა.ლამბერტისეული სია? ა. ლამბერტი ხომ სწორედ ამ უმძიმეს ხანაში (XVII-ის 30-40-იანი წლები) იყო საქართველოში. სხვაგვარი ახსნა არ ეძებნება ა.ლამბერტისეულ სიას. იგი ხომ უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა, ანდა, მ.თამარაშვილი, ეკლესიის ისტორიის ეს ცნობილი მკლევარი, შეიტანდა კი მას თავის წიგნში, რომ ეს ინფორმაცია უმნიშვნელოდ და უსაფუძვლოდ ჩაეთვალა?

ყველა ზემოთქმულის საფუძველზე შიძლება დავასკვნათ, რომ არქანჯელო ლამბერტისეული საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის სახით ჩვენ საინტერესო ცნობა გვაქვს სხალთის ეკლესიის ძველი სახელისა და აქ ეპარქიის ცენტრის არსებობის შესახებ. იგი საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვთქვათ, სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა 1995 წლიდან, როცა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის საფუძველზე წარმოიშვა ბათუმ-სხალთის ეპარქია, ან 2006 წლიდან, როცა ბათუმ-სხალთის ეპარქიის გაყოფით შეიქმნა სხალთის ეპარქია, არამედ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მაინც, როცა ამ ეპარქიათა სიებს ქმნიდა არქანჯელო ლამბერტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა.ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987
2. ბ.დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-Xსს.), ბათუმი, 2001
3. ბ.დიასამიძე, ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009
4. ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1974
5. ღვთივკურთხეული ბათუმისა და სხალთის ეპარქია, ბათუმი, 2004
6. მ.თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995
7. მ.პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XXსს. თბილისი, 1995
8. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
9. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995
10. მ.ჭიჭილეიშვილი, სხალთის ეკლესიის მოხატულობა, ბათუმი, 2010
11. რ.ხალვაში, გალობანი წმინდათა იოვანეთა, ბათუმი, 1992

Bichiko Diasamidze

FROM WHERE BEGINS HISTORY OF SKHALTA DIOCESE

Summary

In the article based on written source is said, that the history of Skhalta eparchy is beginning from 30s of XVII century and was called John the Evangelist.

ახელ ეფენდი ხალვაში – ართვინისა და გონიოს უბნების პირველი ქართველი უცროსი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მდიდარი დოკუმენტური მასალა, რომელიც მძღავრ წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპის შესასწავლად.

არქივში დაცული ფონდებიდან უნიკალური საქმეების სიმრავლით გამორჩეულია ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს ფონდი, რომელშიც 1848 – 1918 წლების 8000-მდე შესანახი ერთეულია დაცული. ფონდი გამოირჩევა ცნობილი ისტორიული პიროვნებების ბიოგრაფიის ამსახველი მასალების სიმრავლით. მათ შორის რამდენიმე პიროვნება აჭარის მკვიდრია.

როგორც ცნობილია, მე-16 საუკუნის 70-იან წლებში აჭარა ოსმალეთმა დაიპყრო და მისი გათავისუფლება მხოლოდ 1877–1878 წნ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ მიწებთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში შევიდა (თუმცა შემდგომში, 1921 წელს ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე მისი გარკვეული ნაწილი – ზედა მაჭახელი, ზედა მარადიდი – ისევ ოსმალეთის იურისდიქციაში მოექცა).

პრობლემას ამძაფრებდა რუსეთის განსაკუთრებული ინტერესი. თურქეთის პოზიციას მხარს უმაგრებდა ამ კუთხეში მყარად მოკიდებული მაჰმადიანობა. ქართველ მაჰმადიანთა ერთი ნაწილი ქართულ ორიენტაციას ერთგულებდა, მეორე-თურქულ ორიენტაციაზე იდგა, ხოლო მესამე აჭარის დამოუკიდებლობის მომხრე იყო. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარელებს შორის ქართული ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებასა და განმტკიცებას, ისეთი პიროვნებების მოღვაწეობას, რომლებიც აჭარის მომავალს საქართველოს საზღვრებში ხედავდნენ.

ახლადშემოერთებული აჭარის ხელისუფლების პირველ თაობაში ცოტანი იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ერთ-ერთი პირველი, ვინც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დანინაურდა, გახლდათ ახმედ ეფენდი ხალვაში.

კავკასიის მხარის სამხედრო მმართველობის გარდაქმნის და ბათუმის ოლქის ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროსთან შეერთების შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით გონიოს ნაწილის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა პირველი ქართველი უფროსი – მილიციის მაიორი ახმედ ეფენდი ხალვაში – "ბათუმის ოლქის გონიოს ნაწილის საპატიო მკვიდრი მცხოვრები". იგი გულმოდგინე და უანგარო სამსახურისთვის დაჯილდოებულ იქნა

რამდენიმე ორდენით, მათ შორის წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით, რის შემდეგაც იგი აყვანილ იქნა მემკვიდრეობით თავადაზნაურულ წოდებაში.

მილიციის მაიორ ახმედ ეფენდი ხალვაშის სრულ ნამსახურობის სიაში აღნიშნულია, რომ იგი დაიბადა 1830 წლის 11 მაისს ბათუმის ოლქის სოფელ მარადიდში. განათლება მიუღია კონსტანტინოპოლში. აღმსარებლობით მაჰმადიანია.

თანამდებობა- ბათუმის ოლქის გონიოს ნაწილის უფროსი.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ანნას მე-3 ხარისხის და წმ. სტანისლავის მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით.

1879 წლის 22 იანვარს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით იგი დაინიშნა ართვინის ნაწილის უფროსის თანამდებობაზე.

კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი 1879 წლის 19 აგვისტოს ბათუმის ოლქის გუბერნატორს აუწყებს, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, არმიის მთავარსარდალი, თურქული სამსახურის ყოფილ ბიმბაშს, ახმედ ეფენდი ხალვაშს ნიშნავს ართვინის ნაწილის უფროსად, ხოლო 1880 წლის 1 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ უწყალობა ახმედ ეფენდი ხალვაშს მილიციის მაიორის ჩინი და 300 მანეთი პენსია წელიწადში ადგილობრივი შემოსავლებიდან.

1882 წლის 2 ივლისს იგი გონიოს ნაწილის უფოსად ინიშნება.

1883 წლის 15 მაისს უმაღლესი ბრძანებით იგი ჯილდოვდება წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით, რის შესახებაც გამოცხადდა კავკასიის სამხედრო ოლქში 1883 წლის 20 მაისს.

შემდგომში, კავკასიის მხარის სამხედრო სახალხო მმართველობის გარდაქმნის და ბათუმის ოლქის ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროსთან შეერთების შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით იგი დანიშნულია ბათუმის ოლქის გონიოს ნაწილის უფროსის თანამდებობაზე. (1883წ. ივლისი)

1887 წლის 30 აგვისტოს ნარჩინებული სამსახურისთვის ხელმწიფე იმპერატორი ახმედ ეფენდი ხალვაშს აჯილდოებს წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით.

იმპერატორ ალექსანდრე მესამის ბრძანებით 1888 წლის 22 სექტემბერს ნაწილის უფროსად 9 წლის სამსახურისთვის იგი ჯილდოვდება წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით (ქ.ც.ა. ფონდი №1; საქ. 4120; ფურ 2.)

1890 წლის 30 აგვისტოს მისმა უდიდებულესობამ ახმედ ეფენდი ხალვაშს უწყალობა წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი.

ახმედ ეფენდი ხალვაშის ანაზღაურება შეადგენდა:

ხელფასი – 650 მან.

კვების ხარჯი – 250 მან.

დამატებითი ხარჯები – 150 მან.

საბინაო ხარჯები – 300 მან.

მგზავრობის (სამივლინებო) ხარჯები – 150 მან.

სულ – 1500 მან.

ახმედ ეფენდი ხალვაში ორჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე იყო ფერიზე-ხანუმ სელიმ ბეგ კიზი. მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა სოფელ ბელლევის მცხოვრების მუსტაფა ალა ალი ოღლის ქალიშვილთან – ნურისთან.

პირველი ქორწინებიდან ჰყავდა შვილები:

საიდი - დაბადებული 1859 წლის 5 მარტს,

არონ-რეშიდი - დაბადებული 1866 წლის 23 სექტემბერს,

ისააკი - დაბადებული 1864 წლის 17 ივნისს.

ქალიშვილები:

აიშე - დაბადებული 1854 წლის 27 ნოემბერს,

ხატიჯე - 1857 წლის 11 აპრილს,

ინჯა - 1867 წლის 19 მარტს.

ცოლი და შვილებიც მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებლები იყვნენ.

ახმედ ეფენდი ხალვაშის სამკვიდრო მამული მდებარეობდა გონიოს ნაწილის სოფელ მარადიდში. მამული სახნავი მინის 12 ნაკვეთისაგან შედგებოდა. ჰქონდა ორი დუქანი. შემდგომში შეიძინა გონიოს ნაწილის სოფელ მარადიდში: 2 სახლი და 1 დუქანი.

სოფელ გონიოში - მინის ერთი ნაკვეთი, სოფელ თხილნარში (დოკუმენტშია თხილნალი) - მინის ორი ნაკვეთი. ართვინის ნაწილში, სოფელ ებრინში – სამი სახლი და სახნავი მინის 8 ნაკვეთი.

სოფელ კასიმეთში - ორი სახლი, სახნავი მინის ხუთი ნაკვეთი.

ქალაქ ბათუმში – სახლი, დუქანი, სახაბაზო და მინის ნაკვეთი (ქ.ც.ა. ფონ-დი №1; საქ. 4120; ფურ. 4ა)

მაიორი ჰაჯი ახმედ ეფენდი ხელვაში გარდაიცვალა 1891 წლის 12 მაისს, რასაც ადასტურებს გონიოს ყადის ჰასან ეფენდი ალი ეფენდი ოღლის მიერ 1892 წლის 5 დეკემბერს გაცემული მონწმობა.

რამდენადაც ახმედ ეფენდი ხალვაშს, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენის მფლობელს, მიკუთვნებული ჰქონდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა, მამის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა 1893 წლის 15 თებერვალს თხოვნით მიმართეს ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მათი მემკვიდრეობით თავადაზნაურულ წოდებაში აღიარების და საგვარეულო წიგნის მესამე ნაწილში მათი შეყვანის შესახებ, ნარადგენდნენ რათავიანთი ნარმომავლობის მტკიცებულებებს.

ორი წლის შემდეგ, 1895 წლის 17 ივნისს, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ

მოისმინა ისააკ ახმედ ეფენდი და სხვა ხალვაშების თხოვნა მათი მემკვიდრეობით სათავადაზნაურო წოდებაში აღიარების შესახებ.

საქმიდან ირკვევა, რომ ბათუმის ოლქის გონიოს ნაწილის სოფელ ზედა მარადიდის მცხოვრები ისააკ ახმედ ეფენდი ხალვაში თვით, და როგორც მეურვე არასრულნლოვანი ძმიშვილების – სეიდ ეფენდი ხალვაშის მემკვიდრეების, შეური ეფენდის, ჰასან ეფენდის და შუკრი ეფენდის, ასევე არონ (იგივე გარუნ) ახმედ ეფენდი ხალვაშებისა, 1893 წლის 15 თებერვალს თხოვნით მიმართავს დეპუტატთა საკრებულოს. მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მისი მამა ერთგულად და უანგაროდ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რომ ახმედ ეფენდი ნამდვილად იყო მფლობელი წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენისა. ქუთაისის გუბერნატორის ცნობით დასტურდება, რომ მთხოვნელები და მათი წინაპრები არ არიან შეზღუდული უფლებებში, არ ყოფილან ნასამართლევი, და წარმოდგენილია ყველა სხვა აუცილებელი დოკუმენტი, მათ შორის ადგილობრივი ადათობრივი სასამართლოს მოწმობები, რის საფუძველზეც 1893 წლის 3 ნოემბერს დეპუტატთა საკრებულომ აღიარა ისინი თავადაზნაურულ წოდებაში, მაგრამ რუსეთის სენატმა, რომელსაც გადაეგზავნა საქმე განსახილველად, 1894 წლის 26 ივნისს გააუქმა დეპუტატთა საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილება, მიუთითა რა, რომ საქმეში არსებულ ზოგიერთ დოკუმენტში მთხოვნელების გვარი მოხსენიებულია როგორც "ხელვაში" და ჩათვალა, რომ რამდენიმე სხვა დოკუმენტი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.

1895 წლის 2 ივნისს მთხოვნელებმა წარმოადგინეს ცნობები, რომ ან გარდაცვლილი საიდ ხალვაში არ ყოფილა ნასამართლევი და შეზღუდული უფლებებში, ხოლო ადათობრივი სასამართლოს და ყადის მიერ გაცემული მოწმობები შეცვლილ იქნა ქრისტიანთათვის მიღებული მეტრიკულით დაბადებისა და ნათლობის შესახებ. წარმოადგინა აგრეთვე ყადის მიერ დადასტურებული მოწმობა იმისა, რომ მათი ნამდვილი გვარია ხალვაში და ორივე გვარი ერთსა და იმავე პიროვნებას ეკუთვნის.

სენატმა, ჩათვალა რა წარმოადგინილი მასალები სრულყოფილად, ხელახლა განიხილა იგი და მილიციის მაიორ ახმედ ეფენდი ხალვაშისთვის 1888 წლის 22 სექტემბერს ნაწყალობევი წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენის საფუძველზე აღიარა მემკვიდრეობით თავადაზნაურულ წოდებაში ახმედ ეფენდი ხალვაშის მემკვიდრეები – ისააკ და არონ (იგივე გარუნ) ახმედ ეფენდი ხალვაშები და გარდაცვლილი საიდ ეფენდი ხალვაშის მემკვიდრეები – შუკრი ხასან და შაკირ ხალვაშები და დაადგინა, რომ დამტკიცების შემდეგ ისინი შეყვანილ უნდა იქნან ქუთაისის გუბერნიის საგვარეულო წიგნის მესამე ნაწილში. (საგვარეულო წიგნის აღნიშნულ ნაწილში შედიოდნენ პირები, რომელთაც მიიღეს თავადაზნაურული წოდება სამოქალაქო სამსახურისთვის).

ახმედ ეფენდი ხალვაშის ცხოვრება ერთ-ერთი გამონაკლისია იმ ასეული აჭარელი მაჰმადიანის ცხოვრებისაგან, რომელთაც თავისი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო დამსახურებული ადგილი ვერ იპოვეს რუსეთის იმპერიის სახელისუფლებო სამსახურში. ცარიზმი ანგარიშს არ უწევდა აჭარის ისტორიული ცხოვრების თავისებურებებს და თანმიმდევრულად განახორციელებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას. საპასუხოდ აჭარაში წარმოიქმნა ეროვნული მოძრაობის ძლიერი კერა, რომელშიც გაერთიანდნენ ქვეყნის პატრიოტები, განურჩევლად სარწმუნოებისა, და ერთად იბრძოდნენ რუსი შოვინისტი მოხელეებისა და თურქი ანექსიონისტების წინააღმდეგ.

გამოყენებული წყაროები:

- ქცა (ქუთაისის ცენტრალური არქივი), ფონდი 1 (ქუთაისის სათავაზნაურო დეპუტატთა საკრებულო), საქმე 4120 ფურ.2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 17, 18, 30, 31, 32

Inga Eliava

GEORGIAN HEAD OF ARTVIN AND GONIO DISTRICTS – AKHMED EFENDI KHALVASHI

Summary

In Kutaisi Central Archive is protected rich documentary materials, which creates powerful source base for studying different phases of Georgia history. From unique funds protected in Kutaisi Archive, the most signified fund is nobility deputies' council of Kutaisi, where are protected 1848-1918 years 8000 units. Fund is distinguished by reflecting materials of famous historical personality's biographies. The article is reviewed most important issues of first Georgian head of Artvin and Gonio – Akhmed Khalvashi life and work.

**მერაბ მეგრლიშვილი
შოთა მახარაძე**

**საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან
(საარქივო სამეცნიერო დაცული დოკუმენტური
მასალების მიხედვით)**

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1967 წლის 20 იანვრის №13 ბრძანების საფუძველზე საქართველოს საზღვაო სანაოსნო შექმნა, რომლის ჩამოყალიბებას წინ უძლოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მისი შექმნა პევრმა მიზეზმა განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში შავი ზღვის საზღვაო ფლოტის ნოვოროსიისკის რეგიონი სამგზავრო და სავაჭრო გემების მიმოსვლის ცენტრს წარმოადგენდა და გადასაზიდი სამუშაოებით ძლიერ გადატვირთული იყო. მისი განტვირთვის მიზნით აუცილებელი გახდა ახალი სანაოსნოს შექმნა. ამასთან ერთად საზღვაო ფლოტის სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პორტებში განსაკუთრებით გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა, საქართველოს პორტების გავლით ტვირთი იგზავნებოდა მსოფლიოს ყველა მიმართულებით. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მგზავრების და ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვის პრობლემური საკითხების ოპერატორულად მოგვარება-გადაწყვეტის აუცილებლობა. უძველესი დროიდანვე საქართველოში არსებობდა ნაოსნობის საუკეთესო ტრადიციები. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მეცნიერ-მკვლევარებმა ა. ბერაძემ, რ. უზუნაძემ, ტ. ჭანტურიამ, რ. ბერიძემ, ქ. ნაკაშიძემ და სხვებმა. ახლადშექმნილი სანაოსნოს ხელმძღვანელების წინაშე დადგა ნაოსნობის უძველესი ტრადიციების აღორძინება-განვითარებისა და საზღვაო ფლოტის მუშაკების აღზრდა-განათლების საკითხი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო უშუალოდ ექვემდებარებოდა სსრკ საზღვაო ფლოტს, ხოლო მის მთავარ რეზიდენციას ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილებით სანაოსნოს გადაეცა ბათუმში, ი. გოგებაშვილის ქუჩა №40-თან არსებული შენობა და 1,4 ჰექტარი მიწის ფართი, რომელიც ადრე თევზის მეურნეობას („წითელი მე-თევზე“) ეკუთვნიდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელი მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შრომის ანაზღაურების მიხედვით მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტებს ერთი სატელეფონო არხი და დამატებით 100 სატელეფონო ნომერი გამოუყვეს, სანაოსნოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობათა სარესტავრაციოდ მთავრობამ 50 ათასი მანეთი გამოყო, სა-

ნაოსნო ახალი ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ჩოგოვაძის ინიციატივით, პროფტექნიკური განათლების ორგანიზების მიზნით 1967-68 სასწავლო წლიდან ბათუმში, ფოთსა და სოხუმში საზღვაო პროფესიების შემსწავლელი სასწავლებლები იხსნება (აჭარის არ ცსა, ფონდი რ-128, ანაწ. 1, საქმე 3, ფ. 1-2), ხოლო ფოთში კი სასწავლო-საკურსო კომბინატი (აჭარის არ ცსა, ფ. რ-128, ანაწ. 1, ფ. 47.)

სსრკ საზღვაო ფლოტის 1967 წლის 24 ივნისის ბრძანება №123 საფუძველზე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გადაეცა გემები: „აქსაი“ (ტვირთზიდვა 3800ტ.), „ალაგირი“, „აქტაშ“, „ალექსინ“, „ანაპა“, „ალექსეევკა“, „აქტაუ“, „კიროვი“, კლაიპედა“, „იზიასლავი“, „მაიკოპი“. გემების გადაცემა ნოვოროსიისკის და საქართველოს საზღვაო სანაოსნოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. 1967-68 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაქვემდებარებაში იყო სხვა გემებიც: „ფოთი“, „თბილისი“, „26 კომისარი“. მცირე კაბოტაჟი ძირითადად მიემართებოდა ბათუმი-ოდესის და ბათუმი-ქდანოვის მიმართულებით, ხოლო დიდი ნაოსნობის ფლოტი კი პატაგონ-შელფი-ოდესის, სევასტოპოლ-ფეოდოსია-მონტევიდეოს, პატაგონ-შელფი-ბათუმის, კალინინგრადი-პატაგონ-შელფის რეგიონების მიმართულებით, ამავე პერიოდში საზღვარგარეთ რეისები ფიქსირდება ბათუმი-ისლანდიის, ტუაფსე-კანაკრიის, ფეოდოსია-ანტერ-პენის, ბუენოს-აირესი-ილიჩიოვსკის, კონსტანცია-პამბურგ-როტერდამის მიმართულებით. 1967-1968 წელს სულ გადატანილი იქნა 75645 ტონა ტვირთი, რომელმაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მისცა სუფთა მოგება ვალუტაში 159503 მანეთი. (აჭარის არ ცსა, ფონდი რ-128, ანაწ. 1, საქმე 33, ფ. 136.)

1967 წელს ფოთის პორტმა 2860 ტონა ტვირთი გადაამუშავა. მათ შორის: 1. პურეული 261 (მარცვალი 240); 2. შაქარი - 60 (მაქრის ნედლეული 50); 3. ბამბა - 65; 4. ლითონები - 280; 5. მადანი - 1406; 6. ქვანახშირი - 610; 7. სამშენებლო მასალა - 125; 8. ქიმიური ტვირთი - 15; 9. გენერალური ტვირთები - 36. 1966 წლიდან 1970 წლამდე ფოთის პორტში ერთი-ორად გაიზარდა საექსპორტო-საიმპორტო საქონლის რაოდენობა.

ბათუმის საზღვაო პორტის უფროსის ბორის ანთიმოსის ძე ლომთაძის ანგარიშში (პორტის მიერ 1966-1970 წლებში განვითარებული მუშაობის შესახე) ნათლად ჩანს როგორც საექსპორტო-საიმპორტო საქონლის პროდუქციის ზრდის მაჩვენებლები, ასევე ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს სოხუმის პორტის უფროსის რ. ეშბას მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში.

1967 წლის 29 აპრილს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველის ა. კაჭარავას მიერ გამოცემული №78 ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პორტის ფლოტის ეფექტურ გამოყენებას, პორტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევების დანერგვას, მოქმედი მოწ-

ყობილობების მოდერნიზაციას, პორტის ფლოტში მომუშავე კადრების კვალიფი-კაციის ამაღლებას და ა. შ. (აჭარის არ ცაა, ფ. რ-128, ანაზ. 1, საქმე 4, ფ. 61-62).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ანატოლი კაჭარავას 1967 წლის 31 მარტის №34 ბრძანებით სანაოსნოს ხელმძღვანელებს შორის უფლება-მოვალეობები შემდეგი სახით გადანაწილდა: სანაოსნოს უფროსი უშუალოდ ხელ-მძღვანელობდა სანაოსნოსთან არსებულ საბჭოს, ასევე სამხედრო-სამობი-ლიზაციო, იურიდიულ, საფინანსო განყოფილებებს, მთავარ საზღვაო სააგენტოს „ინფლოტი“, სათაო კანტორას „საზღვაო-სავაჭრო ტრანსპორტი“. მისი მოადგი-ლე საზღვაო პორტების მშენებლობის დარგში იყო ბ. ა. ლომთაძე, რომლის უშუა-ლო დაქვემდებარებაში იყო პორტის დაცვისთვის განკუთვნილი სამხედრო და-ნიშნულების რაზმი „BOXP“, იგი ასევე აკონტროლებდა ჰიდრომონტურობილობებს, კაპიტალურ რემონტს, სანარმოო ნაგებობების გამართულ მუშაობას, საზღვაო სააგენტოს „ტრანსფლოტი“, პორტში არსებულ სამრეწველო და კულტურულ-სა-ყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოადგილე ფლოტის ტვირთბრუნვის და გადაზიდვების დარგში ა. ნაგინიძედი კურირებდა კომერციულ განყოფილებას, სამხედრო-თავდაცვის შტაბს, სატრანსპორტო ფლოტის გეგმიურ და ორგანი-ზაციულ მუშაობას.

სანაოსნოს მთავარი ინჟინერი განაგებდა მეურნეობას, კავშირგაბმულობას, ელექტრო-რადიო ნავიგაციას, რადიო ცენტრს, მატერიალურ-ტექნიკური უზ-რუნველყოფის სამსახურს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, თბოტექნი-კას, გემთმშენებლობას და რემონტს, სანაოსნოს ტექნიკურ საბჭოს, ქიმიურ ლა-ბორატორიას, კონტროლს უწევდა მშრალი ტვირთების, ნავთობჩამოსასხმელი, ქვანახშირის, მადნის, სამგზავრო-სატრანსპორტო ფლოტის ტექნიკურ ექსპლუა-ტაციას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ნაოსნობის დარგში ვ. ჩხაიძე ხელმძღვანე-ლობდა ნაოსნობის სამსახურს, საბაზო ელექტრორადიოსანავიგაციო კამერას, პორტის კაპიტნებს და ლოცმანებს, კონტროლს უწევდა ყველა სახის სანაოსნო გემების უსაფრთხოებას.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში ე. ა. ჩერნოვი ხელმძღვანელობდა საგეგმო-ეკონომიკურ, საფინანსო-სავალუტო განყოფილე-ბებს, ნორმატულ კვლევით სადგურს, კოორდინაციას უწევდა სანაოსნოს საბჭოს მუშაობას, რეფერირებას უწევდა საბჭოს მიერ გამოცემულ სადირექტივო მასა-ლებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე საყოფაცხოვრებო დარგში დ. გ. რთველაძე ხელმძღვანელობდა სამეურნეო-ადმინისტრაციულ განყოფილებას, პასუხისმგე-ბელი იყო სანაოსნოს მიერ მიღებული ბრძანებების, დირექტივების შესრულება-

ზე, კურირებდა პორტთან არსებულ საბავშვო დაწესებულებებს, საკლუბო-სპორტულ მუშაობას, პორტის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ პირობებს.

სანაოსნოს უფროსის მოადგილე კადრების დარგში ე. ს. ვერესოცკი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ მოცურავე მეზღვაურების საორგანიზაციო განყოფილებას, კონტროლს უწევდა სანაოსნოს გემებზე მომუშავე კადრების მუშაობას. (აჭარის არ ცსა ფ. რ-128, ანაწ.1, საქმე-4, ფ. 28-29-30.).

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დიდ ყურადღებას აქცევდა საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს. ამ მიზნით სანაოსნოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა სანაოსნოებთან. კადრების სამმართველოს 1967 წლის 25 აპრილის მონაცემით 35 სპეციალისტიდან 15-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, არასრული უმაღლესი - 6, საშუალო სპეციალური - 11, ზოგადი საშუალო - 3. საზღვაო საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ შორეული ნაოსნობის კაპიტანი ანატოლი კაჭარავა, მისი მოადგილე ბორის ლომთაძე, ასევე ვ. ჩხაიძე, ნ. გაიდაბური, ა. კამინსკი, ა. მაქსიმოვი, ე. ჩერნოვი და სხვები. ამათგან უმეტესი წლების განმავლობაში შორეული ნაოსნობის კაპიტნები და თანაშემწევები იყვნენ.

სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი ე. გ. გეგენავა 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა შორეულ ნაოსნობაში და ეკავა ჯერ იუინერ-მექანიკოსის, ხოლო შემდეგ შორეული ნაოსნობის კაპიტანის პირველი თანაშემწის თანამდებობა. გ. ვასაძეს, რომელიც კურირებას უწევდა საზღვარგარეთ ნაოსნობის ორგანიზების საქმეს, გააჩნდა შორეული ნაოსნობის კაპიტნის დიპლომი და 11 წლის განმავლობაში მუშაობდა საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში.

შრომითი გამოცდილების გაზიარების მიზნით სანაოსნოს სპეციალისტები იგზავნებოდნენ ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოში; სემინარები იმართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (ე.ნ. „მორეხოდ-კა“) სანაოსნოსთვის ამზადებდა სპეციალისტებს.

საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გადაზიდვების უსაფრთხოების მიზნით სანაოსნოს უფროსის 1967 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გასამხედროებული რაზმები ე. ნ. „BOXP“. (აჭარის არ ცსა, ფონდი რ-128, აღწ.1, საქმე 4, ფ. 7-8).

1967 წლის 11 მაისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მმართველმა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მარტს და საზღვაო ფლოტის სამინისტროს 1964 წლის 24 მარტის ბრძანებების საფუძველზე საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთათვის სატარებლად დააწესა ტანსაცმლის ფორმა.

ამ პერიოდისთვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალებები: 1. სატრანსპორტო ფლოტი: სამგზავრო კატარლები „ზემჩუშინა“ (2 ერთეული) „არკადია“ (3 ერთეული), 2. მშრალი ტვირთის

ბარუები და პლაშკოუტები. 3.ბუქსირები (ვერთეული) და ა.შ. მისი სრული სურათი წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტში.

1959-66 წლებში სოხუმის სამგზავრო ფლოტს ემსახურებოდა გემები: „სოხუმი“, „ძიგუა“, „ლაკობა“, „კიახბა“, „ემბა“, ტყვარჩელი“, „აფხაზეთის კომკავშირი“, „გალი“, „ოჩამჩირე“, სატვირთო ფლოტს კი გემები: „კოდორი“, „გუმისმთა“, „კელასური“, „ბზიფი“. სოხუმის საზღვაო პორტის სამმართველოს ხელმძღვანელობდა მ. ცეკვავა. (აჭარის არ ცსა, ფონდი რ-128, ანაზ.1, საქმე 30, ფ.7).

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სათავეში დაარსებიდან (1966-1978) პირველი ათი წელი, ანატოლი კაჭარავა ედგა. ბათუმში, ანატოლი კაჭარავას ჩამოსვლამდე მხოლოდ პორტი არსებობდა. მანამდე ქართველი კაპიტანი მოხეტიალე მეზღვაურის ცხოვრებით ცხოვრობდა. აფხაზეთში დაიბადა. საზღვაო სასწავლებელი რუსეთში დაამთავრა. შემდეგ კი ცხოვრება არქტიკას დაუკავშირა. წლების განმავლობაში ყინულმჭრელი გემების კაპიტანი იყო. „როგორც ხელმძღვანელი, იგი უნიკალური მოვლენაა, პროფესიონალი და თავგანწირული, ძალიან ენერგიული და გამოცდილი მეზღვაური. სიფრთხილით იყო ცნობილი შორი გზით წავიდოდა და დანიშნულების ადგილზე უსაფრთხოდ მივიდოდა“, – ამას ანატოლი კაჭარავაზე მაშინდელი პრესა წერდა.

ყინულმჭრელებს შორის განსაკუთრებული იყო „სიბირიაკოვი“, რომლის კაპიტანი ომის წლებში გახდა. სამხედრო ოპერაციებს უფროსი ლეიტენატის ამპულაში ასრულებდა. 1942 წლის ბოლოს მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ამ პერიოდზე თითქმის არ საუბრობდა, რამდენიმე დეტალს იხსენებდა მხოლოდ: „სიბირიაკოვი“ კარიბის ზღვაში, კუნძულ ბელუხთან, გერმანელთა გემს შეებრძოლა, რომელთან შედარებით ძალიან პატარა და ნაკლებად შეიარაღებული იყო. გემი ჩაიძირა, კაპიტანი და მთელი ეკიპაჟი ტყვედ ჩავარდნენ. ფაშისტებს კაპიტნის პოვნა უნდოდათ. მეზღვაურებმა ანატოლი არ გასცეს, თქვეს, რომ კაპიტანი დაიღუპა. ეს სიცოცხლის შენარჩუნებაში დაეხმარა. ტყვეობაში კაჭარავამ ორ წელზე მეტი დაჰყო.

კუნძულ ბერუხთან ჩავლისას, „სიბირიაკოვისა“ და მისი ეკიპაჟის წევრების საპატივცემულოდ, დღესაც ისმის გემების საყვირების ხმა.

ტყვეობიდან ძალიან შეცვლილი დაბრუნდა, უფუნქციოდ დარჩენილი ხელითა და უამრავი შრამით სახესა და სხეულზე. ტყვედ ჩავარდნის დროს მუცელში დაიჭრა, შემდეგ რამდენიმე შინაგანი ორგანო ამოაჭრეს. მიუხედავად ამისა, ძალიან სიმპათიური იყო და ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

ომის შემდეგ კვლავ ყინულმჭრელ გემებს დაუბრუნდა. მოგვიანებით საქართველოში მოავლინეს და კონკრეტული მისიაც დააკისრეს – შეექმნა პირველი ქართული სანაოსნო.

დასაწყისში ხმელეთზე ცხოვრება ძალიან გაუჭირდა. შემდეგ შეეჩინა და სანაოსნოსთან დაკავშირებით უამრავი იდეა გაუჩინდა. ხშირად საუბრობდა სანაოსნოს მეორე ფუნქციაზე. სურდა, სანაპირო ზოლში – ბათუმიდან გაგრამდე, დასასვენებელი ზონა შეექმნა, სპეციალური ტერმინალი აეშენებინა და მგზავრების ინფორმირება რეგულარულად მოეხდინა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სანაოსნოს 15-მდე გემი აჩუქეს. მუშაობის ბოლო პერიოდში კრუიზული გემების დანიშვნაზე ანარმოებდა მოლაპარაკებას, რომლებიც რეგულარულად ივლიდნენ, მაგრამ ვეღარ მოასწრო.


მანამდე ბათუმში რუსი პროფესიონალი მეზღვაურები ოჯახებით მოიწვია. მათ დასაბინავებლად, სანაოსნოს ხარჯებით, უბანიც კი გააშენა - ე.ნ. „სტეფანოვკის“ დასახლება.

მოხეტალე მეზღვაურმა ოჯახი გვიან შექმნა. მისი პირველი ცოლი ქართველი მსახიობი – ნატო ვაჩინაძე იყო. მათი თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქორწინებიდან მოკლე ხანში ნატო ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მოგვიანებით კვლავ დაქორწინდა. ქალბატონ ნაზოსთან სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა, ის იყო მისი ერთადერთი შვილის დედა და ის უვლიდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. „ავადმყოფობის დროს მამას ბევრი რამ დაავიწყდა, – იხსენებს ბატონ ანატოლის ქალიშვილი დოდო კაჭარავა. – ბოლოს სულ ნატოს ახსენებდა. როცა 1980 წელს, ბათუმის საზაფხულო თეატრში 70 წლის იუბილე გადაუხადეს, დედამ ნატოს დიდი ჭედური პორტრეტი აჩუქა. გადაირია, თვალებში ცრემლი ჩაუდგა... იმ პორტრეტს დღესაც ვინახავ“.

ნაცნობი ბევრგან ჰყავდა. რუსები, როგორც საკუთარ თანამემამულეს, ისე აფასებდნენ. ერთ-ერთ უურნალში ისიც დაიწერა, რომ „რუსებმა სამამულო ომში გმირობისთვის და წლების განმავლობაში თავგანწირული შრომისთვის მადლიერების ნიშნად ანატოლი კაჭარავას საქართველოში სანაოსნო შეუქმნეს“. მასზე ევროპულ პრესაშიც ბევრს წერდნენ.

ანატოლი კაჭარავა ფიდელ კასტროს ძმას – რაულ კასტროსაც კარგად იცნობდა. მას ომის შემდგომ წლებში დაუახლოვდა. დოდო კაჭარავა კასტროს ნაჩუქარ ნიანგის ფიტულს დღესაც ინახავს. როცა რაულ კასტრო საქართველოში იმყოფებოდა, ანატოლის ნახვა ვერ მოახერხა და ელჩის ხელით ასეთი წერილი გაუგზავნა: „დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გინახულეთ. იმედს ვიტოვებ, მეორედ ჩამოსვლისას აუცილებლად გნახავთ“. ეს წერილი ბატონი ანატოლის პირად არქივში დღესაც ინახება. ამასთან ერთად კიდევ ბევრი წერილი, მისალოცი ბარათი და დეპეშაა. ხელმომწერების გვარები ძალზე შთამბეჭდავია: იპოლიტე ხვიჩია, გიორგი ცაბაძე, ვასო გოძიაშვილი, მედეა ჯაფარიძე, თენგიზ ჩანტლაძე, ლადო გუდაიშვილი, ვლად ვისოცკი, ლევან სანიკიძე, რობერტ სტურუა. რეზო და ლაშა თაბუკაშვილები, ილია ვეკუა... ეს ადამიანები კაჭარავების ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ, ბათუმში ყოფნისას კი მის სახლში ცხოვრობდნენ. ბატონ ანატოლის

ერთი ტრადიციაც ჰქონდა – სტუმარს სახლიდან სუვერინის გარეშე არ გაუშვებდა. სტუმრები კი ყოველთვის ბევრი ჰყავდა.



საქართველოს სანაოსნოს დამა-
არსებელი ანატოლი კაჭარავა

ანატოლი კაჭარავა და ფიდელ კასტროს
ძმა, რაულ კასტრო

ბოლო წლებში ავად გახდა, ტვინში სისხლი ჩაექცა. საავადმყოფოში იწვა. საზღვარგარეთიდან თვითმფრინავით დეფიციტურ წამლებს აგზავნიდნენ წარ-
ნერით – „ძალიან სასწრაფოა. კაპიტანთა კაპიტანს ანატოლი კაჭარავას“. ავად-
მყოფობის პერიოდში მეხსიერება ღალატობდა, მაგრამ ის, რომ სტუმრისთვის სა-
უკეთესო მაგიდა გაეშალა და ქალბატონისთვის ხელზე ეკოცნა, არ ავინყდებოდა.
„ამას ძალიან განიცდიდა. ყოველი ადამიანის მოსვლა ბავშვივით უხაროდა“, – იხ-
სენებს დოდო კაჭარავა.

როცა გარდაიცვალა (1982 წელს), ბათუმის დრამატული თეატრის შენობაში დაასვენეს. დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობდნენ, სად უნდა დაეკრძალათ. „სულით მეზღვაური იყო. ზღვის გარეშე არ შეეძლო. სულ იმას აბოდებდა – მე ზღვის პირას უნდა მოვკედეო“, – ამბობს დოდო კაჭარავა. გადაწყდა, ანატოლი კა-
ჭარავა ზღვის პირას, ბათუმის საზღვაო აკადემიასთან ახლოს დაეკრძალათ. მა-
შინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ითავა საფლავის აგება. თუმცა საფ-
ლავს დღემდე პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული და ბევრმა ბათუმელმა არც იცის ამ სასაფლაოს შესახებ.

90-იან წლებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურთა საინიცია-
ტივო ჯგუფის მიერ ხელისუფლებისადმი მიწერილი მოთხოვნა – „უახლოეს მომა-
ვალში დამთავრდეს ანატოლი კაჭარავას საფლავის გაკეთება, რომლის აგება ხე-
ლისუფლებამ 1982 წელს ითავა და საქართველოს საზღვაო აკადემიას დაერქვას
ანატოლი კაჭარავას სახელი“ – დღესაც შეუსრულებელია.

ზემოთ წარმოდგენილი მცირე საარქივო დოკუმენტური მასალაც კი ნათლად წარმოაჩენს შორეული ნაოსნობის მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ 260 მილიონი ადამიანით მოსახლე მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ფულად მოგებას აძლევდა. ლეგენდად იქცა შორეული ნაოსნობის ქართველი კაპიტნების ანატოლი კაჭარავას, ალ. ზენაიშვილის, ვ. მაქაცარიას, ვალტერ ჭანტურიას და სხვათა საგ-მირო საქმეები. საუბედუროდ დღეს აღარ არსებობს ქართველის ხელით დანგრეული საქართველოს საზღვაო სანაოსნო და დავინტებას მიეცა ნაოსნობის ქართული ტრადიციები.

დამოწმებული საარქივო დოკუმენტები:

1. აჭარის არ ცსა, ფონდი რ-128, ანან. 1. საქმე 1, 3, 4, 10, 27, 30, 33.
2. გაზეთი „ბათუმელები“, №37 (108). 21-28 სექტემბერი, 2005 წელი.

*Merab Megrelishvili
Shota Mamuladze*

FROM THE HISTORY OF GEORGIA SHIPPING

Summary

By Soviet Navy's Ministry decree №13 of January 20, 1967 was established Georgia maritime navigation. In this period Black Sea Navy Fleet's Novorossiysk region was the center of travel and merchant ships, because of that it was overloaded by transported works. For this it became necessary to create new navigation. In addition ministry of navy Fleet took into consideration this fact, that in this period in Georgia territory ports has increased exports-import of goods. In article is presented documentary materials that shows important issues of Georgia maritime navigation history.

პრიტანული კორესპონდენციალი ლაზეპის დეპონაციის შესახებ
მეცნიერებების საუკუნის 70-იან წლები
(საარჩივო მასალების მიხედვით)

პრიტანული დიპლომატების კორესპონდენციები ლაზეპის დაკავშირებით განსაკუთრებით მრავლადაა მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ დიდ იმპერიებს შორის ქართული მინების გადანაწილების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით განიხილებოდა.

აჭარის დედასამობშობლოსთან დაბრუნების სიხარულს საგრძნობი ჩრდილი მიაყენა ამ ძირძველი კუთხიდან ძირძველი ქართველების გასახლების წახალისებამ და რიგ შემთხვევაში თურქეთში იძულებით ემიგრაციაში წასვლამ. ამჯერად გვინდა მსმენელის ყურადღება სწორედ აჭარიდან ქართველების, მათ შორის ლაზების, აყრის და თურქეთში გასახლების შესახებ არქივში დაცულ მასალებს მივაპყროთ.

განსაკუთრებით მწვავედ ეს თემა ბერლინის კონგრესზე განიხილებოდა. ბრიტანეთს არ სურდა ბათუმი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გადასულიყოდა ყველა ღონეს ხმარობდა კონგრესზე თავისი სურვილის გასატანად. სწორედ მაშინ გამოიყენა სათავისოდ ბრიტანეთმა ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა. ბუნებრივია გულებყვილობაა იმის დაჯერება, რომ ბრიტანეთი ლაზებზე ზრუნვით იწუხებდა თავს, სამწუხაროდ მას ლაზები¹ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელ ინსტრუმენტად სჭირდებოდა და როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, თავიდან ყოველნაირად აწყობდა ლაზების შფოთი და წინააღმდეგობის მოძრაობა, ხოლო შემდეგ, როგორც იმპერიებს ჩვევიათ, ლამის ბედის ანაბარა მიატოვა ისინი, რამაც მართალია სისხლისღვრამდე არ მიიყვანა საქმე, მაგრამ შედეგად მოჰყვა ლაზების ძირძველი ქართული მიწებიდან გასახლება. დიდი ალბათობით ინგლისის გეგმა ასეთი იყო: შეექმნა ბათუმის დამოუკიდებელი სახანო ბრიტანეთის პროტექტორატით, რადგანაც რუსეთი ბათუმის უშუალოდ თურქეთის შემადგენლობაში დატოვებას უფრო უარყოფითად მოეკიდებოდა: თუ რუსეთი ამაზე დათანხმდებოდა, მაშინ ინგლისი მხარს დაუჭერდა ბათუმიდან თურქული ჯარის გაყვანას და მომავალში რუსეთს პირდებოდა ლაზისტანის სახანოზე შესაძლო გავლენას; ამ წინადადებას სოლსბერი სთავაზობდა შუვალოვს (ა. ჩხაიძე, იქვე, გვ 69) და საერთოდ ინგლისი თავს აცხადებდა ლაზების ინტერესების დამცველად, და მიანიშნებდა რომ ინგლისს შეუძლია რეალური დახმარება გაუწიოს ლაზებს. თუმცა ეტყობა რუსეთის ინტერესი - ბათუმი როგორმე მიეერთებინათ, იმდენად დიდი იყო, რომ არ წამოეგო ბრიტანული დიპლომატიის ხრიკებს და არ დათანხმდა

¹ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 2008, ტ III, გვ. 71

ლაზეთის სახანოს შექმნას. ამ მეტად საინტერესო პერიოდს ასახავს საარქივო სამმართველოში დაცული მასალები.

ბათუმში ბრიტანეთის ვიცე კონსული ალფრედ ბილიოტი ატყობინებს მარკიზ სოლსბერის: **1878 წლის 23 აგვისტოს**

ბატონო ჩემო

მისმა აღმატებულებამ ბრიტანეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში მომ-
ცა ინსტრუქცია ... გავაკეთო ყველაფერი რაც ჩემს ძალას შეესაბამება რა-
თა დავაცხრო ლაზთა აღშფოთება რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, მაქვს
პატივი ამ სახით გადმოგცეთ, თქვენს ბრწყინვალებას ინფორმაცია, ამ სა-
კითხთან დაკავშირებული ჩემი პასუხის ასლით.“²

ამავე წერილში იყო მოთავსებული შემდგომი მოხსენებითი ბარათი:

ვიცე კონსული ბილიოტი სერ ა.ჰ ლეიიარდს

ტრაბინზონი 1878 წლის 23 აგვისტო

ამ დილით მე მივიღე თქვენი აღმატებულების ... დეპეშა, რომელიც ეხე-
ბოდა ლაზების მიერ ლორდ ბიკინსფოლდისადმი გაგზავნილ უკანასკნელ
პეტიციას და ვთხოვთ, ნება მომცეთ, მოგახსენოთ, ... თუ როგორ განვახორ-
ციელე მასში მოცემული ინსტრუქციები.

როდესაც ლაზების წარმომადგენელმა, ალი ბეიმ, გადმომცა პეტიცია,
მე შევახსენე მას, და ვთხოვე ეცნობებინა მისი თანამემამულეებისათვის
რომ ისინი ინფორმირებული არიან თქვენი ბრწყინვალების მიერ, ჯერ კი-
დევ 23 აპრილს, რომ ბრიტანულმა პროტექტორატმა არ შეიძლება მოიცვას
ისინი.

ვინაიდან არ ვიცი რა, მან აცნობა თუ არა ლაზებს ამის თაობაზე, ყო-
ველგვარი გაუგებრობების ასაცდენად, თავიდან გავაგზავნე წერილი ჩემს
აქ ყოფნაში, რომელშიც მე ვათქმევინე მას თანამემამულეებისათვის რომ მე
ინსტრუქციები მივიღე თქვენი ბრწყინვალებისაგან, გავაკეთო ყველეაფერი
რაც შემიძლია, რათა დავაცხრო მათი სურვილი აღუდგნენ რუსეთის ოკუპა-
ციას, რამდენადაც ამას უსარგებლო სისხლისლვრის გარდა არაფერი მოჰ-
ყვება.

ეს წერილი მე მოვათავსე სხვაში, რომელიც მე ჩემდათავად გავუგზა-
ნე სომხეთის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელს ბათუმში, რომელ-

² აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი 1. საქ-1 ფურც . 348

საც დიდი გავლენა აქვს ლაზ ბეგებზე, ვთხოვე მას გადაეცა ის პირადად და ეცადა დაერწმუნებინა ისინი უარი ეთქვათ მათს წამოწყებაზე.

მე ასევე ვაცნობე იუსუფ ფაშას ის მითითებები რომელიც მივიღე თქვენი ბრწყინვალებისაგან, და ვთხოვე მას სიტყვიერად აეხსნა ლაზი ბეგებისათვის, და დაეყილიებინა ისინი...

მე მჯერა რომ ლაზები, ნახავენ რა რომ მათ არა აქვთ ბრიტანეთის ან ოტომანთა ხელისუფლებებისაგან დახმარების დიდი შანსი, უარს იტყვიან ბრძოლაზე ბედისა და იმედების ნინაალმდევ.

თქვენი ალფრედ ბილიოტი³

ეტყობა სწორედ ამ დოკუმენტებში ნახსენებ პეტიციას გულისხმობდა სოლსბერი. მთელი ეს პროცესი, როგორც საზავო მოლაპარაკების მსვლელობებში გამოიკვეთა ბრიტანელებს აძლევდა ხელს, მაგრამ როგორც ჩანს, ლაზების თემის წინ წამოწევით მაქსიმუმი ჰქონდა მიღებული ბრიტანეთს და უკვე ცდილობდა ლაზები დაეშოშმინებინა.

“№104

ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის

(მიღებული 4 სექტემბერს) ტრაბინზონი 1878 ნლის 21აგვისტო.

ჩემთვის იუსუფ ფაშას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მაქვს პატივი გიდეპეშოთ შემდეგი: ორი დღის წინ როგორც ვაცნობე მის ბრწყინვალებას [ბრიტანეთის] ელჩს კონსტანტინოპოლში :

„დერვიშ ფაშამ დაავალა ბათუმის მუთასირიფს, შეატყობინოს მოსახლეობას რომ რუსები შემოვლენ მიმდინარე თვის 27 ში, და ვინც აპირებს ემიგრაციაში წასვლას დროზე უნდა გააკეთონ ეს. მუთასირიფმა უდეპეშა სამგზავრო გემებს დაიტვირთონ შიდა რაიონებიდან ჩამოსული აურაცხელი ემიგრანტი იჯახით და მათი ბარგით. გენერალ გუბერნატორმა ინსტრუქცია სთხოვა კონსტანტინეპოლს. ხოფას მოსახლეობა იტყობინება რომ გაიგეს მათს ქალაში რუსების ძალების შემოსვლის შესახებ და რომ ისინი წინ ალუდგებიან არმიას.“

ბათუმის მოსახლეობაში ხმა დაირხა ვისაც ახლავე არ უნდა წასვლა ემიგრაციაში შეუძლია ასე მოიქცეს სამი წლის განმავლობაში, ხოლო მთელი ამ ხნის მანძილზე, ლაზისტანში დარჩენილები იქნებიან რუსეთის ქვეშერდომები.

დაუყოვნებლის ამის გამოცხადებისთანავე ლივანის მოსახლეობის ნაწილმა უდეპეშა პორტას რომ მათ სურთ ემიგრირება მალათიაში.

³ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი1. საქ-1 ფურც . 348

თხოვნის შესრულებისა და ტრანსპორტის დაპირების შემდეგ, პორტამ შეახსენა ლაზებს რომ მათ სამი წლის განმავლობაში შეუძლიათ ემიგრაციაში ნასვლა და არ უნდა კარგავდნენ ქონებას ნაჩერავი გამგზავრებით.

თურქულმა ტრანსპორტმა ამ დღეებში ბათუმიდან გაიტანეს 1200 შეკვრა სამხედრო საჭურველი, უამრავი ნერაქვი, ნიჩაბი და ა.შ

რამდენიმე ოფიცირის ოჯახი და სხვა, არალაზი მუსულმანებიც ავიდნენ იმავე თბომავალზე⁴.

როგორც ვხედავთ პროპაგანდა რომელსაც წევდნენ აჭარის ქართულ მოსახლეობაში სულთნის აგენტები იმდენად თავზარდამცემი იყო ქართველთათვის რომ ლამისაა ცარიელ-ტარიეთ მიეტოვებინათ ღვთისგან ბოძებული სამშობლო მიწა.

„N 40 ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებული 4 სექტემბერს)

(6104 პოლიტიკური)

ტრაპინზონი 1878 წლის 23 აგვისტო

ბატონო ჩემო, გასულ კვირას მე შემდეგი შინაარსის დეპეშა გავუგზავნე მის ბრწყინვალებას [პრიტანეთის] ელჩს კონსტანტინოპოლში:

„პორტას ბრძანებით ბათუმის ჩაბარება გადაიდო 12 სექტემბრამდე და ტრაპინზონის გუბერნატორი ჩავა ხვალ ბათუმში, რათა სცადოს მოსახლეობის დამშვიდება, და თუ საჭირო გახდება მიიღოს ემიგრაციისათვის საჭირო ლონისძიებები. სამხედრო გემების და სამხედრო საჭურველის დატვირთისა და ბაუთმიდან გამგზავრების ბრძანება უარიყო.“

როცა ორი დღის წინ ზემოთხესენებული ცნობა მიიღეს ბათუმში, ციხე-სიმაგრეში ზარბაზბნების, უკვე დაწყებული, მოხსნა შეწყვიტეს. იქ მოკალათებულმა ორმა სამხედრო გემმა, რომელიც მზად იყო გასამგზავრებლად, კვლავ ჩაუშვა ლუზა ყურეში, და გემზე ატვირთული საქონელი ისევ ჩამოტვირთეს.

თურქულ შენაერთებს ჯერ არ დაუტოვებიათ მონინავე პოზიციები, მაგრამ მათი კარგა ნაწილი უკვე ბათუმშია და მჭიდროდ გარშემორტყმულია 6-7 ათასი ლაზი ჯარსრისკაცით.

დერვიშ ფაშა მიხვდა რომ რთული სიტუაციაა და პორტას წარმომადგენელმა ვერ მოუარა ლაზებს, რომელთაც არ სჯეროდათ მისი.

ამ სიტუაციის გამო იუსუფ ფაშას ტრაპინზონის გუბერნატორს უდეპეშა პორტამ დაუყოვნებლივ ბათუმში ჩასვლა... იმ იმედით რომ ის დაარწმუნებდა ლაზებს, რომელთაც მისი სჯეროდათ, რომ მათ უკუეგდოთ აჯან-

⁴ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი 1. საქ-1 ფურც. 348

ყების ყოველგვარი აზრი, და ნასულიყვნენ ემიგრაციაში თუკი მათთვის მი-
უღებელი იყო რუსეთის ქვეშევრდომბა.

ჯერ არცერთი ემიგრანტი არ ჩამოსულა ბათუმში. თუმცა პევრს ამბო-
ბემ რომ ზღვისპირს მოადგნენო.⁵

ეს ის პერიოდია როდესაც წყდება ბათუმის დედასამშობლოსთან მიერთება - არ მიერთების ჩვენთვის ესოდენ სასიცოცხლო საკითხი, როდესაც ოსმალეთს ჯერაც ეიმედებოდა ბრიტანეთის მხარდაჭერით მისი კვლავ ოკუპაციაში დატო-
ვება. დოკუმენტიდან უკვე იკვეთება ლაზების წინააღმდეგობის მოძრაობისა და
უკმაყოფილების თემა, რომელსაც ბრიტანეთი მოლაპარაკებებისას აუცილებ-
ლად სათავისოდ გამოიყენებდა. ბილიოტის შემდგომი მოხსენებითი ბარათი,
რომელიც ორი კვირის შემდგომ ბათუმში რუსეთის ჯარების მოსალოდნელ შე-
მოსვლას ასახავს, ლაზების საკითხის სიმწვავეს კარგად გადმოგვცემს:

**“ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 18 სექტემ-
ბერს)**

(N113 პოლიტიკური)

ბატონო ჩემო,

მაქვს პატივი, თქვენს ბრნყინვალებას, მოგწეროთ ინფორმაცია,
რომელიც მე გავუგზავნე გუშინ მის აღმატებულებას კონსტანტინოპოლის
ელჩს.

„ალი ფაშამ (*Tsuruksooli Ali Pasha ჩურუქსუს?*) მაცნობა რომ,
მიუხედავად რუსების დაპირებისა ყველა ლაზს გადაასახლებენ, ის იმყო-
ფება გზად ორდუსაკენ, რათა პორტას ნებართვით აარჩიოს მიწა ემიგრან-
ტებისათვის. ბათუმიდან ევაკუაცია მიმდინარეობს აქტიურად. რუსების შე-
მოსვლას ციხისძირში (შიკინჯირ), გუშინ ველოდებოდით, ხოლო ბათუმში -
შემდგომ პარასკევს ველით.

ინფორმაცია რუსების მიერ მიმდინარე თვის 1- ში ციხისძირში პო-
ზიციების დაკავების შესახებ დადასტურებულია. ამ დღეებში ისინი, ასევე,
შევიდნენ ართვინში. ბათუმი მზადაა მთლიანი ევაკუაციისათვის მიმდინარე
თვის 6- ში, როცა ის უნდა გადაეცეს რუსებს.

ალი ფაშამ მაცნობა რომ მას მიეცა პორტასაგან უფლება აარჩიოს
ორდუში, სადაც ის მოქმედებს, მიწა ჩურუქსუს მოსახლეობისათვის.

თუკი ხელმისაწვდომი სახელმწიფო მიწა არ იქნება საკმარისი მა-
შინ ის კერძო საკუთრებიდან იქნება შესყიდული იმავე მიდამოებში.

ეს ემიგრანტები ელოდებიან დახმარებას მრავალრიცხოვანი ქარ-
თველებისგან, მათი თანამემამულებისაგან, რომელთაც მაღალი მდგომა-
რეობა უკავიათ თურქეთში.

⁵ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი 1. საქ-1 ფურც . 348

ლაზებს ემიგრაციაში წასვლა რომ გადააფიქრებინონ, რუსები პირდებიან მათ სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას, გადასახადების არსებული რაოდენიბის შენარჩუნებას და ერთი ნლითა და მეტით საკვებით მომარაგებას.

მიუხედავად ამისა, აღი ფაშას ინფორმაციით **ლაზისტანის მთელი მოსახლეობა**, წავა ემიგრაციაში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ 500 თუ 600 ოჯახია ბათუმში, დანარჩენი რჩება თავის საცხოვრებელ ადგილას, ვიდრე საჭირო განკარგულება არ მისცემს საშუალებას მათ გაუყვნენ გზას თავიანთი ახალი ადგილის თუ კოლონიისაკენ.

ლივანას (Livanah) მოსახლეობა წავა მალათიაში. (*Malatia*) მათ-თვის შესაფერისი ადგილი არ მოიძია აჭარაში, მაჭახელაში (?) (*Madjkal*) დ. ა.შ.

კონსტანტინეპოლიდან ელოდებიან რწმუნებულებს ემიგრანტების საქმის გასაძლოლად.

ალფრედ ბილიოტი”⁶

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, თურქეთის მთავრობას აწყობდა ლაზთა გადასახლება თურქეთში, რუსეთის ხელისუფლების განწყობა ამ დოკუმენტის მიხედვით ცოტა გაურკვეველია, კონსულის აზრით რუსები პირიქით, დარჩენას სთხოვენ ლაზებს, აი აღი ფაშა კი ყოველნაირად არწმუნებს კონსულს, რომ სწორედ რუსები დევნიან ლაზებს აჭარიდან.

შეიძლება ითქვას რომ ლაზების მცირე ნაწილის დარჩენა მაინც რუსების სურვილზე მეტად თურქეთის ხელისუფლების მიერ უკვე გადასახლებულთათვის გამოჩენილმა უგულისყურობამ და უპასუხისმგებლობამ გადაწყვიტა, რამაც საბოლოო ჯამში საქართველოს ამ ძირძველი და ავტოქთონური მოსახლეობის რაღაც რაოდენობა შეუნარჩუნა:

„ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 18 სექტემბერს)

(№115 პოლიტიკური)

ბატონო ჩემო,
ნინა საღამოს ასეთი დეპეშა მივიღე მის აღმატებულება კონსტანტინეპოლის ელჩისაგან:

⁶ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი 1. საქ-1 ფურც .353

[2000 ლაზი ემიგრანტი ჩამოვიდა; 100- ზე მეტს ველოდებით; არავითარი საკვები არაა მათვის, მათ არავითარი თანხა არ მიუღიათ მთავრობისა-გან. დიდი უკმაყოფილებაა მათ შორის. მთლიანობაში ძალიან მცირე უუ-რადლება გამოიჩინა ხელისუფლებამ და ტრაბზონის მოსახლეობამ ლაზი ემიგრანტების მიმართ. არ გამოყოფილა მათვის სახლები, რაც უდიდეს სიძნელებს და მათი მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვას იწვევს, პურის მეოთხედი შეადგენს ზრდასრულ ადამიანების ულუფას; ბავშვებს არ მიუ-ღიათ არაფერი.]

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება იუსუფ ფაშას დაბრუნებამდე, რო-მელიც დერვიშ ფაშასთან ერთად აპირებს აქ ჩამოსვლას, შემდევ შაბათს. თუმცა, ჩანს, პორტა სარჩოს გამოყოფას მხოლოდ იმათვის აპირებს რო-მელთაც სრულებით არაფერი არ გააჩნიათ.

ლაზები ძალიან უკმაყოფილონი არიან და ლიად გამოხატავენ ამას, მათ რომ წინასწარ ცოდნოდათ ასეთი მოყვრობის შესახებ, არ გადაწყვეტდნენ ემიგრაციაში წასვლას. როცა ლაზებმბა, რომლებიც ამასვე აპირებენ, მაგ-რამ ჯერაც სამშობლოში არიან, გაიგეს ამ უკმაყოფილების შესახებ, გადაი-ფიქრეს მიბაძონ მათი თანამემამულების, რომლებიც თურქეთისათვის და-კარგულები არიან, მაგალითს, და აღმოჩნდნენ ურთულესი დილემის წინა-შე: იცხოვრონ საძულველ მტრის ქვეშევრდომობაში თუ იშიმშილონ ერ-თმორწმუნებთან. მათ შეიძლება, ამ ყველაფრის მერე, მშობლიურ მთებში წამოიწყონ გიუური მცდელობა რუსების წინააღმდევ ბრძოლისა და გამოიწ-ვიონ უაზრო სისხლისლვრა.

ალი ფაშა, რომელიც დაპირდა ხალხს ფულის გარკვეულ ნაწილის მი-ცემას, რომელიც მას, როგორც მე მითხრა, გამოუყო პორტამ, არ მოსულა ორდუში, მისი შეყოვნებაც დიდი ზიანის მომტანი იქნება ლაზი ემიგრანტე-ბისთვის .

ალფრედ ბილიოტი⁷

ეტყობა ბრიტანელების დაპირებებმა გარკვეული როლი ითამაშა ლაზე-ბის რუსეთის წინააღმდევ ბრძოლის განწყობის ჩამოყალიბებაში და ძალიან ძნელი დარჩა მათი გადარწმუნება. არადა, დოკუმენტებით ირკვევა, რომ ბრი-ტანელი დიპლომატები ცდილობდნენ ლაზების დაშოშმინებას, რადგან როგორც ჩანს მათ ლაზების ამბოხის შთაბეჭდილება სჭირდებოდათ და არა რეალური ბრძოლები რუსეთთანაც და თურქეთთანაც მათვის სასურველი შეთანხმების მისაღწევად.

⁷ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი1. საქ-1 ფურც .353

საერთოდ, აჭარის ქართველთაგან დაცლა ბუნებრივია ორივე მეზობელი იმპერიას აწყობდა.⁸ ამ პროცესში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ლაზების საკითხი და მათი ემიგრაციაში წასვლა საჯილდაო ქვად იქცა ცალკე რუსეთისა და ცალკე თურქეთისათვის, ასევე უშუალოდ საქმეში ჩართული ჩინოვნიკებისათვის. თურქეთის მხრიდან ამ საქმეში როგორც ვხედავთ ჩანდნენ იუსუფ ფაშა, ტრაპინზონის გუბერნატორ⁹ და გენერალი, ბათუმში განლაგებული თურქული საოკუპაციო ჯარების მეთაური დერვიშ ფაშა (1817-1896).¹⁰ დოკუმენტით, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ ირკვევა, რომ იუსუფ ფაშა უფრო ემოციურად უყურებს საქმეს და ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული მიწის დაკარგვას, ბათუმის საქართველოსთან მიერთებას პირად ტრაგედიად აღიქვამს. იგი განსჯის დერვიშ ფაშას, რომელიც მიუხედავად მარცხისა, უკვე იმაზე ფიქრობს, შემდგომში ომების დროს რომ უნდა მიიტაციოს ოსმალეთმა კვლავ ქართული მიწები. ასეთ შემთხვევაში ფიქრობდა ლაზების შესაძლო გამოყენებაზე და ენინაამდეგება მათ გადასახლებას თურქეთში:

“ 342 ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 19სექტემბერს)

(№118 პოლიტიკური)

ტრაპინზონი. 1978 წლის 7 სექტემბერი

რო

ბატონო ჩემო, მქონდა პატივი გუშინ მისი აღმატებულაება კონსტანტინოპოლის ელჩისათვის გამეგზავნა შემდეგი სახის დეპეშა:

„რუსები შემოვიდნენ ბათუმში დღეს შუადღით. იუსუფ ფაშა გაემგზავრა კაპიტულაციამდე. დერვიშ ფაშას აქ მოველით ხვალ. მთლიანად მოსული ჯარი შეადგენ 12 ბატალიონს. 6 ჯერაც ბათუმშია. ასევე ძველი ზარბაზნები და საჭურველის ყუთები. ხუთი ათასი ლაზის ოჯახი ჩამოვიდა დღეს. რამდენიმე ათასი ისევ ელოდება გემებზე ჩასხდომას. „

ორი დღის წინ ერთი საგუშავო და ორი სამხედროებით დატვირთული სამგზავრო რუსული გემი მოადგა ჩაქვს. ბათუმიდან 5 მილზე და გენერალი კომაროვი ორი ბატალიონით ართვინიდან. განზრახული იყო რომ ეს ორი ძალა ერთდროულად შესულიყო მეორე დღეს ბათუმში და ჯარი დაიკავებდა თავის პოზიციას ნავსადგურიდან მოშორებით რათა ხელი არ შეეშალა ჯარისა და საჭურველის ევაკუაციისათვის.

⁸ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 2008 ტ III, გვ. 68

⁹ აჭარის საარქივო სამმართველო; ფონდი ი- 83; აღწერა ტ1; საქმე 1; ფურც. 348

¹⁰ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 2008 ტ III, გვ. 72

იუსუფ ფაშამ, რომელსაც ახლახან შევხვდი, მაცნობა რომ ის წამოვიდა ბათუმიდან ლამით რადგან არ უნდოდა მონაწილეობა მიეღო მის ჩაბარებაში.

დერვიშ ფაშამ მოახსენა მას მის განზრახვაზე ზარბაზნის 101 ზალპის შესახებ, რომლიც მას ვერ გადააფიქრებინა. რადგან მას თან არ ჰქონდა ვარგისი ზარბაზნები ის შეეცადა ვიცე ადმირალ არიფ ფაშას ექნა ეს, მაგრამ მან კატეგორიული უარი უთხრა, შეესრულებინა მისი თხოვნა.

პორტას წარმომადგენელი ნიპად ფაშა და ალი ბერ რომელნიც ჩამოვიდნენ აქ გენერალ გუბერნატორთან ერთად, გუშინ ლამით დაბრუნდნენ უკან ბათუმში, კონსტანტინოპოლიდან დღის განმავლობაში მოსული ბრძანების საფუძველზე.

იუსუფ ფაშამ მიამბო რომ დერვიშ ფაშას სანადელს წარმოადგენდა გადაეფიქრებინა ლაზებისთვის ემიგრაციაში წასვლა, მას სურდა ლაზისტანი მთელი თავისი მცხოვრებლებით გადაეცა რუსებისათვის, და ისე შორსაც კი წავიდა რომ აქ გამოვზავნა აგენტები რათა დაერწმუნებინა ემიგრანტები დაბრუნებულიყვნენ ბათუმში. სრულიად შესაძლებელია რომ ლაზებისაგან გამოხატული უკმაყოფილება ნაწილობრივ სულაც დერვიშ ფაშას აგენტების ინტრიგების შედეგი იყოს ტრაპინზონში. პორტას ბოლო განკარგულების შედეგად ყველა ისინი ლებულობენ რაციონს ნახევარ ოყას დღეში რაც სრულებით არაა საკმარისი და ლონისძიებებს მათი განსახლების შესახებ უძლვება იუსუფ ფაშა.

ახლა როდესაც რუსებს თავისუფალი ასპარეზი აქვს ბათუმში, ემიგრანტები შეიძლება გადაეყარონ გადაულახავ სიძნელეებს, რომელიც შეიძლება მხოლოდ დროებითი კომისიის მუშაობით მოვარდეს, რომლის გაზიარებასაც იქ, როგორც ამბობენ, პორტა აპირებს; იუსუფ ფაშა პორტას მიერ იმავდლროულად დანიშნულია დროებით საემიგრაციო კომიტეტში. ლაზისტანის მოსახლეობა იქნებოდა ფასეული შევსება თურქეთისათვის, ისინი თავიანთი თვისებებით მნიშვნელოვნად აღემატებიან ჩერქეზებსა და აფხაზებს, და რუსეთთან მომავალი თმისას უზრუნველყოფდა არაგულგრილი კონტიგენტით, რომელთაც ექნებოდათ პირადი ანგარიში [რუსებთან]

ლაზი ბეგების განზრახვაა დასახლდნენ რაც შეიძლება ახლოს, და ყველა მიზეზს გარეშე შავი ზღვის პირას, რათა ზემოაღნერილი საგანგებო სიტუაციისას მზადყოფნაში იყვნენ.

დერვიშ ფაშაზე ამბობენ რომ არ უხდის ჯარისკაცებს, მიუხედავად იმისა რომ ფული ხელთ ა აქვს; მას ეს-ესაა კონსტანტინეპოლიდან გამოუგზავნეს 2 000 000 პიასტრი.

იუსუფ ფაშამ დასძინა რომ, კიდევ რამდენიმე დღე ბათუმში ჩემი დარჩენის საჭიროება რომ ყოფილიყო ავად გავხდებოდიო, ისეთი ამაზრზენი

იყოთ დერვიშ ფაშას მიერ გამოყენებული ინტრიგები ლაზების მიმართ, ...

როცა იუსუფ ფაშა ორი კვირის წინ ჩავიდა ბათუმში, მაშინ დერვიშ ფაშა და ლაზები იყვნენ ერთმანეთთან ომის ზღვართან. არავითარ განსაკუთრებულ მიზეზს არ გამოუწვევია ასეთი ვითარება.

გემები რომელნიც შეიცავდნენ სახელმწიფო სამხედრო ქონებას, რომელნიც ლაზების მიერ შეჩერებული იქნა ჩერუქსუში, რომელნიც მალევე გაანთავისუფლეს, ამ ინციდენტს არ მიუცია მოტივი შემდგომი გაუგებრობისათვის. და მტრობა ხალხსა და ხელმძღვანელს შორის დიდი ხნის შედეგ აღმოცენდა.

ეს გამოწვეული იყო როგორც ჩანს, დერვიშ ფაშას პროვოკაციული პოზიციით ლაზების მიმართ, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა აეძულებინა ისინი გამხდარიყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი და უშლიდა ემიგრაციაში წასვლას.

როცა დერვიშ ფაშამ აცნობა მათ რომ პორტა დაეხმარებოდა მათ გადასახლებაში თურქეთის სხვა მხარეში, მათი აღშფოთება წამსვე დაცხრა.

მთლიანი რაოდენობა ლაზებისა რომლებიც ჩამოვიდნენ ამ დღემდე არის დაახლოებით 1000 ოჯახი ან 6000 სული. ორ სამ თვეზე ადრე, ვიდრე ისინი თავის მოასავალს არ შეაგროვებენ მეტს არ ველოდებით. ამავდროულად მათ გააგზავნეს აგენტები ახლო-მახლო მოსახერხებელი ადგილების შესარჩევად.

პატივისცემით აღფრედ ბილიოტი.¹¹

დერვიშ ფაშას იმპერიალისტური და თურქულ-ოკუპანტური მცდელობები მისდაუნებურად აშკარად ჩვენდა სასარგებლო გამოდგა თუ გამოდგებოდა, მაშინ რომ მართლაც შეწყვეტილიყო ლაზების გასახლება. რა თქმა უნდა ის ცდილობდა რომ სწორედ თურქეთის დასაყრდენად დაეტოვებინა ლაზები ათასწლობით ლაზების კუთვნილ მიწაზე, მაგრამ დედასაქართველოსთან დაბრუნებული ძირდველი მიწის ლაზები სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის დასაყრდენი რომ გახდებოდა, ბუნებრივია ოკუპანტი ამას ვერ განჭვრეტდა. დერვიშ ფაშა ოკუპაციის ცივი გონების სარდალი გახლდათ, შემდგომში, 1921 წელს რომ გამოუჩნდა მემკვიდრეები მაზნიაშვილთან მებრძოლი ქიაზიმ ბეიისა და ლენინთან საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე გარიგებული ქემალ ფაშას სახით.

¹¹ აჭარის საარქივო სამმართველო; ფონდი ი- 83; აღწერა ტ1; საქმე 1; ფურც. 354-355

შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული დიპლომატიის პრაგმატული და უტი-ლიტარული დამოკიდებულება ლაზების საკითხისადმი, ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა ნაკარნახევი იყო მათი სურვილით - ბათუმი არ გადასულიყო რუ-სეთის ხელში; ამას ემატებოდა თურქეთის დამპყრობლური და მეზობელი მიწე-ბისადმი მტაცებლური დამოკიდებულება და რუსეთის ცარიზმის ველიკოდერ-უსული თუ რუსიფიკატორულ-ასიმილაციური პოლიტიკა იმპერიისათვის შე-მოერთებული ქართული ტერიტორიების მიმართ, რომელიც ისტორიულ ტრა-გედიად, ადამიანურ ტანჯვად და მამაპაპური მიწებიდან უმოწყალო აყრად და-უჯდათ ლაზებს.

ამრიგად, აშკარაა რომ ბრიტანელი დიპლომატების კორესპოდენციებში დიდ ადგილი და ყურადღება ეთმობა ლაზების დეპორტაციის საკითხს, და დღე-ვანდელი შესაძლებლობების გამოყენებით ალბათ უპრიანი იქნებოდა უფრო ფართოდ იქნას შესწავლილი ქართული ისტორიოგრაფიაში ეს მეტად საინტერე-სო და ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი.

გამოყენებული მასალები:

- 1.აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი1. საქ-1 ფურც .255
- 2.არჩილ ჩხაიძე „ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში,“ ბათუმი 1974
- 3.აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი1. საქ-1 ფურც .353
- 4.აჭარის საარქივო სამმართველო; ფონდი ი- 83; აღწერა ტ1; საქმე 1; ფურც 354-355
- 5.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 2008 , ტ. III
- 6.საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1973
- 7.აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. ანაწერი ტომი1. საქ-1 ფურც . 348
- 8.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 2008, ტ. III
- 9.აჭარის საარქივო სამმართველო; ფონდი ი- 83; აღწერა ტ1; საქმე 1; ფურც. 348

**BRITISH CORRESPONDENCES ABOUT LAZIANS DEPORTATION IN 75S OF
XIXTH CENTURY**

(BY ARCHIVAL MATERIALS)

Summary

After Russia-Turkey war especially was discussed Georgia lands redistribution between big empires. In article is reviewed archival documents protected in archive, which is connected with resettlement of Georgians, among them Lazians from Ajara to Turkey.

დეპორტირებული მასხების საქართველოში დაპრუცია ზოგიართი ფსიქოლოგიური პრობლემასთან არის დაკავშირებული:

I. 1944 წელს სამცხე—ჯავახეთიდან დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნება მრავალ ფიქოლოგიურ პრობლემასთან არის დაკავშირებული:

1. მესხები მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად არიან დიდი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც შეადგენენ ე.წ. „ზემო ქართლის“ მოსახლეობას და ისინი ისევე როგორც „ქვემო ქართლის“, „შუა ქართლის“ და „შიდა ქართლის“ მოსახლეობა ჩვეულებრივი ქართლელებია ანუ ძველი რუსული კლასიფიკაციით „საკუთრივ ქართველებია.“

2. მესხები „საკუთრივ ქართველებია,“ რადგან XIX საუკუნეში მათი უმრავლესობის სამეტყველო და სამწერლებო ენა იყო ქართული.

3. ისტორიული „ზემო ქართლის“ ტოპონიმიკა, აღმოსავლეთი თურქეთის დიდი ნაწილის ჩათვლით, ქართულია. ამ რეგიონის მოსახლეობაც „საკუთრივ ქართული“ იყო და აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს პიპოთეზა მუსლიმანი მესხების თურქული წარმოშობის შესახებ. ადამიანს შეუძლია საკუთარი თავი ნებისმიერ ეროვნებას მიაკუთვნოს, უარი თქვას საკუთარ ფესვებზე და ეროვნულ წარსულზე. ასეთი პიროვნება უდიდეს დისკომფორტს განიცდის, რადგან ერთის მხრივ, ის ხელოვნურად ცდილობს მიუერთდეს სხვა ეროვნებას, ვისთვისაც ის უცხოა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ ეროვნებაზე უარის თქმა მნიშვნელოვნად საკუთარ პიროვნულ „მეობაზეც“ უარის თქმას უტოლდება, რაც არ შეიძლება არ იყოს ძლიერ შემანუხებელი ადამიანისათვის.

4. ჩვენი მონაცემებით „მუსლიმანი მესხების“ უმრავლესობას დღესაც ახსოვს მათი ქართული გვარები, რაც შეუძლებელი იქნებოდა თუ „მუსლიმანი მესხები“ არ იქნებოდნენ „საკუთრივ ქართული“ წარმოშობის. მესხეთ — ჯავახეთის სოფლებში მართლაც ცხოვრობდნენ თურქები, მაგრამ ისინი არასდროს არ აცხადებდნენ პრეტენზიებს „მესხობაზე“ და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან ახლაც მუსლიმანმა მესხებმა მშვენივრად იციან, თუ ვინ რომელ სოფელში იყო თურქი და ვინ იყო ქართული წარმომავლობის.

II. დეპორტირებულ მესხებში ქართული ეროვნული იდენტობის პრობლემის გადაჭრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში გაადვილდება ქართულ საზოგადოებასთან მათი ადაპტაცია. ქართულ ეროვნულ იდენტობს მესხურ მუსლიმანურ მოსახლეობაში სავარაუდოდ აქვს შემდეგი თავისებურება:

1. საქართველოს ფეოდალური დაშლილობის ხანაში, როდესაც საქართველოს სამეფოები და სამთავროები განსხვავებული ხარისხით იყვნენ დამოკიდებული ოსმალეთის იმპერიაზე, ქართული სამხედრო—ფეოდალური ზედაფენა ქართული ფეოდალური მმართველობისა და მიწათმფლობელობის თავისებურებების შესანარჩუნებლად ხშირად ფორმალურად ღებულობდა ისლამს, ოსმალებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სხვა რეგიონების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში, რაც იმ პერიოდში არ იწვევდა დიდ გაკვირვებას, რადგან ასეთ ოპერაციებში არაისლამიზებული ფეოდალებიც მონაწილეობდნენ. ამავე დროს ქართული ფეოდალური ზედაფენის შემოსავლების დიდი ნაწილი სამხედრო-საბრძოლო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ისინი მრავალი ხნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც წინააღმდეგობის გაწევას კონკრეტულ სიტუაციაში აზრი არ ქონდა იძულებული გახდნენ ამ იმპერიის სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყვნენ და ამგვარად უზრუნველყოთ საკუთარი არსებობა, რადგან ყველა სხვა საშუალება შეენარჩუნებინათ საკუთარი სოციალური, მატერიალური თუ სულიერი მდგომარეობა მათთვის დახურული იყო. გასაგებია, რომ იმ ქართულ რეგიონებში, რომლებიც მთლიანად ინკორპირებული იყვნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართველი ფეოდალების მიმართ ძალიან დიდი იძულება არც იყო საჭირო ისლამის მისაღებად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავტომატურად კარგავდნენ მათი არსებობისათვის საჭირო ყველა კომპონენტს. ამ ქართველი ფეოდალებისათვის ისლამის მიღება მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებდა და ისინი მხოლოდ შესაფერის სიტუაციას ელოდებოდნენ, რათა ისევ ქრისტიანობაში დაპრუნებულიყვნენ, თუმცა ასეთი შანსი მათ უმრავლესობას მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მიეცათ, როდესაც საქართველოს სამეფო—სამთავროები რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

2. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ისლამი საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს მესხეთ — ჯავახეთში, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა მესხების ნაწილს მართლმადიდებლობას დაპრუნებოდა. ეს პროცესი გაცილებით უფრო ინტენსიური იქნებოდა რუსეთის ხელისუფლებას მესხეთ—ჯავახეთის პეგებისათვის საქართველოს სხვა რეგიონების ნარჩინებულ გვართა მსგავსად, რუსეთის თავად — აზნაურობის პრივილეგიები რომ მიენიჭებინა. დარწმუნებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შემდგომში ამ რეგიონში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები ქართველების მიმართ რუსეთის იმპერიის არათანმიმდევრული პოლიტიკის შედევია. ერთის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება საკუთარ თავს საქართველოს სამეფოს ტერიტორიების გამაერთიანებლად წარმოადგენდა და ამის დასადასტურებლად მეფისნაცვლის თანამდებობაც კი დააფუძნა საქართველოში. ქართველი ფეოდალები რუსეთის იმპერიის თავად — აზნაურობას გაუთანაბრა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ ენდობოდა ქართველ წარჩინებულებს, რომლე-

ბიც საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით მიერთებულად თვლიდნენ და ამიტომ ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მეტი ნიშნების მიკუთვნებას მოითხოვდნენ პირდაპირ და ორიბად. ასეთ სიტუაციაში რუსეთის ადმინისტრაცია ცდილობდა შეეჩერებინა არაქართული მოსახლეობის ადაპტაცია-ასიმილაცია ქართულ საზოგადოებასთან, გაეზარდა არაქართული ელემენტის შემადგენლობა ძირითადად ქართულ რეგიონებში (ასეთი უნდა ყოფილიყო მესხეთ—ჯავახეთი მე—XIX საუკუნის დასაწყისში) სხვა ქვეყნებიდან არაქართული ჯგუფების ჩამოსახლებით, რომლებსაც, როგორც ხიზნებს დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის პრეტენზია სულაც არ ჰქონდათ და ერთგული იყვნენ რუსეთის ხელისუფლებისა. ამიტომ რუსეთის ადმინისტრაცია არ იყო დაინტერესებული მუსლიმანი მესხების ქრისტიანობაში დაბრუნებით, რაც გააძლიერებდა მათვის არასანდო ქართულ მოსახლეობას, გაზრდიდა ქართველების ავტონომიურობის მოთხოვნებს, მით უმეტესად, რომ მაშინ ქართველები ამიერკავკასიაში ყველაზე მრავალრიცხვოვანი, ფეოდალურად ორგანიზებული მოსახლეობა იყო და ამიტომ რუსეთის ადმინისტრაცია ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მუსლიმანი მესხების ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებისათვის.

3. 1828—1829 წლების რუსეთ—თურქეთის ომის შემდეგ მესხეთში დარჩენილ მუსლიმან მესხებში ჩამოყალიბება დაიწყო იმ დროისათვის საქართველოში გაპატონებული ოფიციალური საზოგადოებრივი ცხოვრების რუსული წესის მიმართ „გაუცხოების კომპლექსმა.“ რუსული ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განპირობებული იყო რუსული მართლმადიდებლობით, რომელიც იმ დროისათვის ოფიციალურად დანერგილი იყო საქართველოს სხვა რეგიონებში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით. ამრიგად მესხებს უკვე აღარ შეეძლოთ მართლმადიდებლობა განხილათ, როგორც რელიგიური სულიერების მხოლოდ ქართული ფორმა. უფრო მეტიც ასეთ ვითარებაში რუსული ქრისტიანული მართლმადიდებლობა მათ მიერ შეიძლება განხილული ყოფილიყო როგორც უცხო იდეოლოგია ქართული რელიგიური სულიერებისათვის. იმ დროისათვის საქართველოში დანერგილი რუსული მართლმადიდებულობის ასეთ შეფასებას უნდა გამოეწვია მუსლიმანური რელიგიურობის გაძლიერება, როგორც რუსული ქრისტიანული მართლმადიდებლობისაგან თავდაცვის საშუალება. ის არ უზრუნველყოფდა ტრადიციული ყოფითი კულტურის შენარჩუნებას. მუსლიმან მესხებს შეეძლოთ ასეთი მართლმადიდებლობა არაქართულად ჩაეთვალათ, რომელიც მათვის მტრულიც იყო, რადგან მართლმადიდებლურმა რუსეთმა იარაღით დაიკავა მესხეთი და ასევე ძალით დანერგა რუსული მართლმადიდებლობა ქრისტიან ქართველებში. ამავე დროს მართლმადიდებელი ქართველები უფრო იყვნენ ადაპტირებული რუსულ მმართველობასთან და უფრო მეტიც მონაწილეობას ღებულობდნენ საბრძოლო ოპერაციებში, რომლებიც მიმართული იყო მესხეთის შემოერთებაზე. მათ მიერ ასეთი ბრძოლა გა-

ნიხილებოდა, როგორც ქართული რეგიონის განთავისუფლება, იმ დროს, რო-დესაც მუსლიმანი მესხები იმავე საპრძოლო მოქმედებას განიხილავდნენ, რო-გორც რუსეთის მხრივ ომს მესხეთის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში ქართველი მართლმადიდებლების მონაწილეობას კი რუსებისადმი ხელშეწყობად. ამრიგად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1828-1829 წლების რუსეთ—თურქეთის ომის დროს ზუსტად ზემოთ აღნიშნულმა ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა განაპირობეს მუს-ლიმანი მესხების დისტანცირება მაშინდელი საქართველოს სამოქალაქო საზო-გადოებისაგან, მართლმადიდებელი ქართველი ქრისტიანებისაგან (მათ შორის მართლმადიდებელი მესხებისაგან) როგორც მათვის მტრული რუსული თვით-მყრობლობისა და რუსული მართლმადიდებულობის განსახიერებისა.

4. მიამიტურია შეხედულება, რომ დეპორტირებული მესხები, მათი უმრავ-ლესობის მიერ ქართულის არცოდნის გამო, არ იქნებიან მიღებული ქართულ საზოგადოებაში. სინამდვილეში ენის ცოდნა აუცილებლად არ არის დაკავში-რებული ეროვნულ იდენტობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ირლანდიელებმა, რომელთა უმრავლესობა ვერ ფლობს ირლანდიურს, უარი უნდა თქვან საკუთარ ეროვნებაზე, რაც არც ერთს მათგანს არ გაუკეთებია. ამიტომ გაუგებარია, რა-ტომ მაინცდამაინც მესხებმა უნდა თქვან უარი საკუთარ ეროვნულობაზე, რო-დესაც ზუსტად ისინი არიან იმ „საკუთრივ ქართული“ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ქართულ სახელმწიფოებ-რიობას;

5. ამტკიცებენ, რომ თურქულენოვან მესხებს არ მიიღებს ქართული საზო-გადოება, რაც გაზვიადებაა, რადგან ქართულ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია ადაპტირებულია არაქართული წარმოშობის თურქულენოვანი მოსახლეობა, ხოლო ქართული წარმოშობის მესხებისადმი ინტერესი ქართულ საზოგადოება-ში ყოველთვის იყო და არის. აქ შესაფერისი ინტერესის გამოვლენა თვით დე-პორტირებულ მესხების მხრიდანაც უნდა ჩანდეს;

6. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ თურქულენოვანი მესხების ყოფითი კულ-ტურის თავისებურებები მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის. ასეთ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, რადგან ახალ საზოგადოებასთან შეგუე-ბა ყოველთვის არის დაკავშირებული მრავალ სირთულესთან. ეს სირთულეები ზოგადია და ისინი არა მხოლოდ თურქულენოვან მესხებს ეხება. დეპორტირე-ბული მესხები უნდა იჩენდნენ ინტერესს ქართული კულტურისადმი, ქართული ენის შესწავლისადმი. ქართველობასთან იდენტიფიცირებისადმი, თუმცა, უპირ-ველეს ყოვლისა, ისინი საკუთარ პიროვნებაში უნდა ცდილობდნენ ქართულ ეროვნულ პოზიციაზე დადგომას. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ქართული წარმომავლობის პიროვნება თავს უნდა თვლიდეს ქართველად და არავითა-რი მნიშვნელობა არა აქვს ვინ რას ფიქრობს ასეთ პიროვნებაზე;

7. ამტკიცებენ, რომ დეპორტირებული მესხების ადაპტაცია ქართულ საზოგადოებასთან თითქოს ძალიან გართულებული იქნება იმის გამო, რომ ქართული მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანებია, ხოლო დეპორტირებული მესხების უმრავლესობა მუსლიმანია. კარგად არის ცნობილი, რომ ქართული მოსახლეობის ნაწილი მუსლიმანური აღმსრულებლობისაა, მაგრამ ისინი დიდ სირთულეებს არ განიცდიან ქართულ საზოგადოებასთან ადაპტაციაში.

8. გამოთქმულ მოსაზრებები, ბუნებრივია დეპორტირებული მესხების ფსიქოლოგიურ პრობლემებთან მხოლოდ საწყის მიახლოებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ეს პრობლემა მრავალი სპეციალისტის ერთობლივ, კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს, რისთვისაც ვფიქრობ, ბათუმის საუნივერსიტეტო, სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით დეპორტირებული მესხების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნა არის საჭირო, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვან როლ შეასრულებს დეპორტირებულ მესხებთან დაკავშირებული პრბოლემების გადაწყვეტაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бакрадзе Дм. Археологическое путешествие по Гурии и Ачаре. СПб., 1978.
2. Вейденбаум Е. Закавказские этюды. Тб., 1901.
3. Загурский Л. Поездки в Ахалцихский уезд в 1972 г.
4. Казбеки Г. Три месяца в Турецкой Грузии. Записки З/к отдела императорского русск. географ. общества. кн. Х.в. I.Тб., 1876.
5. Ломсадзе Ш.В. Самцхе-Джавахети с середины XVIII в. по пятидесятые годы XIX в.. 1975..

Guram Chaganava

Some Psychological Problems of the returning to Georgia of the Deported Meskhes

Summary

In the article it is shown, that deported meskhes basely of Georgian origin, but the peculiarity of joining of Musketi, inconsistency of Russian government in the attitude to the Georgian Muslim population and the disturbance of the traditional interrelation with the other regions of Georgia determined the spread of the Turkish language.

დიმიტრი ყიფიანი აჭარის თავადაზნაურობის შესახებ

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსული მმართველობისა და თავადაზნაურობის ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელის მიერ წოდებრივი უფლებების იურიდიულ ცნობას. მათი პრივილეგირებული წოდების დამტკიცებას რამდენიმე ათეული წელი დაჭირდა და ბოლომდე მაინც ვერ იქნა მიყვანილი. ქართული საზოგადოების სოციალური შემადგენლობის დაზუსტებით და მასში ყველა ფენის, პირველ რიგში თავადაზნაურობის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრით, რუსეთი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაუქმების-თანავე დაინტერესდა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა გადადგა. მისი ხელმძღვანელობით 1803 წელს შეიქმნა აღ. საქართველოს თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაცია - თავადაზნაურთა საკრებულო - შეზღუდული წოდებრივი თვითმართველობის ორგანო. 1803 წლის 2 მაისს ჩატარდა აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის პირველი ყრილობა, რომელმაც წოდებრივი თვითმართველობის მეთაურად, ე. ი. თავადაზნაურობის წინამდლოლად ანუ მარშლად გარსევან ჭავჭავაძე აირჩია.

თავადაზნაურობის საკრებულოს შექმნით პ. ციციანოვი მიზნად ისახავდა მიემსრო ქართველი თავადაზნაურობა და გაეფანტა მასში პოლიტიკური ილუზიები დამოუკიდებელი სამეფოს აღდგენაზე.

დეპუტატთა საკრებულო, რომელიც მთავრობის ზედამხედველობით მუშაობდა, არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, თავადაზნაურობის წოდებრივი ინტერესების დამცველი ძლიერი ორგანიზაცია. მას არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდა. საკრებულოს საქმიანობა თავდაპირველად თავადაზნაურთა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საკითხების მოგვარებით შემოიფარგლებოდა. შემდეგ კი მის ძირითად ფუნქციად წოდებრივი უფლებების ცნობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა გადაიქცა.

,დასავლეთ საქართველოში თავადაზნაურთა საკრებულოს შექმნა და წინამდლოლის თანამდებობის შემოღება ნავარაუდევი იყო იმერეთში დროებითი მმართველობის დამყარების იმ პროექტით, რომელიც აქ განლაგებულ ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ თ. სიმონოვიჩს თბილისიდან გამოუგზავნა შესასრულებლად მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა. პროექტის მიხედვით სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, 1810 წლის თებერვალში იმერეთის თავადაზნაურობის კორპორაციული ორგანო უნდა დაარსებულიყო აღმ. საქართველოში მოქმედი წესდების საფუძველზე, მაგრამ იმერეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო იგი არ განხორციელებულა, ხოლო როცა ახალი

პროექტით დროებითი მმართველობა შეიქმნა, მისი სამხედრო-საოკუპაციო ხა-
სიათის გამო თავადაზნაურობის საკითხი 40-იან წლებამდე გადავადდა.”¹

მთავარმართებელ ა. ერმოლოვის შუამდგომლობით 1827 წელს ქართული
თავადაზნაურობა უფლებრივად გაუთანაბრეს რუსეთის თავადაზნაურობას.

XIX საუკუნის 30-40 იან წლებში კიდევ რამდენიმე ღონისძიება განხორცი-
ელდა, რომლებიც აზნაურობის უფლებრივ მდგომარეობას შეეხებოდა. 1838
წელს იმპერატორის ბრძანებულებით, ქართველი თავადები და აზნაურები უფ-
ლებრივად გათანაბრდნენ. ამას უნდა მოჰყოლოდა ერთიანი პრივილეგირებული
ფენის - თავადაზნაურობის შექმნა, რომლის შიგნით აღარ იქნებოდა შენარჩუნე-
ბული თავადებად და აზნაურებად დაყოფა. მართალია XIX საუკუნის მანძილზე
პრაქტიკულად დამკვიდრდა ცნება ”თავადაზნაურობა”, მაგრამ მის შიგნით
კვლავ დარჩა ტრადიციული დაყოფა: ”თავადი” და ”აზნაური,” რასაც თვით რუ-
სული მმართველობა აკანონებდა. ამტკიცებდნენ არა თავად-აზნაურების, არა-
მედ ”თავადისა” და ”აზნაურის” წოდებებს.

„ცარიზმი იმდენად უწევდა ანგარიშს საკრებულოს და ქართველ თავადაზ-
ნაურთა მოთხოვნებს, რამდენადაც ეს მოთხოვნები რუსეთის ცარიზმის პოლი-
ტიკას შეესაბამებოდა მის ამა თუ იმ ეტაპზე. ამ ღონისძიებებს იგი საკუთარ ინ-
ტერესებს და ქვეყნის გარუსებას უკავშირებდა. მიუხედავად ამისა, თბილისისა
და ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამდლოლთა თუ წევრთა მიერ
უაღრესად დიდ და საქველმოქმედო საქმეებს აკეთებდა. ამის ნათელი დადას-
ტურებაა დ. ყიფიანის მოღვაწეობა და მისი დაპირისპირება იმდროინდელი
მმართველობითი ორგანოების უმაღლეს მოხელეებთან. საქართველოს ეგზარ-
ხოს პავლესგან შეურაცხყოფილი საზოგადოებიდან ვერავინ გაბედა ხმა ამოღე-
ბა. დიმიტრი ყიფიანი აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელმაც შეძლო ერ-
თგვარი სირცხვილი ჩამოერეცხა როგორც თავისი წოდების, ასევე მთელ ერ-
სათვის, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა“.

XIX საუკუნის 40-იანი წლების ადმინისტრაციულმა რეფორმებმა, სენა-
ტორ განის პროექტით, ქართველი თავადაზნაურობა, თითქოს სრულიად გამო-
დევნა ქვეყნის მმართველობიდან. ამით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ გამოხ-
მაურება პპოვა გურიის 1841 წლის აჯანყებაში, აღმოსავლეთ საქართველოს თა-
ვადაზნაურობის 1842 წლის პეტიციაში, იმერეთის თავადაზნაურობის მოხსენე-
ბით ბარათში, რომლებიც მთავრობას გადაეცა განსახილველად. მათში ქარ-
თველმა თავადაზნაურობამ კატეგორიულად მოითხოვა მისი წოდებრივი პრივი-
ლეგიების დაცვა. ამან ერთგვარად ხელი შეუწყო კავკასიის მიმართ პეტერბურ-
გის ახალი კურსის აუცილებლობის განსაზღვრაში და აქ, მეფისნაცვალის სტა-
ტუსით მიხეილ ვორონცოვი გამოაგზავნეს. ამ უკანასკნელს კავკასიური პოლი-
ტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მნიშვნელოვანია თავადაზ-
ნაურობასთან დამოკიდებულების, მისი წოდებრიობის დამტკიცების დასაჩქა-

რებლად და მოსაწესრიგებლად გატარებული ღონისძიებები. მეფისნაცვალის მითითებით და ზედამხედველობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია სახელმწიფო საბჭოს 1844 წლის "მითითების" გაუქმება. დ. ყიფიანის აზრით ეს "მითითება" (მიმართული ყალბი საბუთების გავრცელების წინააღმდეგ), სრულიად შეუძლებელს ხდიდა თავადობის ან აზნაურობის ჩამომავლობის დამტკიცებას ისეთი გვარებისთვისაც კი, როგორებიც, იყვნენ: ერისთავები, ამილახვრები, აბაშიძეები, ანდრონიკაშვილები და მრავალი სხვები. ვორონცოვის ინიციატივით არა მარტო გაუქმდა 1844 წლის "მითითება", არამედ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ამ პრობლემის მოსაგვარებლად თბილისა და ქუთაისში თავადაზნაურობის დროებითი კომისიები შექმნის შესახებ. მართლაც იმპერატორის 1846 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით დაარსდა აღმ. საქართველოსა და იმერეთის თავადაზნაურთა დამდგენი დროებითი კომისიები. მ. ვორონცოვის თხოვნით ნიკოლოზ პირველმა სენატს დაავალა გაეფართოებინა იმერეთის თავადაზნაურობის დამდგენი დროებითი კომისიის სამოქმედო არეალი, გურიის მიერთებით და მას წოდებოდა იმერეთის და გურიის თავადაზნაურობის დამდგენი ქუთაისის დროებითი კომისია, რომელსაც უნდა წარედგინა თავადაზნაურთა წოდებაში დამტკიცების სიები.³

ნიკოლოზ პირველის განკარგულებით სიების განსახილველად შეიქმნა კომისია. 1850 წლის 6 დეკემბერს სიები დაამტკიცა ნიკოლოზ პირველმა. მან რესკრიპტით აცნობა მ. ვორონცოვს დამტკიცებული სიები „**князьям и дворянам Имеретии и список князьям и дворянам Гурии**“. რესკრიპტი სტამბური წესით დაიბეჭდა და გაეგზავნა კავკასიის სამხარეო, საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებს, როგორც სახელმძღვანელო საცნობარო დოკუმენტები. ამით დაასრულა იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის წოდებაში დამტკიცების მთავრობის მიერ ორგანიზებული ეტაპი, ხოლო წოდების ცალკეული მაძიებლების საქმების განხილვა 1917 წლამდე გრძელდებოდა. რადგანაც გურიის თავადაზნაურთა სია სრული არაიყო, მასში არ იყო შესული 1878 წლამდე თურქეთის საზღვრებში მყოფი ტერიტორიის (კახაბერის, ბათუმის, ჩაქვის, ქობულეთისა და ხინოს თემების) თავადაზნაურობა. ეს მიწები თურქეთის ხელში მოექცა ძირითადად 1703-1780 წლებში თურქეთში - "თანზიმათის" პერიოდში (1839 წ. და მე-19 საუკუნის 70-იანი წლები). მთავრობამ დაპყრობილ ქართულ მხარეს გაუჟემა ძველი მიწისმფლობელობა, სტამბოლში გაითხოვა ქართველ თავადაზნაურთა საგვარეულო დოკუმენტები და აღარ დაუბრუნებია. მიუხედავად ამისა, ძირითადად დ. ბაქრაძის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს თავადაზნაურთა ნაწილის გვარები. ესენია: ხინოს თემში: ცეცხლაძე და ქათამიძე (ქათამიძეებს გამოეყო მე-19 საუკუნეში კაიკაციშვილების შტო), ქობულეთის თემში: თავადები თავდგირიძე და გუგუნავა, მაჭუტაძე, მახაძე, კობალაძე, არ-

თომელიძე, აზნაურები მანელიშვილი, ცივაძე, გოგიტიძე, შაქარაშვილი, ჯაში, ჭყონია, წილოსანი ბერიძე, ჯიჯავაძე, ნაკაიძე და სხვები, ჩაქვის თემში: ბეჟა-ნიშვილი, კირის ოლო ხალვაში, ბათუმისა და კახაპრის თემში: ცინცაძე, ქიქავა, სურმანიძე და სხვები.”⁴

მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან ბათუმისა და კახაპრის თემის გამგებ-ლები, ბათუმის სანჯაყ-ბეგები იყვნენ აბაშიძეები. მათი საგამგებლო იყო აჭა-რის სოფელ დოლოგანიდან ზღვამდე, ციხისძირიდან ჭოროხამდე. როგორც ალ-გნიშნეთ, გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს საქმიანობას წარმართავდა წინამძღოლი (მარშალი), რომლის არჩევა ხდებოდა თავადაზნაურთა კრებაზე. იგი სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ხდებოდა საზოგადოების ჯგუფებად დაყოფა ცალკეული კანდიდატების ირგვლივ. საკრებულოს წარმატება დიდად იყო დამოკიდებული წინამძღოლის პირად ავტორიტეტზე და მისდამი სახელი-სუფლო ორგანოების განწყობაზ. იმ 18 წინამძღოლს შორის, რომლებსაც სხვა-დასხვა დროს ეკავათ ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამ-ძღოლის თანამდებობები, მოკაშვაშე ვარსკვლავად ჩანს დიმიტრი ივანეს ძე ყი-ფიანი, რომელმაც თავის თანამდებობაზე მოსვლით ერთგვარად ახალი ეტაპი დაიწყო გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მოღვაწეობაში.

1878 წლის 25 აგვისტოს რუს-ქართველთა ლაშქარმა ბათუმი ჩაიბარა. ეს დრო-შამი კი ისტორიაში შევიდა სამხრეთ საქართველოს (აჭარა, ლივინა, შავ-შეთ-იმერხევი) გათავისუფლების და დედა საქართველოსთან დაბრუნების თა-რიღად.

უსაზღვრო იყო ქართველი ხალხის მისი მოწინავე შვილების სიხარული და აღფრთოვანება. იმდროინდელი უურნალ-გაზეთები სავსეა ამ ისტორიული მოვ-ლენით გამოწვეული ოპტიმიზმით, იმედით, რომ საქართველო გამთლიანდება და ახალი ცხოვრება დაიწყება. ამ საყოველთაო სიხარულის დაგვირგვინება იყო ისტორიული ბანკეტი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ ბათუმიდან ჩამო-სულ 15 კაციან დეპუტაციას გაუმართა. სიხარულსა და ურთიერთ სიყვარულს დანატრებული ქართველი ხალხისთვის იყო ნამდვილი ზემი, რომელსაც იგი აგ-რერიგად საუკუნეების მანძილზე ელოდა.“ აჭარის დეპუტაცია წარმოადგენდა იმდროინდელი აჭარის მაღალი წრის საზოგადოებას. ესენი იყვნენ: ბეჟანიძეები, აბაშიძეები, ხიმშიაშვილები თავდგირიძეები და სხვები.”⁵

თბილისელები ნადიმში მონაწილეობისათვის წინასწარ უნდა ჩაწერილიყ-ვნენ და ეს იმდენად მნიშვნელოვან საქმედ იყო მიჩნეული, რომ ხელწერებს თვით ამ ნადიმობის იდეის ავტორი და ორგანიზატორი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი აგროვებდა. წინა დილით ”დროება“ მკითხველს აუნ-ყებდა: ”ვისაც ჰსურს ამ სადილში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან ხელი მოაწე-როს დღეს საღამოს 5 საათიდან დროების რედაქციაში ანუ უფალ დიმიტრი ყი-ფიანთან.“ წადიმს ესწრებოდნენ: იოანე მუხრან-ბატონი, ვის სახლშიც გაიმართა

ნადიმი, გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე ანდრონიკაშვილი, დავით ჯორჯაძე, ალექსანდრე ზუბალაშვილი, გენერლეპი სუმბათაშვილი და არზას ტერგუსაკოვი, უურნალისტი სერგეი მესხი და სხვები. ნადიმს ვერ ესწრებოდა ოსმალოს საქართველოს გათავისუფლების და დედასამშობლოსთან დაბრუნების მესაჭე, საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე.

სამ საათზე დიმიტრი ყიფიანმა ნადიმის მონაწილენი სუფრასთან მიიწვია. რამდენიმე მათგანმა წარმოთქვა სადღეგრძელო, რომელიც ამავე დროს არის ისტორიული სიტყვა და ორატორული ხელოვნების ნიმუში. სადღეგრძელოები წარმოთქვეს: გრ. ორბელიანმა, ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძემ, ალ. ზუბალაშვილმა, დ. ყიფიანმა, აკ. წერეთელმა. დიმიტრი ყიფიანმა სწორედ ამ ნადიმზე დასვა საკითხი აჭარის თავადაზნაურობის წოდებაში დამტკიცებისა და მათვის იმ პრივილეგიების მინიჭების შესახებ, რომლითაც სხვა თავადაზნაურები სარგებლობდნენ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს 1885 წლით დათარიღებული დიმიტრი ბაქრაძის საპასუხო წერილი, რომელშიც იგი დიმიტრი ყიფიანს თხოვს დახმარებას ამ პრობლემის მოგვარებაში:

„ თქვენო აღმატებულებავ, დიმიტრი ივანიჩ,

ბოდიშს ვითხოვ თქვენ წინაშე, რომ ბათუმის მხარის ბეგებზე ცნობები და ჩემი აზრი მოუცლელობის გამო შეგიგვიანეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც კი ბათუმის მხარეში ძველს დრომდე მაღალს წოდებას ეკუთნოდა, ახლა უპირველესნი მათგანნი მოყვანილნი არიან ცნობაში კომისიისაგან, რომელიც 1878 წელს იყო დროებით დაწესებული და რომლის მოთავედ მე თვითონ გახლდი. ამ წოდებას შეადგენენ: 1. ქობულეთში მოსახლენი გურიის თავად თავდგირიძეთ განაყოფნი თავდგირიძენივე, რომელნიც ამას წინათ გადასახლდნენ ოსმალეთში. დარჩა მათგანი მხოლოდ ერთი ობოლი ყმაწვილი კაცი; 2. ბათუმის „სანჯაგ-ბეგებად“ წოდებულნი აბაშიძენი; 3. დვანის ბეგები ათაბეგოვები, ძველის სამცხე-სათაბაგოს მთავარი გვარის შთამომავალნი; 4. ბეგები შავშეთ-იმერხევისა, მაჭახელ-აჭარისა და ზემო-აჭარისა. ამათში პირველი თვლიან თავიანთ თავს ბაგრატიონებად, ზოგნიც, როგორც მახსოვს, ერისთავებად, და უკანასკნელნი ხიმშია-შვილებად. რომ ეს გვარი მაღალ უწყებას შეადგენდნენ ოსმალოს მმართველობის დროს, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: უკანასკნელს ოსმალოს რეფარმამდეც (1859 წ.) იგინი განაგებდნენ მეტვიდრეობით მთელს ბათუმის მხარეს, როგორც სანჯაგ-ბეგები, ისე იგი მცირე-მცირე გუბერნატორები, ანუ ჩვენებურად ერისთავები. პატ-ტი შერიფის შემდეგ მათ ჩამოერთვა ადმინისტატიული უფლება და ის სოფლები, რომლებიც მათ საკვებად ჰქონდა ძველადვე და ნაცვლად მიენიჭათ პორტის მმართველობისაგან საშვილიშვილოდ ფულის პენსიები. ეს პენსიები

თვით რუსის მმართველობამ კანონიერად აღიარა და ამის გამო ახლა ჩვენის ხაზინიდამ თვით-ეულს მათგანს ეძლევა ხვედრი პენსია.

გარდა ხსენებულ გვართა, არიან კიდევაც სხვა გვარნი, რომლებთაც პენსია არ ეძლევათ, მაგრამ მის აღმატებულებას დიმიტრი ყიფიანს მათ თავად-აზნაურობის მიმდინარეობაზე ეჭვი არ აქვს. იმათ, როგორც წინად ხსენებულის, კატეგორიის გვარებს აქვთ ხელში თავის ღირსების დასამტკიცებლად საბუთები, ანუ სულთანთ ფირმანები.

მოგახსენებთ, რომ კნ. ვარანცოვის თუ ბარიატინსკის დროდამ სამოქალაქო უწყებაში დაწესდა რამდენიმე კომისია კავკასიის – იქეთ მუსულმანთ ტომ ნათესავებში ბეგებ-ალების ცნობაში მოსაყვანად, იმათ შორის თვით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, სადაც ეს წოდება შეკავშირებული იყო ბათუმის მხარის მაღალ-წოდებასთან. ხსენებული კომისიები ხელმძღვანელობდნენ საკუთრივ ამ აზრით შედგენილის ინსტრუქციით. ეს ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ მიეცა თვით იმ კომისიებს, რომელიც შემდეგ დაარსდნენ სამხედრო უწყებაში. აფხაზეთში, ზაქათალის მაზრაში და დალესტანში და 1883 წელს დაიხშნენ და მათ ნაცვლად დაფუძნდა თბილისში ერთად-ერთი „კомиссия оканчания сословно-позвемельного вопроса в частиях Кавказского края военно-народного управления“, რაც რომ მოვალეობა გაუქმებულ კომისიებს ჰქონდა ახლა ამ ახლად დაწესებულის კომისიის მოვალეობად შეიქნა. ეს კია, რომ ჯერეთ ჩვენს სამხედრო უწყებაში მართებულობის მხრივ მიღებული არ აქვს, უნდა თუ არა მაღალი უწყება აღიარებულ-იქმნას ბათუმისა და ყარსის მხარეებში. თუ რომ ამ აზრის მართებლობა შეიწყნარებს, მაშინ იმ ადგილებში მოყვანა ცნობად მაღალის წოდების ჩვენის კომისიის მოვალეობა იქნება და ამ კომისიას მიეცემა სახელმძღვანელოდ. რა საკვირველია თითქმის იგივე ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გაუქმებული კომისიები. მაგრამ მეონია, რომ ეს მოვალეობა სამოქალაქო უწყებაზეც გადავიდეს, რადგანაც ამ კომისიის გაუქმების ანუ სამთავრო—მმართველ კანცელარიასთან შეერთების პროექტი უკვე წარდგენილია პეტერბურგში და მომავალს იანვრამდე სამხედრო კომისია გაუქმდება.

თუ რომ თქვენ, ბატონო დიმიტრი ივანიჩ, ბათუმის მხარის მაღალ უწყებაზე აზრი გაქვთ აღძრათ მართებლობის წინაშეც, მაშინ, ჩემის აზრით, სხვათა ისტორიულ საბუთთა შორის ზემოდ მოყვანილი ცნობებიც მხედველობაში უნდა იქონიოთ. ეს თქვენგან აღძრული საგანი, თუ მანამდე ჩვენი კომისია გაუქმებული არ იქნება, გადმოეცემა მთავარ-მართველს და რა საკვირველია მოეთხოვება თავისი აზრი და მთავარ-მართველსაც ამაზე კომისიის მხრივ მოხსენდება სრული ცნობა.

ეს გახლავთ ჯერ-ჯერობით მოკლე ცნობა თქვენგან პირად ჩემთან აღ-
ძრულ საგანზე და მიმართავთ პირდაპირ უმაღლეს მართებლობას, თუ კავ-
კასის მთავარ-მმართველს, ეს ჩემის აზრით, სულ ერთი გახლდებათ.

დავშთები თქვენის აღმატებულების

მარად პატივცემული

დიმ. ბაქრაძე

11 ნოემბერი 1985 ქ. ტბილისი“⁶.

წარმოდგენილი ნაშრომი აჭარის თავადაზნაურთა ისტორიის შესწავლის
ერთგვარი ცდაა. ერის სახეს თავადაზნაურობა ქმნიდა. ისინი წარმოადგენდნენ
ქართველი ხალხის მოაზროვნე ნაწილს, ქმნიდნენ პროფესიული კულტურას.
უმეტესწილად მათ ქმედებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის განვითარებაც და
დამუხრუჭებაც, საგმირო საქმეებიც და სავალალო შეცდომებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოდერძი ვაჭრიძე „ დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკუ-
რი და სოციალური პოლიტიკის ისტორიან
2. Акты собранные Кавказской Археографической комиссии
3. მერაბ კეზევაძე „ ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა
წინამდღლები“
4. ზ. ჭუმბურიძე „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“
5. გაზეთი „ივერია“ 1877–1906 წწ.
6. ქ.ც.ა. ფონდი 1, საქმე 3119.

Tea Katamadze

DIMITRY KIPIANI ABOUT AJARA NOBILITY

Summary

At the beginning of XIX century, after the conquest of Georgia by Russia, Russian government and nobility relations has special significance. In article is discussed about Dimitry Kipiani views about Ajara nobility surnames.

აჯარის არქივის შექმნის ისტორიიდან

არქივები, როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დიდმნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი, ინახავენ ერის მეხსიერებას და მათზე დიდად არის დამოკიდებული კაცობრიობის ისტორიის გადარჩენა. იგი კაცობრიობის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც კონცენტრირებულია მსოფლიოს ხალხთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციული სიმდიდრე. საარქივო საქმეს კულტურული ქვეყნები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან მის წესიერად მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო განვლილ დროთა მასალების დაგროვებისა და შესწავლის მხრივ, არამედ პრაქტიკულიც, რადგან არქივების საშუალებით სახელმწიფო ერკვევა არსებულ სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად მიჩნეულია 1920 წლის 23 აპრილი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დირექტორად დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი (სუიცა ფ.335 ან. საქ. 7, გვ.1). რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების კანონის მიღება უაღრესად დროული იყო, რადგან უპატრონობისა და დაუცველობის გამო საარქივო მასალის უდიდეს ნაწილს მოსპობა ემუქრებოდა. წითელი არმიის შემოსვლას მოჰყვა ზოგიერთი არქივის განადგურება, მაგ. კავკასიის ყოფილი საოლქო შტაბის არქივი. თვით ცენტრალური არქივის შენობაშიც ჯარისკაცების დგომისას ბევრი საარქივო დოკუმენტი საბოლოოდ გაქრა და განიავდა.

საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 1 ივლისს გამოსცა დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ (ფ.335, ან.1 საქ 1, გვ.1). წლების განმავლობაში, როგორც საქართველოს დედაქალაქში, ისე მის სხვადასხვა კუთხეში გროვდებოდა სხვადასხვა დაწესებულბათა არქივები აურაცხელი ძვირფასი საისტორიო და სამეცნიერო მასალით. საარქივო სამმართველოს მიზანი იყო ამ არქივების ერთად მოგროვება, მათი მოვლა-პატრონობა, მოწესრიგება და სამეცნიერო მიზნით გამოყენება. საარქივო საქმის სახელმწიფო ორგანიზაციის სათავეებთან იდგენენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ვლადიმერ ბერიძე, მამისა ბერძნიშვილი, პავლე ინგოროვა, სარგის კაკაბაძე, შალვა ჩხეტია და სხვ.

ამათგან, განსაკუთრებით გამოვყოფდით სარგის კაკაბაძეს და შალვა ჩხეტიას. მათ სიცოცხლის ბოლომდე იღვაწეს საარქივო სარპიელზე და თავიანთი მეცნიერული გამოკვლევებითა და საპუბლიკაციო საქმიანობით აამაღლეს არქივების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლაში. ცენტრალური საარქივო სამმართველოს უფროსი ვუკოლ ბერიძე ასე მიმართავდა განათლების სახალხო კომისარს დავით კანდელაკს: „როგორც წინეთ მოგახსენეთ, რესპუბლიკის ფარგლებში მრავალი სხვა და სხვა ხასიათის არქივი მოიპოვება, რომელთა მეცნიერული ღირებულება საქართველოსა და მთელი წინა აზიის ისტორიისათვის ფასდაუდებელია, მაგრამ სამწუხაროდ, არცერთი მათგანი არამც თუ შესწავლილია სათანადოდ, მათი უბრალო, მშრალი ნუსხაც არ მოგვეპოვება და ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მოუვლელობითა და უკრძალველობით ბევრი საგულისხმო არქივი ზიანდება და სავსებით ისპობა“ (ფ.335, ან.1 საქ.7, გვ. 102). მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის დაწესებულებებში დაგროვილი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დოკუმენტების ერთიანად ჩაბარება ცენტრალური სამეცნიერო არქივისათვის შეუძლებელი იყო. ამიტომ იქმნებოდა სპეციალური კომისიები ადგილებზე არასჭირო დოკუმენტების გამოსაყოფად.

1921 წლის 15 ივლისს აჭარის სამხედრო კომისარიატმა შექმნა დროებითი საარქივო კომისია, რომელსაც დაევალა ბათუმსა და ბათუმის ოლქში სამხედრო-ისტორიული ხასიათის საარქივო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა-შენახვა. ხსენებული კომისია საარქივო მასალებს აგროვებდა სამოქალაქო დაწესებულებებშიც. მან დიდი როლი შეასრულა საარქივო საქმის დოკუმენტების შეგროვება-სა და კლასიფიკაციაში. 1922 წლის აპრილში დროებითი კომისიის გარდა ბათუმში მუშაობდა საქართველოს ცენტრალური არქივის რწმუნებული, რომლის მოვალეობას შეადგენდა საარქივო საქმის ორგანიზაცია. 1922 წლის 10 იანვარს საქართველოს ცენტრალურმა არქივმა ბათუმში მიავლინა სარგის კაკაბაძე, რომელსაც, როგორც მისი წერილიდან ირკვევა სკამოდ უცნაური ვითარება დახვდა. აღმოჩნდა, ბათუმში 1921 წელს მოსკოვიდან ჩასულან მოქალაქეები სიროტენკო და შაფირი, რომელნიც თავის თავს კომინტერნის წარმომადგენლებს უწოდებდნენ. მათ შეუდგენიათ ადგილობრივი სამხედრო საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაუნიშნავთ გიორგი ფურცელაძე. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ნაცვლიშვილი (ციხის შტაბის სამხედრო მოხელე), ქადეიშვილი (საბინაო განყოფილების აგენტი) და ცინცაძე (დამსჯელ როტის კომენდანტი), უკანასკნელი კომისიის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავარი საარქივო სამმართველოს არც ერთი ხელმძღვანელი პირი ბათუმში არ ჩასულა და მხოლოდ დეპეშებითა და წერილობითი მიმართვებით ცდილობდნენ საარქივო აპარატის ორგანიზებას. ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი საარქივო კომისიის ასეთი უცნაური წესით დაარსებისა. მიუხედავად ამისა, ამ კომისიის მუშა-

ობას საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა, რადგან არა ერთი საარქივო დოკუმენტი გადაურჩა გაბნევასა და განადგურებას. უფრო მეტიც, თითქმის მთლიანად შენარჩუნდა ქალაქის მმართველობის, საპატიოსა და სასამართლოს არქივი თუ სატერიტო მანქანით ბათუმის ადგილობრივი ჩეკის მითითებით 1921 წლის ზაფხულში გადაუტანიათ თბილისში, საქართველოს ჩეკაში. სარგის კაკაბაძემ, ბათუმის არქივის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, გიორგი ფურცელაძე დატოვა სამმართველოს რწმუნებულად, რადგან როგორც აღმოჩნდა „მას ამ საქმისთვის აქვს ინტერესი და სათანადო კულტიეროსნობაც. ამს. ფურცელაძის ჩვენი რწმუნებულად დანიშვნის შესახებ მე ვაცნობებ ბათუმშივე აჭარისტანის განათლების კომისიას, რომელსაც ვსთხოვე მისი დაკმაყოფილება სათანადო ულუფით საარქივო სამმართველო-სათვის დადგენილ ულუფათა რიცხვიდან.“ (სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.130)

ქალაქის სამმართველოს საარქივო მასალა განთავსდა კომუნალური მეურნეობის შენობის (ყოფილი გამგეობის შენობა) ერთ ოთახში. ამავე შენობაში იყო საბუნებისმეტყველო მუზეუმი, რომელიც მამაშვილ გომენების თაოსნობით შექმნილა (სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.129). თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე ბათუმის არქივში გარკვეული სირთულეები შეიქმნა, რაც კარგად ჩანს გ. ფურცელაძის საარქივო სამმართველოს გამგისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.23). საქმე იმაში გახლდათ, რომ ბათუმში 1921 წელს საცხოვრებლად ჩამოვიდა რუსი სკულპტორი სტეფან ერზია (ნეფიოდოვი). იმავე წლის სექტემბერში აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით არქივისთვის განკუთვნილი შენობა უნდა გადაეცათ ერზიასთვის, ხოლო საარქივო დოკუმენტაცია უნდა განეთავსებინათ იმავე შენობის სხვენში, რასაც გიორგი ფურცელაძის პროტესტი მოჰყა. ამის შემდეგ ბათუმის კომუნალური მეურნეობის გამგე პევცოვის ბრძანებით არქივი ჩაიტანეს ქვედა სარდაფში, რომელიც ნესტიანი იყო და საარქივო დოკუმენტების შესანახად არ გამოდგებოდა. „ასე რომ მთელი საარქივო საქმეები უწესრიგოდ აწყვია ნესტიან სარდაფში, სადაც მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. ამრიგად, ჩვენი წელინადნახევრის მუშაობა ერთბაშად დაიღუპა შეუფერებელი ბრძანებით“, - ნერდა გ. ფურცელაძე (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.23).

1922 წლის აგვისტოში განათლების კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი აკადემიური ცენტრის შექმნის შესახებ, რომელშიც უნდა შესულიყო საარქივო განყოფილება. მალე აკადემიური ცენტრი გააუქმეს და საარქივო განყოფილების საქმე კვლავ გაურკვეველი დარჩა. განათლების კოლეგიამ მიიღო დადგენილება აჭარის საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატმა იგი არ დაამტკიცა, რადგანაც აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, საარქივო განყოფილების შექმნა საჭირო არ იყო. ყოვლად აუხსნელი და გაუაზრებელი იყო უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მაშინ, რო-

ცა P.C.Φ.C.P ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიღებული ჰქონდა დეკრეტი („правда“ 25.11.1921), რომლის მიხედვითაც ყოველ საგუბერნიო და და საოლქო აღმასკომთან უნდა დაარსებულიყო საარქივო ბიურო, რომელასაც დიდი უფლებები და მოვალეობები ექნებოდა. სწორედ ამის შესახებ წერდა გიორგი ფურცელაძე სარგის კაკაბაძეს: „რატომ ჩვენ საქართველოში ან და მით უმეტეს ბათუმში არ უნდა გვქონდეს საარქივო განყოფილება, სადაც მრავალი საისტორიო მასალაა დაგროვილი. მხოლოდ საჭიროა ამის შესახებ თქვენ მიერ ახსნა-განმარტება, რათა ცენტრმა მიაქციოს ყურადღება, რომ არ ქონდეს ალაგი ისეთ გაუგებობას, რომ ერთი კალმის გასმით, რომელიმე პიროვნებას შეეძლოს ასეთი დაუფასებელი კულტურული მასალა გარეთ გაყაროს და ხაზი გადაუსვას მის არსებობას“ (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.23).

ამის საპასუხოდ, საარქივო მმართველობის მთავარი გამგე ს. კაკაბაძე კვლავ უგზავნის გ. ფურცელაძეს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის მანდატს და მიმართავს აჭარისტანის სს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს საარქივო საქმის განვითარებას.

1923 წლის 20 მარტს აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: „ყველა მასალა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და წინადადება მიეცეს მას, რათა ათი დღის განმავლობაში წარმოადგინო დაწვრილებითი გეგმა ამ საკითხის მოსაგვარებლად და მისი საჭიროებისათვის საჭირო აპარატის შექმნის პროექტით“ (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32).

28 მარტს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა არქივის საკითხი და მიიღო დადგენილება განკუმთან საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ. კოლეგიის დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს. პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა: „განათლების კომისარიატის კოლეგიის წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდეს და დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში“ (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32). 1923 წლის 11 აპრილს აჭარისტანის სს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება: „დაუყოვნებლივ დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლების სახალხო კომისარიატთან“ (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.142).

ბათუმის ახლადშექმნილ საარქივო განყოფილებაში, თავდაპირველად მხოლოდ 4 შტატი ირიცხებოდა: არქივის გამგის, თანაშემწის, არქივარიუსისა და დარაჯის. თუმცა არქივი ვერ ფუნქციონირებდა სხვადასხვა პრობლემის გამო. პირველ რიგში საჭირო იყო არქივისთვის შენობის გამონახვა. საარქივო განყოფილებისათვის შენობის შეღავათიან პირობებში მიცემის საკითხი განიხილა კომუნალური მეურნეობის კოლეგიამ და გადაწყდა მისთვის გადაეცათ ყოფილი „სამხედრო საბორის“ შენობა. მაგრამ იქ განთავსებული იყო კომკავშირელთა კლუბი, რომელმაც შენობის დაცლის სანაცვლოდ მოითხოვა ყოფილი სინაგო-

გის შენობის გადაცემა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, შენობის საკითხი კვალავ ღიად რჩებოდა. ამას დაემატა განათლების სახალხო კომისარის სედაი რეშადის სიტყვიერი ბრძანება საარქივო განყოფილების დაშლის შესახებ. გიორგი ფურცელაძემ საქმის გასარკვევად მიმართა აჭარის სს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, კერძოდ ს. უორულიანს, რომელმაც ყოველივე უარყო და განაცხადა: „ეს არის ყოვლად დაუშვებელი, რომ სედაი რეშადმა გააუქმოს სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის დადგენილება; რომ საარქივო განყოფილება აუცილებლად უნდა დაარსდეს” (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.39). სედაი რეშადი დაიბარეს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან თ. ხიმშიაშვილთან, სადაც განმარტა, რომ მისი ხარჯთაღრიცხვიდან საარქივო განყოფილების ხარჯთაღრიცხვა ამოღებული იქნა იმ მოტივით, რომ განათლების სახალხო კომისარიატთან არავითარი საარქივო განყოფილება არ უნდა იყოსო. საბოლოოდ, გაუგებრობა გაირკვა და სახალხო კომისართა საბჭომ მისცა განკომს წინადადება, აღძრულიყო შუამდგომლობა, 1 ივლისიდან საარქივო განყოფილების ხელახლი შექმნის შესახებ.

1924 დეკემბრის დასაწყისში საქართველოს ცენტრალური არქივიდან ბათუმში სიტუაციის ადგილზე გასარკვევად გააგზავნეს შალვა ჩხეტია, რომელსაც არქივში სავალალო მდგომარეობა დახვდა. აღმოჩნდა, რომ თითქმის არაფერი იყო გაკეთებული, არ არსებობდა სიძველეთა დაცვის არანაირი აპარატი. მიუხედავად იმისა, რომ „აჭარის მიწანყალზე ისტორიული ძეგლები და ნაშთები საკმაოდ მოიპოვებიან. ეს საკითხი ადგილობრივ ხელისუფლებას სრულად არ დაუსვამს და თავის თავად ცხადია, ამ მიმართულებით ნაბიჯებიც არ გადაუდგამს. ამ საქმის გულშემატკივარი კერძო პირებიც, რამდენად შევატყვე აქ იშვიათია ...“, წერდა შალვა ჩხეტია (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.137). სწორედ მან დააყენა საკითხი განათლების კომისარიატის წინაშე მოეგვარებინა სიძველეთა დაცვის საქმე და შეექმნა სიძველეთა დაცვის ორგანო, ასევე სათანადო შუამდგომლობით შესულიყო აჭარის ცეკაში, რომელიც სიძველეთა დაცვას დააკანონებდა და შემდეგ ამ ორგანოს მუშაობას უზრუნველყოფდა. მას კარგად ესმოდა, რომ წერილობითი წყაროებისა და საარქივო დოკუმენტების გარეშე ქვეყნის წარსულის სრულყოფილი გაშუქება შეუძლებელია, არქივის ნორმალური ფუნქციონირება კი აუცილებელი. იგი გულისტყივილით აღნიშნავდა თავის წერილში: „არქივის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ არქივის საქმე ამ უამად მეტად სამნუხარო მდგომარეობაშია. დღეს დავათვალიერე ეს არქივი და შეიძლება ითქვას, რომ ის არქივი კი არა, ქალალდების საწყობს უფრო ჰგავს. მთელი არქივი მხოლოდ ერთი უნყების საქმეებისაგან შედგება, სხვა საქმეები იქ სრულიად არ არის. რამდენადაც გაგონილი მქონდა იქ უნდა ყოფილიყო უფრო საინტერსო საქმეები, მაგრამ როგორც სჩანს დაკარგულია; თუ სად და როგორ ჯერჯერობით ვერ გამოვარკვიე“ (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.137-139).

მეორე წერილიდან უკვე ირკვევა, რომ აჭარისტანის განათლების კომისა-რიატმა კოლეგიის სხდომაზე მიიღო დადგენილება: „1) დაარსოს განათლების კომისარიატთან სიძველეთა სექცია, რომელიც სათანადო კავშირს დაიჭერს თბილისთან და 2) წარადგინოს საარქივო განყოფილება, რომელიც, როგორც იცით, უკანასკნელ დროს გაუქმებული იყო... ასე რომ, მე მგონია ამ სექციის მე-ოხებით ჩვენ აჭარის სიძველეთა დაცვას მოვაგვარებთ (ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.137-139). აჭარისტანის განათლების კომისარიატთან დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის სექცია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - 6. ბოჭორიშვილი (პროფგანათლების განყოფილების გამგე), წევრები: სპილი-ოტი (სამეცნიერო საბჭოს წევრი) და გომანი (აჭარისტანის მუზეუმის დირექ-ტორი).

ყოველივე ზემოქმულიდან გამომდინარე, აჭარის არქივის დაბადების თა-რიღად, შეიძლება მივიჩნიოთ 1921 წელი, როდესაც პირველად დაიწყო სამხედ-რო-ისტორიული ხასიათის დოკუმენტების შეგროვება და კლასიფიკაცია მათი ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თავმოყრის მიზნით, რომლის საფუძველ-ზეც, უკვე 1923 წელს შექმნილი აჭარისტანის განათლების კომისარიატთან არ-სებული საარქივო განყოფილება აერთიანებდა 72 ფონდს 11481 შესანახ ერთე-ულს („საქართველოს არქივები“ ცნობარი, გვ.70).

1929 წლის 15 მარტიდან აჭარის ცენტრალური არქივი დაექვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ამის შემდეგ საარქივო საქმე რესპუბლიკაში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

გამოყენებული წყაროები:

1. სუიცა, ფ.335 ან. საქ. 7, გვ.1
2. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ 1, გვ.1
3. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.7, გვ. 102
4. სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.129-130
5. სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.22-230
6. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32
7. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.142
8. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.39
9. სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.137- 139
- 10., „საქართველოს არქივები“ (ცნობარი-მიმოხილვა)
11. „правда“ 25.11.1921
12. http://en.wikipedia.org/wiki/Stepan_Erzia

Natia Mirianashvili
Marina Itriashvili

FROM THE HISTORY OF THE AJARA'S ARCHIVE

Summary

Archives as an important and integral part of the cultural heritage of the past, keeping the memory of the nation depends on the survival of mankind's history. Starting date of the development of archives in Georgian history is April 23, 1920, when the founder of the Democratic Republic of the Assembly adopted the Law on the Establishment of the Central Scientific Archive. On July 15, 1921 Commissioner of the Commission created a temporary archive, which was assigned to Batumi and Batumi districts in the military - to collect and protect the historic nature of archival documents - storage. On April 11, 1923 People's Commissars of the Autonomous Republic of Ajara Company had made a resolution, to establish the People's Commissariat of Education, Division of Archives. "The newly created section of the archives originally enrolled in 4 positions: Head of Archives, Assistant, Archivist, and a guard. The archive was not functioning, due to various problems. Since March 15, 1929 Ajara Central Archive was subordinated under the Central Executive Committee of the ASSR.

1929 წლის აჯანყება აჭარაში
(საარავო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

აჭარის 1929 წლის აჯანყების შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა. მათ შორის აღსანიშნავია მ. ჩავლეიშვილისა და ო. გოგოლიშვილის ნაშრომები (მ. ჩავლეიშვილი, ნარკვევები, 2012:56-78; ო. გოგოლიშვილი, 2000:75-80). მაგრამ საკითხი სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ამასთან, ამ თემაზე დაწერილი ნაშრომებში არ არის გამოყენებული პარტიულ დოკუმენტები და უშიშროების სახელმწიფო სამსახურის ცნობები და სხვა მასალები, რომლებიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციის ფონდებში. არადა ამ ფონდებში მოიპოვება ისეთი მასალები, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და საშუალებას იძლევა შედარებით სრულყოფილად შევისწავლოთ 1929 წლის აჯანყება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებას პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილების 1 ფონდის საქმეები: 613, 717, 770, 794, 869, 873, 894 და სხვა. ამ საქმეებში დაცულია საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომის ოქმები, პარტიული კონფერენციების მასალები, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუშაკების მოხსენებები, ოპერატიული ცნობები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ეხება აჯანყების გამომწვევ მიზეზებს, მსვლელობებსა და შედეგებს. 1929 წლის აჯანყების სრულყოფილად შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის პოლიტიკური სამმართველოს მუშაკების მოხსენებებსა და ოპერატიულ ცნობებს.

1929 წლის აჯანყების შესახებ აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული მასალების განალიზების და სხვა დოკუმენტებთან შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა აჯანყების მიზეზების დადგენა, მისი ხასიათის, მასშტაბის, მამოძრავებელი ძალების დახასიათება, კომუნისტური პარტოკრატიის რეალური სახის ჩვენება.

1929 წლის აჯანყება თავისი ხასიათით ანტისაბჭოთა ამბოხება იყო. იგი მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელშიც მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ აღა-ბეგები, ვაჭრები, სასულიერო წოდება და გლეხები (მოჯამაგირე, ღარიბი, საშუალო, მდიდარი). ამიტომ აჯანყებამ ფართო მასშტაბი შეიძინა. ტერიტორიულად აჯანყება განვითარდა ხულოს მაზრაში, გამოსვლება და მთავრობის სანინააღმდეგო ბრძოლებს ადგილი ჰქონდა ქვემო აჭარაშიც (ქედის მაზრა).

ხულოს მაზრის მოსახლეობის მიერ ანტისაბჭოთა გამოსვლები იმით იყო განპირობებული, რომ ხელისუფლებამ თავდაპირველად სწორედ ამ რეგიონი-დან დაიწყო ანტირელიგიური ღონისძიებების გატარება, ჩადრის მოხდის კამპანია. აჭარის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ამას იმით ხსნიდნენ, რომ ხულოს მაზრის ხელმძღვანელები ამ მიმართულებით მოქმედების დაწყებას ზე-მო აჭარიდან მოითხოვდნენ (აცსა, ფ. პ-ა, ან. 1, საქმე 894; 6-8).

აჯანყების გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო მოსახლეობის უმძიმესი სო-ციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური უუფლებობა, მცირემი-წიანობა. გლეხობას საკუთარი წარმოების მარცვლეული 6 თვესაც არ ყოფნიდა. საბჭოთა სახელმწიფოს სოციალურ-კლასობრივი პოლიტიკის შედეგად განხორ-ციელდა მემამულე-თავადაზნაურების ქონების ექსპროპრიაცია, უმრავლესო-ბას ჩამოართვეს მიწები, სახლ-კარი, სხვა უძრავ-მოძრავი ქონება და უმოწყა-ლოდ გაასახლეს, ნაწილი საპატიმროებში გამოამწყდიეს.

შეძლებული გლეხები კულაკებად მონათლეს და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზი-დიუმის 1927 წლის დადგენილებით განხორციელდა აგრეთვე კულაკობის ქონე-ბის ექსპროპრიაცია, მათ ასევე ჩამოართვეს მიწები და სახლ-კარი, თავიანთი მშობლიური კერებიდან იძულებით გაასახლეს. მაგალითად, ბათუმისა და ქედის მაზრებიდან 1927 წელს დეპორტირებული იყო 22 ოჯახი (აცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქმე 717; 1-3).

საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობლად ებრძოდა სასულიერო წოდებასა და ვაჭრებს. აჭარის მკვიდრთა შორის მსხვილი ვაჭართა ფენა არასოდეს ყოფი-ლა. ამ მხარეში ძირითადად იყვნენ წვრილი მოვაჭრენი, რომლებიც თურქეთში გადადიოდნენ წვრილმანი საოჯახო საქონლის შესაძენად. ეს კონტრაბანდა ნამ-დვილად არ ყოფილა, რამდენადაც მაშინ საბჭოთა სახელმწიფო მოსახლეობას მინიმალურად ვერ უზრუნველყოფდა საოჯახო მოხმარების სამრეწველო სა-ქონლით. ხელისუფლება წვრილ მოვაჭრეებს კონტრაბანდისტებად ნათლავდა და ულმობლად აწიოკებდა. მათ გამოსავლენად და შესაპყრობად სოფლად სის-ტემატიურად ტარდებოდა ეგზეკუციები, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით გლეხობისათვის მძიმე იყო სასოფ-ლო – სამეურნეო გადასახადი. გლეხობის აღმფოთებას ინვევდა გადასახადები და მოსაკრებლები, რაც შემოღებული იყო საძოვრებზე, ტყით სარგებლობასა და წყალზე (წისქვილები, ჭალები). გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ პირუტყვის სადაზღვევო გადასახადითაც. საოცარი ის იყო, რომ მოსახლეობას შეაწერეს გადასახადი ღორის სულადობაზე, როდესაც ხულოს მაზრაში მეღორეობას, სა-ერთოდ არ მისდევდნენ. მოსახლეობის ყველა ფენა უკმაყოფილებას გამოთ-ქვამდა მძიმე პოლიტიკურ-უფლებრივი მდგომარეობის გამო. მათ ერთ ნაწილს

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში მონაწილეების უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. მაგალითად ყოფილი მოჯამაგირეები, რომლებიც შემდგომ ქონებრივად საშუალო გლეხი გახდა, კულაკად ჩათვალეს და ჩამოართვეს ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მოსახლეობა გალიზიანებული იყო საბჭოების არჩევნების არადემოკრატიულობით, ფორმალიზმითა და ძალდატანების გამო. არჩევნების დროს ამომრჩეველთა გამოცხადება, კრებებზე ქალთა დასწრება 10-15%-ს არ აღემატებოდა, ყალბად აფორმებდნენ 60-70%-ს (აცსა, ფონდი პ-1, ან.1, საქმე 894:36-38). ერთი სიტყვით, აჯანყებისათვის ყველა პირობა შემზადებული იყო.

1929 წლის აჯანყების საბაბი იყო სახელმწიფოს მხრიდან ძალადობით რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და ქალთა განსაკუთრებული ჩაცმულობის - ჩადრის მოხსნისათვის საგანგებო ზომების გატარება. აჭარის სოფლად ანტირელიგიური პროპაგანდა 1928 წლიდან დაიწყო. მანამდე ხელისუფალნი სიფრთხილეს იჩენდნენ. ამავე დროიდან იწყება ჩადრის მოხდის ფართომასშტაბიანი კამპანია. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1928 წელს და 1929 წლის იანვარ-თებერვალში რამდენჯერმე განიხილა საკითხები ჩადრის მოხდის, რელიგიური აღმარებლობის, მუსლიმანური სასულიერო დანესებულების (მეჩეთი, მედრესე) შესახებ. 1928 წლის 16 ივლისის დადგენილებით დავავალეს ხულოს მაზრის კომუნისტებსა და კომკავშირლებს, რათა პირველ რიგში, თავიანთ ოჯახის ქალებს მოეხადათ ჩადრი და ამით მაგალითი ეჩვენებინათ სხვებისათვის.

ქალთა მიერ ჩადრის მოხდის, მუსლიმანური რელიგიური რიტუალების აღსრულების, მეჩეთებისა და მედრესების დახურვის თემას დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. ამ საკითხების შესახებ მოხსენებით გამოდიოდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ა. ფანცხავა. 1928 წლის 16 ივლისს საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის დადგენილებით ხულოს მაზრაში ქალთა მიერ ჩადრის მოხდის საყოველთაო კამპანიად გამოცხადდა 20-30 ივლისი. ამისათვის მობილიზებული იყო პარტიული და სახელმწიფო ორგანოები (აცსა, ფონდი პ-1, ან.1, საქმე 770; 12).

მაგრამ ხელისუფლება მოსახლეობის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და ამ მიმართულებით დასახული ღონისძიებები უშედეგოდ დამთავრდა. 1928 წლის 10 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ქალთა მიერ ჩადრის მოხდის საკითხი და დაადგინეს: მუშაობა ჩადრის მოხდის შესახებ გაგრძელდეს, კომუნისტებმა და კომკავშირლებმა თავიანთ ოჯახებში ჩატარონ აგიტაცია, რათა 10 სექტემბრისათვის ქალებმა მოიხადონ ჩადრი. ამ მიმართულებით მუშაობა გააძლიეროს პროფკავშირებმა და ქალთა კომიტეტებმა (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 770:132). 1928 წლის 10 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტე-

ტის პრეზიდიუმმა ახალი დადგენილება მიიღო ჩადრის მოხდისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. დადგენილებებში აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება. ამ ამოცანის განხორციელებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალთა კლუბებსა და ჭრა-კერვის სკოლებს, ღარიბ გლეხთა კონფერენციების მოწვევაც იგეგმებოდა. ამავე სხდომის დადგენილებით ნოემბერი გამოცხადდა აჭარელ ქალთა მიერ ჩადრის მოხდის კამპანიის თვედ (აცსა, ფონდი პ-1, ან.1, საქმე 770:183,186).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობას კარგად არ ჰქონდათ გათვიცნობიერებული, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. მათ ერთი ხელის დაკვრით, სათანადო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გარეშე, სურდათ რელიგიური აღმსარებლობის შეწყვეტა, მეჩეთების, მედრესების დახურვა და აჭარელ ქალთა გათავისუფლება ჩადრისაგან. ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ კამპანიური ლონისძიებებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში აღინიშნა, რომ მკაცრად უნდა დაისაჯონ ის კომუნისტები, ვინც მერყეობას იჩენდა მუსლიმანური სასულიერო დაწესებულების დახურვის საქმეში. დადგენილება მათი პარტიიდან გარიცხვა-საც ითვალისწინებდა (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 873:10).

ხელისუფლების მხრიდან ძალდატანებითი ლონისძიებების გატარებას მოსახლეობის ახალი გამოსვლები მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები და სასულიერო წოდების წარმომადგენლები. 1928 წლის დეკემბერში ხულოს მაზრის ზოგიერთ სოფელში, ამომრჩეველთა მასობრივი გამოუცხადებლობის გამო, ჩაიშალა საბჭოების არჩევნები. მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო მეჩეთების, მედრესების, მექტებეს დახურვისა და ქალთა მიერ ჩადრის მოხდისა. ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ხულოს მაზრაში. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა ხულოს მაზრაში სამუშაოდ მიავლინა ა. კალანდაძე და რ. ხოზრევანიძე, რომლებიც ძალდატანებით აიძულებდნენ ქალებს მოეხადათ ჩადრი.

ძალდატანებითი ლონისძიებების შედეგად 1929 წლის დასაწყისში ხულოს მაზრაში დაიხურა მეჩეთები და მედრესები, იძულებით დაიწყო ქალთა მიერ ჩადრის მოხდის პროცესი, სასტიკად იდევნებოდნენ რელიგიური რიტუალების აღმსარებლები. სპეციალურმა კომისიამ შეაჯამა ამ მიმართებით გაწეული მუშაობა. კომისიის დასკვნა განიხილა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ 1929 წლის 17 იანვარს და ჩატარებული მუშაობა მოიწონა (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 873:2). მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ეს იყო მოჩვენებითი. მოსახლეობის წინააღმდეგობა ისევ გრძელდებოდა და ახალ ფაზაში შედიოდა.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა აქტივისტების დასჯა. შეიქმნა სპეციალური კომისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის ა. ცინცაძის ხელ-მძღვანელობით, რომელმაც შეიმუშვა ღონისძიებები იმათ დასასჯელად, ვინც მოსახლეობის გამოსვლებში აქტიურობდა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაშ 1929 წლის 18 თებერვალს მოისმინა ა. ცინცაძის ინფორმაცია საჩვენებელი სასამართლო პროცესების მოწყობის თაობაზე ხოჯებზე, კულაკებსა და სხვათა შესახებ, რომლებიც აქტიურობდნენ ჩადრის მოხდის წინააღმდეგ და საბჭოების არჩევნების ჩასაშლელად. პრეზიდიუმის დადგენილებით საჩვენებელი სასამართლო პროცესები ჩატარდებოდა 1929 წლის მარტის მეორე ნახევარში. საამისოდ სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელშიც შევიდნენ ე. ნაკაშიძე (თავმჯდომარე), ა. ბოლქვაძე და მ. ჩახვაშვილი (წევრები), პროკურორი ა. ცინცაძე (სახელმწიფო მბრალდებელი). საზოგადოებ-რივი დამცველების შერჩევა დაეკისრათ აჭარის საოლქო კომიტეტსა და სახალ-ხო კომისართა საბჭოს (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 873:60).

მოსახლეობის გამოსვლები ხულოს მაზრაში 1929 წლის იანვარში დაიწყო. 6 იანვარს სოფელ დიდაჭარაში მოეწყო ქალთა დემონსტრაცია, რომელშიც 50-60 ქალი მონაწილეობდა. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო სკოლის დახურვას, ადათ-წესებისა და რელიგიის ხელშეუხებლობას. 7 იანვარს ამავე სოფელში მო-ეწყო ახალი გამოსვლა, რომელშიც 160 ქალი მონაწილეობდა. ისინი შეიარაღე-ბული იყვნენ ჯოხებითა და ხელკეტებით. გამოსვლებს ადგილი ჰქონდა უჩამბა-ში, პაქსაძეებში, რიყეთში, დიოკნისეში, სხალთაში და სხვა სოფლებში. სამაზრო ხელმძღვანელობამ რეკომენდაციისათვის თბილისს მიმართა, საიდანაც მიიღეს მითითება რეპრესიების ჩატარების შესახებ. ამის შედეგად დიდაჭარაში დაპა-ტიმრეს 18, ხოლო პაქსაძეებში 15 ქალი. რეპრესიებს 1929 წლის 9 იანვარს მოყვა ახალი გამოსვლები რიყეთსა და სხვა სასოფლო თემებში. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ ბათუმიდან ხულოს მაზრაში მიავლინეს პარტიული და სახელ-მწიფო მოხელეები: არუთინოვი, სურმანიძე, ჩერნიაევი და სხვები. დააპატიმრეს გამოსვლაში აქტიური მონაწილე 13 ქალი (აცსა, ფ. პ-1, ან.1. საქმე 894:26).

ხელისუფლების მხრიდან ქალებისადმი ასეთი მოპყრობა აუტანელი იყო მკვიდრი მოსახლეობისთვის. ქალის შეურაცხყოფისათვის სისხლიც კი იღვრე-ბოდა. მოსახლეობა ამ გარემოებას არავის პატიობდა. მაგრამ თბილისის ცენ-ტრალურმა და აჭარის საოლქო პარტოკრატიამ ეს მოვლენები ვერ გაათვიცნო-ბიერა. ისინი ჯიუტად განაგრძობდნენ თავიანთი გეგმის რეალიზაციას. 1929 წლის იანვარ-თებერვალში კიდევ მეტი ძალადობით მიმდინარეობდა ჩადრის მოხდის კამპანია. ამ მიზნისათვის სისტემატიურად იწვევდნენ ქალთა კრებებს, სადაც ზოგიერთ სოფელში მამაკაცებს გოდრებით მიჰყავდათ თავიანთი ავად-მყოფი ცოლები. ასე იყო, მაგალითად, უჩამბაში სადაც თემის საბჭოს აღმასკო-

მის თავმჯდომარემ შაქირ ბერიძემ თავისი ავადმყოფი ცოლი გოდრით გადაიყვანა სოფლის ქალთა კრებაზე.

1928 წელს და 1929 წლის იანვარ-თებერვალში ხულოს სამაზრო ცენტრში სისტემატიურად ტარდებოდა თემის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირი, სადაც მაზრის ხელმძღვანელები მათ ავალებდნენ მეჩე-თებისა და მედრესების დახურვას, ჩადრის მოხდას, რელიგიური რიტუალების აღკვეთას. ამასთან ერთად, ხოჯებს ხელწერილს ართმევდნენ, რომ არ ივლიდნენ სასულიერო დაწესებულებებში, აღარ შეასრულებდნენ ლოცვა-კურთხევას და სხვა. მთავრობის ეს მოქმედება სასულიერო წოდების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ აჭარაში აღირიცხა 190 მოქმედი ხოჯა, 106 ახალგაზრდას კი „ხოჯობისათვის“ ამზადებდნენ (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 767:7; საქმე 894:27-28).

მოსახლეობის გამოსვლებს ტონს აძლევდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები. აქტიურობდნენ ხოჯები: შავაძე, ართმელაძე, ფუტკარაძე, რამიშვილი, სურმანიძე, დიასამიძე და სხვები. ხოჯები აგიტაცია-პროპაგანდას ყოველდღიურად ეწეოდნენ, მაგრამ ამ მიმართებით მასობრივი მუშაობა პარასკევს მიმიდნარეობდა, რადგან ეს დღე (ჯუმა დღე) ითვლებოდა წმინდად. პარასკეობით მორწმუნები მეჩეთებში იყრიდნენ თავს. საქართველოს კომპარტიის აჭარის XI საოლქო კონფერენციაზე (1928 წ.) ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა დ. კილაძემ ისიც კი განაცხადა, რომ თუ გლეხს დანაშაულისათვის მიუსჯით ერთ წელს ხოჯას უნდა მიესაჯოს სამი წელი (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 767:7).

ხელისუფლების უხეშობამ, ძალადობამ და მოსახლეობის შეურაცხყოფამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ამ ქმედებით გამოირჩეოდა ხულოს სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანი ა. კალანდაძე, რომელიც მოსახლეობას არა მარტო სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, არამედ აპატიმრებდა. საბჭოების გადარჩევნებისა და ქალთა კრებების ჩაშლის გამო ა. კალანდაძის ბრძანებით დააპატიმრეს მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი აქტიური გლეხები და მოსახლეობის სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ქალებს ჩადრის გამო დასცინოდა, მიმართავდა უხამსი სიტყვებით, აყენებდა შეურაცხყოფას. აღსანიშნავია, რომ რამაზანის და ჭერის გამო მორწმუნეს 58 დღით აპატიმრებდნენ (აცსა, ფონ-დი პ-1, ან.1 საქმე 894:6-8).

კრებებსა და პირად საუბრებში განსხვავებული აზრის გამოსათქმისათვის ადამიანებს უხეშად მიახლიდა სიტყვებს: „შენ გაქვს მემარჯვენე გადახრაო!“. უჩამბის სასოფლო თემში საბჭოების გადარჩევნების დროს ა. კალანდაძის ბრძანებით დააპატიმრეს 10 კაცი, ხოლო გოგაძეებსა და წაბლანაში – 5 კაცი. ამ აღვირახსნილი ქმედებისათვის უჩამბაში ცულებითა და წალდებით შეიარაღებული სამოციოდე კაცი მიუვარდა საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებს და მათ

შორის გაიმართა სიტყვიერი ბრძოლა. ამისათვის ა. კალანდაძის ბრძანებით 5 კაცი დააპატიმრეს. ანალოგიური ფაქტები მოხდა ლორჯომში, სადაც დააპატიმრეს 8 კაცი (სამი დღით). მათ არ აწვდიდნენ საჭმელსა და წყალს, არ აძლევდნენ თამბაქოს მოწევის საშუალებასაც (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:25,38).

მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდნენ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მუშაკები. ხულოს მაზრის კომუნისტებისა და კომკავშირლების განმარტებაში, რომელიც მათ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელს მ. გობეჩიას მისცეს, ნათქვამია: სახელმწიფო უშიშროების მუშაკები რევოლვერით აშინებდნენ და დახვრეტით ემუქრებოდნენ გლეხებს, ხოჯებსა და მოლებს, რომლებიც წინ აღუდგნენ ხელისუფლების მცდელობის ძალადობით, ერთ ხელის დაკვრით მოეხადათ ჩადრი ქალებისათვის, დაეხურათ სასულიერო დაწესებულებები, აღეკვეთათ რელიგიური აღმსარებლობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კომკავშირელთა ერთ ნაწილს დაავალეს მოეკლათ ხოჯები, აღერიცხათ გლეხები, რომლებიც ჯამეებში დადიოდნენ და მათ მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები განეხორციელებინათ (აცსა, ფ.პ-1, ან.1. საქმე 894:35-38).

ერთი სიტყვით, აჯანყებისათვის არსებობდა ობიექტური პირობები. აჯანყება პირველად 1929 წლის 7 მარტს, ჭვანის ხეობაში დაიწყო. იგი დასაწყისში სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ამ ხეობის სოფლებში - ნაღვარევსა და ინწკირვეთში აჭარის საბჭოების ყრილობის დელეგატებად ქალების არჩევის გამო აღშფოთდა მოსახლეობა, 80 კაცმა დაარბია სოფლის საუბნო-საარჩევნო კომისია. აჯანყება სხვა სოფლებშიც განვითარდა. სახელწიფო უშიშროების მუშაკებმა მომხდარის შესახებ აცნობეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელობისაგან, პირადად მ. გოგიბერიძისაგან მიიღეს მითითება, რომ შეიარაღებული ძალა არ გამოეყენებინათ და მშვიდობიანი მეთოდებით განემუხტათ დაძაბულობა. ხიჭაურში სასაზღვრო რაზმის დასაცავად სპეციალური შეიარაღებული რაზმი გაიგზავნა; მესაზღვრეები ახალციხიდანაც გადმოიყვანეს. აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ხულოს მაზრაში მიავლინეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. სურმანიძე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ი. ბრეგაძე. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ა. ცინცაძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:181-183).

მშვიდობიანი მოლაპარაკება რომელიც უნდა გამართულიყო 1929 წლის 9 მარტს, ჩაიშალა. აჯანყებულებმა პატიმრობაში აიყვანეს მთავრობის მოხელეები, უშიშროების მუშაკები და სხვები, სულ 100 კაცი. აჯანყებამ თანდათანობით ორგანიზებული ხაისათი შეიძინა, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ იზეთ ჭაღალიძე, აბდულ ტაკიძე და მუხამედ ოდაბაშოლლი (აცსა, ფ. პ-1,

ან.1, საქმე 894:184). აჯანყებულებმა ჩამოაყალიბეს შეიარაღებული რაზმი, რომელშიც 700-მდე კაცი გაერთიანდა (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:184, 199-200).

აჯანყებამ მოიცვა ხულოს მაზრის ყველა ხეობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის შეფასებით აჯანყებას ჰქონდა მასობრივი ხასიათი. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ჭვანის, ყარადერეს, სხალთის, რიყეთის, ღორჯომის სასოფლო თემების მოსახლეობა (აცსა, ფონდი პ-1, ან.1, საქმე 894:79). საზღვრისპირა სოფლებში აჯანყებულებმა დაიკავეს სასაზღვრო საგუშაგოები, დაიტაცეს საბრძოლო იარაღი, მაზრაში პარალიზებული იყო საბჭოთა დაწესებულებები. გაწყვეტილი იყო მესაზღვრეთა საგუშაგოების კავშირი ხიჭაურის სასაზღვრო რაზმთან. თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა. ხულოს მაზრაში სპეციალური რაზმით წარგზავნეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს უფროსი ლ. ბერია. მან შემოიარა მაზრის სოფლები, სადაც პირადად დახვრიტა აჯანყების აქტიური მონაწილეები. შ. ელიავას ბრძანებით ხულოს მაზრაში გაიგზავნა მსროლელთა და ცხენოსანთა ბატალიონები. ისინი შეუერთდნენ მესაზღვრეთა რაზმს და გაერთიანებული ძალით შეუტიეს აჯანყებულებს. საბრძოლო შეტაკება მოხდა ხიჭაურში, ცხმორისში, სასაზღვრო საგუშაგოებთან.

1929 წლის 9 მარტს მესაზღვრეთა ერთმა ნაწილმა ცხმორისი გაათავისუფლა აჯანყებულებისაგან. სამხედროებმა ბათუმიდან დავალება მიიღეს ბრძოლით აეღოთ ჭვანა. უთანასწორო ბრძოლის პირობებში აჯანყებულებმა გაათავისუფლეს დაპატიმრებული სახელმწიფო მოხელეები. ჭვანაში ჯარი შევიდა, მაგრამ აჯანყებულებმა მთებში გახიზნვა მოასწრეს. აჯანყებულთა ნაწილი მთებიდან ხულოში გადავიდა და ბრძოლა იქედან განაგრძეს. მათ შეუერთდა ხულოს, ღორჯომის, რიყეთის, უჩამბის, სხალთის თემების მოსახლეობა. 10 და 11 მარტს აჯანყებულებსა და სამხედრო ნაწილებს შორის ბრძოლები გრძელდებოდა. აჯანყებულებმა აიღეს 19,20,21,25 და სხვა სასაზღვრო საგუშაგოები. ამ ბრძოლების შედეგად დაიღუპა, დაიჭრა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 23 სამხედრო. მათ შორის 7 მოიკლა, 8 დაიჭრა და ამდენივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. აჯანყებულთა მსხვერპლის შესახებ აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. ზოგადად ამ საკითხის შესახებ აღნიშნულია ლ. ბერიას მოხსენებით ბარათში, რომელიც შედგენილია 1929 წლის 13 მარტს. მაში ნათქვამია: აჯანყებულთა დანაკარგები მეტია, ვიდრე მთავრობის ძალებისა (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:188-193).

აჯანყებულთა მოთხოვნები იყო: რელიგიის ხელშეუხებლობა, მეჩეთებისა და მედრესების თავისუფალი ფუნქციონირება, მორწმუნეთა შეურაცხყოფისა და დევნა-შევიწროვების აღკვეთა, ჩადრის მოხდის კამპანიის შეწყვეტა, გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირება, პირუტყვის დაზღვევის გაუქმება, სა-

მედიცინო დახმარება, სახელმწიფო ტყეების გლეხებზე გადაცემა, ახალგაზრდების ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლება, საძოვრებზე მოსაკრებლის მოხსნა, არხების, გზების, ხიდების მშენებლობა. მოსახლეობა წინააღმდეგი იყო ბავშვთა, კერძოდ, გოგონების სავალდებულო სწავლებისა, ქალების კრებებზე გამოცხადებისა და საბჭოების არჩევნებში მონაწილეობისა. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, კომუნისტებისა და კომკავშირლების სოფლებიდან გაძევებას, შანტაჟისა და ძალადობის სხვა ფორმებისა და მეთოდების აღკვეთას. ამ მოთხოვნებს მოსახლეობა ხელისუფლების წინაშე აყენებდა სასოფლო შეკრებებზე (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:44-62).

1929 წლის მარტში გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ქედის მაზრაშიც. აქტიურობდა მერისისწყლის ხეობის მოსახლეობა. ისინი იმავე მოთხოვნებს აყენებდნენ, რასაც ხულოს მაზრის აჯანყებულები. აჯანყების დროს ერთხელ კიდევ გამოვლინდა სიმპათია თახსიმ ხიმშიაშვილისადმი. მოსახლეობა უნდობლობას გამოხატავდა საქართველოს ხელისუფლებისადმი და ორიენტაციას იღებდა მოსკოვზე. ისინი მოითხოვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის რიკოვის ჩამოსვლას, აჭარის მოსკოვზე დაქვემდებარებას. ამას მოითხოვდნენ 1925 წელსაც, აჭარის ცაკის სესიის ქედის სხდომის მონაწილეები, რაც აჯანყებულებმა 1929 წელსაც გაიმეორეს (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:88-90, 112, 186, 196).

აჯანყებულები საბჭოთა ჯართან ბრძოლაში დამარცხდნენ. 1929 წლის 13 მარტისათვის აჯანყება ლიკვიდირებული იყო. აჯანყებულთა ნაწილი მთებში გაიხიზნა, ნაწილი კი თურქეთში გადაიხვეწა. მათ შორის: აჯანყების საერთო ხელმძღვანელი ალისულთან ბოლქვაძე, შაქირ ბერიძე, ზეირალ დავითაძე და სხვები. საქართველოს ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს. მართლაც, დააპატიმრეს აჯანყების აქტიური მონაწილე - 58 კაცი (აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 894:193). ისინი ბათუმის საპატიმროებში გამოამწყვდიეს. მოსახლეობის გამოსვლამ საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა და საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. მოსკოვიდან მიიღეს მკაცრი მითითება, რომ მოსახლეობის მიმართ რეპრესიები არ განხორციელებულიყო.

1929 წლის 17 მარტს გამოცხადდა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მ. ჰუსეინოვის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ფ. მახარაძისა და აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მ. გოგიბერიძის მოწოდება - „ხულოს მაზრის ფუხარა გლეხებს“. მასში ნათქვამია: ამიერკავკასიის, საქართველოსა და აჭარის მთავრობის სახელით გიცხადებთ:

„1. ხულოს რაიონის ზოგიერთ სოფელში მომხდარი ამბების გამო არავინ არ იქნება შეპყრობილი და დასჯილი. ყველას შეუძლია დაუბრუნდეს თავის კერას და შეუდგეს მშვიდობიან მუშაობას. ყველას ვუცხადებთ პატიებას, ვინც ამ

განცხადების მიღებისა და წაკითხვის შემდეგ დაუყოვნებლივ გაანებებს თავს უაზრო წინააღმდეგობას და დაუბრუნდება თავის კერას.

2. ამიერიდან არავითარ ძალდატანებას სარწმუნოების, ზნე-ჩვეულებებისა და ადათების საქმეში ადგილი არ ექნება, კერძოდ, ჩადრის ტარების, მედრე-სე-მეჯთებსა და მეჩეთის დახურვის საქმეში, და საერთო სარწმუნოების დაცინ-ვას ან შეურაცხყოფას. დამნაშავენი ამ საქმეში დასჯილი იქნებიან.

3. საბჭოთა ხელისუფლების ის ადგილობრივი წარმომადგენლები, რომელ-ბმაც დაუშვეს ძალადობა ან უდიერად მოეპყრნენ ხალხს, გამოძიების შემდეგ სასტიკად იქნებიან დასჯილი (აცსა, ფ. პ-12, ან.1, საქმე 894:34)".

აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ რამდენადმე შეასრულა აჯანყე-ბულთა მოთხოვნები: შეამცირა გადასახადები, შეჩერდა ქალებისათვის ჩადრის მოხდის კამპანია, მეჩეთებისა და მედრესების დახურვა, რელიგიური აღმსარებ-ლობის აკრძალვა. მოსახლეობის დამშვიდების მიზნით თანამდებობიდან გაათა-ვისუფლეს ხულოს მაზრის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ხელმძღვა-ნელი მუშაკები. ეს იყო დროებითი ღონისძიებები. XX საუკუნის 30-40-იან წლებ-ში მოსახლეობის ერთ ნაწილს გაუხსენეს 1929 წლის აჯანყებებში მონაწილეობა და რეპრესიების მსხვერპლად აქციეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), პოლიტიკური პარტიე-ბისა და ორგანიზაციების განყოფილება (პ), საქმები 613,717,794,869,873,894.
2. მ. ჩავლეიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, ბათუმი, 2012;
3. მ. გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. ბათუმი, 2000

1929 YEARS REBELLION IN AJARA ACCORDING TO THE DOCUMENTS PROTECTED IN ARCHIVES ADMINISTRATION

Summary

In this article according to the documents protected in Ajara Autonomous Republic - Archives Administration is studied 1929 year's rebellion. Based on their analysis are established causes and reasons of the rebellion. The main reason of this rebellion was population's difficult socio-economic and political-legal conditions. There is also discussed about process of the rebellion, clashes between government troops and rebels.

მადონა გოგიტიძე

საქართველოს არაივებში დაცული 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდის მასალები

ამიერეკავკასია, კერძოდ კი საქართველო საუკუნეთა განმავლობაში თავისი გეოგრაფიულ- სტრატეგიული მდებარეობით, ბუნებრივი სიმდიდრითა და როლით ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ევროპისა და აზიის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესების ობიექტს წარმოადგენდა.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდს მიეკუთვნება მე-19 საუკუნის 70-იანი წლები, როცა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მან შეძლო საუკუნეთა წინ დაკარგული მხარის – აჭარის დაბრუნება. ამდენად, ეს პერიოდი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საინტერესოა თვით დოკუმენტურ წყაროებშიც, სადაც პირდაპირი რომელიმე ფაქტის ამსახველი მასალის გარდა, არსებობს ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი სახის დოკუმენტი, რომლებიც ზოგჯერ არსებეთიც კია ქვეეყნის ისტორიისათვის.

აღნიშნული პერიოდის ოსმალეთისა და საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი საინტერესო და სანდო წყაროა იასე რაჭველის წერილები, რომლებსაც იგი თურქეთში ცხოვრების დროს აგზავნიდა ქართულ უურნალ-გაზეთებში იქაური პოლიტიკური ამბებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამდენად იასე რაჭველის ჩანაწერები ხშირად პირველწყაროსაც წარმოადგენს. სწორედ იასე რაჭველი 1877–1878 წლების ომის შესახებ წერდა, რომ „რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა ომს, იგი აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის“. ამ ომზე ამყარებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების იმედებს (ჭიპაშვილი გ., მაჩიტაძე, 1996: 24).

ომი 1878 წელს სან-სტეფანოს ზავით დასრულდა. ზავის თანახმად კავკა-სიაში რუსეთს გადაეცა არტაანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი, მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიებით, სოლანლულის მთებამდე. თუმცა 1878 წლის ბერლინის კონგრესმა რუსეთის მონაპოვარი კავკასიაში მნიშვნელოვნად შეამცირა.

ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლის თანახმად ბათუმი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ძველი სანცხე-საათაბაგოს სხვა მიწებით, აგრეთვე ყარსი, დასავლეთ სომხეთის ნანილი რუსეთს უერთდებოდა. 59-ე მუხლის თანახმად ბათუმს მიენიჭა „პორტო-ფრანკოს“ სტატუსი. ამრიგად, ქართული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის მფარველობაში გადავიდა.

ომის დამთავრების მიუხედავად რუსეთ-ოსმალეთს შორის მეტოქეობა სა-საზღვრო ტერიტორიებზე XIX საუკუნის 80-იან წლებშიც გრძელდებოდა. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა პოლკოვნიკ ერისთავის მიერ 1884 წლის 26 მარტს შედგენილი ოქმი, რომელიც ქუთაისის გუბერნატორს გადაეგზავნა (ქცსა, ფონდი 186, საქმე 92, ფურც.21-22). მიმართვაში ირკვევა, რომ ოსმალე-თის საზღვაო ხომალდების ბურო „ახეყციე“-მ ბათუმში მიითვისა მიწის ფართო-ბი, რომელზეც ოსმალთა მმართველობის პერიოდში არსებულა საბაჟო შენობა. სადავო საქმე ჯერ კიდევ 1882 წლის 22 იანვარს აღძრულა დასახელებული სა-ზოგადოების წარმომადგენლის, ბათუმის ყოფილი მმართველის მაჰმუდ აღას მიერ. მისი უკიაყოფილება გამონვეული იყო ადგილობრივი მილიციის მოქმედე-ბით, რომელმაც „ხელყო თურქული საკუთრება“ შენობის ახლოს. თავადი ერის-თავი მიუთითებდა, რომ თუ ოსმალური დავთრის მიხედვით „საბაჟო ნაგებობა მიწის ნაკვეთით, რომელიც დანომრილია დავთარში 11-ით, არის სახელმწიფო ნაგებობა და იგი თურქული სააგენტოს განკარგულებაშია,“ ასეთ შემთხვევაში, მართალია ნაგებობა ოსმალეთს გადაეცა, მაგრამ სიტყვა „განკარგულება“ ნიშ-ნავს მის დროებით ფლობას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიკავა ბათუმი, ყველა სახელმწიფო საკუთრება მის ხელში გადავიდა, თუმცა ეს გადასვლა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რადგან ეს შენობა კვლავ ოსმალეთის სააგენტოს ხელთ იყო. „Maxeycie“-ს ორგანიზაციამ არა თუ მოასწრო საბაჟო ნაგებობების მითვისება, არამედ შეეცადა კიდეც ამ ნაბიჯის თავისებური ლეგალიზაცია მოეხდინა. სა-საზღვრო კომისიის წარმომადგენლები სთავაზობდნენ ქუთაისის გუბერნატორს კომპეტენტურ იურისტთა შერჩევას საქმის განსახილველად, ხოლო შემდეგ აღ-ნიშნული საკითხის სასამართლოზე გატანას. როგორც საქმიდან ჩანს, საზღვრე-ბის საკითხი, მიუხედავად საჯარო განხილვისა და დადგენილების გამოტანისა, მაინც სადავო იყო.

გარდა ამისა საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სადავო საკითხები არა მხო-ლოდ საზღვრების გამო არსებობდა. მთავარმართებელ გენერალ-ადიუტანტ დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ გუბერნიისა და კავკასიის ცალკეული ოლქების გამგებლებისადმი გაკეთებულ მიმართვაში ირკვევა, რომ ოსმალეთის აზიურ ნაწილში, სადაც ადრე რუსეთის საკონსულო იყო, მიიღეს ოსმალეთის მთავრო-ბის შეტყობინება. დოკუმენტში მითითებული იყო, რომ იმპერია არ სცნობს იმ მოხელეებს, რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობდნენ რუსეთის მიწაზე, მიღებული აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა და ბრუნდებიან ოსმალეთში იმ ქვეყნის პას-ტორტებით. ამ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერია ეყრდნობა კანონს, რომლის მიხედვითაც თურქეთის მოქალაქეებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების უფ-ლებას ბრნყინვალე პორტა აძლევდა. სწორედ ამ ფაქტზე მეტყველებს ქუთაი-სის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული საქმე 107, ფონდი 186 (ფურცე-ლი 6). „მხედველობაში ვიღებთ რა ფაქტს, რომ რუსეთის ელჩობამ კონსტანტი-

ნეპოლში უნდა დაიცვას ადგილობრივი მთავრობის განკარგულებანი, მოვუწოდებ გუბერნიისა და ცალკეული ოლქების გამგებლებს არ დაუშვან მოხელეების მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიკუთვნება (მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი ხანია კავკასიში ცხოვრობენ), არამედ ისინი უნდა დაუკავშირდნენ გუბერნიის კანცელარიას, რომელიც საკითხს გადასცემს რუსეთის საელჩოს კონსტანტინეპოლში.“

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება რა სიფრთხილით ეკიდებოდა ოსმალეთის მთავრობა რუსეთის მიერ მიერთებულ ტერიტორიებზე (მათ შორის რა თქმა უნდა აჭარაში) მცხოვრები პირების ოსმალეთში გადასვლის ფაქტებსაც.

რაც შეეხება თვით რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების საკითხს, ამისთის უცხო სახელმწიფოდან (ოსმალეთიდან, სპარსეთიდან) გადმოსულ პირს აუცილებლად სჭირდებოდა სპეციალური საბუთების შეგროვება და იგი არც ისე იოლი საქმე იყო. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ფაქტს: კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველო დეპარტამენტში ინახება გუბერნატორისთვის გაგზავნილი მიმართვა (1879წ. 9 თებერვალი), სადაც ნათქვამია, რომ ვინმე სერონოვი, რომელიც 1868 წ. გადმოვიდა ოჯახით ახალქალაქის ტერიტორიაზე, სოფ. ხანჩალაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ოფიციალური ქვეშევრდომობა, შესულია მცირე ხანჩალას აღნერაში 20-ით. იგი უკვე 6 წლია ცხოვრობს, მიუხედავად ამისა მისმა შვილებმა მაინც უნდა მიიღონ ქვეშევრდომობა (სცსა, ფონდი 7, აღნ. 1, საქმე 1994).

ასევე მნიშვნელოვანია საქართვლოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ცნობები, კერძოდ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლის მიმოწერა გუბერნატორებთან. 1878 წლის 4 ნოემბრის მიმართვაში ვკითხულობთ: „სამშობლოში დაბრუნების წინ ბევრი თურქი სამხედრო ტყვე გამოთქვამდა რუსეთის ტერიტორიაზე დარჩენის სურვილს, ზოგიერთი ლებულობდა მართლმადიდებლობასაც. ასეთი ტყვეები გაჰყავდათ სევასტოპოლში, რათა მათ თავად მიემართათ თურქეთის კომისრიისთვის, რომელიც დანიშნული იყო თურქეთის მთავრობის მიერ ტვეთა მიღებისთვის. ამის შემდეგ მათ გზავნიან სპეციალურად შერჩეულ ადგილებში, მატარებლით, სამხედრო სამინისტროს ხარჯზე. ამასთან ერთად მათ ჩამოერთმევათ ხელწერა, რომ ისინი აღარ მიმართავენ რუსეთის მთავრობას დახმარებისთვის. მიმართვას ხელს აწერს უფრ. მდივანი: მაკოვი (სცსა, ფონდი 7, აღნ. 1, საქმე 1951).

ასევე საინტერესო ცნობებია დაცული უცხოელ კონსულთა და დიპლომატიური წარმომადგენლების უფლება-მოვალეობების შესახებ, სადაც მითითებულია სხვადასხვა სახის განსაკუთრებული პრივილეგიები საპორტო ქალაქებში. აი რას ვკითხულობთ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში, ფონდი 12, აღნ. 2, საქმე 196 (გრიფი „საიდუმლო“), „მართალია ჩვენს კანონებში არსად არ არის მითითებული უცხოელ კონსულების უფლებების, უპირატესობი-

სა და ვალდებულების შესახებ რუსეთში, მაგრამ პრაქტიკაში შეიქმნა რამდენი-
მე ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ორ ვარიანტში აისახება: 1. რუსეთში
მყოფი უცხოელი კონსულები დიპლომატიური აგენტების როლს არ ასრულებენ,
მაგრამ მიენიჭა რა მათ *exequatur*'-ის როლი, სახელმწიფო ნიშნავს მათ, რათა
მოახდინონ ქვეშევრდომთა დაცვა; 2. კონსულები, ისევე როგორც სხვა უცხოე-
ლები ვალდებულები არიან დაემორჩილონ ყველა ადგილობრივ კანონს.

პირველი ვარიანტიდან უნდა აღინიშნოს, რომ კონსულებს უფლება აქვთ
კერძო პირთა სხვადასხვა საკითხი განიხილონ იმ ადგილების გათვალისწინე-
ბით, სადაც ისინი ცხოვრობენ, ხოლო არა აქვთ უფლება ოფიციალურ უწყებები-
დან (მაგ. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმართებლისგან) მოითხოვონ საერ-
თო საკითხების განხილვა. ასევე ხელმეუბებელია კონსულთა არქივი – კანცე-
ლარია. ადგილობრივ მთავრობას არა აქვს უფლება შეამოწმოს ისინი. განსა-
კუთრებული უფლებები ენიჭებათ კონსულებს, როგორც უკვე აღინიშნა, საპორ-
ტო ქალაქებში. რუსეთის იმპერიამ შეღავათები გაუნია სასაზღვრო მოსახლობა-
საც (თურქეთსა და სპარსეთს). საბოლოოდ აღნიშნულია, რომ: „Вообщем сношения
съ иностранными агентами требуютъ особенного такта ловкости и умения съ
ними обращаться; при этомъ нельзя упускать изъ виду, что Консула, какъ агенты
иностранныхъ правительства будучи подчинены законамъ и постановлениямъ
страны, не подчинены вовсе административнымъ властямъ местности ихъ
пребывания, такое положениеъ делаетъ необходимымъ соблюдение строгой
въежливости и обходительности въ сношенияхъ съ консулами.“

საბოლოოდ, აღნიშნული თემის დასასრულს გვინდა დავამატოთ სამხედრო
პირთა და დამნაშავეთა გადაცემის საკითხიც. 1894 წლის 5 აგვისტოს ყარსის
ოლქის სამხედრო გუბერნატორი აუწყებს კავკასიის სამოქალაქო მთავარმარ-
თებლის კანცელარიის უფროსს, რომ 1880 წელს თურქეთთან გაფორმებული
კონვენცია დამნაშავეთა და სამხედრო დეზერტირთა დაბრუნების თაობაზე მე-
ტად მნიშვნელოვანია. მითუმეტეს რომ ეს საკითხები შეეხება მუსლიმ პირებს.
ისიც ადასტურებს თურქეთის მიერ ამ კონვენციის უგულვებელყოფას, თუმცა
დასძენს, რომ რაც არ უნდა გამკაცრდეს თურქეთის მიმართ ზომები, მაინც ვერ
მოხერხდება კონვენციის შესრულება, ვინაიდან „Это порядок исторический и
едва ли отдельные административные меры, при настящем строб управления
мусулманской державы, могут его покалебать.“ 1894 წელს იგივეს იმეორებს
ქუთაისის კანცელარიის სამხედრო გუბერნატორი. მისი აზრით თათარი დეზერ-
ტირები ბათუმიდან ახერხებდნენ თურქეთში გადასვლას. თურქეთმა 1893 წლის
20 იანვრიდან 1894 წლის 20 ივლისამდე მხოლოდ შვიდი სამხედრო დეზერტირი
გადასცა რუსეთს.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არქივებში დაცული მა-
სალა საკმაოდ მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა დამატებითი ცნობები
მივიღოთ როგორც საკუთრივ საქართველოს (კერძოდ კი აჭარის შესახებ), ასევე
1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდის შესახებაც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჭიპაშვილი გ., მაჩიტაძე., იასე რაჭველი (მეხუთლა) თურქეთის შესახებ,
თსუ, ორიენტალისტური ძიებანი, ნ.5, თბ., 1996.
2. ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 186, საქმე 92
3. ქცსა, ფონდი 186, საქმე 107
4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე
1994
5. სცსა, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 1951
6. სცსა, ფონდი 12, აღწ. 2, საქმე 196

Madonna Gogtidze

GEORGIAN ARCHIVES PROTECTED MATERIALS DURING THE RUSSIAN-TURKISH WAR OF 1877-1878

Summary

Caucasus is more exact Georgia within centuries the geographically strategic arrangement, natural sources and the role in economic in life in the Middle East, in Europe and in Asia was to objects of the state interests.

For Georgia to especially important periods 70 tenth years of the XIX century when as a result of Russian-Turkish war it could return the lost territory - Ajara. The proceeding value of this period it very interestingly it is transferred in documentary sources where except the direct facts there are one look documents in a minor look which important for history the state sometimes is.

მეცნის რუსეთის სამისიონერო საქონიანობა აზარაში

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის (შამილის შეპყრობით) რუსეთის ცარიზმი თვლიდა, რომ მან დაამთავრა კავკასიის დაპყრობა იარაღით და ახლა საჭირო იყო კავკასიის (მათ შორის საქართველოს) მოსახლეობის დამორჩილება და ასიმილირება ისე, რომ კავკასია რუსეთის "ორგანულ" შემადგენელ ნაწილად გადაქცეულიყო. ამაში მათ უნდა დახმარებოდა ეკლესია.

მეფის მოხელეებიდან ყველაზე ადრე ეს დაინახა კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ, რომელმაც გადაწყვიტა "ოსეთის სასულიერო კომისიის" მაგივრად ახალი მძლავრი მასშტაბური და მოქნილი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც საქართველოში და მთლიანად კავკასიაში თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი უნდა ყოფილიყო. 1860 წლის 9 ივნისს შექმნა "კავკასიაში მართლმადიდებელ-ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება".

კავკასიაში "მართლმადიდებელ-ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიზანი იყო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებით ხელი შეეწყო ამ მხარის (კავკასიის) რუსეთთან რაც შეიძლება სწრაფად "დაახლოება" (ასიმილირება).

კავკასიაში "ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" ქონდა თავისი ფილიალები (განყოფილებები), როგორც საქართველოს კუთხეებში, ისე ჩრდ. კავკასიაშიც. ერთ-ერთი ფილიალი იყო აჭარაშიც (ბათუმი).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც აჭარა დედა-სამშობლოს შემოუერთდა (დაუბრუნდა), ბუნებრივია ქრისტიანობის ეს ძველი მხარე "ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა.

მეფის რუსეთის მიერ 1878-1917 წლებში აჭარაში ჩატარებული სარწმუნოებრივი საქმიანობა ნაწილია იმ საეკლესიო პოლიტიკისა, რომელსაც ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ეწეოდა იმპერიაში შემავალი მცირე ერების თუ ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ხალხებში, რომლებიც სხვა სარწმუნოებას აღიარებდა ამ გზით ე.ი. სხვა ხალხების რუსეთის ოფიციალურ სარწმუნოებაზე მოქცევით მეფის რუსეთი უფრო წარმატებით ახორციელებდა თავის კოლონიურ პოლიტიკას (ვ. ტარტარაშვილი, 1980, 23).

მეფის რუსეთს აჭარის შემოერთებისთანავე არ დაუწყია მაპმადიანი ქართველების (აჭარლების) გაქრისტიანების პროპაგანდა. მათ იცოდნენ, რომ აჭარაში ძლიერად არის გამჯდარი მუსლიმანური ფანატიზმი და მისიონერთა მიერ ქრისტიანობის პროპაგანდა უფრო დააფრთხობდა ხალხს.

აგრეთვე გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ როდესაც დამთავრდა მაჰმადიანი ქართველთა თურქეთში ნებით გადასახლების ვადა (1882 წელი), რომელიც ბერლინის ტრაქტატით იყო გათვალისწინებული და როცა 1886 წელს ჩაიკეტა რუსეთ-თურქეთის საზღვარი, რუსეთმაც აამოქმედა თავისი რელიგიური პოლიტიკა ბათუმის ოლქში (აჭარაში) მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების გასაქრისტიანებლად. სამისიონერო საქმიანობის დაწყებამდე 1885 წელს მთავრობამ ბათუმში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ინიციატივით ააშენა ეკლესია, რომელიც ალექსანდრე ნეველის სახელზე აკურთხეს, ეს ეკლესია ააშენეს არა ბათუმის მოქალაქეთა სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლაფდ, არამედ იქ მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობის გაქართველების საწინააღმდეგო საშუალებად. მალე ამ ეკლესიაში აიკრძალა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და გადაეცა სამხედრო უწყებას. (საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1905; № 3-4).

მას შემდეგ, რაც პოლიტიკურად მომწიფდა ამინდი და რუსეთი აშკარად ძალის პოლიტიკაზე გადავიდა თურქეთთან დამოკიდებულებაში, ქალაქი ბათუმი პორტო-ფრანკოდან უშუალოდ რუსულ მმართველობას დაუმორჩილა და თურქეთის პროტესტებს არაფრად აგდებდა, ცარიზმიმა შეცვალა თავისი ე.ნ. ლოიალური გზა მისიონერებისა და პირდაპირ ღიად დაიწყო აჭარაში ქრისტიანი მისიონერების გაგზავნა და პროპაგანდა, ამ მიზნით ბათუმში დაარსდა ”კავკასიაში მართლმადიდებელ-ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების აჭარის (ბათუმის) განყოფილება. მას სათავეში ედგა ”განსაკუთრებული კომიტეტი”, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თავადი ერისთავი, გენერალ-მაიორი თავადი გრიგოლ გურიელი, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე თავადი ლორთქიფანიძე, არქიმანდრიტები ვენიამინი და ამბროსი, ბათუმის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ქიქოძე და აზნაური იონა მეუნარგია (ვ.წვერავა, 2003;128).

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი ვ. ტარტარაშვილი ამ კომიტეტის მუშაობას აჭარაში (ბათუმი, ართვინის ოლქები) უნაყოფოდ თვლის. კომიტეტმა ერთი აჭარელიც კი ვერ გააქრისტიანა და საზოგადოების მიერ გაწეული უამრავი ხარჯი უქმად გადაიყარა. საქართველოს იმუამინდებული ეგზარქოსი პალადი წმინდა სუბიექტური მიზეზებით ხსნიდა აჭარის მაჰმადიან ქართველებში ქრისტიანულ-მისიონერული საქმიანობის ჩაშლას. ეგზარქოსი წერდა, რომ გარდაიცვალა ამ საქმის (მისიონერული მუშაობის) სულისჩამდგმელი თავადი გურიელი, კომიტეტის მეორე ენერგიული წევრი ვიცე-გუბერნატორი თავადი ერისთავი გადადგა, ხოლო კომიტეტის სხვა წევრები ბათუმში არ ცხოვრობდნენ (ტატარაშვილი;1980;24).

სამისიონერო განყოფილების საქმიანობის შესახებ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს 1890 წლის 21 თებერვლის სხდომა, რომლის თითქმის ყველა მონაწილე ამ განყოფილების დაარსებას საჭირო და დროულ საქმედ თვლიდა, მაგრამ

ამავე დროს ფრთხილ და წინდახედულ მოქმედებას მოითხოვდა. მათ არც ის თა-
ვისებურება რჩებოდათ გაუთვალისწინებელი, რომ "ოსმალთა მიერ მიტაცებუ-
ლი ქართული რეგიონებიდან აჭარის მოსახლეობამ ყველაზე კარგად შემოინახა
და შეინარჩუნა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. მაგრამ დრო-
თა ვითარების გამო მამა-პაპურ სჯულზე დაბრუნება დიდ სიძნელეებს უკავ-
შირდებოდა, ამდენად მისიონერთა ყოველ დაუფიქრებელ, გაუფრთხილებელ
ნაბიჯს შეეძლო მეტად რთული ვითარება შეექმნა. ამის გამო სხდომამ სავსებით
სწორად გადაწყვიტა დროებით უარი ეთქვა სამისიონერო პროგრამის განხორ-
ციელებაზე და წინა პლანზე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი
წამოენია. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სხდომამ დაასკვნა, რომ ბათუმის
და ართვინის ოლქებში გაეგზავნათ ორ-ორი წარმომადგენელი ერთი სასულიე-
რო და ერთიც საერო, რომლებიც ადგილზე შეისწავლიდნენ ვითარებას წინას-
წარ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით: 1) აღენერათ ყველა ქრისტიანული
ძეგლი, რომელიც სამოღვაწეო ადგილებში იყო და აღერიცხათ ის ეკლესიები,
ტაძრები და მონასტრები, რომელთა აღდგენა შესაძლებელი იყო; 2) მიეთითები-
ნათ ის დასახლებული ადგილები, სადაც შესაძლებელი და აუცილებელი იყო
სკოლების გახსნა; 3) განესაზღვრათ ის პუნქტები, სადაც მისიონერებს მოსახ-
ლეობა კეთილად მიიღებდა; 4) შეესწავლათ თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზე
თუ რამდენად შემორჩია ადგილებზე ძველი ქრისტიანული ადათ-ჩვევები (შ. მეგ-
რელაძე, 1989; 81).

ამ დადგენილებით 1890 წელს ივნისსა და ივლისში, ყოვლად სამღვდელოს
მინდობილობით ხსენებულ ოლქებში გაემგზავრნენ ოზურგეთის მაზრის
მღვდელი ექვთიმე თალაკვაძე და გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფი-
ლების წევრი და საქმის მწარმოებელი აზნაური იონა მეუნარგია. უურნალი
"მწყემსი" წერდა: ...ამ პირების დანახვა არა თუ საწყენათ არ დაურჩა ამ ადგი-
ლების გამაპმადიანებელ მკვიდრთ, პირიქით ისინი დიდ პატივს სცემდნენ მათ,
როგორც მოწმობს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად ნამყოფი ან განსვენე-
ბული გროსმანი, ერთ საზოგადოებაში იმდენად პატივი სცეს ხსენებულ პირთ,
რომ რადგან ხეირიანი ბინა ვერ უშოვნეს მათ დამის გასათევათ, თვითონ მეჩეთ-
ში მოასვენეს სტუმრები ერთი დამე (უურნალი "მწყემსი 1891, №20").

კომიტეტის გეგმაზომიერი მოქმედების საფუძველზე შესაძლებელი გახდა
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული აღორძინების ვრცელი პროგ-
რამის შემუშავება: 1) დაწყებითი სკოლების გახსნა ქობულეთში, ქედაში, მარა-
დიდში და მურღულში, ამათგან პირველი ორი დიდი სოფელი იყო, მოსახლეო-
ბით და ადგილობრივ ხელისუფლების ცენტრებს წარმოადგენდნენ. სკოლების
გახსნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ისინი ხელს შე-
უწყობდნენ ხალხში ზოგიერთი მივიწყებული ეროვნული კულტურის ჩვევების
აღდგენას, 2) სამკურნალო დაწესებულებების გახსნა ტბეთის ცნობილ ტაძარ-

თან (ართვინის ოლქი) და ქედაში (ბათუმის ოლქი); 3) აღნიშნულ ადგილებში სა-სულიერო პირთა გაგზავნა, რომლებიც მედიცინაშიც იყვნენ გათვითცნობიერებული და ხელსაყრელ პირობებში ძველ ტაძრებსა და ოჯახებშიც საეკლესიო რიტუალებს განახორციელებდნენ (შ. მეგრელაძე, 1989, 81-82).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეგზარქოსმა, რომელიც მეფის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, აჭარიდან გაათავისუფლა ქართველი მისიონერები, რომლებიც მისი აზრით ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული სულის აღორძინებას. მათ ადგილზე კი გაამწესა ბერძენი და რუსი სასულიერო პირები, თუმცა მათი სამრევლოები აჭარაში იყო. აქამდე აქ მღვდლებისა და მისიონერების დანიშვნა იმერეთის ეპისკოპოსის ფუნქციებში შედიოდა. ეგზარქოსმა მას ეს უფლება ჩამოართვა და ახლა თვითონ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. კიდევ მეტი, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მოითხოვა მღვდლელ ლუკა ხუნდაძის სხვაგან გადაყვანა, რადგან ის იყო აჭარაში ქართული საქმის ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლი (სცსაა, ფ.№493, საქ.№1263, ფ.№5). 1902 წელს უწმინდესმა სინოდმა თავისი გადაწყვეტილებით აჭარაში ჩამოსახლებული რუსი მოსახლეობისათვის ააშენა ქვის ეკლესიები. მთავრობა ზრუნავდა რუსი სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (მ. ხუციშვილი. 1987, 85).

მიუხედავად იმისა, რომ ”საზოგადოება“ ატარებდა ცარიზმის მიერ დაკვეთილ პოლიტიკას და სერიოზიული ნაკლოვანებები ჰქონდა, საზოგადოების აჭარის (ბათუმის) განყოფილებამ (ფილიალმა), (რომელიც ქართველებით იყო დაკომპლექტებული) მაინც დადებითი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, რაც ხელს უწყობდა ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული სულისკვეთების აღდგენასა და განმტკიცებას. ეს იყო და ეს. ამის იქით ბათუმის (აჭარის) სამისიონერო განყოფილების მოღვაწეობა არ წასულა, მაგრამ ეს კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მაშინ საამისო პირობები და ვითარება არ არსებობდა და არც შემდგომში შექმნილა. ცარიზმი სამისიონერო საქმიანობაში ქართველ სასულიერო პირებს ნაკლებად ენდობოდა და მაქსიმალურად ცდილობდა ისინი რუსებით შეეცვალა. მათ შორის ბევრი იყო მექრთამე, მრუში და სახელგატეხილი მოხელე-ჩინოვნიკი, რომლებიც თავიანთ მრევლის მორალურ-ზნეობრივ გაკეთილ-შობილებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტარტარაშვილი ვ., მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ 1878-1917 .

2. რელიგიისა ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში თბ.1980
3. ბექირიშვილი ი., ქრისტიანობა აჭარაში, ბათ.1990
4. წვერავა ვ., საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა ხის საუკუნეში, ქუთ. 2003
5. უურნალი "საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარობელი", 1905. №3-4
6. მეგრელაძე შ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახლო წარსულიდან, უურნალი "ჭოროხი" 1989, №4
7. უურნალი "მწყემსი", 1891 №20
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი №493, აღწერა№1, საქმე№1263, ფურცელი№5
9. ხუციშვილი მ. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია მე-19-20 საუკუნეებში, თბ. 1987 წელი.

Vladimer Tsverava

KING RUSSIA MISSIONARY ACTIVITY IN AJARA

Summary

By the end the XIX century (with the conquered of Shamili) Russia government regarded that they finished the conquer of Caucasus by using the army and it was necessary to subordinate the population of Caucasus (among them was Georgia), so, that Caucasus would become the main part of Russia tsarism, in their opinion churches had to help them to fulfil it.

The vicegerant of Caucasus Al. Briatinsk formed the “Orthodox-Christianity development society” instead of “Oseti ecclesiastic commision”, that goal was to “approach and join” Russia as fast as possible by the regeneration of christianity.

“this society” had a lot of branches for acting, one of the branch was formed in Batumi (Achara) in 1889 at first there were Georgian ecclesiastic or secular representatives, but at the end of the XIX century they were led out as they saw a danger in it, as if not to regenerate Georgian spirit. They changed Greek and Russia ecclesiastic representatives. Although, the branch of this “Society” didn’t have a big success, but it played a main role with the cultural-educational activity, that helped the regeneration and consolidation of the national aspiration in Georgia Mohammmedan.

იპრაელის რელიგიური თაობის საქმიანობა პათუმში საარქივო
სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით

(1940-1950-იანი წლები)

XIX ს. მეორე ნახევრიდან ბათუმი სხვადასხვა შინაარსის კულტურისა და რელიგიის თავშესაყარს წარმოადგენდა. ერთის მხრივ, აქ მძლავრად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ამავე დროს გზას იკვლევდა ისლამური, იუდაისტური და სხვა რელიგიური მიმიდინარეობები. ყოველივე ეს, განპირობებული იყო ქალაქის გეოპოლიტიკური მდებარეობით. ბათუმის შემდგომმა განვითარებამ, საპორტო ქალაქად ქცევამ მოიზიდა განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების და თემების ჩამოყალიბება, რომელთა კულტურა ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის ნაწილად იქცა.

დღეისათვის, ბათუმში მართმადიდებლურ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ მუსლიმანები, ბაპტისტები, ეიღოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, იუდაისტები და სხვა აღმსარებლობის ადამიანები.

საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიური მიმდინარეობების კონტროლის მიზნით სახეომსაბჭოსთან შექმნა რელიგიური კულტების საბჭო, რომელსაც ჰყავდა თავისი რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. რწმუნებულები ყოველ კვარტალურად წარუდგენდნენ საკავშირო ორგანოს რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის დეტალურ ანგარიშს. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს რელიგიური კულტურის საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტების ნუსხაში. 2010 წელს მოხდა მათი გამოსაიდუმლოება, რაც ამ საკითხებით დაინეტრესებულ მკვლევარებს მისცემს დასახელებულ ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობის შესაძლებლობას.

ამჯერად შევეხებით ებრაელთა რელიგიური თემის საქმიანობას რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულების — ი. ტუნაძის, მ. ვანილიშის, ი. კალანდაძის კვარტალური ანგარიშების საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული ყოფილა სპეციალური ჯილდო — სამკერდე ნიშანი, რითაც დაჯილდოვებული იყო რელიგიური კულტების საბჭოს

რწმუნებული აჭარაში მუხამედ ვანილიში (ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც. 26). ამ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ბათუმში 1940-ნი წლების მეორე ნახევარში არსებობდა: „მუსლიმანთა”, „ქართველ ეპრაელთა”, „ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტთა” რეგისტრირებული რელიგიური საზოგადოებები, ასევე ბათუმისა და სოუქსუს მოქმედი ეკლესიები (ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 21, ფურც. 1)

ერთი დოკუმენტის მიხევით რელიგიური კულტების რწმუნებული საქართველოში დ. ქურიძე აჭარის არ შესაბამისი უწყებისაგან მოითხოვს ზუსტ ინფორმაციას ეპრაელთა სალოცავის — სინაგოგოს მდგომარეობის შესახებ, რომ თუკი 2 თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფენ სინაგოგის შეკეთებას, აუცილებელი გახდება სამლოცველოს (მდებარეობს 9 მარტის ქ. 6) დახურვა (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 10, ფურცელი — 2).

რწმუნებული ვანილიშის ინფორმაციით ეპრაელთა რელიგიური თემი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდების რელიგიური სწავლების თვალსაზრისით. გახშირდა „მიცვალებულებისადმი მიძღვნილი საღამოები, უკანასკნელად მოჰყავენ კარზინკებში მოკალათებული ქათმები, რომლებსაც ჰკლავს ერთი მოხუცი” (აცსა. ფონდი — 977, ანაწერი — 1, საქმე — 13, ფურცელი — 5,6). ეპრაული თემის გააქტიურებაზე მეტყველებს რელიგიური დღესასწაულების სისტემატური აღნიშვა და ფართო სააგიტაციო საქმიანობა მრევლის გასამრავლებლად. რწმუნებულის თქმით სამლოცველოსთან არსებული ფურნის აღდგენაც ამ მიზანს ემსახურება. 1948 წ. მეორე კვარტლის ანგარიშში დახასიათებულია ეპრაელთა რელიგიური თემი, მორწმუნეთა ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა. რწმუნებულს მორწმუნეთა შორის შეუნიშნავი არ დარჩენია 7 – 13 წლის ასაკის 11 ბავშვი, რწმუნებულს მოუთხოვია ბავშვისგან ქუდის მოხდა და მათ-თვის აუკრძალავს სამლოცველო დაწესებულებაში სიარული, რასაც მოყოლია მორწმუნეთა მხრიდან პროტესტი: „ქუდს ვერ მოვიხდით, ცოდვად გვიწერია,.. ქუთაისში, სოხუმში და სხვაგან დადიან ბავშვები სამლოცველო სახლებში” და ჩვენ რატომ გვიკრძალავო. აკრძალვის მიუხედავად ბავშვები კვლავ მისულან სინაგოგაში, ხოლო ეპრაელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს მამისთვალოვს და მორწმუნე იაკობაშვილს უარი განუცხადებიათ რწმუნებულის მოთხოვნების შესრულებაზე, რის გამოც რწმუნებულს შეუდგენია სათანადო აქტი. ეპრაელებს მხოლოდ ამის შემდეგ მიუციათ რწმუნებულისათვის თანხმობა სამლოცველო სახლში ბავშვების სიარულის აკრძალვის შესახებ (აცსა. ფონდი, 977, ანაწერი, 1, საქმე 16, ფურცელი 5,6). ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ რელიგიური კულტების საბჭოს რესპუბლიკურ უწყებას საყვედური გამოუთქვას ტუნაძისადმი (რწმუნებული აჭარაში) ძალადობრივი ელემენტების გამოყენების გამო და რჩევა მიუცია, რომ ძირითადი აქცენტი გადაეტანა ახსნა-განმარტებით საქმიანობაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხორცის სავაჭროს გახსნასთან დაკავშირებით ებრაელთა მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნის აუცილებლობას ებრაელი მორწმუნები იმ მოტივით ხსნიან, რომ ისინი „სხვის დაკლულს ან პაზარში ნაყიდ ხორცს ანდა ცხოველის სხეულის ყველა ნაწილს” არ ჭამენ, რაზეც უარი მიუღიათ (აცსა., ფონდი 977, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 9, 18). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია „მაცისათვის” (ებრაელთა რელიგიური დაწესებულება) მზადების მიზნით. რწმუნებულის ანგარიშში ნათლად ჩანს მწვავე დაპირისპირება რუს და ქართველ ებრაელებს შორის. მართალია რუსი ებრაელები გაქრისტიანებული არიან „ამ საზოგადოებაში”, მაგრამ სამლოცველოში მათვის „გამოყოფილია ცალკე დერეფანი”. რწმუნებული ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ ებრაელთა საზოგადოებას გააჩნია „160.000 მანეთამდე თანხა, მაგრამ შემნახველ სალაროში შეტანილი აქვთ 1400 მანეთი. ებრაელი მორწმუნები გაურბიან სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს და ცდილობენ სპეცულიაციით და კომბინაციებით ცხოვრებას” (აცსა., ფონდი 977, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 5, 6).

1948 წ. ებრაელთა თემის რაპინად აურჩევიათ ელიგულაშვილი. აღნიშნულთან დაკავშირებით რწმუნებულს მოუთხოვია შესაბამისი ოქმი. რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული საქართველოში და ქურიძე ავალებს რწმუნებულს აჭარაში – კალანდაძეს, რომ დააწესოს მასზე მკაცრი კონტროლი და თუ კი ელიგულაშვილი მიუღებელი აღმოჩნდება შესაბამისი ორგანოებისათვის, მაშინ ჩაერევა მილიცია და მას არ გაატარებენ რეგისტრაციაში (აცსა., ფონდი 977, ანაწერი 1, საქმე 17). დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ელიგულაშვილი შაბათ იაკობის ძე დაბადებული ყოფილა 1886 წელს. იგი ცხოვრობდა ქუთაისში და ბათუმელ ებრაელებს სპეციალურად მოუწვევიათ ბათუმში, რადგან ბათუმის სინაგოგის ყოფილი რაპინი მიხეილ მოძღვრიშვილი არ იყო სათანადო მომზადებული რელიგიური ლოცვებისა და რიტუალების ჩასატარებლად. მოძღვრიშვილი ლოცვების ჩატარებას ახერხებდა ლევინის დახმარებით, რომელიც ბათუმიდან უკვე წავიდა (აცსა., ფონდი 977, საქმე 17, ფურცელი 4, 5). ელიგულაშვილის რაპინად არჩევის შემდეგ საკმაოდ გაგრძელდა რელიგიური თემის საქმიანობა, რაც გამოიხატა რელიგიურ დღესასწაულებზე მორწმუნეთა რაოდენობრივი ზრდის ტენდენციაში. იმისათვის, რომ ელიგულაშვილი არ წასულიყო ბათუმიდან, მისთვის თემს 300 მანეთი დაუნიშნია თვეში, თუმცა წინასწარ მიუციათ 2000 მანეთი და გაურემონტებიათ ბინა (აცსა., ფონდი 977, საქმე 17, ფურცელი 6, 7). მოგვიანებით 1949 წლისათვის მისი ხელფასი გაუზრდიათ 900 მანეთამდე. იგივე წყარო ადასტურებს, რომ მორწმუნეთა რაოდენობრივი ზრდა 1949 წლისათვის შეჩერდა. თუმცა აქ „დადის ყველა მორწმუნე ქართველი ებრაელი, როგორც მოხუცები, ისე ახალგაზრდები, ასევე ქალები”. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია უმცროსი ასაკის ბავშვების წინდაცვეთის ჩვეულებაზე, რომელსაც მისდევდნენ ქართველი ებრაელები. მომ-

დევნო წლების ანგარიშში იკვეთება მორწმუნეთა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების რაოდენობრივი შემცირების ტენდენცია. 1949 წ. ანგარიშის მიხედვით მორწმუნე ეპრაელთა რაოდენობა არის 70 კაცი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რელიგიური დღესასწაულების პერიოდში მშრომელთა შრომის დისციპლინის საკითხების მიმართ.

შედარებით უფრო ვრცელი ინფორმაციაა „მაცის” დღესასწაულთან დაკავშირებით. 1950 წ. ანგარიშის მიხედვით მაცის პერიოდში მოქალაქეებისათვის „მაცის დარიგებას უფასოდ ადგილი არ ჰქონია... რამდენიმე ეპრაელმა შეაგროვა გარკვეული თანხა (7500 მანეთი)“ და ეფრემ ჯანაშვილს ქუთაისიდან ჩამოატანინეს 300 კგ. გამომცხვარი მაცა. საქართველოს რწმუნებულის მითითებით აჭარის რწმუნებული სისტემატიკურად აკონტროლებს სინაგოგის საქმიანობას, აწვდის ზუსტ ინფორმაციას მრევლს, მათ შორის ბავშვების და ქალების რაოდენობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს.

რელიგიური კულტების საბჭო კატეგორიულად უკრძალავდა სააღდგომო დღესასწაულის დროს სინაგოგაში ტრაპეზის მოწყობას, ღარიბებისათვის მაცის დაირგებას (ე.წ. მოეს ხიტიმ), სინაგოგაში დასაჯდომი „ადგილების ყიდვა-გაყიდვა“ და ა.შ. ეპრაელთა რელიგიური თემი განსაკუთრებულით აქტიურობდა „როშ-გაშონის“ (ახალი წელი), „იომ-კიბურ“-ის (განსჯის დღე) და „სუკოტის“ (სუქა) დღესასწაულების დროს. განსაკუთრებული ხალხმრავლობა მაშინ შეინიშნებოდა. ამიტომაც ექცეოდა იგი ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესების სფეროში. ხელისუფლება სერიოზულ დარღვევად აფასებს, „სინაგოგაში უნებართვოდ რედიორეპროდუქტორების დადგმაა ღმერთმსახურების ქუჩაში გადასაცემად; რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ეპრაელთა ოჯახების ჩამოვლას და მათთვის გამოცხადებას სინაგოგაში სავალდებულო დასწრების მიზნით; სინაგოგაში სპეციალური განცხადების გამოკვრას დასაჯდომ ადგილების გაყიდვის მიზნით; სინაგოგაში ადგილების დამაგრებას იმ მორწმუნებზე, რომლებმაც სინაგოგას მეტი ფული „შენირეს“; ხელისუფლების ორგანოების უნებართვოდ სინაგოგის შენობათა გაფართოებას დროებით ფარდულის (წავესის) მიშენების მიზნით და ა.შ. (აცსა., ფონდი 977, საქმე 21, ფურცელი — 14).

ამრიგად, რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლისა და ობიექტური გააზრებისათვის. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ მორწმუნეთა რელიგიური თემების ზედამხედველობის მიზნით სახკომისაბჭოსთან შექმნილი სტრუქტურები წარმოადგენდა მძლავრ ბერკეტს ანტირელიგიური პროპაგანდისა და რელიგიური თემების საქმიანობაზე საბჭოთა ხელისუფლების სრული კონტროლის დამყარების მიზნით.

გამოყენებული წყაროები:

- 1 ასაცაა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ფ. 977, ან. 1, საქმე 10, ფურც. 2
2. ასაცაა, ფონდი 977, ანანერი 1, საქმე 13, ფურც. 5,6
3. ასაცაა, ფონდი 977, საქმე 17, ფურც. 4, 5
4. ასაცაა, ფონდი 977, საქმე 21, ან 1, ფურც. 14

Tamaz Putkaradze

Nato Kikava

Tsitsi Tsintsadze

JEWISH RELIGIOUS COMMUNITY ACTIVITIES IN BATUMI (ACCORDING TO THE DOCUMENTS PROTECTED IN ARCHIVES ADMINISTRATION) (1940-1950S)

Summary

From the second half of XIX century Batumi was presented different contents cultural and religious center. On the one hand, there was presented local population traditional beliefs, at the same time it was exploring the way of Islamic, Judaic and other religious trends. Based to the documents protected in Ajara Archives Administration in the article is discussed about main issues of Jewish religious community activaties in Batumi.

**აშარა პირველ მსოფლიო ომი
(საარა სამართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)**

დიდ სახელმწიფოებს შორის გასაღების ბაზრების, გავლენის სფეროებისა და კოლონიებისათვის ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო დაიძაბა. დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ღრმად გაედგათ ფესვები და იქ თავიანთი გავლენა განემტკიცებინათ. უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთელი პოლიტიკა ათასწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა განუწყვეტელ ეკონომიკურ მეტოქეობას იმის გამო, თუ როგორ ებატონათ მთელ მსოფლიოზე, როგორ ჩაეხშოთ მცირე ეროვნებები, როგორ უზრუნველეყოთ თავის-თვის სამმაგი და ათმაგი მოგება საბანკო კაპიტალისა, რომელმაც მთელი მსოფლიო თავისი გავლენის რკალში მოაქცია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 1914 წლის აგვისტოში დაიწყო I მსოფლიო ომი, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდა 33 ქვეყანა. ეს ქვეყნები გაერთიანებული იყვნენ ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფების გარშემო: 1. გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი; 2. ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, აშშ და სხვა.

გერმანიის იმპერიული ძალების წაქეზებით თურქეთი ომში ჩაება 1914 წლის ოქტომბერში. პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანია „დიდი იმპერიის“ აღდგენა, მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, ვოლგისპირეთისა და თვით შუა აზიის გაერთიანებით (სურგულაძე ა., 1991:171-172).

მსოფლიო ომის დაწყების წინ ამიერკავკასიაში მოქმედება „გერმანიის ფლოტის კავშირი“, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყო უცხოეთში მცხოვრები გერმანელებისათვის, რათა მათ ფულადი თუ სხვა დახმარება გაეწიათ გერმანიის ფლოტის მშენებლობისათვის.

ომის დაწყების წინ ფართოდ გაიშალა შოვინისტურ ნაციონალისტური აგიტაცია რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტთა შორის. პანგერმანისტები იყვნენ ანექსიონისტური მოძრაობის სულისჩადგმელნი, რომლებიც მოითხოვდნენ ენერგიულ ღონისძიებების გატარებას მათი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისათვის. მათი მიზანი იყო შემოეერთებინათ დიდი ტერიტორიები რუსეთის ხარჯზე, სახელდობრ, პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა და კავკასია.

გერმანიის მთავრობას დამპყრობლური პოლიტიკის საკუთარი გეგმაც გააჩნდა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო იმპერიის კანცლერ ჰეტმან ჰოლვეგის

1914 წლის 9 სექტემბრის ბარათში. ეს პროგრამა ითვალისწინებდა რუსეთის გან-დევნას აღმოსავლეთით, მისთვის დასავლეთის გუბერნიების, კერძოდ, კავკასიის წართმევას და მის გადაქცევას გერმანიის კაპიტალის აგრარულ დანამატად.

I მსოფლიო ომის დაწყების წინა წლებში ადგილობრივი ნაციონალიზმი გაი-ფურჩქნა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ფენებში. სომხეთის ბურჟუაზი-ის ინტერესების კარნაბით დაშნავების პარტიამ გააძლიერა ე.ნ. „დიდი სომხეთის აღდგენის პროპაგანდა”.

ასევე გაძლიერდა აზერბაიჯანის გაბატონებულ კლასებში პანისლამისტუ-რი მისწრაფებები, რომლის აქტიური წამქეზებლები იყვნენ თურქეთის იმპერიის რეაქციული ძალები. პანისლამიზმი მიზნად ისახავდა თურქული მოდგმის ხალ-ხთა გაერთიანებას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.

თურქეთის სამხედრო ხროვა, გერმანიის იმპერიალიზმის დახმარებით ლა-მობდა პრაქტიკული მსვლელობა მიეცა თავისი პანისლამისტურ-პანთურქისტუ-ლი ავანტიურისტული პროგრამისათვის, რომელიც ოტომანთა იმპერიის ძალა-უფლების ქვეშ ამიერკავკასიის, ყირიმის, დაღესტნის და შუა აზიის გაერთიანებას ითვალისწინებდა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის იმპერიალიზმა თურქეთი ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკის პლაცდარმად გადააქცია, ხოლო ახალგაზრდა თურქთა ავან-ტიურისტულმა ჯგუფმა ბალკანეთის ომების შემდეგ პანისლამიზმის დროშით ახა-ლი ომისათვის სამზადისი აშკარად დაიწყო, არავისთვის საეჭვო აღარ იყო, რომ სა-ერთო ევროპული ომის დაწყებისთანავე თურქეთი მახვილს ერთერთი პირველთა-განი აღმართავდა.

თურქეთისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ დასაყრდენს ბათუმი წარმო-ადგენდა, სწორედ ამიტომ, გერმანული სამხედრო სტრატეგიის ტრადიციაზე გაზრდილმა ენვერ ფაშამ გადაწყვიტა დაეკავებინა ბათუმი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმი პატარა ზღვისპირა ქალაქი იყო ოთხი ათასი მცხოვრებით. ქალაქში იყო ბაზარი, ქოხმახები, რამდენიმე ვიწრო და მოუ-კირწყლავი ქუჩა. ზღვის პირზე აღმართული იყო ორი დიდი ბატარეა-ბურუნტა-ბიე და მეორე სარი-სუ. მის მახლობლად აშენებული იყო როგორის ნავთის ქარხნის შენობები, ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობით იყო დაფარული.

ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ ნანილში გემებისათვის ერთ-ერთ საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. რუსეთში კაპიტალისტური მე-ურნეობის განვითარების ისტორიაში ბათუმმა, როგორც მსოფლიო მნიშვნელო-ბის ნავსადგურმა უდიდესი როლი შეასრულა. ამიტომაც ბათუმი თავიდანვე იზი-დავდა რუსეთისა და უცხო ქვეყნების კოლონისტებს.

1914 წლის 29 მარტს საფრანგეთის გემი „მედია“-თი კონსტანტინოპოლი-დან ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის უანდარმერიის უფროსი მაიორი ქიაზიმ-ბეი.

ბათუმში, თავისი ხანმოკლე ვიზიტის დროს სამოქალაქო ინსპექტორმა აბ-დულ კადირ-ბეიმ მოასწრო მოლაპარაკება თურქეთის ქვეშევრდომებთან იმის თაობაზე, თუ რა განწყობილება იყო ადგილობრივ მოსახლეობაში. აბდულ კა-დირ-ბეიმ თურქეთის აგენტურის დახმარებით შეძლო გაეგო აგრეთვე რუსეთის არმიის მოქმედება და გეგმები კავკასიაში, კერძოდ ბათუმის ოლქში (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, აღნ. 1 საქმე 681, ფურც. 15).

ომის წლებში უკიდურესად დაიძაბა ერთა შორის ურთიერთობა და ეროვნული საკითხი. ერთნაირი მონდომებით გააქტიურდნენ რუსული შოვინისტური და პანთურქისტული ექსპანსიური წრეები და მიზანსწრაფულად ეწეოდნენ ანტიქარ-თულ საქმიანობას. რუსმა შოვინისტებმა განგებ ატეხეს განგაში ამ ომში აჭარის მოსახლეობის ვითომიცდა თურქოფილური განწყობილების შესახებ – ეს იყო ბოროტი ცილისნამება.

კავკასიაში მცხოვრები თურქების პროპაგანდამ ფართო ხასიათი მიიღო ბათუმის ოლქში. მათ მიერ ბათუმში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი იყო ეუბ ალა დიასამიძე (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, აღნ. 1 საქმე 681, ფურც. 16). მას დაუპირისპირდნენ მემედ აბაშიძე, პაიდარ აბაშიძე, გულო კაიაკაციშვილი, სახიფ-ეფენდი მეხეშიძის, რ. დიასამიძე, ო. გურგენიძე, ა. მიქელაძე, ყედიმ-ალა ზაქარიაძე და სხვები. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ, რათა მოსახლეობაში გაექარნლებინათ ხოჯებისა და მოლების ისლამისტური საქმიანობა და აჭარა შეეყვანათ ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში.

თურქი დამპყრობლები სისტემატიურად აწყობდნენ თავდასხმებს სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში. ავინროებდნენ მოსახლეობას, ანგრევდნენ და აპარტახებდნენ სოფლებს, ქართველი ხალხი აჭარის მოსახლეობის დასახმარებლად ენერგიასა და სახსრებს არ იშურებდა.

კავკასიის ხალხებში დასაყრდენის შექმნის ცდა გერმანიისა და თურქეთის მხრიდან, ჩაიშალა. თურქეთის მიერ დროებით ოკუპირებული ადგილებიდან აჭარის მოსახლეობა ჩრდილოეთისაკენ გარბოდა და თურქ ასკერებს ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდა.

გერმანებმა შექმნეს ჯაშუშურ-დივერსიული ქსელი შულენბერგის ხელმძღვანელობით. ისინი თურქეთის აგენტურაზე დაყრდნობით ვარაუდობდნენ კავკასიაში გავლენის შენარჩუნებას და რუსეთის განდევნას.

ენვერ-ფაშა (1881-1922) ახალგაზრდა თურქთა ლიდერი, კადრის ოფიცერი 1904-1911 წლებში თურქეთის სამხედრო ატაშე ბერლინში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის სამხედრო წრეებთან. 1918 წელს დროებითი ზავის შემდეგ გერმანიაში გაიქცა, სადაც ცდილობდა შემოეკრიბა თავისი მომხრეები მუსტაფა ქემალ-ფაშასთან საბრძოლველად. 1913 წელს ენვერ-ფაშა ჩამოვიდა ბათუმში და ჩაატარა საიდუმლო კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა თურქეთში გადატრია-

ლების მოხდენის გეგმა. მისი ანტიქემალისტური მოღვაწეობა მალევე აღკვეთეს. ამის შემდეგ ის გაემგზავრა შუა აზიაში და სათავეში ჩაუდგა ბასმაჩთა რაზმებს.

გერმანიასა და ინგლისში დიდ შეშფოთებას იწვევდა თურქეთის ფლოტისა და სრუტეების სიმაგრეთა სავალალო მდგომარეობაც. თურქეთს რუსეთთან კავკასიის ფრონტზე ომის წარმოება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შავ ზღვაზე ძლიერი ფლოტი ეყოლებოდა. ეს გარემოება კავკასიაში და ირანის საზღვრებზე მოქმედი არმიის საჭურველით და ცოცხალი ძალით სათანადოდ მომარაგების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ კავკასიის და ირანის მიმართულებით მოქმედი არმიის მომარაგება წარმოებდა ბათუმის ნავსადგურის საშუალებით (სანამ თურქეთი მას დაკარგავდა). 1878 წელს ბათუმის დაკარგვის შემდეგ თურქებს კავკასიის სანაპიროზე დარჩათ ერთადერთი მოხერხებული პუნქტი ტრაპიზონი. შავი ზღვის კომუნიკაციების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. მით უმეტეს ახლა, როდესაც გერმანია რუსეთის არმიის ზურგში ბათუმის რაიონში ფართო სადესანდტო ოპერაციებს გეგმდავდა.

მე-19 საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომების დროს ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი თურქეთს პირდაპირ დახმარებას უწევდა. ამჟამად ასეთი დახმარება (ინგლის-საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციაში თურქეთის შესაძლო მონაწილეობის გამო) გამოირიცხებოდა. ამიტომ საჭირო იყო თურქეთის ფლოტის გაძლიერება, რომელიც ამ დროისათვის მეტად სუსტი იყო. მართლაც, თურქეთის სამხედრო ფლოტის ძირითად საბრძოლო ერთეულებს წარმოადგენდა ორი მოძველებული გერმანული წარმოშობის ხომალდი „კურთიუსტი – ფრიდრიხი ვილჰელმი“ და „ვაისენბურგი“. თურქეთის სამხედრო-საზღვაო შემდაგნელობას არ ჰქონდა არავითარი საბრძოლო გამოცდილება. თურქეთს არც წყალქვემა ნავები ჰყავდა. ასეთ პირობებში რუსეთის სამხედრო უპირატესობა თურქეთის ფლოტთან ეჭვს არ იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფლოტის სახაზო გეგმები უკვე საკმაოდ მოძველებული იყო, ეს არა მარტო აძნელებდა თურქეთის არმიის მოქმედებას კავკასიაში, არამედ უსპობდა თურქებს საშუალებას დაეცვათ სრუტეები და სტამბული რუსეთის მხრიდან არმიისა და ფლოტის სადესანტო ოპერაციების შემთხვევაში. შავ ზღვაზე თურქეთის ფლოტის ბატონობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გამოც, რომ რუსეთი ძირითადი სტრატეგიული მოსაზრებით საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის რაიონებში რკინიგზისა და გზების მშენებლობას ყოველმხრივ უშლიდა ხელს.

ამრიგად, შავ ზღვაზე სრული ბატონობის დასამყარებლად გერმანიასა და თურქეთს ფლოტის მკვეთრ გაძლიერებასთან ერთად ბათუმის დაკავება სჭირდებოდათ, რისი შესაძლებლობა არც თურქეთს და არც მის მოკავშირე გერმანიას მაშინ არ გააჩნდა.

პირველი მსოფლიო ომის (მომზადების) დროს თურქეთი იმედოვნებდა, რომ ძირითად საბრძოლო ოპერაციებს კავკასიაში ბათუმზე დაყრდნობით განახორ-

ციელებდა. თურქეთის გენერალურ შტაბს ბათუმის ხელში ჩასაგდებად განზრა- ხული ჰქონდა შეექმნა დამხმარე საომარი მიმართულებანი მტკვრისა და ჭორო- ხის ხეობებში და აღედგინა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე არსე- ბული საზღვრები, რის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ამიერკავკასიაში ღრმად შეჭრა.

სექტემბრის დასაწყისში, თითქმის ორი თვით ადრე, სანამ თურქეთი ომში ჩაებმებოდა, ენვერ-ფაშა მე-3 არმიას აძლევდა მითითებას: „არმია კონცენტრი- რებული უნდა იქნეს არზრუმის რაიონში იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს რუსე- თის არმიის შემოტევის შემთხვევაში თვითონ შეუტიოს თავისი ჭარბი ძალებით მის ცალკეულ კოლონებს. ამავე დროს არმიამ უნდა შეძლოს საზღვარს გადალახ- ვა და ბათუმის დაკავება“. ენვერ ფაშამ დიდი გაჭირებით შეძლო კავკასიის საზ- ღვრებთან შეეკრიბა 190 000 ჯარისკაცი. აი, ეს იყო ძალა რომელსაც მისი აზრით უნდა გადაეწყვიტა თურქეთის ძირითადი ამოცანა ამ ომში და დაეპყრო კავკასია.

პირველი შეტაკება თურქეთსა და რუსეთის რეგულარულ ნაწილებს შორის მოხდა 1914 წლის 1 ნოემბერს ჰასანკალე-სარიყამიშის გზაზე, ხოლო 4 ნოემბერს მე-3 არმიის საედალმა ჰასან იზეთ ფაშამ ენვერის დეპეშა მიიღო, სადაც იგი დაუ- ყოვნებლივ მოითხოვდა რუსეთის ნინააღმდეგ აქტიური მოქმედების დაწყებას.

თურქეთის არმიის წარმატებებმა ბათუმის ოლქში და „ქერიფქეის“ ოპერა- ციამ, როდესაც ბრძოლაში მხოლოდ რუსეთის არმიის ავანგარდები მონაწილეობ- დნენ, ენვერ-ფაშას განუმტკიცა ყალბი რწმენა, რომ რუსეთის არმია არ იყო თურ- ქეთის არმიაზე ძლიერი და გააძევდინა სარიყამიშის უპრეცენდენტო ავანტიურის დაწყება, რომელიც თავის მხრივ ნაწილი იყო შორს გამიზნული ავანტიურისტუ- ლი გეგმისა. ამით თურქები ცდილობდნენ რუსეთის სიღრმეში შესვლას, მაგრამ ეს პირველი ცდა თურქებისათვის კატასტროფით დამთავრდა. სარიყამიშის ბრძოლებში თავი ისახელა კორპუსის სარდალმა გენერალმა ვასილ გაბაშვილმა.

შეტევის ჩაშლასთან ერთად ჩაიშალა თურქებისა და გერმანელების იმედე- ბი, რომლებსაც ისინი ამიერკავკასიაში თავის აგენტურაზე ამყარებდნენ. ახალ- გაზრდა თურქთა მრავალრიცხვოვანმა ემისრებმა ვერ შეძლეს ოსმალეთის სასარ- გებლოდ რაიმე მნიშვნელოვანი ძალის მქონე მოძრაობის შექმნა და ხალხში და- საყრდენის პოვნა. ენვერ-ფაშას დაპირებანი ამიერკავკასიის მუსლიმანურ მოსახ- ლეობაში აჯანყების მოწყობის შესახებ მხოლოდ ბაქიბუქი გამოდგა. მისი განცხა- დებით საკმარისი იქნებოდა თურქებით და მუსლიმანებით დასახლებულ რუსე- თის რაიონებში ოსმალო ასკერების გამოჩენა, რომ მოსახლეობა იარაღით ხელში გამოსულიყო თურანის საქმისათვის საბრძოლველად. ამას ამტკიცებდა ენვერ- ფაშა მაშინაც, როდესაც სარიყამაშის ოპერაციის წინ მან მაიორ შტანკეს სარ- დლობით დესანტის გადასხა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ომის დაწყებადე თურ- ქებს დაგეგმილი ჰქონდათ ამგვარი ოპერაცია, რათა ხელში ჩაეგდო ბათუმი. ისი- ნი შეუდგნენ კიდეც ნიადაგის მომზადებას. ოსმალეთის სასარგებლო პროპაგან-

დას ენეოდნენ ადგილობრივი ფეოდალ-ბეგები და მუსლიმანური სამღვდელოება, მაგრამ ოსმალეთის ემისრების, ბეგებისა და სამღვდელოების აგიტაციამ, ძალა-დობამ და მუქარამ შედეგი ვერ გამოილო.

ბათუმის ოლქის ოკუპაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ოსმალეთის პოლიტიკური სტრატეგია ამიერკავკასიის საკითხში ითვალისწინებდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგების გადასინჯვას, ე.ი. ყარსის, არდაპანის და ბათუმის ოლქების კვლავ მიერთებას. საომარი მოქმედების დასაწყისში ოსმალებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ შემდეგ დაიკავეს არდაპანი, ართვინი და მოადგნენ ბათუმს, მაგრამ 1915 წლის თებერვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, რუსეთის ჯარებმა ოსმალები ართვინამდე უკუაგდეს. 1916 წლის თებერვალში დაეცა ერზრუმი, აპრილში კი რუსებმა აიღეს ტრაპიზონიც.

ერზინჯანის ხელშეკრულებით მიღწეული იქნა შეთანხმება ამიერკავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების შეჩერების შესახებ. ბრესტის ზავმა კი ოსმალებს გზა გაუხსნა ბათუმისაკენ. ტრაპიზონის კონფერენციის დროს საომარი მოქმედებები უკვე განახლებული იყო.

1918 წლის 24 მარტს ოსმალებმა ამიერკავკასიის დელეგაციას წარუდგინეს ულტიმატუმი. ისინი ამიერკავკასიის მთავრობისაგან ბრესტის ზავის პირობების უსიტყვოდ მიღებას მოითხოვდნენ. დრო განისაზღვრა მხოლოდ 48 საათით. ოსმალთა ეს წინადადება ამიერკავკასიის სეიმს ემცნო და მიღებული იქნა გადაწყვეტილება ოსმალეთისათვის ტერიტორიების დათმობის შესახებ (ყარსის ოლქი, არდაგანის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი, ართვინის მაზრა). რთული მდგომარეობის მიუხედავად საქართველოს უბრძოლველად არ დაუთმია არც ერთი გოჯი მიწა.

მართალია, აჭარა დედასამშობლოს მე-19 საუკუნის II ნახევარში დაუბრუნდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა არ ქმნიდა ამ მხარის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენის სწრაფად დაძლევის შესაძლებლობას.

რუსი კადეტის ა. მასლოვის აზრით, ოსმალეთის წარმატებას ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფვამ ერთმორწმუნე ხალხისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, მისი თქმით სამხრეთელები, მათ შორის აჭარლები ძალას აფასებენ და რამდენადაც, ოსმალთა სამხედრო ძლიერება ჭარბობდა ამიერკავკასიის ფრონტზე არსებულ მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობებს, ამდენად სიმპათიები ოსმალეთა მხარეს გადაიხარაო (ფონდი ი-67, ალწ. 1, საქმე 13, ფურც. 18). ცხადია, ეს იყო მცდარი და ტენდენციური მოსაზრება, რადგანაც აჭარის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აშკარად გამოხატული ანტიოსმალური განწყობილებით გამოირჩეოდა, რაც შესანიშნავად გამოჩატული ოსმალთა მიერ ბათუმის ოლქის ექვსთვიანი ოკუპაციის პერიოდში.

1918 წლის დასაწყისში აჭარაში მომრავლდნენ თურქოფილები, რომლებიც სოფლად ანტიეროვნულ მუშაობას ეწეოდნენ. მაგრამ ისინი მიზანს ვერ აღწევდნენ. 1918 წლის მარტში, ოსმალთა შემოტევის წინ, აჭარაში საგრძნობლად ამოქმედდა ამ ქვეყნის აგენტურა. ოსმალეთის სამხედრო ძალებმა თავი მოიყარეს ტრაპიზონში. უკვე გასაგები იყო, რომ ეს ქალაქი მალე ბათუმის მიმართულებით საომარი მოქმედების ბაზად გადაიქცეოდა.

22 მარტს ოსმალეთის სამხედრო ძალები, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შეტევაზე გადმოვიდნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული საჯარისო ნაწილებით ტრაპიზონის მიმართულებით ფრონტის შევსებას, მაგრამ ქართული ჯარი ამ დროს ჩამოყალიბების პროცესში იყო, ჯარის ნაწილები მიმოფანტული იყვნენ სხვადასხვა ადგილებში (ზოსიძე 6., 1995:33).

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმა, რომელმაც გადაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობისაგან სახალხო გვარდიის სახით შეექმნა შეიარაღებული რაზმი, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა ოლქის დაცვაში.

ბათუმის შენარჩუნების საქმეში ყველაზე რეალურ დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საბჭო, მაგრამ არახელსაყრელმა პოლიტიკურმა კლიმატმა თავისი როლი ითამაშა და ეროვნული ძალების მოძრაობამ ამ ეტაპზე დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. 1918 წლის მარტის ბოლოსათვის ბათუმი საომარი მდგომარეობის ყაიდაზე ცხოვრობდა. გამოცხადებული იქნა 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია. ბათუმის თვითმმართველობამ გამოსცა ბრძანება ხანშიშესული მამაკაცებისა საპატრულო-საპოლიციო სამსახურში გაწვევის შესახებ, ხოლო გამოთავისუფლებული წესრიგის დამცველთა რაზმი ფრონტზე გაიგზავნა (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 126). ბათუმში თავი მოიყარეს მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალებმა. 28 მარტს ბრძოლა გაიმართა სოფელ ერგესთან. ერგე დაეცა და ოსმალებს გზა გაეხსნათ ბათუმისაკენ. 1 აპრილს მათ დაიკავეს ბათუმი. აჭარის დედასამშობლოსთან ჩამოშორება დიდი ტრაგედია იყო. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების უნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა ბათუმის ოლქის კვლავ შემორთება.

1918 წლის 1 აპრილს დილიდანვე გამოფინეს ქალაქში რუსული, გერმანული, ბერძნული და უკრაინული დროშები. ბათუმის თვითმმართველობის შენობასთან შეიკრიბა ქალაქის ინტელიგენცია. გადაწყდა ოსმალებთან დელეგაციის გაგზავნა. პარლამენტარები: ლორთქიფანიძე, თავბერიძე და დიმიტრიადი ავტომობილზე აღმართული თეთრი დროშით გაემართნენ ოსმალთა პოსტისაკენ. მათ უკან გაყვა ოსმალეთის არმიის პოლკოვნიკი, რომელმაც შეკრებილთ უთხრა: „არმიის მეთაურის ვეჰიბ ფაშას ბრძანებით გიცხადებთ მადლობას პარლამენტარების გამოგზავნისათვის და პოლიციისათვის, რომელიც წესრიგს იცავს ქალაქში; ჩვენ ვთხოვთ პო-

ლიციას დარჩეს თავის ადგილებზე, ხოლო საღამოთი დაიშალონ სახლებში, რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ჩვენი ჯარები შემოვლენ ქალაქში და მოსახლეობის მხრივ თუ იქნება ლოიალური დამოკიდებულება, მაშინ მცხოვრებთ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ” (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონ-დი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 132).

ამის შემდეგ ქალაქში დაიწყო ჯარის ნაწილების შემოსვლა. 2 აპრილს ოსმალთა საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბრძანება, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგებოდა. ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდის დაცვისაკენ, ურჩებს ემუქრებოდა სამხედრო-საველე სასამართლოებით, ამასთანავე მოითხოვდა ხალხში არსებული ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებას (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონ-დი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 134). პირველი ღონისძიება, რითაც ოსმალურმა ხელისუფლებამ ოლქის მართვა დაიწყო, სახელმწიფო ქონების აღწერა იყო. კონფისკაცია უყვეს საექსპორტო ნავთობის მარაგს. მოსახლეობას აეკრძალა ნავთობპროდუქტების უნებრათოდ გატანა. ოსმალები აღნიშნავდნენ, რომ მათ აკლდათ საწვავი და ამდენად ბათუმის მარაგი მათთვის ძვირფას შენაძენს წარმოადგენდა (აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონ-დი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 137).

1918 წლის 4 აპრილს აჭარას ესტუმრა ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა. ქალაქის თვითმმართველობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბინიათ-ოღლიმ. თავის გამოსვლაში ენვერ ფაშამ აღნიშნა, რომ ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძევლი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებელი (ფონ-დი ი-7, აღწ.1, საქმე 692, ფურც. 4). „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედა სამშობლოს” (ფონ-დი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 149). ასე დაასრულა თავისი სიტყვა ოტომანთა მინისტრმა. ეს იყო დამპყრობთა მხრივ პირველი პოლიტიკური განცხადება აჭარის ოკუპაციის შემდეგ.

ამის პარალელურად გრძელდებოდა ახალი ტერიტორიების ანექსია. ოსმალებს აღარ აკმაყოფილებდათ ბრესტის ზავის პირობები. 5 აპრილს ბრძოლები გაიმართა მდ. ჩოლოქთან. ოსმალებმა ჩოლოქთან სასტიკი მარცხი განიცადეს, სამაგიეროდ ოზურგეთის მიმართულებით იოლი გამარჯვება მოიპოვეს, რადგანაც ქართულმა ჯარმა დატოვა ოზურგეთი და გადაინაცვლა ჩოხატაურში. 11 აპრილს დაიწყო შეტევა ოზურგეთზე. შეიქმნა მტრის განდევნის შესაძლებლობა, მაგრამ გენერალ გ. მაზნიაშვილს თბილისიდან მოულოდნელად საომარი მოქმედების შეჩერების ბრძანება მოუვიდა. ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის დაიდო დროებითი ზავი. 1918 წლის 15 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავმჯდომარის აკაკი ჩხერიელის სახელზე მოვიდა ოს-

მალთა ჯარების სარდლის ვეჰიბ ფაშას დეპეშა ტრაპიზონის კონფერენციის გაგრძლების შესახებ. მოლაპარაკების ადგილად აირჩიეს ბათუმი.

ბათუმის საზავო კონფერენცია მუშაობას შუედგა 1918 წლის 11 მაისს. ოსმალების მიერ შემოთავაზებული ზავისა და ხელშეკრულების პროექტი აშკარად ანექსიურ ხასიათს ატარებდა. მაისის მეორე ნახევრიდან გერმანიის წარმომადგენლობა აქტიურად ჩაეხა საზავო მოლაპარაკებებში, რადგან აშკარა გახდა ამიერკავკასიაში ამ ქვეყნის ინტერესების შეზღუდვის საფრთხე. ოტომანთა დელეგაციისადმი ფონ ლოსოვის მიერ გადაცემული ნოტა გამოხატავდა პროტესტს, ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიათა ექსპანსიის გამო.

მიმდინარე ოშში გერმანიის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ამიტომ მასზე ორიენტაციის აღება სწორი იყო. დასუსტებულ საქართველოს მხოლოდ ამ გზით შეეძლო შეეჩერებინა ოსმალეთის აშკარა ზეწოლა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამავე წლის 4 ივნისს დაიდო ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება ოტომანთა იმპერიის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის. თერიტორიები - მდინარე ჩოლოქიდან დაწყებული, ვიდრე აბასთუმანამდე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ოსმალეთის ხელში გადადიოდა.

1918 წლის 14 ივლისს ოსმალთა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი აზრის გაგების მიზნით, აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი, რათა გარკვეულიყო ამ კუთხის მოსახლეობის ორიენტაციის საკითხი. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის მცირე ნაწილმა. რეფერენდუმი ოდნავადაც არ გამოხატავდა მოსახლეობის ნება-სურვილს. ოსმალეთის მთავრობა ამ გზით ცდილობდა დაეკანონებინა თავისი უფლებები მიერთებულ ოლქებზე.

ცხადია, აჭარის მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ოსმალურ რეჟიმს და პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავდა. ათასობით ადამიანი დაირაზმა მემედ აბაშიძის, რეჯებ ნიუარაძის, ქემალ ნოღაიდელის, უსუფ ქათამაძის, სულეიმან ნიუარაძის, ჰადარ აბაშიძის, ჯემალ ქიქავას და სხვა პატრიოტების გარშემო. ამ დროს თბილისში უკვე დაარსებული იყო „სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე. კომიტეტი მთელი სიცხადით ამხელდა საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრეს და აუტანლობას. ოსმალებმა ბათუმში არ მიიღეს ქართველი ელჩი, რომლის წარმომადგენლობა ადრე მარინის ქუჩაზე, საბაშვილის სახლში იყო მოთავსებული. იმხანად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ასკერთა მარადიორობა, ადგილობრივი ადათ-წესების შეურაცხყოფა. რასაც თან ახლდა მკვლელობები. ასკერთა მკვლელობისათვის ოსმალურმა სასამართლომ შემოიღო სიკვდილით დასჯა (ფონდი ი-67, აღწ. 1, საქმე 15, ფურც. 194).

ოსმალები შემოსვლისთანავე შეეცადნენ ბათუმის იერსახის შეცვლას. ბათუმის გუბერნატორის ბრძანებით 1918 წლის 22 აგვისტოდან მარინის პროს-

ქპეტს უწოდეს სულთან სელიმის სახელი, პეტროგრადისას-კონსტანტინეპოლის, ტურგენევისას-ჰაზი მუხტარ ჰაჯის, პუშკინისას-არდაჰანის, გრიბოედოვის ქუჩას – ართვინის, ქუთაისის ქუჩას - აზიზიეს და ა.შ. აბრეშს მხოლოდ თურქულ ნარწერებს უკეთდებოდა (ფონდი ი-67, აღწ.1, ს. 982, ფურც. 1).

ოსმალთა შემოსვლამ შეაფერხა აჭარაში კულტურული ცხოვრებაც. 1918 წლის აგვისტოში ქალაქის თვითმმართველობის მოთხოვნით ოლქის გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება ქართული, რუსული, ბერძნული, ებრაული მოსახლეობისა და ქართველ მუსლიმანთათვის თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნის შესახებ. ამ სასწავლებლებში თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. დაიხურა ყველა ქართული გაზეთი და გამომცემლობა.

1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების გამარჯვებით წერტილი დაესვა ოტომანთა იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას. ოსმალეთმა უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებულთა ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გამოყვანისა. მოკლე დროში საქართველოს კვლავ უნდა შეერთებოდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ბათუმის მთელი ოლქი. ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან შეერთებისათვის ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. განუზომელი იყო ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელის და სულისჩამდგმელის მემედ აბაშიძის ღვანლი.

1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისელებთან ხელი მოაწერა ზავს, ხოლო ნოემბრის ბოლოს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა და იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმის ოლქი (ზოსიძე ნ., 1995:64-65).

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცა(აჭარის ა რ საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ფონდი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 132, 137
2. ფონდი ი-1, აღწ.1 საქმე 681, ფურც. 16.
3. ფონდი ი-7, აღწ.1, საქმე 692, ფურც. 4
4. ფონდი ი-67, აღწ.1, საქმე 14, ფურც. 149
5. ფონდი ი-67, აღწ.1, საქმე 15, ფურც. 194
6. ფონდი ი-67, აღწ.1, საქმე 982, ფურც. 1
7. სურგულაძე ა., საქართველოს ისტორია. თბილისი, 1991
8. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995

Ajara in First World War
according to the documents protected in Archives Administration
Summary

At the beginning of the XX century international situation has become tenser, because of between big states fight for colonies, markets and sphere of influence. All these eventually caused the war. In article according to the archival data is presented issues connected with this war.

გათუმას მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის
ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი
(ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით)

საქართველოს სინამდვილეში, მისი სახელმწიფო ბრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებული ადგილი უკავია **სამხრეთ-და-სავლეთ და სამხრეთ რეგიონებს.**

ძველი წელთაღრიცხვის სილრმეებიდან მოყოლებული, საქართველოს ისტორიაში არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, მეტ-ნაკლები ფორმით სწორედაც, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონთანაა დაკავშირებული.

ამის ერთ-ერთი დასტურია **ახ. 6. I ს-ში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებული რამდენიმე ისტორიული ფაქტი.**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ კი - აჭარა, არის ადგილი, საიდანაც ანდრია პირველწოდებულის ქადაგებით მთელ დანარჩენ საქართველოში [ქართლის სამეფოში] ქრისტიანობის გავრცელება დაიწყო.

ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქართული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ ერთიანი სივრციდან აჭარის იძულებითი ჩამოცილება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდს — XVI-XVII ს.ს. უკავშირდება, როდესაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთიდან ირანის იმპერია დაუმეზობლდა.

როგორც ისტორიოგრაფიიდანაა ცნობილი ირან-ოსმალეთს შორის პირველი ომი 1514-1555 წლებში მიმდინარეობდა და ის 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით დასრულდა¹², რამაც მთლიანად შეცვალა იმდროინდელი სამყაროს გეოპოლიტიკური სიტუაცია.

ამასის ზავის შედეგად მოპოვებული „მშვიდობის“ შემდეგ ირანი და ოსმალეთი მთელ ყურდაღებას ამიერკავკასიისაკენ მომართავენ. მათი გამუდმებული თავდასხმის შედეგი იყო ის, რომ — „...XVI ს-ის მეორე ნახევარში ირანმა კახეთს წახურის სამფლობელო წაართვა...“¹³, ხოლო „...XVI სუკუნის შუა წლებისათვის თურქებმა ხელთ იგდეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი, ხოლო ამავე საუკუნის 80-90-იან წლებში მთელი — სამთავრო. ამიერიდან ქართლის უკიდურესი

¹² ვ. გუჩია, „ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, 1973 წ., გვ. 112-113;

¹³ ვ. გუჩია, „საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 წ., გვ. 157;

სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი ტაშისკარი იყო. თურქეთის შემადგენლობაში მო-
ექცა აჭარა და ჭანეთიც...”¹⁴.

1579 წელს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე
ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსა¹⁵: „...XVII ს. ახალციხის საფაშო 13 სან-
ჯაყისაგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარა-
ქი, ფოცხვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფი-ლი-
ვანა და შავშეთი, სამცხე-საათაბაგოს ზოგი პროვინცია კი – ისპირი, თორთუმი,
პატარა არტაანი, ნამერვანი — ოსმალებმა სხვა ვილაიეთებში გააერთიანეს...”¹⁶.

სამწუხაროდ, XVI-XVII ს-ში ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ძირ-
ძველი ქართული მინების დაბრუნება მხოლოდ XIX ს-ის 70-იან წლებში მოხერხდა.

XIX ს-ის 70-იან წლებში ბალკანეთის ნ.კ.-სა და ამიერკავკასიაში ძალთა ხე-
ლახალი გადანაწილებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდა
რუსეთი და ოსმალეთი. ეს დაპირისპირება 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის
მორიგ ომში გადაიზარდა¹⁷. ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა: „...1878
წლის 19 თებერვალს სტამბულიდან დასავლეთით თორმეტი კილომეტრის დაშო-
რებით მდებარე დაბა სან-სტეფანში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ნინასნარი
ზავი დაიდო. სან-სტეფანოს ზავის მიხედვით, სერბიამ, ჩერნოგორიამ და რუმი-
ნეთმა დამოუკიდებლობა მიიღეს. ბულგარეთმა შეიერთა მაკედონია და ოსმა-
ლეთში შემავალ ავტონომიურ სამთავროდ იქცა...სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა
მიიღო სამხრეთ ბესარაბია. კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა:
არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ...

სან-სტეფანოს ზავი კიდევ უფრო მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის ქვეყნები-
სათვის... 1878 წლის 1 ივნისს, ბერლინში გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბის-
მარკის თავმჯდომარეობით, მუშაობას შეუდგა 1856 წლის პარიზის ზავზე ხელ-
მომწერი ქვეყნების კონგრესი. კონგრესზე რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა...
1878 წლის 1 ივნისს ხელი მოეწერა ბერლინის ტრაქტატს. ბერლინის ტრაქტატით
დადასტურდა რუმინეთის, სერბიისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა. ბულ-
გარეთი ორად გაიყო... კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ყარსი და
არტაანი. აჭარა, ბათუმითურთ, ასევე რუსეთის მფლობელობაში გადავიდა,
ოღონდ იმ პირობით, რომ ბათუმი „პრონტო ფრანკოდ“ (თავისუფალი ქალაქ-ნავ-

¹⁴ ვ. გუჩუა, „საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII ს.ს.“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 226;

¹⁵ ს. სალუაშვილი, „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის ისტორიული მიმოხილვა ფარნავაზიდან დღემდე“, თბ. 2012 წ., გვ. 34;

¹⁶ გ. ჯამბურია, „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 355;

¹⁷ „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, 2004 წ., გვ. 185-191;

სადგურად) გამცხადდებოდა...რუსეთის ჯარები და ქართველთა სახალხო ლაშ-ქარი პათუმში 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა...¹⁸.

აჭარის დედასამშობლოში დაპრუნება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. თუმცა, რუსეთის იმპერიას თავისი გეგმები ჰქონდა: „...რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მაპმადიანი ქართველების (აჭარლების) ოსმალეთში გადასახლება (მუჰაჯირობა)... რუსეთი დაინტერესებული იყო სახელმწიფო საზღვრის რაიონიდან რაც შეიძლება მეტი მაპმადიანი ქართველი მოეშორებინა. ამიტომაც, რუსებმა აჭარის მაპმადიან მოსახლეობას აუტანელი პირობები შეუქმნა. მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ოსმალეთის აგენტურაც... სულ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მუჰაჯირობის პერიოდში აჭარიდან გადაიხვეწა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მაპმადიანი...“¹⁹.

სანამ უშუალოდ ჩვენი თემის მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ XIX ს. დასაწყისიდან საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიაში მიმდინარე პროცესები.

1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტით პავლე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა.²⁰

პავლე I-ის მკვლელობისა და ტახტზე ალექსანდრე I-ის ასვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი საბოლოოდ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გადაწყდა. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I აუქმებდა ქართლ-კახეთის სამეფოს და მას რუსეთს იმპერიის გუბერნიად აცხადებდა.

რუსეთის საიმპერატორო კარმა სხვა მრავალ სკითხთან ერთად საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციაზეც დაიწყო მუშაობა: „...საეკლესიო რეფორმა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს მთავარმმართებელს გენერალ კნორინგს დაავალა, რომელმაც შეისწავლა და მოიძია სათანადო ცნობები საქართველოს ეკლესიის მდგომარეობაზე და 1801 წლის თებერვალში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს (ბაგრატიონი) წერილობით მიმართა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო იმპერატორობითი უმაღლესობა გაცნობებთ, რომ მიაწოდოთ ცნობები ქართველი სამლენი მდგომარეობაზე...“-ო²¹.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რეფორმაზე მუშაობა გააგრძელეს საქართველოს მთავარმართებლებმა — ციციანოვმა და ტორმასოვმა. ამ უკანასკნელმა 1809 წლის 6 ივნისს უწმინდეს სინოდს წარუდგინა პროექტი, რომლის თანახმადაც — „...საქართველოში სასულიერო მმართველობის ახალ ორგანოს — დიკასტერიას სათავეში უნდა ჩადგომოდა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II,

¹⁸ „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, გვ. 190-191;

¹⁹ „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, გვ. 191;

²⁰ „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, გვ. 43; იხ. აგრეთვე ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1914 წ.წ.)“, 2008 წ. გვ. 27;

²¹ ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ 31;

ხოლო მის მოადგილედ კი დადგინებული იყო რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავარი და რუსული საეკლესიო მმართველობის სისტემაში ღრმად განსწავლული ვარლამ ერისთავი...²².

აღნიშნული პროექტი მოიწონა საიმპერატორო კარმა და **1811 წლის 30 ივნისს** ალექსანდრე I-მა მას ხელი მოაწერა. დიკასტერიამ 1815 წლის 8 მაისამდე იარსება, „...როდესაც იმპერატორის ბრძანებით 1814 წლის 30 აგვისტოს თბილისში დიკასტერიას ჩაენაცვლა საქართველო-იმერეთის სინოდალური [სინოდის – ს.ს.] კანტორა. კანტორის დაარსებას იმპერატორმა 1814 წლის 17 ოქტომბერს მოაწერა ხელი...“²³.

„წმინდა სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას“ სათავეში ეგზარქოსი ედგა²⁴.

— „...1811 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს იურისდიქციაში მოექცა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული რეგიონები — ქართლი და კახეთი, რომლებიც ეკლესიურად შევიდნენ მცხეთა-ქართლისა და ალავერდ-კახეთის ეპარქიების შემადგენლობაში.

1815 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს უფლებებში აღმოჩნდა საქართველოს მთელი ტერიტორია და ეკლესიურად მას იმერეთის ეპარქიაც დაემორჩილა.

1828 წელს გურია გაერთიანდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ხოლო მას შემდეგ, რაც 1829 წელს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა სამხრეთ საქართველო (სამცხე-სათაბაგო), იგი საქართველოს საეგზარქოსოს ქართლ-კახეთის ეპარქიას შეერწყა.

1830 წელს რუსეთმა შეიერთა ისტორიული საინგილო (ჭარ-ბელაქანის რეგიონი) და ის ეკლესიურად ქართლ-კახეთის ეპარქიას დაუმორჩილა.

1857 წელიდან სვანეთი და ოდიში შევიდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

1851 წელს ცალკე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ეპარქია, რომელსაც 1885 წლიდან ეწოდა სოხუმის ეპარქია...²⁵.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიას, საეგზარქოსოს იურისდიქციაში მისი დაქვემდებარება, უკვე ხსენებულ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მოხდა, თუმცა defacto

²²ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ. 33;

²³ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ. 36;

²⁴„ეგზარქოსი“ ბერძნული სიტყვაა და დამოუკიდებელი ხელისუფლების მქონე ხელმძღვანელს ნიშნავს. ძველ საბერძნეთში, ეგზარქოსი ქურუმთა წოდებაში მაღალი თანამდებობა იყო. მოგვიანებით, ეგზარქოსი პატრიარქად იწოდებოდა, რომელსაც ქვეყნის საეკლესი საქმეების მოგვარება ევალებოდა. ის მართავდა ადმინისტრაციულ — ეთნოკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას (იხ. ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ. 74, აგრეთვე „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, შემდ. მ. ჭაბაშვილი, თბ. 1989 წ. გვ. 145)

²⁵ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ. 75;

ეს პროცესი რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, კერძოდ, „...1872 წლიდან საქართველოს საეგზარქოს იურისდიქციაში შევიდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ოლთისი. ისინი ეკლესიურად გაერთიანდნენ გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან...“²⁶.

როგორც აღნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლებას არ აწყობდა კავკასიაში, თურქეთთან არსებულ საზღვრისპირა რეგიონში, მაჰმადიანი მოსახლეობის არსებობა.

რუსეთის ხელისუფლება თურქეთთან შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში საკუთარ საზღვრებთან აჭარის მაჰმადიანურ მოსახლეობას საფრთხის შემცველ ელემენტად განიხილავდა. ამიტომ რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებდა, რათა აჭარიდან და მის მოსაზღვრე რეგიონებიდან მაჰმადიანური მრნამსის მოსახლეობა გაეძევებინა, რაც, თავის მხრივ, ამ რეგიონში თურქული პოლიტიკის გავლენის აღმოფხვრასაც ნიშნავდა.

რუსეთის იმპერიამ, თურქული იდეოლოგის გავრცელებას ქრისტიანული მრნამსი და მისგან მომდინარე იდეოლოგია დაუპირისპირა. დაიწყო ქრისტიანული მოძღვრების თანდათანობითი გავრცელება-პროპაგანდა, ახალი ტაძრების მშენებლობა და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმის მართლმადიდებლურ ეკლესიებთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს **ბათუმის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის** ისტორიის ამსახველი მონაცემები, რომლებიც საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივშია დაცული - ფონდი # 489 („საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა“), აღნერა # 1 ე. ნ. **სამრევლო უწყისების მიხედვით (საქმე#40097, 41718, 42692, 43919, 48018, 53111, 53775)**.

სამრევლო უწყისებიდან იწყვევა, რომ ბათუმის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ²⁷, 1883 წელს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადაკეთების შემდეგ დაარსებულა²⁸. ტაძრის აშენების თარიღად 1883 წელია დასახელებული თითქმის დანარჩენ ჩანაწერშიც²⁹.

²⁶ ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო...“, გვ. 75;

²⁷ 1910 წლის უწყისში ომის თარიღად დასახელებულია 1876-1877 წელი, ხოლო 1911 წლის ჩანაწერში კი 1876-1878 წ. ნ.

²⁸ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივისს ფ. 489, აღნ. 1, საქმე 5311;

²⁹ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718, 42692, 43919, 53775;

სახლის პირველი სართული აგურისაგან, ხოლო მეორე — ხისგან ყოფილა ნაგები³⁰. ტაძარში სარემონტო სამუშაოები ორჯერ — 1891 და 1893 წლებში ჩატარებულა³¹.

1910 წლის მონაცემებით ტაძარში არსებულა ორი სატრაპეზო: 1. მხედართმთავარ მიქაელისა და 2. წმ. დიდმონამე თავადების დავითისა და კონსტანტინეს სახელობის³².

1888 წლისათვის მთავარანგელოზ მიქაელის ტაძრიდან 400 ნაბიჯზე მდებარეობდა წმიდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია³³, ხოლო 200-250 მეტრში კი — წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი³⁴.

ტაძრის პირველი წინამდღვარი გამხდარა — **დეკანოზი სიმონ კიკნაძე**, რომელიც წარმოშობით სასულიერო წოდებიდან ყოფილა... მას, ტვერის სასულიერო სემინარია დაუმთავრებია. 1848 წლის 3 მაისს სიმონ კიკნაძე გურიის ეპისკოპოსს ექვთიმეს დიაკონად უკურთხებია, ხოლო იმავე წლის 20 ივნისს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და გურიის საკათედრო ტაძარში იქნა განმწესებული. **დეკანოზი სიმონ კიკნაძე** 1854 წ. 9 თებერვალს, გურიის ეპისკოპოსის მიერ იმავე ტაძრის წინამდღვრად იქნა დანიშნული; ხოლო 1883 წლის ბოლოს, ბათუმში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის კურთხევის შემდეგ, დაინიშნა ამ ტაძრის წინამდღვრად. მიღებული აქვს სხვადასხვა სახის საეკლესიო და საერო ჯილდოები³⁵;

ამ დროისათვის ტაძარში მსახურობდა ერთი დიაკონი — **ბესარიონ გოქაძე**, რომელიც წარმომავლობით ასევე სასულიერო წოდების ოჯახიდან ყოფილა. მის შესახებ არსებული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იგი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1879 წლის 22 ივლისს იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში ზეშტატიან (უშტატო) მწერლად იწყებს მუშაობას. 1881 წლის 21 იანვრიდან **ბესარიონ გოქაძე** ინიშნება იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების საქმეთა შტატიან გადამწერად. 1882 წლის 16 ივლისიდან პარალელურად მსახურობს ქუთაისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეფსალმუნედ. 1883 წ. 6 მარტს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მიერ ხელდასხმულ იქნა სოხუმის ეკლესიის დიაკონად. 1884 წლის 7 მაისს გადაყვანილ იქნა ქ. ბათუმის მართლმადიდებელ ეკლესიაში.

ტაძარში მომსახურე მეფისალმუნე (მედავითნე) — **ლუკა ხოშტარია**, წარმოშობით სასულიერო წოდების ოჯახიდან ყოფილა. სწავლობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, გამწესებული იყო ქ. ფოთში მეფისალმუნედ. 1882 წლის 3

³⁰ იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

³¹ იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

³² იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;

³³ იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

³⁴ იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53775;

³⁵ იხ. საისტორიო ცენტრალური აქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 40097;

მარტს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ გადმოყვანილ იქნა ქ. ბათუმის მართლმადიებელ ეკლესიაში მეფისალმუნედ [მედავითნედ].

როგორც სამრევლო უწყისიდან ირკვევა, **დეკანოზი სიმონ კიკნაძე** ტაძარს 1883-1890 წლების ჩათვლით წინამძღვანობდა.

1888 წლის ჩანაწერების მიხედვით, ტაძარში დეკანოზ **სიმონ კიკნაძის** გარდა მსახურობდა მღვდელი **ალექსანდრე პალცევიჩი**, დიაკონი ისიდორე ნადირაძე, მეფისალმუნე აპოლონ ქიქოძე და მნათე გაბრიელ დარჩია³⁶.

მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესიის მღვდლად 1890 წლის ჩანაწერში კვლავ **ალექსანდრე პალცევიჩი** ჩანს³⁷, რომელიც 1893 წელს, უკვე დეკანოზის ხარისხით, ტაძრის წინამძღვარი ხდება³⁸. როგორც ირკვევა, **ალექსანდრე პალცევიჩი** ტაძრის წინამძღვრად 1911 წლის ჩათვლით მსახურობდა³⁹.

რაც შეეხება **ისიდორე ნადირაძეს**, 1890 და 1893 წლის ჩანაწერების მიხედვით ის კვლავაც დიაკონის მოვალეობას ასრულებდა⁴⁰, ხოლო 1910 და 1911 წლის მონაცმებიდან კი ირკვევა, რომ იგი უკვე არქიდიაკონის ხარისხს ატარებს⁴¹.

1890 წელს ტაძარში ორი დიაკონი და ერთი მეფისალმუნე მსახურებს. თუმცა, რეალურად მოცემულია მხოლოდ ერთი დიაკონის — **ისიდორე ნადირაძის** სახელი; ხოლო მეფისალმუნედ, ისევე, როგორც 1888 წლის ჩანაწერებში, კვლავ **აპოლონ ქიქოძეა** დასახელებული⁴².

თუმცა, როდესაც **აპოლონ ქიქოძის** ნამსახურეობის ნუსხაში ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ აპოლონ ქიქოძე აღნიშნული ტაძრის **მეფისალმუნედ** გადმოყვანილი ყოფილა 1887 წლის 19 თებერვალს, ხოლო მისი დიაკონად ხელდასხმა 1888 წლის 28 თებერვალს მომხდარა⁴³. **აპოლონ ქიქოძე** 1893 წლის ჩანაწერში უკვე **მეფისალმუნე-დიაკონადა** მოხსენიებული⁴⁴.

1888, 1890 და 1893 წელსაც კი მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში **მნათე გაბრიელ დარჩია**⁴⁵. **გაბრიელ დარჩია** იმერეთის ეპისკოპოს **გაბრიელს**, ბათუმის საქალაქო ეკლესიაში, 1885 წლის 15 აპრილს გადმოუყვანია⁴⁷.

1893 წელს ტაძარში მსახურობდა ორი მღვდელი — **ანდრია ივანიცკი** და **რომან თოთიბაძე**, დიაკონი **ისიდორე ნადირაძე**, მეფისალმუნე-დიაკონი **აპო-**

³⁶ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

³⁷ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

³⁸ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

³⁹ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111, 53775;

⁴⁰ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692, 43919;

⁴¹ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111, 53775;

⁴² იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

⁴³ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

⁴⁴ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

⁴⁵ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

⁴⁶ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

⁴⁷ იბ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

ლონ ქიქოძე, მნათე გაბრიელ დარჩია და უშტატო მეფსალმუნე გერასიმე ლორია⁴⁸.

1910-1911 წლის ჩანაწერების მიხედვით ტაძარში მსახურობს: წინამძღვარი ალექსანდრე პალცევიჩი, სამი დამხმარე მღვდელი: მეორე მღვდელი ანდრე ივანიცკი, მესამე მღვდელი სიმონ თოთიბაძე, მეოთხე მღვდელი მიხეილ ჩიკვიძე, ერთი არქიდიაკონი ისიდორე ნადირაძე და სამი მეფსალმუნე: პირველი მეფსალმუნე სერგო უნგიაძე, მეორე ლეონიდე ასტანინი და მესამე, შტატის მეფსალმუნე ერმილე ჯაველიძე. ხოლო 1911 წლის მონაცემებში მათ რიცხვს ემატება ახალი მეფსალმუნე მიხეილ ჭანუყვაძე⁴⁹.

ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემების სათანადო ანალიზი რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. კერძოდ:

როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძრის წინამძღვრებად, თავდაპირველად, ქართველი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ და ტაძარში მხოლოდ ქართველი სასულიერო პირები მსახურებდნენ, ხოლო XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოდან კი მოღვაწეობის ასპარეზზე რუსული სამღვდელოების წარმომადგენლები გამოდიან.

აღნიშნული მოვლენა აჭარის რეგიონში რუსეთის იმპერიის თანმიმდევრობით პოლიტიკით შეიძლება აიხსნას. მუსლიმანი ქართველებით დასახლებულ აჭარაში ნდობის მოსაპოვებლად და ქრისტიანობის მასიურად გავრცელებისათვის, თავდაპირველად, ქართველი სასულიერო პირები იწყებენ მოღვაწეობას; ხოლო, ცოტა მოვინანებით, რუსული სამღვდელოება დაინყებს მოქმედებას. ეს კი თავის მხრივ ამ რეგიონში რუსული იმპერიული პოლიტიკის უმტკივნეულო და უპრობლემო განხორციელების დამატებით გარანტიას წარმოადგენდა.

თავად ის ფაქტი, რომ ტაძარში მომსახურე სასულიერო პირთა რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ტაძრის მრევლი თანდათანობით იმატებს. აღნიშნული ვარაუდის სისწორეს ადასტურებს თავად სამრევლო უწყისებში არსებული მონაცემები მრევლის ზრდის შესახებ (იხ. თემის ბოლო ნაწილი).

სამრევლო უწყისებში არსებულ სხვა მრავალ ინფორმაციათა შორისაა სასულიერო პირთა სახელფასო შემოსავლების ამსახველი მონაცემებიც.

1888 წლის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დეკანოზ სიმონ კიკნაძეს წელიწადში, ხაზინიდან, 1650 მანეთი ჰქონია შემოსავალი; მღვდელი ალექსანდრე პალცევიჩი — 600 მანეთს ხაზინიდან, ხოლო საეკლესიო თანხიდან 250 მანეთს იღებდა; დაიკონ ისიდორე ნადირაძეს — 500 მანეთი, მეფსალმუნე აპოლონ ქიქოძეს — 366

⁴⁸ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

⁴⁹ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111 და 53775;

მანეთი, ხოლ მნათე **გაბრიელ დარჩიასკი** — 300 მანეთი შემოსავალი ჰქონიათ წელიწადში⁵⁰.

აღნიშნულ მონაცემებს თუ შევადარებთ 1890 წლის ჩანაწერებთან ვნახავთ, რომ დეკანოზ **სიმონ კიკნაძეს**, მიზეზთა გამო, ნლიური შემოსავალი 1200 მანე-თამდე შემცირებია; იგივე შემოსავალი დარჩენია მღვდელ **ალექსანდრე პალცე-ვიჩს**; ანაზღაურება შემცირებია აგრეთვე დაიკონ **ისიდორე ნადირაძეს** და მისმა წლიურმა შემოსავალმა 350 მანეთი შეადგინა, რაც შეეხება მეორე დიაკონს — **აპოლონ ქიქოძეს**, რომელიც იმავე დროს მეფსალმუნეც იყო, 280 მანეთი ჰქონია შემოსავალი, ხოლო მნათე **გაბრიელ დარჩიას** კი 250 მანეთი⁵¹.

1893 წელს **ტაძრის წინამდლვარს** წლიურად 1626 მანეთი ჰქონია შემოსავა-ლი; **მეორე და მესამე მღვდლებს** ხაზინიდან — 125 მანეთი, და დამტებით **ტაძ-რის** შემოსავლიდან: პირველ მღვდელს — 330 მანეთი, ხოლო მეორე მღვდელს — 360 მანეთი მიუღიათ. ხაზინიდან: **დიაკონს** — 500 მანეთი; **დაიკონ-მეფსალმუ-ნეს** — 364 მანეთი; **მნათეს** — 300 მანეთი აუღიათ.

1910 და 1911 წლის მონაცემებიდან ნათელი ხდება, რომ **ტაძრის წინამ-დლვრის** წლიური შემოსავალი ისევ გაზრდილა და — 1600 მანეთი გამხდარა. **სა-მივე მღვდელს**, რომლებიც ამ წელს ტაძარში მსახურებდნენ 600-600 მანეთი, ხო-ლო დიაკონს — 500 მანეთი, **პირველ მეფსალმუნეს** — 360, **მეორე მეფსალმუ-ნეს** — 200, ხოლო **მესამე მეფსალმუნეს** კი 300 მანეთი ჰქონიათ შემოსავალი⁵².

როგორც სამრევლო უწყისებში არსებული მონაცემებიდან ირკვევა, ტაძარ-ში 1889 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ანუ 1888 წლის ბოლოსათვის, ხელზე [ნაღ-დი ფულით] — 15 მანეთი და 26 კაპიკი, ხოლო ბილეთების სახით (ანუ ფასიანი ქა-ლალდებით) — 700 მანეთის ოდენობის თანხა იყო. მეფსალმუნე ქიქოძეს კი, ამ დროისათვის ტაძრის ვალად 2700 მანეთი ჰქონია აღებული⁵³.

1890 წლის ბოლოსათვის, ანუ 1891 წლის 1 იანვრის მიხედვით ტაძარს გააჩ-ნია: ნაღდი ფული 4 მან. და 1 კაპ., ხოლო ბილეთების სახით — 5860 მანეთი⁵⁴.

1893 წელს ტაძარს ნაღდ ფულად 132 მან. და 51 კაპ., ხოლ ბილეთებით კი 5750 მანეთი ჰქონია⁵⁵.

1910 წლის ჩანაწერში ჩანს, რომ 1910 წლის ბოლოს, ანუ 1911 წლის 1 იან-ვრის მონაცემებით ტაძარში ყოფილა ნაღდი ფული 162 მან. და 93 კაპიკი. რაც შე-ეხება ბილეთების შესახებ ინფორმაციას, მის შესახებ მონაცემები უკვე აღარაა მოცემული⁵⁶.

⁵⁰ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

⁵¹ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;

⁵² იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;

⁵³ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

⁵⁴ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

⁵⁵ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

⁵⁶ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;

1911 წლის ჩანაწერის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ ტაძარაში 465 მან.და 17 კაპ. იყო.

სამრევლო უწყისში ტაძრისა და სასულიერო პირთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ არსებულ მონაცემების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ხელისუფლება ტაძრისა და სასულიერო პირების ფინანსურ მდგომარეობაზე სათანადოდ ზრუნავდა.

თუნდაც ის ფაქტი, რომ 1888 წლისათვის მეფისალმუნე ქიქოძეს ტაძრის ვალად 2700 მანეთი აქვს, ტაძრის მაღალ ფინანსურ შესაძლებლობაზე მიანიშნებს. ეს კი ერთი მხრივ, ტაძრის მრევლთა სიმრავლითა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ტაძრისადმი შესაბამისი ყურადღების „დამსახურება“ უნდა იყოს.

სამრევლო უწყისებში მოცემულია ტაძრის მრევლის, როგორც რაოდენობრივი, ასევე მრევლის წევრების სოციალურ წოდებებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია.

1884 წლის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ტაძრის მრევლი სულ 72 ოჯახი ყოფილა, რომელიც — 3 სასულიერო წოდების, 12 აზნაურისა და 57 გლეხის ოჯახიდან შედგებოდა. 404 სულიანი მრევლის სქესობრივი (გენდერული თანაფარდობა) გადანაწილება კი შემდეგია — 231 კაცი და 173 ქალი.

1888 წლის მონაცემების მიხედვით კი ტაძრის მრევლი გაზრდილა, და იგი შედგებოდა 101 ოჯახის 1526 პირისაგან, რომელთა შორის 1172 მამაკაცი და 354 ქალი⁵⁷.

1890 წლის ჩანაწერებიდან ნათელი ხდება, რომ ოჯახთა რაოდენობა მართალია გაზრდილია და მან 126-ს მიაღწია, მაგრამ სულთა საერთო ოდენობა 1334-მდეა შემცირებული, რომელთა შორის 900 კაცი და 434 ქალია⁵⁸.

1893 წლის მონაცემებით კიდევ უფრო მეტადაა გაზრდილი ტაძრის მომლოცველ ოჯახთა რაოდენობა და მისი რიცხვი უკვე 393 აღწევს, რომელთა შორისაც 948 მამაკაცი და 625 ქალი ირიცხება⁵⁹.

1910 წლის მონაცემებით მრევლთა რაოდენობა უკვე შემცირებულია, და ოჯახთა რაოდენობამ 190 შეადგინა, რომელთა შორის 882 კაცია, ხოლო 748 კი ქალი⁶⁰.

არქივში დაცული ბოლო მონაცემი 1911 წლით თარიღდება, რომლის მიხედვითაც ტაძრის მრევლი საგრძნობლად მცირდება, და მხოლოდ 132 ოჯახისაგანაა შემდგარი, რომელთა შორისაც 522 მამაკაცი და 559 ქალია.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შეჯერების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარაში მუჰაჯირობით დაწყებული რუსიფიკატორული პოლიტი-

⁵⁷ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;

⁵⁸ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;

⁵⁹ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;

⁶⁰ იხ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;

კა ქრისტიანობის მასიური გავრცელების პროპაგანდით გაგრძელებულა, რომლის დაფარვის მიზნითაც რუსეთის ხელისუფლება ჯერ ქართველ, ხოლო შემდეგ რუს სასულიერო პირებს იყენებდა.

აჭარაში მცხოვრები ქართველების ძველ მრნამსზე დაბრუნების პროცესი სწარაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაც ტაძრის მრევლის ზრდით გამოიხატება.

ასეთია მოკლედ, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ სამრევლო უნივერსიტეტი — ბათუმის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის შესახებ არსებული ინფორმაცია.

დასასრულს დავძენთ, რომ ქართული ეკლესიის ისტორიოგრაფიისათვის უდავოდ შენაძენი იქნება - ბათუმის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის თაობაზე არქივში არსებული ჩანაწერების საფუძვლიანი დამუშავება და მისი, ქართულ და რუსულ ენებზე პარალელური ტექსტობრივი მასალის, ცალკე კრებულად გამოცემის ორგანიზება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გ. მელიქიშვილი, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, თბ. 1970 წ.;
2. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I, თბ. 1996 წ.;
3. ს. სალუაშვილი, „ქრისტეს მოციქულები და საქართველო, ანუ ქრისტიანობის გავრცელების სათავეების საისტორიო ძიებანი“, თბ. 2009 წ.;
4. „ქართლის ცხოვრება“, რედ. ს. ყაუხეჩიშვილი, ტ I, 1955 წ.;
5. ვ. გუჩუა, „საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 წ.;
6. ს. სალუაშვილი, „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის ისტორიული მიმოხილვა ფარნავაზიდან დღემდე“, თბ. 2012 წ.;
7. გ. ჯამბურია, „საქართველოს პოლიტიური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, 1973 წ.;
8. „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, 2004 წ.;
9. ქ. პავლიაშვილი, „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945 წ.წ.)“, 2008 წ.;
10. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, შემდ. მ. ჭაბაშვილი, თბ. 1989 წ.;
11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 40097;

12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 41718;
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 42692;
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 43919;
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 48018;
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53111;
17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 489, აღნ. 1, საქმე 53775;

Saba Saluashvili

SOME ISSUES CONNECTED WITH THE HISTORY OF BATUMI ARCHANGEL MICHAEL CHURCH

Summary

The reality created by the end of the 19th century after joining Ajara – aboriginal region of Georgia has an important significance in the affair of studying Georgian church. In this context, materials depicting the history of Archangel Michael Church gains special meaning.

We have displayed the data about Batumi Archangel Michael Church at the Central Historical Archive.

After studying the existing church records in detail it became possible to restore the picture of the history of Batumi Archangel Michael Church. Particularly:

- the names and brief biographies of the clerics being at the church in 1883-1911 are displayed in the work with documentary exactness;
- schematic picture of not only clerics, but financial condition of the church is presented;
- Dynamics of subside or augmentation of parish in the church is presented according to the years.

Research of any questions connected with South-west Georgia, particularly with Ajara gains special importance. We think the data displayed by us will take appropriate place in the affair of studing the history of Georgian Orthodox Church.

სად გდებარობდა ქალაქი ფრიდსოპლისი? (გვარა-ხუცურის ნაქალაქარის საიდუმლო)

125 წლის წინ, ოსმალთაგან ქართული მიწების გათავისუფლების პირველი-ვე დღეებში ქობულეთის რაიონის სოფლების, გვარასა და ხუცუბნის მახლობლად, წარმართობისდროინდელი სალოცავის, თეთროსანის მიდამოებში, მდინარე კინტრიშზე ხიდის მშენებლობისას მუშაკაცებმა ბრინჯაოს ცული აღმოაჩინეს. ეს იყო პირველი არქეოლოგიური ნიშანი, რომელმაც სათავე დაუდო უძველესი ნაქალაქარის მეცნიერულ შესწავლას. ცნობილმა მოღვაწემ გულა კაიკაციშვილმა ეს ნივთი ქობულეთში მყოფ **სერგეი მესხეს** გადასცა, რომელმაც ცული თბილისში ჩაიტანა.¹

გვარა-ხუცუბნის მახლობელ სოფელ კვირიკეში (ქობულეთის რაიონი) ძვირფასი ნივთებით სავსე საფლავების გათხრით დაინტერესდნენ ცნობილი ქართველი მწერლები გიორგი წერეთელი და იონა მეუნარგია. მათი თქმით, ქვის საფლავს წარწერაც ჰქონდა, მაგრამ ოსმალო ასკერები არაფერს მოერიდნენ, დაამტვრიეს იგი და კუბოში არსებული ძვირფასეულობა გაიტაცესო.²

საყურადღებოა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციისათვის **გიორგი წერეთელს** მეცნიერული სახე მიუცია და 1881 წელს თბილისში გამართულ კავკასიის არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე მოხსენებითაც გამოსულა. როგორც ირკვევა, ამ ყრილობის მასალებს გაეცნო ცნობილი არქეოლოგი ჰენრი შლიმანი (1822-1890). მას 1883 წელს სურვილი გამოუტქვამს არქეოლოგიური გათხრები ჩაეტარებინა კავკასიაში, კერძოდ ძველ კოლხეთში (გონიოსა და გვარა-ხუცუბანში), მაგრამ ტროას აღმომჩენს, მიკენის, იტაკას, ორქომენესა და ტირინფეს საიდუმლოებების გამხსნელს, რუსეთის მაშინდელმა ბიუროკრატიულმა რეჟიმმა ამაზე უარი განუცხადა. ჩვენი აზრით, **შლიმანის** ეს თხოვნა შემთხვევითი არ იყო. მას ჩვენს მხარეში ტროაზე არანაკლებ საინტერესო ნაქალაქარები ეგულებოდა.

ბათუმის პირველი გენერალ-გუბერნატორის **კ. კომაროვის** ძმა, თავად გენერალი და არქეოლოგი **ალ. კომაროვი**, რომელსაც თბილისელი ცოლი ჰყავდა და ქართულადაც კარგად საუბრობდა, დაინტერესდა გვარა-ხუცუბნით, **გ. კაიკაციშვილს** ცოტა ფულიც გადასცა და თხოვა გაეგრძელებინა გათხრები. შედეგმა არ დააყოვნა. გათხრებისას აღმოჩნდა სამარხები და ნივთები: ხანჯალი წარწერებით, დანის ნატეხი, ფიბულა, **ქამრის პალთა**, **რომელზეც ცხენის თავი იყო გამოსახული**, სამაჯურები, თუჯის თეფშები, ქინძისთავი, ონიქსები, მინის ღილები და ა. შ. ეს საქმე მომდევნო წლებში ექვთ. **თაყაიშვილმა** და **გრიგოლ გურიელმა** განაგოდეს (1891 წ.) და რამდენიმე ნივთი მათაც აღმოაჩინეს, გარდა ამისა მოსახ-

ლეობისაგან საჩუქრად მიიღეს: 30 ცალი უძველესი ამეთვისტომი და ანთრაკი, ანუ სარდიონის მძივი, რომლებიც, **საბას** სიტყვები რომ გავიხსენოთ, „ბაბილოვნის ქვეყანასა იპოვების... დია ძვირფასია და ძნელად საშოვარი, აფრიკეთსაც იპოვების“-ო.³

საფუძვლიანი სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია ხუცუბან-გვარაში მოეწყო 1944 წელს **ავთანდილ იოსელიანის** ხელმძღვანელობით. მაშინ მოიძიეს შუბისა და კაჟის ისრის წვერი, ოფსიდიანის ანატკეცები, 4 ცული, ბრინჯაოსა და რკინის საგნები — სულ 30 ერთეული, ეგვიპტური პასტის, სარდიონისა და გიშრის 150-მდე მძივი, კერამიკული მასალა 30-მდე ერთეული, რომლებიც ამჟამად ხ. ახ-ვლედიანის სახ. მუზეუმში ინახება.⁴

ექსპედიციები მოეწყო 1959, 1960-62, 1967-68 წლებშიც (**ი. გრძელიშვილი, ნინო ბერძენიშვილი, ლამარა ნებიერიძე, ასლან ინაიშვილი, სერგო გოგიტიძე**), მეცნიერებმა ხუცუბნის ნაქალაქარის დაზვერვითი სამუშაო ჩაატარეს, ხოლო სოფელ ქობულეთში ქვის ხანის ნამოსახლარი აღმოაჩინეს.

რა იმალება გვარა-ხუცუბნის მიწისქვეშეთში, ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ ვიცით. აქ მომავალში ალბათ მრავალი აღმოჩენის მოწმენი გავხდებით, თუმცა ერთი ძალზე საინტერესო ნაშთი მიწის ზედაპირზე გვაქვს, ესაა წარმართობისდროინდელი ეკლესიის თეთროსანის ნანგრევი, რომელიც სწორედ გვარა-ხუცუბნის ნაქალაქარის ცენტრში მდებარეობს. ამიტომ დასაწყისში სწორედ ამ გასაოცარ ძეგლზე გესაუბრებით, რადგანაც მას პირდაპირი კავშირი აქვს ნაქალაქართან და მის მშენებელთან.

გამოჩენილმა ბერძენმა გეოგრაფმა, **სტრაბონმა**, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე მოევლინა ქვეყანას (ძვ. წ.-ა.63 წ.), ხოლო გარდაიცვალა ქრისტეს შობიდან 20 წელს, ე. ი. იცხოვრა კაცობრიობის ისტორიის 2 უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ეპოქაში, წერს, რომ „**მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ფრიქსეს** მიერ აგებული ლევკოთეას სამლოცველო და მისი სამისნო.“⁵

გავარკვიოთ, ვინ იყო **ფრიქსე**. ძველი ისტორიკოსები მოგვითხოვთ, რომ **ფრიქსე** კოლხეთის მეფე აიეტისა და არგონავტების თანამედროვეა. იგი საოჯახო ინტრიგებს, თავის სამშობლო ბეოტიიდან, დასთან ჰელისთან ერთად გაექცა. მოგზაურობის დროს ჰელე დაიღუპა (ნავიდან გადავარდა), ხოლო **ფრიქსემ** მიაღწია კოლხეთის ნაპირებს, ეწვია მეფე აიეტს, თავშესაფარი თხოვა და ძლვნად გადასცა ოქროს საწმისი. მეფემ შეიწყნარა მისი თხოვნა, შეითარა და მადლიერების ნიშნად საკუთარი ქალიშვილი ქალკიოპე მიათხოვა. **ფრიქსეს** მასთან შეეძინა ოთხი შვილი: **არგოსი, კვიტისოროსი, მელასი** და **ფრონტოსი**. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა **არგოსი**, რომელიც დაბრუნდა ბეოტიაში, დაუკავშირდა იაზონს, ააგო ხომალდი „არგო“ და წავიდა კოლხეთში მამამისის ხელით ჩამოტანილი ოქროს საწმისის დასაბრუნებლად. ასევე ინტერესს იწვევს მეორე ვაჟის, **კვიტისოროსის** სახელი, რაც კვიტაიელს, კუტაისელს ნიშნავს.

დავუბრუნდეთ **სტრაბონის** მიერ დასახელებულ **ლევკოთეას**. ეს ტერმინი ბერძნულია და სიტყვა-სიტყვით **თეთრ ლმერთს** ნიშნავს, რომელსაც ზღვის ლმერთის (ინო) მნიშვნელობაც აქვს.

პროფესორმა **ავთანდილ იოსელიანმა** პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ ლევკოთეა, რომელიც კოლხეთში („მოსხების ქვეყანა“) მდებარეობს, იგივე **თეთროსანია**. თუ ამას ვირწმუნებთ (პირადად მე ეჭვი მეპარება), უნდა ვიფიქ-როთ, რომ ბერძენ კოლონიზაციონებს და თვით ფრიქსეს ამჟამინდელ გვარა-ხუ-ცუბანში დახვდათ ტაძარი თეთროსანი, რომელიც ფრიქსემ განაახლა, სახელი კი ბერძენთათვის გასაგებ ენაზე თარგმნა და ლევკოთეა უწოდა. ამ აზრს იზიარებენ რუსი ავტორებიც, რომელებიც ამბობენ, რომ „ლევკოთეას სახელით იგულისხმება რომელიღაცა ადგილობრივი ლვთაება, რომელიც ბერძენმა კოლონისტებმა ლევ-კოთეასთან გააიგივეს და მათთვის მისაღები და ბერძენთათვის გასაგები ნათარ-გმნი სახელი ლევკოთეა უწოდეს.“⁶ ჩვენი აზრით, „ადგილობრივი ლვთაება“ ეს არის თეთროსანი, თეთრონი, თეთრი ცხენი, ხოლო მისი ნათარგმნი სახელი ლევ-კოთეაა.

სად მდებარეობდა **ლევკოთეა (თეთროსანი)?**

სტრაბონის მიერ „მოსხიკეს ქვეყნის“ ხსენებამ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. **სარგის კაკაბაძესა** და **ნიკო ბერძენიშვილს** ლევკო-თეა მესხეთში, აწყურის მიდამოებში ეგულებათ, ხოლო **პავლე ინგოროვა** ოლ-თისის წყლის ხეობაზე მიუთითებს. **ვახუშტი** „მოსხიკე“-ს (მოსხების ქვეყნის) საზღვრებს როცა ეხება, ამბობს, რომ მოსხების ქვეყანა ღრმად იჭრებოდა ლა-ზეთში და შავი ზღვის სანაპიროს დიდ სივრცეებს მოიცავდა: „ქართლის საზ-ღვრებიდან ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრებამდე... ყალნუს მთებიდან ღადოსა და გურიის მთებამდე და ზღვამდე... ჩრდილო მზღვრის მთა ღადო და მთა გურია-აჭარის შორისი და ზღვა პონტოსი.“⁷

საინტერესოა **თეიმურაზ ბატონიშვილის** მოსაზრებაც: „ქართველებს აქ-ვნდა წესი კერპორაციასა... უძველესთა შინა დროთა და ტაძარი მისი იყო ფრიადითა სიმდიდრითა შემკობილ სამზღვარსა ზედა კოლხიდისა.“⁷ ამ საკითხზე დამაჯერებელ და ამომწურავ პასუხს იძლევა აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია**. იგი იხსენებს სტრაბონის ნათქვამს, „**მოსხიკეს ქვეყანას**,“ რომელიც ავტორს კოლ-ხეთის აღნერილობაში შეუტანია: „რაკი ეს ცნობა კოლხეთის აღნერილობაშია მო-თავსებული და მდებარეობითაც ტაძარი (ლევკოთეა-თეთროსანი რ. ს.) საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიის მახლობლად ყოფილა, სტრაბონი ამბობს, რომ ის ფაზი-სის ზემოთაა, ცხადია ის **კოლხეთს კუთვნებია**.“⁹

ზემოთქმული მოსაზრებები აბათილებენ **ს. კაკაბაძისა და ნ. ბერძენიშვილის** მოსაზრებებს და თეთროსანის კოლხეთში მდებარეობას უეჭველს ხდიან.

კოლხეთში რამდენიმე ტოპონიმი ბერძენ კოლონისტების და არგონავტების აქ ყოფნას უკავშირდება. ჰარმონია ლაზეთში, ავგია და ერგე (ერგინე), აფსაროსი

(გონიო) აჭარაში და ა. შ. თუმცა მრავალი ძველ-კოლხური სახელი ბერძნულადაა ნათარგმნი: ნაქალაქევი — არქეოპოლისი, ცხენისწყალი — ჰიპოსი, ყვირილა — ბოასი, ვარდციხე — როდოპოლისი და ა. შ. ჩვენი აზრით, თეთროსანი—ლევკო-თეაც ამ კატეგორიის სიტყვებს მიეკუთვნება.

როგორც აღვნიშნეთ, თეთროსანი თეთრ ლმერთს ნიშნავს. ჩვენთვის საინ-ტერესო დროს კოლხთა კერპი ცხენი, თეთრი რაში იყო.* თეთრი რაში ქართულ მითოლოგიაში თეთრონია (დავიმახსოვროთ), მაგრამ გადავინაცვლოთ მთვარის კულტზე. ჩვეულებრივ, ადამიანის რწმენა-განწყობაში უპირატესად სავსე (ბად-რი) მთვარე აისახება ხოლმე. ბადრი — მთვარესთან დაკავშირებული ტერმინი ადამიანის (ვაჟის) სახელად იქცა. ამიტომ გასაკვირი აღარ უნდა იყოს „ამირანიანი“-ს ერთი შთამბეჭდავი ფრაზა: „**ბადრო, მათხოვე თეთრონი,**“

ზღვაში გავიდე ნერევითა“-ო. აქ ორ კერპს, ბადრს (მთვარე) და თეთრონს (თეთრი ცხენი) ერთდროულად თხოვენ დახმარებას. თანაც, ეს მითოლოგიური პასაჟი ზღვასთან ახლოს („ზღვაში გავიდე“) იშლება. ცხენი, **თეთრი რაში**, თეთრი ლმერთი, თეთრ რაშზე ამხედრებული თეთრი გიორგი, რომელიც ქართველთა რწმენის სიმპოლოდ იქცა, საოცრად და საინტერესოდ უკავშირდება კოლხეთში, **ზღვის პირას დღემდე** არსებულ უძველესი საყუდარის შემორჩენილ ერთადერთ კედელს, რომელსაც ქრისტეს დაბადებამდეც ერქვა, დღესაც თეთროსანი ჰქვია. გ. კაიკაციშვილის მიერ აღმოჩენილი ქამრის ბალთა ცხენის თავის გამოსახულებით (იხ. ზემოთ) შესაძლოა ამ კერპის თაყვანისცემის ანარეკლია. რ. ს.

და იგი დღემდე წმინდა გიორგის სახელს ატარებს. ტაძრის ირგვლივ გაშენებული ყოფილა მცირე, მაგრამ კარგად დაცული ქალაქი (შესაძლოა ამასაც თეთროსანი ერქვა), რომელიც ჩვენი აზრით, სწორედ გვარა-ხუცუბნის ნაქალაქარი უნდა იყოს.

საქართველოში „თეთრ“ -ფუძით რამდენიმე გეოგრაფიული სახელი და სალოცავი გვხვდება. სვანეთში ლაშეთის თემის სოფელ შეკედშიც არის საყდარი, რომელიც თეთროსანის სახელს ატარებს, აქვეა მარადთოვლიანი მთა თეთნულდი, ხულოს რაიონში — თეთრობი, გურიაში — თეთრი ეკლესია, თეთროული, თეთრი გორა.

ხუცუბანში და მის მეზობლად კი თეთროსანის გარდა გვხვდება თეთრაული — ზედა სამებაში, თეთრიმინა — აჭყვის თავში, თეთრობი — ქობულეთში, თუმცა ეს ტოპონიმები უფრო თეთრ ნიადაგთან და მთების ხშირ თოვლიანობასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება თეთროსანს, აქ უფრო ჩანს **ტოტემიზმის გავლენა, კერძოდ კავშირი ნარმართობისდროინდელ კულტთან, თეთრ რაშთან, რაც შემდგომში ნმინდა გიორგის ნარმოსახვის ორგანულ ნაწილად იქცა.** საყურადღებოა, რომ გვარა-ხუცუბნის თეთროსანს საკუთარი მიკროტოპონიმიკაც გააჩნია. ესენია: თეთროსანის ღელე — ჩაუდის საყდარს მარჯვენა მხრიდან; თეთროსანის პლაკე — დიდი ბრტყელი სიპი ქვა, რომელზეც თეთროსანში შესასვლე-

ლად უნდა გაგევლო; თეთროსნის საცივები — მახლობლად მდებარე წყაროები; თეთროსნის ტყე — მშვენიერი კორომი, რომელიც უსოვარი დროიდან ეკუთვნოდა ეკლესიას და ა. შ. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სხვა მიკროტოპონიმებიც: შუბალაური, ობოდირი, ბნელიღელე, სახტარი, ნაურიალი, ურიების სასაფლაო, ურიების ღელე, აბანოღელე, ნაკურთხევი და სხვ.

1958 წ. ამ მიდამოებში ალ. ქათამაძეს ნაურიალიდან 500 მეტრის დაშორებით აჩვენეს ოთხკუთხა შენობის ნაშთი, 1,5 მეტრის სიმაღლის კედლები, რომელიც ურიების სალოცავი იყო — უთხრეს, ხოლო ამ ადგილს „ნაბრალევი“ ერქვაო. ჩვენი აზრით, ამ ადგილის პირვანდელი სახელიც „ნაეპრაელევი“ იყო, რაც შემდეგ „ნაბრალევად“ გადაკეთდა. (ამ ტოპონიმების შესწავლა არავის უცდია. როგორც ჩანს ეს იმდენად დიდი ხნის წინ შეერქვა, რომ მისი ახსნა ადამიანთა ხსოვნას არ შემორჩა. გვაქვს ურიათა სასაფლაო, ე. ი. აქ ეპრაელთა დასახლებაც გვქონდა. როდის ჩამოსახლდნენ ისინი? იქნებ ძვ. წ. –ა. 626 წელს, ნაბუქოდონოსორის დროს, იერუსალიმის დარბევისა და ეპრაელთა გაძევების შემდეგ ზღვით წამოსული ლტოლვილები სწორედ აქ, ქალაქ იდეესას მოვიდნენ და დასახლდნენ, აქედან კი მთელს საქართველოში დაიფანტნენ. რ. ს.).

ზემოთქმულის შემდეგ ალბათ უკვე დროა ვისაუბროთ უშუალოდ თემაზე, ქალაქ ფრიქსოპოლისზე. ვინ ააშენა და სად მდებარეობს იგი.

დასაწყისში ამ ქალაქის სახელზე უნდა ვიმსჯელოთ. როგორც ვხედავთ, ამ ტოპონიმს ფუძედ უდევს ფრიქსე. ერთადერთი პიროვნება, ვისაც ამ სახელით იცნობს ბერძნული ისტორია და მითოლოგია, ესაა ორქომენის მეფე ათამანტისა და დედოფალ ნეფელეს ვაჟი ფრიქსე. ამ სახელით სხვა პიროვნება არ შეგვხვედრია. როგორც ზემოთ ვთქვით, ფრიქსეს ცოლად ჰყავდა კოლხთა მეფის აიეტის ასული ქალკიოპე. ფრიქსე კოლხეთში დასახლდა და შეეძინა ოთხი ვაჟი. ერთ-ერთ ვაჟს კვიტისორე ერქვა, რაც ქუთაისელს ნიშნავს, მეორე ვაჟი არგო, გემ „არგო“-ს ამშენებელი და არგონავტია. სხვათაშორის, მითებში ისიცაა ნათქვამი, რომ ფრიქსე იაზონს მედეას გატაცებაშიც დაეხმარაო. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ მისი ვაჟი არგო ერთ-ერთი არგონავტია და ყველგან დაჰყვებოდა იაზონს.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ბეოტიიდან ლტოლვილი ფრიქსე არამარტო კოლხეთის მეფეს დაესიძა, არამედ ის ამ ქვეყანაში დამკვიდრდა და ბევრ დიდ საქმეებშიც მიიღო მონაწილეობა. ფრიქსოპოლისის აშენება სხვა ვის უნდა მიეწეროს, თუ არა ფრიქსეს, რაც თვით ქალაქის სახელშიც ორგანულად არის განსხეულებული?

სად მდებარეობდა ქალაქი ფრიქსოპოლისი?

სტრაბონი დეტალურად რომ ეხება კოლხეთის გეოგრაფიას, ამბობს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე.“¹⁰

დღემდე ფრიქსოპოლისის, ანუ იდეესას ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა უცნობია.

ჩვენ შევეცადეთ ამ საკითხზე საკუთარი ვარაუდი გამოგვეთქვა, მაგრამ სანამ ქალაქ ფრიქსოპოლისის გეოგრაფიულ მდებარეობას შევეხებოდეთ, აუცილებელია გავარკვიოთ, სად გადიოდა კოლხეთის საზღვარი, რადგანაც მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს სტრაბონის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ეს ქალაქი კოლხეთის საზღვარზე მდებარეობდაო. ამისათვის უნდა მოვიშველიოთ **პავლე ინგოროვას** ჩანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ: „რიზეს მხარის ჩრდილოეთ სექტორში მდებარე გონიო-აფსარის სანაპირო უბანი წარმოადგენდა **გარდამავალ ზონას** შიდა კოლხეთის (დასავლეთ საქართველო) საზღვართან.“¹¹

ამგვარად, აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ საზღვარი იბერიასა და კოლხეთს შორის გადიოდა გონიოსთან, უფრო სწორად, ჭოროხი ყოფდა საქართველოს ამ ორ ქართულ სამეფოს.

პ. ინგოროვას, როგორც ლევკოთეა, ისე ფრიქსოპოლისი ანუ იდეესა ოლთისისწყლის ხეობაში ეგულება: „იბერიის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთი ნაწილი ჭოროხის ხეობისა, ვიდრე მოსხის მთების ხაზამდე, მათ შორის აღმოსავლეთი ტაო ქალაქ იდით, ანუ იდესით, რომელიც ორთისისწყლის ხეობაში მდებარეობდა.“¹² ე. ი. ფრიქსოპოლის ადგილმდებარეობის გასარკვე-ვად დიდი მეცნიერის აზრი ტოპონიმი იდი-ს ემყარება.

ტოპონიმი **იდი (იდა)** პლანეტის რამდენიმე ადგილას გვხვდება. ეს სახელი ჰქვია მთაგრეხილებს ტროას მახლობლად და კუნძულ კრეტაზე. იდი ოლთისისწყლის ხეობაშიც არის (ვახუშტი), მაგრამ, ჩვენი აზრით, იდი და იდეესა სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებია. ამ მოსაზრებას გავამაგრებთ რამდენიმე სარწმუნო გარემოებით:

— სტრაბონი ამბობს, რომ ლევკოთეა-თეთროსანი ფრიქსემ ააშენაო, ე. ი. გამოდის, რომ აიეტის სიძე კოლხეთის ამ მხარეს ფლობდა. აქედან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებულ ოლთისისწყლის ხეობაში, რომელიც სხვა სამეფოს, იბერიას ეკუთვნოდა, ფრიქსეს გავლენის გავრცელება, მეტიც, ქალაქის აშენება, ნაკლებ სავარაუდოა;

— სტრაბონისავე თქმით, იდეესა კარგად გამაგრებული ადგილია **იბერიისა და კოლხიდის საზღვრებზე**. ნაწილობრივ ვიცით, სად გადიოდა ეს საზღვარი. II საუკუნის მოღვაწის **კლავდიუს პტოლემაიოსის** რუკის მიხედვით¹³ იბერია-კოლხეთის საზღვარი იწყებოდა კავკასიონის მთებიდან ლიხის მთის დაყოლებაზე, გადაკვეთავდა არსიანის ქედს, გრძელდებოდა მდინარე ჭოროხამდე, შემდეგ კი შავ ზღვამდე აღწევდა. ამას ემთხვევა თვით **პავლე ინგოროვას** წინა და მომდევნო დასკვნებიც. იგი უფრო აზუსტებს იბერია-კოლხეთის საზღვრებს და აღნიშნავს, რომ: „პირველ საუკუნეში ახალი წელთააღრიცხვისა, ტერიტორია ჭოროხის ხეობისა ორ ზონად განიყოფებოდა: ერთი ზონა, აღმოსავლეთი ნაწილი,

იბერიის სამეფოს საზღვრებში, ხოლო ზონა, დასავლეთი ნაწილი, პოლიტიკურად კოლხეთთან იყო დაკავშირებული.¹⁴ ამ საზღვრიდან, ე. ი. ჭოროხიდან ოლთისის-წყლის ხეობა ხუთჯერ მეტადაა დაშორებული (842 სტადიონი, ანუ 240 კმ.), ვიდრე ლევკოთეა-თეთროსანი (165 სტადიონი, ანუ 47 კმ.), ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა თეთროსანი-ლევკოთეა ოლთისის ხეობაში იყოს.

— სტრაბონის სიტყვებში „იდეესა, კარგად გამაგრებული ქალაქი“-ც, ინ-ვევს ინტერესს. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ იდეესა პეტრას მიუვალი ციხე-სი-მაგრით იყო გამაგრებული? თუ ეს ასეა, კიდევ უფრო მივუახლოვდებით გვარა-ხუცუბანს. ჩვენი ინტერესი გამოიწვია ძველ მრავალტომეულში ჩანსერილმა ერ-თმა ტერმინმა, **ლევკოპეტრა**, რომელიც ძვ. წ. 168 წელს მაკედონიისა და სა-ბერძნეთის ანტირომაულ აჯანყებასთან დაკავშირებით არის ნახსენები. დიახ, **ლევკო(თეა)-ს** და **პეტრა-ს** ერთად შერწყმა ჩვენთვის მართლაც საინტერესო და ამ თემაზე სამეცნიერო კვლევისათვის ძალზე მაცდუნებელია,¹⁵ რადგანაც საშუა-ლებას გვაძლევს ორი გეოგრაფიული ტერმინი ერთ ადგილას მოვიაზროთ ისე, როგორც ჩვენს შემთხვევაში გვაქვს.

— თუ ლევკოთეა-თეთროსანი ფრიქსემ ააშენა (უფრო სარწმუნოა, რომ გა-ნაახლა), მაშინ ქალაქი ფრიქსოპოლისიც თეთროსანთან ახლოს უნდა ვიგულის-ხმოთ, ვიდრე სადმე სხვაგან.

— სტრაბონი ასახელებს მხოლოდ ფრიქსოპოლისს, ანუ იდეესა-ს, მას არ-სად **არა აქვს ნათევამი, რომ იდი და იდეესა ერთიდაიგივეა.**

ახლა გვარკვიოთ, რატომ ჰქვია ამ ქალაქს იდეესა, საიდან მოდის ეს სახე-ლი. გამოვთქვამ ვარაუდს, რომელიც კიდევ უფრო დაგვაახლოვებს ლევკოთეა-თეთროსანთან. როგორც ცნობილია, კოლხეთის მეფის აიეტის მეუღლეს ერქვა იდიია, მათი ქალიშვილი ქალკიოპე კი ფრიქსოპოლისის ამშენებლის, ფრიქსეს მე-უღლეა. ჩვენი აზრით, სწორედ აიეტის მეუღლის იდიიას საპატივცემულოდ ეწოდა ფრიქსოპოლისს მეორე სახელი იდეესა.

საინტერესო **სტრაბონის** მეორე ჩანაწერი. პირველი წიგნის 2,38 პარაგ-რაფში, მას მოაქვს **ნეანთეს** სიტყვები: „არგონავტები მოვიდნენ ფაზისში, რო-გორც ამას მოწმობს ჰომეროსი და სხვებიც, ააშენეს კიზიკოსთან დედა-იდიიას საკურთხეველი.“¹⁶

თ. ყაუხეჩიშვილი თვლის, რომ კიზიკოსი, იგივე კიზიკენის კუნძული და იმა-ვე სახელის ქალაქიც პროპონტიდაშია, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეს შო-რის, ხოლო **კონა გიგინეიშვილს** ტოპონიმი კიზიკოსი მისიის სანაპიროზე ეგუ-ლება.

შესაძლოა კიზიკოსი დარდანელთან, ბოსფორთან და მისიის სანაპიროზეც იყოს, მაგრამ **სტრაბონის** ჩანაწერი ამ ადგილებს სულაც არ გულისხმობს; დავაკ-ვირდეთ; „**მოვიდნენ ფაზისში და ააშენეს კიზიკოსთან დედა-იდიიას საკურთხე-ველი**,“ ეს კი იმას მიანიშნებსო, აგრძელებს სტრაბონი, რომ ჰომეროსმა კარგად

იცოდა იაზონის ფაზისში მოგზაურებაო. მგვარად ერთი წინადადების ორ ფრაზას შორის, სადაც ფაზისი იხსენიება, მოქცეულია კიზიკოსი. სტრაბონი არაა ისეთი მოუწესრიგებელი ავტორი, მით უმეტეს გეოგრაფი, რომ ერთ ტოპონიმზე (ფაზისზე) თხრობის შემდეგ ცხრამთას იქეთ (დარდანელი, ბოსფორი, მისია და სევ.) გადახტეს და მეორეზე ისაუბროს. ჩვენი აზრით, საუბარია **ფაზისის (ფოთის)** მახლობლად არსებულ, ჩვენთვის უცნობ გეოგრაფიულ ადგილებზე (კიზიკოსზე), სადაც დედა-იდიიას საკურთხეველი აუშენებიათ. ფაზისი გვარა-ხუცუბანთან შორს არაა (ძველი საზომით 161 სტადიონი ანუ 46 კმ.), ამიტომ არც კოლხთა მეფის აიეტის მეუღლის იდიიას (იგივე იდაია) დედად მოხსენიება უნდა გაგვიკვირდეს და არც ქალაქ ფრიქსოპოლისზე იდეესას შერქმევა.

როგორც ცნობილია, საკურთხეველი ეკლესიის კანკელით გამოყოფილი ნაწილია. არაა გამორიცხული, რომ ფრიქსეს მიერ თეთროსანის (ლევკოთეას) აღდგენაში არა აშენების, არამედ საკურთხევლის ცალკე გამოყოფა და არსებული ეკლესიის ცხოვრებაში სხვა ტექნიკური ცვლილებები იგულისხმებოდეს.

შესაძლოა შემოგვედავონ იმაში, რომ სტრაბონის ამ ჩანაწერში საუბარია დედა-იდიიას საკურთხევლის აშენებაზე არგონავტების მიერ და არა ფრიქსეს ხელით. აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის, რომ **ფრიქსეს ერთ-ერთი შვილი არგოსია** გემ „არგო“-ს მშენებელი და არგონავტიც, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მამის (ფრიქსეს) გაკეთებული საქმე სტრაბონს მისი შვილისათვის (არგონავტისათვის) შეგნებულად მიეწერა, თუმცა შესაძლოა ეს შეცდომითაც მოსვლოდა.

ამგვარად, ქალაქ ფრიქსოპოლისის, იგივე იდეესას ლოკალიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით დაზუსტებული არაა. ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი ანალიზის საფუძველზე კი გაგვიჩნდა ვარაუდი, **ხომ არ არის ფრიქსოპოლისი იგივე თეთროსანი, იგივე გვარა-ხუცუბნის ნაქალაქარი?** თუ ჩვენი მოსაზრება სიმართლესთან ახლოსაა, მაშინ დასკვნები ასეთი იქნება:

— თეთროსანი-ლევკოთეა განაახლა და საკურთხეველი ააშენა კოლხთა მეფის სიძემ, საბერძნეთიდან დევნილმა ფრიქსემ, რომელსაც ცოლად ჰყავდა მეფე აიეტის ასული ქალკიოპე, მასთან შეეძინა 4 შვილი და აქვე დამკვიდრდა;

— თეთროსანის შემოგარენში ფრიქსემ გააშენა ქალაქი ფრიქსოპოლისი, რომელსაც შემდეგ აიეტის მეუღლის იდიიას საპატივცემულოდ, იდეესა უწოდეს;

— იდეესა ამჟამინდელი გვარა-ხუცუბნის ტერიტორიაზე არსებული ნაქალაქარი უნდა იყოს, სადაც აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი თითქმის მთლიანად შეესაბამება ფრიქსესა და აიეტის ცხოვრების სავარაუდო პერიოდს.

— ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ამ ადგილებში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას გეგმავდა ტროას აღმომჩენი დიდი მეცნიერი **ჰენრის შლიმანი**. ჩვენი აზრით, ეს არაა შემთხვევითი. მას აქ უძველესი, ტროას მსგავსი ქალაქი ფრიქსოპოლისი, ე. ი. უმნიშვნელოვანესი საკვლევი ობიექტი ეგულებოდა. სხვა შემთხვევაში ის ასეთ სურვილს არ გამოთქვამდა.

— ჰომეროსის პოემა „ოდისეა“ დიდხანს ელინური მითების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებად ითვლებოდა. შლიმანის მიერ ქალაქ ტროას აღმოჩენამ საფუძვლიანად შეცვალა ეს აზრი და დაადასტურა, რომ „ოდისეა“ რეალური ამბებისა და პიროვნებების ცხოვრებას ასახავს. სხვათა შორის შლიმანის აღმოჩენებით დადგინდა ბერძენთა ლეგენდარული გმირის ოდისევსის ტროას ომიდან მშობლიურ იტიკაში დაბრუნების ზუსტი თარიღი — ძვ. წ. -ა. 1178 წლის 16 აპრილი.

— მიმაჩნია, რომ გვარა-ხუცუბნის მიდამოებში, ამჟამინდელი თეთროსნის ეკლესიის ახლო ადგილებში საჭიროა მთავრობის დონეზე დაიგეგმოს საფუძვლიანი არქეოლოგიური გათხრები, რომლებშიც ჩაებმებიან ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ-სპეციალისტები, აგრეთვე უცხოეთიდან მოწვეული არქეოლოგები.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დიდი აღმოჩენების მოწმენი გავხდებით და შესაძლოა ფარდა აეხადოს კოლხეთის ისტორიის საიდუმლოებას, კერძოდ აიეტის, მედეას, არგონავტების და სხვათა შესახებ არსებულ მითებს, მათთან დაკავშირებული ყველა მოვლენა სინამდვილის სახით წარმოგვიდგეს და ეს ადგილები არა მარტო მეცნიერთათვის საინტერესო, არამედ საერთაშორისო ტურიზმის სახელგანთქმულ ცენტრად გადაიქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **სერგეი მესხი**, წერილები აჭარაზე. შეადგინა რამაზ სურმანიძემ. ბათუმი. 2000. გვ. 33, 34.
2. გაზ. „დროება“, 33, 15 თებერვალი; 36, 18 თებერვალი, 1878 წ.
3. **სულხან-საბა თრპელიანი**, ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი. 1991. გვ. 50, 56; ტ. II. თბ. 1993. გვ. 50.
4. **იოსელიანი ა.**, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. თბილისი. 1973; რამაზ სურმანიძე. თეთროსანი. ბათუმი. 2007. გვ. 17-24, 52, 82.
5. **ყაუხჩიშვილი თ.**, სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი. 1957. გვ. 124.
6. Вестник древней истории. №4, Москва. 1947.
7. **ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. თბილისი. 1941. გვ. 122.
8. **ბაგრატიონი თ.**, ისტორია ივერიისა. სანქტ-პეტერბურგი. 1848. გვ. 84.
9. **ჯანაშია ს.**, შრომები. II. თბილისი. 1952. გვ. 153, 154.
10. **ყაუხჩიშვილი თ...** გვ. 125.
11. **ინგოროვა პ.**, გიორგი მერჩულე. თბილისი. 1954. გვ. 271.
12. იქვე, გვ. 438.
13. **სურმანიძე რ.**, თეთროსანი. გვ. 44, 52, 82.

14. ინგოროვა პ... გვ. 487.
15. Всебашая история. т. 1. С.-Петербург. 1894. с. 377.
16. ყაუხეჩიშვილი თ... გვ. 124.

Ramaz Surmanidze

Where was located city Friksopolis?

Summary

125 years ago, after release Georgian lands from Ottomans, in Kobuleti villages – near Gvara and Khutsubani, during the bridge construction on a river – Kintrishi, workers discovered bronze ax. This was the first archaeological symbol, which led outbreak to the oldest settlement's scientific study. The article expresses the opinions about mythological Friksopolis and mentioned territories identity.

პარიზელი ქართველის ილია ჭაპაშარის ურთიერთობა
აკმად გელაშვილსა და თურქეთში გცხოვანებ მუჰაჯირ
ქართველებთან (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ
არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

დღევანდელი თურქეთის ტერიტორია უამრავი ქართველით, „ჩვენებურებითაა“ დასახლებული. ისინი იმ ქართველების შთამომავლები არიან, რომლებიც გასულ საუკუნეებში, საქართველოს ბედუკულმართობის გამო, დაპყრობილი მიწებიდან ოსმალეთის მიწაზე დასახლდნენ. ამ მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო რუსეთ-თურქეთის ომის დროს. მუჰაჯირობის შედეგად მთლიანად დაიცალა მურლულის ხეობა, ქვემო გურია, ქვემო აჭარა და გონიო, საქართველოდან თურქეთში ასორმოცდაათიათასზე მეტი ქართველი მუსულმანი გადასახლდა (<http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>).

ქართულმა საზოგადოებამ დიდი მუშაობა ჩაატარა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1915 წელს ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად შეკითხვით მიმართა მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ამ საქმეში გათვითცნობიერებულ ყველა ქართველს: „რა ღონისძიება უნდა იხმაროს ქართველმა საზოგადოებამ, ეროვნულ-კულტურულად რომ დაიახლოვოს და შემოიერთოს სამაჰმადიანო საქართველო?“ (საკითხი ეხებოდა უმეტესწილად ომისაგან დაზარალებულ აჭარის მოსახლეობას). ამ შეკითხვაზე პასუხები გამოქვეყნდა 1915 წლის 26 ივლისის სპეციალურ გაზეთში „ძმური სიტყვა“, სადაც დაიბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ურულის, გრიგოლ ყიფშიძის, გიორგი ლასხიშვილის, სოფრომ მგალობლიშვილისა და სხვა ცნობილი პიროვნებების პასუხები, რომლებიც ფორმით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, შინაარსი და დედააზრი ერთი და იგივე იყო - ქართული სკოლა, წერა-კითხვის გავრცელება, მამაშვილური სიყვარულის გაღრმავება; არ შეიძლება განირჩეოდეს მაჰმადიანური და ქრისტიანული საქართველო. აი, რას სწერდა ჩვენი უდიდესი პოეტი ვაჟა-ფშაველა: „ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებს. პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო, დიდებული მესხეთი - ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამაჰმადიანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები - სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი, უფრო შე-

ურყეველი გახდეს. ისინი და ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, საერთო ქართველი წინაპრებისა!“ (სუიცა, ფ. 303, აღ. 1, საქ. 435, ფ. 16).

გასული საუკუნის დასაწყისში ქართულ მინაზე დაწყებულ მამულიშვილურ საქმეს დავიწყება არ ენერა. თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ასეთივე საფიქრალი იყო დედა სამშობლოსთან დაახლოვება.

ეროვნული თვითშეგნება აღორძინდა და გაძლიერდა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა თურქეთში მცხოვრები დიდი ქართველი აპმედ მელაშვილი-ოზგანი. მისმა მოღვაწეობამ ახალი სული შთაბერა ქრისტიანი და მაჲმადინი ქართველების ცხოვრებას. მას ზოგჯერ XX საუკუნის „თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც“ უწოდებენ.

აპმედ მელაშვილი 1922 წელს ბალიქესირის რაიონის სოფელ ქოჩაიერში, ქართული მუჰაკაჯირების ოჯახში დაიბადა და ქართულად აიდგა ენა. მისი წინაპრები მუჰაკაჯირობის დროს სოფელ არხავეთიდან (მდინარე ჭოროხისა და მდინარე მურღულის შეერთების ადგილი) გადმოსახლდნენ. მამამ შეაყვარა ქართული ენა, რადგან ადრე დაობლებულს მამა ზრდიდა. ბალიქესირში მიიღო საშუალო განათლება (<http://www.chveneburi.net/ka/default.asp?brgpid=1494pg=1>).

სწავლის პერიოდში აპმედმა დაიწყო „გურჯების“ (თურქეთში მცხოვრები ქართველები ასე ეძახიან თავიანთ თავს) შემოკრება, მაგრამ ირგვლივ ინფორმაციული ვაკუუმი იყო. ამ ჯგუფის მიზანი იყო მათი შორეული წინაპრების - ქართველების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

აპმედი 1944 წელს ჯარში გაიწვიეს. სწორედ აქ გაიცნო ქართველი ემიგრანტი, რომელმაც უამრავი რამ მოუყვა ქართველებსა და ქართულ კულტურაზე. მიასწავლა ადგილი, სადაც ქართული კულტურის ღრმად შესწავლის შესაძლებელობა მიეცემოდა. ეს იყო საქართველოს სავანე - სტამბულის დიდი ქართული ბიბლიოთეკა. სტამბულის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლისას უფრო ახლოს გაეცნო ქართულ ბიბლიოთეკაში დაცულ საქართველოს ისტორიასა და კულტურას, შეისწავლა ქართული ანბანი, წერა-კითხვა, რამაც გადააწყვეტინა თურქეთელი ქართველებისათვის დაეწერა წიგნი. 1955 წელს დაოჯახდა, შექმნა ქართული ოჯახი, შეეძინა ორი შვილი და მათთან ერთად 1959 წელს ბურსაში გადავიდა საცხოვრებლად.

50-იანი წლების ბოლოს აპმედმა შეძლო საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირება. გაიცნო და დაუახლოვდა პარიზში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებსა და იქაური ქართველების უურნალ „თავისუფალი ტრიბუნის“ გამომცემ ჯგუფს. აპმედის მომავალი მოღვაწეობისათვის მეტად საინტერესო გამოდგა ამ ჯგუფთან, განსაკუთრებით კი ილია ჯაბადართან ურთიერთობა. მათ ერთად უამრავი კეთილი საქმე გააკეთეს, ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი ქართული კულტურის პოპულარიზაციით, ქართველი ხალხის დაახლოვებით.

ილია ჯაბადარის სახელი და მისი მოღვაწეობა ნაკლებად, შეიძლება ითქვას არც არის ცნობილი ქართველი ხალხისთვის. ის საქართველოში დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯაბადარის ოჯახში. ილია საზღვარგარეთ მოღვაწე კომპოზიტორის - ერეკლე ჯაბადარის ძმა იყო.

ჩვენს ქვეყანაში მენშვიკური მთავრობის მოღვაწეობის დროს ილია სამშობლოში იყო და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. 1919-1921 წლებში სავაჭრო-სამრეწველო პალატამ იგი ბელგიაში თავის ნარმომადგენლად დანიშნა (სუიცა, ფ.735, აღ.1, საქ. 373, ფ.115). მან მნიშვნელოვანი ცნობები მოაგროვა საქართველოში არსებული შავი ქვის, მატყლისა და აბრეშუმის ნარმოებაზე, მალე დაამყარა ურთიერთობები ცნობილ ფრანგულ ფირმებთან. მოგვიანებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საქართველო და, როგორც ბევრმა ქართველმა იმ პერიოდში, ევროპას მიაშურა. პარიზი გახდა მისი ძირითადი საცხოვრებელი ქალაქი.

ჯაბადარი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა. მეორე მსოფლიო ომამდე ილია ჯაბადარმა რამდენიმე ანტიფაშისტური დოკუმენტური ფილმი გადაიღო. პარიზში გერმანელების შემოსვლის შემდეგ ეს ფილმები გაანადგურეს. თვით რეჟისორი „ბაკურციხელი“ (ჯაბადარის ფსევდონიმი იყო) ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას. 30-იან წლებში მან და მისმა მეუღლემ სუზან ჯაბადარმა ფრანგულ ენაზე თარგმნეს ალ. მანველიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორია და გადამუშავებული წიგნი (გამოიცა პარიზში „ოქროს საწმისის“ მიერ) პარიზის წიგნთსაცავებს დაურიგეს.

საქართველოს სახელისათვის აუცილებელად მიაჩნდა ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია. „მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ქართველი ერის გასაცნობად ევროპელების მიერ საჭირო იყო ამ ასპარეზზე ქართული ხელოვნების გამოტანა. გარდა მუსიკისა და მხატვრობისა, ჩვენი ცეკვების ჩვენება აუცილებლად მიმაჩნდა. ამაზე ხშირად ვნატრობდი, მაგრამ ვერ ვხედამდი ამის განხორციელების საშუალებას“ (სუიცა, ფ. 202, ან. 1, საქ. 82).

1949 წელს პარიზში, იქაური ქართველებისაგან, ჩამოაყალიბა ქართული ცეკვის ანსამბლი „ქართული ბალეტი“, რომელმაც ათი წლის განმავლობაში ტრიუმფით შემოიარა ევროპის ყველა დიდი ქალაქის საკონცერტო დარბაზი. კონცერტების დაწყებამდე ილია ჯაბადარი სცენაზე აუცილებლად ეროვნულ ჩაცმულობასა და ქართულ ცეკვას მიმოიხილავდა. უურნალი „ბედი ქართლისა“ 1953 წლის აპრილში წედა: „ბატონი ილია ჯაბადარის ქართული ცეკვების ბალეტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართული ცეკვების უცხოეთში გამოტანა არის ერთი უდიდესი საშუალება ჩვენი კულტურის

პროპაგანდისა. მადლობასთან ერთად ბატ. ი. ჯაბადარი ღირსია ჯეროვანი ყურადღებისა და დახმარებისა ქართველი საზოგადოების მხრივ, მისთვის ამ მძიმე პირობებში უსასყიდლოდ, ასეთი უანგარო კულტურული მოღვაწეობისათვის“ (უიცა. ფ. 202, ალ. 1 საქ. 68).

„ქართული ბალეტით“ არც დაწყებულა და არც დამთავრებულა ილია ჯაბადარის კულტურული მოღვაწეობა, საქართველოს სახელისთვის უკეთე-სი იყო თვითონ ქართული ანსამბლების გაცნობა მსოფლიო მაყურებლისათვის. მისი მიზანიც ეს იყო: „ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანია მსოფლიოს გავაცნო ქართული ხელოვნება“ (ფონო ჩანაწერი, შექმნილი გასული საუკუნის 80-იან წლებში პარიზში).

60-იანი წლებიდან ჯაბადარი იმპრესარიოს ძნელსა და რთულ გზას და-ადგა. სულ მალე მთელ ევროპაში ცნობილი იმპრესარიო გახდა და უფრო მეტი მონდომებით შეუდგა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მის სახელთანაა დაკავშირებული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, ანსამბლ „რუსთავის“ და სხვა ქართული ანსამბლების (ჯგუფების) საგასტროლო მოგზაურობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ არ განხორციელებულა რაიმე კულტურული ღონისძიება, რომელშიც ილია ჯაბადარს არ მიეღო აქტიური მონაწილეობა. აპმედ მელაშვილისა და თურქ ქართველთა ურთიერთობა ამ მხრივ ერთ-ერთი საუცხოო მაგალითია. ახლობლებისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ოსმალეთში იმყოფება 60.000 გამაჰმადიანებული ქართველი... ამათ შეინარჩუნეს ქართული ენა, ადათები, ცეკვები და სიმღერები... ახალგაზრდობა გადაგვარების გზას ადგა. ქართული გრძნობის გასაღვიძებლად ერთმა ყმაწვილმა შეადგინა მოცეკვავე ჯგუფი (როგორც მე აქ პარიზში, იგივე მიზნით) და მთხოვა დარიგება ტანსაცმელზე, ცეკვებზე და სხვა. შორიდან, რაც შემეძლო მივაწოდე. თურმე ქალაქ ბურსაში ფესტივალის დროს დიდი მოწონება ჰქონიათ. მთხოვენ იქ წასვლას და ალაგობრივ დავეხმარო ყველაფერში. როგორც სჩანს საწყლები არიან და ვერ გაიღებენ ხარჯს ჩემს მოგზაურობისათვის, მე კი წრეულს ამისთანა ხარჯის ატანა არ შემიძლიან და შევპირდი მომავალ წელს წასვლას და თან წაყოლას ჩემი ბალეტმეისტრისა (კოხერეიძესი). მიწერ-მოწერას კი ვაწარმოებ. სანიმუშო ტანისამოსიც გავუგზავნე. ერთი სიტყვით ამ ძმებს უნდა მივხედო და დავეხმარო წმინდა პატრიოტული მიზნით.... თუ მეღირსა მომავალ წელს იქ წასვლა, ვფიქრობ გადავიდო სურათები, ჩავწერო სიმღერები და მათი ცეკვები შევისწავლო. მგონია, ალბათ მათ შერჩათ ის, რაც ჩვენში მივიწყებულია. სხავათა შორის ის ყმაწვილი (რომლის ქართული გვარი მელაშვილია) მწერს: „ჩამობრძანდით, აქ მთელი ქართველობა თქვენ

გელით, გზის ფულს კი ვერ გავიღებთ, მაგრამ აქ შეგინახამთ და ქართულ საჭმელებს მიირთმევთ“.....“თავისი ოჯახის სურათი გამომიგზავნა. ცოლი, ქალიშვილი, ვაჟი და თვითონ ისეთი ტიპიური ქართველები არიან, რო მესია-მოვნა“ (უიცა. ფ. 202, ალ. 1, საქ. 70).

ილია ჯაბადარსა და აპმედ მელაშვილს შორის თავიდანვე საუცხოო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. აპმედი წერილებში ილია ჯაბადარს მოიხსენიებს, როგორც ბიძას, თავის მხრივ ილიასაც მასთან მამა-შვილური დამოკიდებულება ჰქონდა.

აპმედისათვის ილია ქართულ საზოგადოებასთან საიმედო დამაკავშირებელი იყო. მათი ურთიერთობა გასული საუკუნის 60 - იან წლებში დაიწყო, როცა საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო. თურქეთიდან შეუძლებელი იყო საქართველოსთან პირდაპირი კავშირი, როგორც ჯაბადარი, ასევე მელაშვილიც ცდილობდნენ ეს ლამაზად დაწყებული საქმე უვნებლად დამთავრებულიყო, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის უფრო მეტი ზიანი არ მეყენებინათ: „დიდი სიფრთხილეა საჭირო კეთილად დაწყებული ურთიერთობა თურქეთში მყოფ ქართველებთან მათვის უვნებლად განაგრძდეს, თქვენ მოგეხსენებათ, რო თურქეთში კომუნისტური პარტია აკრძალულია და თუ ვინმე საეჭვო მოეჩვენება თურქულ პოლიციას, იმას სჯიან....არ იფიქროთ აგრეთვე ზოგიერთ ქართველს ჰქონდეს ისეთი გაგება პატრიოტიზმზე, როგორც ჩვენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც დაბეზღება არაფრად უღირს და ადამიანის დაღუპვაც.“ (უიცა. ფ. 202, ალ. 1. საქ. 70, ფ. 93.) ასეთ პირობებში აპმედი მაინც ახერხებდა ამ მძიმე “ტვირთის“ ტარებას, ყველა ქართველს, ვისაც მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ეხვეწებოდა მასზე და იქაურ ქართველებზე ინფორმაცია არსად არ გამოექვეყნებინათ (უიცა. ფ. 202, ალ. 1, საქ. 95, ფ. 1).

აპმედმა ილია ჯაბადარის დახმარებით ნათელი მოჰყვინა თავის დაწყებულ საქმეს ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ „ჩემი გული დიდი ხანია, 7 წლიდან ქართველობდა, 57 წლის ვარ, დაახლოებით 15 წლის მეგობრები ვართ. ჩემ ანთებულ გულში შეშა ჩააგდეთ, გააჩალეთ. ამის შემდეგ არ ჩანელდება. მე და თქვენ მიმონერა, რომ დავინყეთ, ქართული მეტი არ ვიცოდი. მე დავინყე ფრანგულად წერა მიტომ ასე მეადვილა, მაგრამ თქვენ აკრძალეთ და იძულებული დავრჩი ქართულზე..... მერე დამპატიურეთ პარიზში, გავიცანით ერთმანეთი და ვნახე ქართველი ჯგუფი... კიდევ აღავსეთ ჩემი გული ქართული რგძნობებით... თქვენი ქართული ჯგუფის თურქეთში მოყვანა ბევრ ქართველს თვალები აახილა...“

თქვენი საჩუქარი მაგნიტაფონიდან ბევრი ვისარგებლეთ...

ასე არ დაითვლება თქვენი ნაქნარები ჩემზე ქართულ ეროვნულ საკითხებზე.

ამიტომ რაც ვაკეთებ ამაში თქვენი დიდი როლი არის“ (სუიცა. ფ. 303, აღ. 1 საქ. 1207) „საფრანგეთის ქართველებში ჩემი ნამდვილი მეგობარი თქვენ ბრძან-დებით და კიდევ თქვენ ხართ პატრიოტი ყველაზე წინ.“ (უიცა. ფ. 303, აღ. 1, საქ. 1207, ფ. 4)

ვინც აპმედ მელაშვილის ნამოლვანარს იცნობს, ყველამ იცის, რომ თურ-ქეთში ს. ხეირიეში კულტურის სახლი, რომელიც დღეს გამაპმადიანებული ქარ-თველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის კერაა, მისი ორგანიზებით აშენდა. ამ საქმეშიც ილიას დიდი დახმარება გაუწევია. მან მოახერხა გერმანია-ში და ამერიკაში მცხოვრები ქართველების დაინტერესება ამ საკითხით, მათი და ილია ჯაბადარის მნიშვნელოვანი შემოწირულობით მოხდა ამ სახლის საძირ-კველის ჩაყრა.

აპმედი პარიზში ილია ჯაბადარსა და მის ძმებს სტუმრობდა. უკან დაბრუნებული ერთ-ერთ წერილში წერდა: „ მე პარიზში ბატონ ჯაბადარის სტუმარი ვიყავი, გავიცანი ისინი, ცოლ-ქმარი, რომლებიც ერთი-მეორეზე მეტი კარგი ქართვე-ლები არიან. სუზან ჯაბადარი ქართველი არ არის, მაგრამ გაქართველებულია და ჯობს ქართველებს და თან იცის საქართველოს ისტორია“ (უიცა. ფ. 202, აღ. 1, საქ. 92, ფ. 17.) .

უაღრესად თბილი დახვედრა ჰქოდათ 1965 წელს ილიასა და მის მეუღლეს თურქეთის ქართულ სოფლებში. აპმედ მელაშვილის მინვევით ილიამ თურქეთ-ში გამაპმადიანებულ ქართველებთან 17 დღე დაჲყო, ჯაბადარმა მოინახულა ბურსის, ჰილმიექოის, ალაჩამიქოის, არტუმალანის და აპმედის მშობლიური სო-ფელი ჰაირიექოის მოსახლეობა. ყველგან უამრავი ქართველი ხვდებოდა. მოგ-ზაურობის დროს ხდებოდა იქაური სიმღერების, ხალხური გამონათქვამების, ლეგენდების ჩაწერა. სტამბულში ქართული ტაძარი მოინახულა, სადაც იმუამად პავლე აკობაშვილი მოღვაწეობდა. ამაღლელვებელი იყო „გურჯებთან“ გამომ-შვიდობება. სოფელ ჰაერიოქოთის საზღვართან ილიამ ამაღლელვებელი სიტყვა წარმოთქვა:... „იცოდეთ, რომ ქართველ ერს ბევრი ვარამი გადაუტანია და კიდე-ვაც იქნებ გადაიტანოს, მაგრამ, ჩვენ სულით ძლიერნი ვართ და ზოგი ერი დედა-მინის ზურგიდან გაქრა, ჩვენ ვარსებობთ, მოვლონიერდით გავნათლდით და სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველები თუ ოდესმე დაუბრუნდებიან სამშობლოს, ჩვენზე ძლიერი ერი, სულით, გულადობით ქვეყანაზე არ მოიპოვება....“ (უიცა. ფ. 202, აღ. 1, საქ. 79, ფ. 4). არ მოხერხდა მოკლე დროში ყველა სოფლის ნახვა, ამიტომ ადგილზე დარჩენილმა აპმედმა გააგრძელა ილიას დაწყებული საქმე.

პარიზში დაბრუნებულმა ილიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თურქი ქართველებისავის ქართული ნაციონალური ანსამბლის კონცერტი ეჩვე-ნებინა. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა დიდი მოწონება დაიმსახუ-რა. „ ამისთანა რამ აქ სიზმარშიც არ უნახათ, ქართველები ხომ სულით გამაგ-რდნენ, შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან მოდიან. ზოგი სამჯერ - ოთ-

ხჯარ ესწრება ამ კონცერტს. მე მგონია რო ჩემს მიზანს მივაღწიე, მიყუჩებული ქართველობა გავაცოცხლე და რო შედეგი იქნება ამის, ეს მომავალი გვიჩვენებს“... (უიცა. ფ. 202, ალ. 1, საქ. 80, ფ. 29ა). ეს იყო აპმედ მელაშვილის დიდი სურვილიც.

მათ ნამოღვანაზე უამრავი რამის დაწერა შეიძლება.... მელაშვილი დიდ ეროვნულ საქმეს შეენირა.... მას კიდევ უამრავი საქმის გაკეთება შეეძლო. ... მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ აი ახლა შეგატყობინოთ, რომ მე ვფიქრობ თქვენი და სხვების წერილები საზოგადოებას ჩავაბარო. მომავალში მეცნიერები წაიკითხავენ თქვენ წერილებს და დაგვაფასებენ, სამშობლოს შორი სამშობლოსათვის როგორ უმუშავია და გაუკეთებიაო“ (უიცა. 303, ალ. 1 საქ. 1207, ფ. 4).

ილია ჯაბადარი გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. გარდაცვალებამდე 16 წლით ადრე ერთ-ერთ ნათესავს წერდა „...მე ვჩეარობ და სიკვდილს გავურბივარ, რომ ჩემი მიზნები აღვასრულო, მანამ „ვერაგი“ გზაში არ დამეწევა“... (უიცა. ფ. 202, ალ. 1, საქ. 80, ფ. 15). მიუხედავად ამისა, „მე ჩემს მიზანს მივაღწიე, ქართული კულტურა გავაცანი ევროპას და ამით ვათავებ ჩემს ცხოვრებას“ (უიცა. ფ. 202, ალ. 2, საქ. 60, ფ. 4). ვფიქრობ, სიკვდილი მაინც „გზაში“ დაეწია. (ილია ჯაბადარი 1982 წლის 2 აგვისტოს, 87 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა).

აპმედის მოღვაწეობის შემდეგ თურქეთში ეროვნული თვითშეგნება კიდევ უფრო ამაღლდა და გაძლიერდა. მათ დაწყებულ საქმეს გამოუჩნდნენ გამგრძელებლები.

გამოყენებული წყაროები:

1. სუიცა. ფონდი 202, ალ 1, საქ. 60;
2. სუიცა. ფონდი 202, ალ. 1, საქ. 68;
3. სუიცა. ფონდი 202, ალ. 1, საქ. 70;
4. სუიცა. ფონდი 202, ალ. 1, საქ. 80;
5. სუიცა. ფონდი 202, ალ. 1, საქ. 82;
6. სუიცა. ფონდი 202, ალ. 1, საქ. 95;
7. სუიცა. ფონდი 303, ალ. 1, საქ. 435;
8. სუიცა. ფონდი 735, ალ 1, საქ. 373;
9. სუიცა. ფონდი 1207, ალ. 1, საქ. 1207.
10. ილია ჯაბადარის ფონო ჩანაწერი.

RELATION OF AHMED MELASHVILI AND GEORGIAN MUHAJIRUN LIVING IN TURKEY WITH PARISIAN GEORGIAN – ILIA JABADARI

Summary

The work concerns the relations between the Moslem Georgians living in Turkey and Christian Georgians. It's known that the distinct part of Turkey is inhabited with Moslem Georgians. They always missed Georgia and dreamed to speak Georgian.

In the 60s of the previous century many national affair was done in this direction.

The feeling of the national self-consciousness of Georgians inhabited of Turkish land, awakening of Georgian spirit, approachment of Moslem and Christian Georgians connected Parisian Georgian Ilia Jabadari and the descendant Muhajirun living in Turkey Ahmed Ozgan-Melashvili. Georgian house founded by their assistance in the center of Turkey represents the cultural hub even today. Cultural relations of Georgia and Turkey are the continuation of the affair begun by them.

This history is displayed according to the materials preserved in the fonds of Central Archive of Contemporary History.

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის 70-იან წლები
(რუსეთ-თურქეთის ომი და აზარის დაზა-სამშობლოსთან
დაპრუნება)**

ქართველი ხალხის ბრძოლა ისტორიული მიწა-წყლის დაპრუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის მე-19 საუკუნეში თვისობრივად ახალ პირობებში მიმდინარეობდა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შედეგად აქ ეროვნულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება აღარ არსებობდა. ქართული მიწა-წყალი ორი დამპყრობელი სახელმწიფოს — რუსეთის და ოსმალეთის ბატონობაში იმყოფებოდა, მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია რუსეთის ძალას იყენებდა ისტორიული მიწა-წყლის ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნისათვის. მართალია, ამ შემთხვევაში ერთი დამპყრობლიდან მეორე დამპყრობლის ხელში გადადიოდა, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში, თავისთავად პროგრესული აქტია. ერს ეროვნული თვითმყოფადობის, თავისუფლებისათვის ბრძოლის მეტი შესაძლებლობა-ნი ეძლეოდა.

ქართველ ხალხს ყოველივე ეს კარგად ჰქონდა შეგნებული. ამიტომ ქართველები რუსეთ-თურქეთის ომებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათ რუს მეომრებთან ერთად ბევრი სისხლი დაღვარეს ოსმალთაგან მშობლიური მიწის გამოხსნისათვის. მართალია, 1806-1812 წლების ომის შედეგად რუსეთმა და ქართველმა მეომრებმა ერთობლივი ბრძოლით გაათავისუფლეს ფოთი, სოხუმი, ახალქალაქი, ანაპა, მაგრამ ბუქარესტის ხელშეკრულებით (1812 წლის 16 მაისი), სოხუმის გამოკლებით, ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა. 1827-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა თავის მიწა-წყლის ნაწილი—ახალციხე, ახალქალაქი, ადიგენი, ასპინძა, ნინოწმინდა.

საქართველოს ტეტრიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ოსმალეთის ხელში რჩებოდა. მისი გამოხსნისათვის ყირიმის ომს (1853-18560 რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

ახალი ომისათვის მზადება ყირიმის ომის დამთავრებისთანავე დაიწყო. ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი თურქეთს ეხმარებოდნენ. მომავალი ომისათვის მზადების პირობებში რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა პოზიციას, მათ განწყობას. ამას ჯეროვნად ითვალისწინებდა როგორც ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა, ისე რუსეთის სამხედრო უწყება [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:46].

ამ მიზნით მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მივლინებული იყვნენ ივ. კერესელიძე, ა. მეფისაშვილი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვა. მათ შეზვედრებსა და საუბრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ გავლენიან პირებთან არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ აგრეთვე მეცნიერული და ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველობას იმედს აძლევდა, ძალასა და ენეგიას ჰმატებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია რუსეთ-თურქეთის მომავალი ომის მიმართ გარკვევით გამოხატა ამ მხარის ყველაზე უფრო გავლენიანმა პირმა შერიფ ხიმშიაშვილმა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ივანე კერესელიძესთან საუბარში შერიფ ხციმშიაშვილს განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაინყოს ომი. მე მზად ვარ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს”.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის თავდადებული მებრძოლნი მდაბიო ფენებშიც საკმაოდ იყვნენ, რომელთა ეროვნულ-პატრიოტულმა პოზიციამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ასეთ პატრიოტებად წარმოგვიდგებიან გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ახმედ ხალვაში, დედე ნიუარაძე, ახმედ ხალიფაშვილი და სხვა.

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აზვირთებულ სახალხო-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ამ მოძრაობისადმი დიდ ყურადღებას იჩენდნენ რუსეთის სამხედრო უწყება, განსაკუთრებით კი საქართველოს მგზნებარე მამულიშვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი და სხვები. გაზეთები „დროება”, „ივერია” მათ შეახებ საინტერესო ცნობებს აქვეყნებდა.

რუსეთ-თურქეთის ახალი ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აჯანყების ალში გაეხვა. მათგან საყურადღებოა 1862, 1873 და 1875-76 წლების გამოსვლები. 1862 წლის აჯანყება თებერვალში დაიწყო და მაისამდე გაგრძელდა. გამოსვლა განსაკუთრებული სიმძლავრით გაიშლა ბათუმის, ქობულეთისა და მაჭახლის სამაზროებში. მოსახლეობა წინ აღუდგა სულთნის მთავრობის მცდელობას—გაედიდებინა გადასახადები, ნატურალური გამოსაღები შეეცვალა ფულადით, გადაეყვანათ მთელი მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა, სახელმწიფო ხაზინის უშუალო დამოკიდებულებაში.

1873 წლის გამოსვლა დაკავშირებული იყო ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობისა და ადგილმამულების აღწერასთან, თურქი მოხელეები გააძევეს აჭარიდან, ხოფიდან, არხავედან და სხვა რეგიონიდან.

ყველაზე უფრო მძლავრი იყო 1875-1876 წლების აჯანყება. იგი ასევე დაკავშირებული ყოფილა გადასახადების გადიდებასა და რაც მთავარია ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევასთან. აჯანყებამ 1875 წლის აგვისტოდან მოყოლებული 1876 წლის ბოლომდე გასტანა. ოსმალეთის მთავრობამ აჯანყების კერებში რეგულარული არმიების ნაწილები ჩააყენა. მათსა და აჯანყებულებს შორის სისხლიანი შეტაკებები მოხდა, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი მოიკლა. მართალია, ოსმალეთის მთავრობამ აჯანყება იარაღით ჩაახშო, მაგრამ გადასახადების გადიდება და მოსახლეობის ჯარში გაწვევა მაინც ვერ შეძლო [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008: 67-71].

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დაწყების წინ და ომის მსვლელობაში ქართველი ხალხი ხალისით ჰქმნიდა სახალხო რაზმებს. საქმე ის გახლავთ, რომ 1887 წლამდე ქართველები რუსეთის რეგულარულ არმიაში არ გაჰყავდათ. მათგან მხოლოდ სახალხო ლაშქარს, ე.წ. მილიციონერთა რაზმებს აყალიბებდნენ. ომის დასაწყისში სახალხო ლაშქარი შეიქმნა ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვა კუთხეებში.

სახალხო ლაშქრის ფორმირება მთელ ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა. ომის დაწყების წინ, მოკლე დროში, ამიერკავკასიაში მობილიზებული იყო 42 ათასი კაცი, რაც კავკასიის არმიისათვის ერთ მეოთხედს შეადგენდა. საქართველოში მოლაშქრეთა 37 საბრძოლო შენაერთი შეიქმნა, სულ 102 ასეული, რომელშიც 18395 კაცი ირიცხებოდა. ეს პროცესი ომის დროსაც გრძელდებოდა. მტლიანად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 30 მეტი ქართველი მონაწილეობდა [შ. მეგრელიძე, 1976:56-57].

სახალხო რაზმელების იარაღით, სურსათით, ტანსაცმლით, ფურაჟით და სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფაში წვლილი ყველას შეჰქონდა. საქართველოში ფრონტისათვის ფულის შეგროვებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ქართლის პატარა სოფელ მანგლისში 600 მანეთი შეაგროვეს, ხოლო ოზურგეთში 800 მანეთი და სახალხო მოლაშქრეებისათვის საჭირო ნივთები იყიდეს. ფრონტისათვის საჭირო ფულის შესაგროვებლად სპეციალური კონცერტები იმართებოდა. ქართველ გლეხვაცობას არმიისათვის საჭირო საბრძოლო მასალები მამაპაპისეული საკუთარი ტრანსპორტით გაჰქონდათ. არმიისათვის ბინებსაც გამოჰყოფდნენ. ერთი სიტყვით ქართველი ხალხი ერთსულოვნად დარაზმული იყო.

რუსეთ-თურქეთის ახალი ომი 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო. საომარი მოქმედება ბალკანეთსა და კავკასიაში გაიშალა. რუსეთის არმია 437 ათას, ხოლო თურქეთისა 450 კაცს შეადგენდა. ამიერკავკასიაში რუსეთის არმია ითვლი-

და 180 ათას კაცს, რომელიც სამ კორპუსად იყოფოდა. პირველი უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე იყო განლაგებული, რომელსაც ლორის მელიქოვი სარ-დლობდა. მეორე გენერალ ოკლობჟიოს მეთაურობით დასავლეთ საქართველოში განალაგეს, ხოლო მესამე გენერალ ანდრონიკაშვილის სარდლობით კახეთში, ალაზნის პირას დაბანაკდა. ამიერკავკასიის ფრონტის მთავრსარდალი იყო კავ-კასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი.

ამიერკავკასიის მოქმედი კორპუსი 60 ათას კაცს შეადგენდა. გეგმის თანახმად შეტევა ოთხი მიმართულებით განვითარდა: ოზურგეთიდან — ბათუმი-საკენ, ახალციხიდან — არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან — ყარსისაკენ, ერევნიდან — ბაიაზეთისაკენ.

ოსმალეთის ხელისუფლბა ადგილობრივი ქართველებისაგან შემდგარ მილიციელთა რაზმებზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო. ბათუმის კორპუსის უფროსი დევ-რიშ-ფაშა ბევრს ეცადა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის რაზმები რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაეპა, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა ამ მიმართულებით მარცხით დამთავრდა. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა რუსეთის მხარესთან საიდუმლო მოლაპარაკება გააბა.

შერიფ ხიმშიაშვილი თავისი მოქმედების გეგმასა და ჩანაფიქრს რუსეთის სარდლობას აუზყდებდა. ოსმალეთის სარდლობამ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პოზიცია ამოიცნო. იგი მოღალატედ ჩათვალეს და დაპატიმრებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ შერიფ ხიმშიაშვილი თავისი რაზმით ახალციხეში გადავიდა, ხოლო ცოლ-შვილი არტაანში გადამალა. სულთანის მთავრობის დავალებით ფანატიკოსთა ბრძომ მისი სახლ-კარი გადაწვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე ნური ხიმშიაშვილმა. იგი შავშეთის ფაქტიური მმართველი იყო. სამწუხაროდ, აქაური პრივილეგირებული წოდების ზოგიერთი წარმომადგენელი ბოლომდე ერთგული დარჩა სულთანის მთავრობისა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ქობულეთელი ბეგები, ძმები ოსმან და ალი თავდგირიძეები. ისინი ოსმალეთის ინტერესების თავგამოდებული დამცველები იყვნენ [შ. მეგრელიძე, 1976: 78-80].

აჭარის მოსახლეობა, მცირერიცხოვან ფანატიკოსთა გამოკლებით, რუსეთის არმიას სიმპატიით და პურმარილით ხვდებოდა. ამის თაობაზე გაზეთი „დროება“ გადმოგვცემს: „თითქოს დრო არ გაივლის, რომ ქობულეთიდან არ მოვიდნენ ჩვენს ბანაკში... უბრალო მცხოვრებლები და არ მოიტანონ კარაქი, ერბო, გამომცხვარი პური და სხვა ხორაგეული და ხილეულობა. რამდენიმე საათს რჩებიან ხოლმე ჩვენს ბანაკში, დიდის სიამოვნებით გვესაუბრებიან სხვა-დასხვა ამბებზე და შემდეგ მეგობრულად გვშორდებიან და მიდიან“.

საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ აქაური მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა რუსეთის მხარეს. მაგ: მუხაესტატეს აღების შემდეგ ქობულეთელმა ყურშუმ ჭყონიამ თავისი რაზმით მიატოვა ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეების ბანაკი და რუსეთის მხარეს გადავიდა. იყო გრიგოლ გურიელთან გამოცხადდა და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა. მეორე დღეს რუსეთის მხარეს გადავიდა ქობულეთელთა 150 კაციანი რაზმი, რომელსაც ჭყონიას მეგობარი შერიფ-ალა მეთაურობდა.

რუსეთის რეგულარული არმიის და კავკასიის რაზმელების, განსაკუთრებით კი ქართველი მოლაშქრეების თავგანწირული ბრძოლის შედეგად ოსმალეთმა გამკლავება ვერ შეძლო. 1877 წლის აპრილში რუსთა ჯარმა დაიკავა ბაიაზეთი, ყალბეკი, ხოლო ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად — 6 მაისს არტაანი. არტაანის აღება იყო რუსეთის არმიის პირველი დიდი გამარჯვება 1877-1878 წლების ომში. ამ ოპერაციაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ საჯარისო შენაერთმა, რომელსაც ქართველი მხედართმთავარი ამირეჯიბი მეთაურობდა.

1877 წლის აპრილის დამლევს ოსმალეთმა აფხაზეთში დესანტი გადმოსხა და ამ მხარის ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაიკავა. ამას დაერთო აჯანყება ჩრდილო კავკასიაში. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მდინარე კოდორისა და ოჩამჩირის მიდამოებში. 1877 წლის ივლისში თურქეთის დესანტი სასტიკად დამარცხდა მდინარე მოქვთან. 20 აგვისტოს სოხუმიც გაათავისუფლეს და აფხაზეთის მთელი ტერიტორია ოსმალთაგან გაიწმინდა. 1877 წლის შემოდგომაზე კახეთში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარმა გენერალ ანდრონიკაშვილის მეთაურობით, სასტიკად დამარცხა ჩეჩენეთისა და დაღესტნის მოლაშქრები, რომლებიც თურქეთის დასახმარებლად ჩრდილოეთიდან დაიძრნენ.

1877 წლის შემოდგომაზე გააფთრებული ბრძოლები გაიმართა მცირე აზიის ფრონტზე. ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის ჯარმა გაანადგურა თურქეთის არმია აღაჯავლიარის მიდამოებში და მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავა. ეს იყო ყველაზე დიდი საბრძოლო ოპერაცია კავკასიისა და მცირე აზიის ფრონტზე 1877-1878 წლების ომში. ამ ოპერაციის დროს ოსმალეთის არმიამ კიდევ უფრო დიდი დანაკარგი განიცადა. რუსეთის არმიამ შეტევა ორი მიმართულებით განავითარა. ერთი ნაწილი ყარსს მიუახლოვდა და ანატოლიის მთავარი ციხე-სიმაგრე ალყაში მოაქცია. მეორე ნაწილი კი ერზრუმისაკენ გაიჭრა. ყარსი საკმაოდ იყო გამაგრებული. ქალაქის აღება გაჭიანურდა. ათი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად 1877 წლის 6 ნოემბერს რუსთა ჯარმა ლორის მელიქოვის სარდლობით ყარსი აიღო. ამ საბრძოლო ოპერაციაში თავგანწირულად იბრძოდნენ ახალციხისა და თიანეთის სახალხო მოლაშქრეები.

რუსეთის ჯარმა ალყაში მოაქცია ანატოლიის მეორე მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი ერზრუმი. 1877 წლის დეკემბერსა და 1878 წლის იანვრის

დასაწყისში რუსთა ჯარმა დაიკავა შავშეთი და არტანუჯი. ამრიგად, თურქეთის არმიამ ანატოლიაში, რომელსაც მუხთარ-ფასა სარდლობდა, სრული მარცხი განიცადა. მაგრამ ბათუმის მიმართულებით სულ სხვა სურათი შეიქმნა. ამ უბანზე თურქეთს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უპირატესობის მიუხედავად, რუსთა არმიამ ქართველ მოხალისეებთან ერთად ოსმალეთის დაცვა გაარღვია და ომის პირველ დღეებში დაიკავა მუხაესტატე, ხუცუბანი, ქობულეთი, სამება და ციხისძირთან შეჩერდნენ.

რუსეთის საჯარისო ნაწილები ციხისძირთან მტრის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ მონაკვეთზე რუსეთის ჯარის ორი გენერალური შეტევა 1877 წლის 11-12 ივნისსა და 1878 წლის 18 იანვარს მნიშვნელოვანი მსხვერპლით და ამავე დროს უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, 1877 წლის შემოდგრომის დამლევს ომის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. რუსეთმა ოსმალეთი ბალკანეთშიც დაამარცხა და უშუალოდ კონსტანტინეპოლის შეექმნა სერიოზული საფრთხე.

ასეთ ვითარებაში თურქეთის მთავრობამ რუსეთს ზავი შესთავაზა. 1878 წლის 19 იანვარს დროებითი ზავი დაიდო, ხოლო 9 თებერვალს თურქეთმა რუსეთს ერზრუმი ჩააბარა. საზავო მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და 1878 წლის 19 თებერვალს ორივე მხარემ ზავს ხელი მოაწერა. ამ ზავით აღიარეს სერბის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. ბულგარეთის ნაწილს ავტონომია ეძლეოდა თურქეთის მფლობელობაში, ხოლო მეორე ნაწილში დამოუკიდებელი სამთავრო იქმნებოდა [შ.მეგრელიძე, 1976:77-82].

აზიაში რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა ყარსი, ბაიაზეთი, ერზრუმი, ალაშქერთი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმი-ქობულეთი. ეს ტერიტორია მდინარე ჩოლოქიდან იწყებოდა და მდინარე ხოფამდე და სოლანლულის მთებამდე გადიოდა.

რუსეთის მიღწევებით ევროპის სახელმწიფოები აღშფოთებული იყვნენ. ევროპის სახელმწიფოთა, უნინარესად ინგლისის დახმარებით თურქეთი ახალი ომის სამზადისს შეუდგა. ამიტომაც აიძულეს რუსეთი დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მონვევას, რომელზედაც სან-სტეფანოს ხელშეკრულება გადაისინჯებოდა. რუსეთის დიპლომატიამ მოიგერია მის წინააღმდეგ გაჩაღებული შეტევები. ინგლისი იძულებული გახდა რუსეთთან საიდუმლო მოლაპარაკება გაემართა, რომელზედაც განიხილეს მოსალოდნელ დათმობათა ზღვარი.

ბერლინის კონგრესის მუშაობა 1878 წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე მიმდინარეობდა. კონგრესის მონაწილეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების შენარჩუნება. ბერლინის კონგრესის ტრაქტატით რუსეთი თურქეთს უბრუნებდა ბაიაზეთს, ერზრუმს, ალაშქერთს. ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქა-

ლაქად ცხადდებოდა, სამაგიეროდ ბერლინის კონგრესმა დაადასტურა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ლაზისტანის ნაწილის, აგრეთვე ბესარაბიის გადასვლა.

ბერლინის კონგრესის ტრაქტატის მიუხედავად, თურქეთი აჭარისა და ბათუმის გათავისუფლებას, რუსეთისათვის გადაცემას აჭიანურებდა. რუსეთის სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად თურქეთი იძულებული გახდა ბათუმი და ტოვებინა. ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შევიდნენ: 25 აგვისტოს ქობულეთიდან კავკასიის არმიის მთავრასარდლის მოადგილის სვიატოპოლკ მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს — ართვინის გზით ჭორობზე გამოვლით გენერალ კომაროვის, ხოლო 2 სექტემბერს — ზემო აჭარიდან გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით.

რუსეთის არმიის ნაწილებს ბათუმში მოუძლოდნენ შემოერთებული მხარის მოსახლეობის დეპუტაცია. მათ შორის ზემო აჭარიდან შერიც ხიმშიაშვილის, ხოლო შავშეთ-იმერხევიდან ნური ხიმშიაშვილის მეთაურობით. 1878 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ მათვის ე.წ. მოედანზე სადილი გამართა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის სიტყვით „ტოლუმბაშობა იკისრა გენერალმა ხიმშიაშვილმა, რომელმაც თავისი მახვილობით და აჭარული ბეგობით მთელი იქ მყოფნელების მადლობა დაიმსახურა...“

დედასამშობლოსთან დაბრუნების შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ქართველი ხალხი ჩადგა მხარის აღორძინების სამსახურში. დიდი მუშაობა გაიშალა აქაური ქართველების ეროვნული გათვითცნობიერების და მშობელ ორგანიზმთან შედუღაბებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. მეგრელიძე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო, ბათ., 1976
2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათ., 2008
3. ა. ფრენკელი, ნარკვევები ჩურუქსუზე და ბათუმზე (რედაქტორ-შემდგენელი რ. სურმანიძე), ბათ., 2012
4. ს. ლეკვეიშვილი, ასე იწყებოდა ქალაქი, ბათ., 2000
5. ნ. ჩხეიძე, ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათ., 1964
6. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1957
7. ბათუმის ლირშესანიშნაობანი, ბათ., 1979

8. ბათუმის არქიტექტურა, ბათ., 2001
9. თ. კომახიძე, ბათუმის ამაგლარნი, ბათ., 1998
10. თ. კომახიძე, ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია, ბათ., 2001

Otar Gogolishvili

BATUMI IN 70S OF XIX CENTURY

Summary

In XIX century Georgian people struggle for returning historical native land and territorial integrity was going in new conditions. After the occupation-annexation of Georgia by Russia, there was no longer existed national state government. Georgia native land was in two invader states domination – Russia and Ottoman. In article is reviewed issues connected with Russia-Turkey 1877-1878 years war progress, results and returning of motherland to Ajara.

გათუმი XX საუკუნის 10-იან წლებში

(საარქივო სამმართვოლო დაცული მასალების მიხედვით)

ბათუმი მნიშვნელოვან ცენტრად XIX ს. დამლევს ჩამოყალიბდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმი ბაქოს ნავთობის უცხოეთში ექსპორტის ძირითად პუნქტად გადაიქცა. რკინიგზის გაყვანამ და ნავსადგურის მშენებლობამ კიდევ უფრო გაზარდა მისი პერსპექტივა. ბათუმი XX ს. დასაწყისში თბილისისა და ბაქოს შემდეგ ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იყო სავაჭრო-სამრეწველო თვალსაზრისით. ბათუმიდან გატანილი ტვირთების უდიდეს ნაწილს (ცხრა მეათედს-ჯ.კ.) ნავთობპროდუქტები შეადგენდა. ასეთი ვითარება ერთგვარი საფრთხის შემცველიც იყო. ვინაიდან ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ცვლილებას შეეძლო სერიოზული დარტყმა მიეყნებინა ბათუმის განვითარებისათვის. მართლაც XX საუკუნის დასაწყისში ნავთობის ახალი, მდიდარი საბაზოების აღმოჩენამ აშშ-ში, ინდოეთსა და ბირმაში მნიშვნელოვნად შეზღუდა რუსული ნავთობის ექსპორტი, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით „ბათუმის გაზეთ“ წერდა: „განვითარების გზაზე დიდი სისწრაფით მიმავალი ბათუმი უეცრივ შეჩერდა და თითქოს დაქვეითების გზას დაადგა. ის აღარა ჰგავს ძველ ბათუმს, სადაც სიცოცხლე სდუღდა და გადადუღდა“ („ბათუმის გაზეთ“, 29, 1911). ამას დაემატა 1905-1907 წელი. რევოლუციით და რუსეთის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სირთულეები, რამაც უფრო თვალსაჩინო გახდა ბათუმის განვითარების შეფერხება.

1910 წლიდან რუსეთმა დაძლია ეკონომიკური კრიზისი. ბათუმშიც დაიწყო სამრეწველო გამოცოცხლება. მართალია ნავთობის ექსპორტის შემცირება აფერხებდა ბათუმის განვითარების პროცესს, მაგრამ კრიზისის პერიოდთან შედარებით აღმავლობა აშკარა იყო. ამაზე მეტყველებდა ნავსადგურის ტვირთბრუნვისა და წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა. თუ 1910 წ. ბათუმიდან გაიტანეს 63 607 487 ფუთი საქონელი, 1912 წ. მისი რაოდენობა 74 250 602 ფუთამდე გაიზარდა. თუ 1910 წ. ბათუმის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 1 652 440 მანეთის ღირებულების პროდუქცია, 1912 წელს წარმოებული საქონლის ღირებულებამ 3 725 730 მანეთი შეადგინა (სცსსა, ფ. 13.ა.2, ს. 574, ფ. 7).

ბათუმის ბიუჯეტისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფუთო გადასახადს, რომელიც დაწესდა 1889 წ. და ითვალისწინებდა ბათუმის ნავსადგურში გატარებულ ტვირთებზე ფუთზე მეოთხედი კაპიკის გადახდას. შემოსული თანხის ოთხი მეტუთედი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, ხოლო ერთი მეხუ-

თედი ბათუმის თვითმმართველობას ეძლეოდა ნავსადგურის განვითარებისა და პორტისაკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობისათვის. მართალია შემოსული თანხა მხოლოდ ნავსადგურის საჭიროებისათვის უნდა დახარჯულიყო, მაგრამ თვითმმართველობა ახერხებდა ქალაქის სხვა საჭიროებისათვის მათ გამოყენებას (ბენდიაშვილი, 1982:252-253). თუ რამდენად დიდი იყო საფუთო გადასახადის როლი ბათუმის შემოსავლებში, მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: 1901 ქალაქის მთელი შემოსავალი შეადგენდა 575 438 მანეთს, საიდანაც საფუთო გადასახადზე მოდიოდა 244 705 მანეთი (აცსა, ფ. 7, ს. 547, ფ. 5). ცარიზმა 1901 წ. 8 ივნისის ბრძანებით საპორტო შემოსავლების რეორგანიზაცია მოახდინა და საფუთო გადასახადის აკრეფა დაევალათ საბაჟოებს, რომელთაც ის ხაზინაში შეჰქონდათ. შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თანხას გასცემდა უშუალოდ პორტის საჭიროებისათვის. ამ კანონმა ბათუმი სერიოზულად დააზარალა. თუ ადრე საფუთო გადასახადიდან წელიწადში საშუალოდ ქალაქი 200-250 ათას მანეთს იღებდა, ამიერიდან მას შეეძლო 30-40 ათასის მოთხოვნა, ისიც მხოლოდ ნავსადგურის საჭიროებისათვის. ამან უარყოფითად იმოქმედა ბათუმის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუ 1911 წ. ქალაქის შემოსავალი შეადგენდა 457 212 მანეთს, იმავე წელს გასავალმა 493 973 მანეთს მიაღწია (სცსა, ფ. 13, ა. 2, ს. 403, ფ. 26-27). მომდევნო 1912 წ. ქალაქის შემოსავალმა 430 788 მანეთი, ხოლო გასავალმა 517 003 მანეთი შეადგინა (სცსა, ფ. 13, ა. 2, ს. 874, ფ. 3-5). სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ქალაქის შემოსავალი 26 424 მანეთით შემცირდა, ხოლო გასავალი გაიზარდა 23 030 მანეთით. წლების მანძილზე ასეთმა უარყოფითმა ბალანსმა, რასაც ემატებოდა აღებული სესხების პროცენტები, 1912 წლისთვის ქალაქის ხაზინისადმი დავალიანება 1 645 642 მანეთამდე გაზარდა (სცსა, ფ. 13, ა. 2, ს. 574, ფ. 8). ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა წლების განმავლობაში დაუინებით ცდილობდა აღედგინა საფუთო გადასახადი. ამ საკითხს მიეძღვნა სათათბიროს რამდენიმე საგანგებო სხდომა (აცსა, ფ. 7, ს. 547, ფ. 5-7). საფუთო გადასახადის აღდგენის საკითხში განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა ბათუმის ქალაქის თავმა ივანე ანდრონიკაშვილმა. წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვისას იგი ხანგრძლივი დროით პეტერბურგს გაემგზავრა. 1912 წ. 2 ივნისს საფინანსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ბათუმის სათათბიროს კანონპროექტი განიხილა სახელმწიფო სათათბირომ და დაადგინა: დაწესდეს ბათუმის ნავსადგურში გამავალ ტვირთებზე უშუალოდ ქალაქის საჭიროებისათვის მეოთხედი კაპიკი საფუთო გადასახადი, ასევე ბათუმს 1912 წ. 1 იანვრის ხაზინისადმი არსებული დავალიანებაც მოეხსნებოდა (აცსა, ფ. 7, ს. 664, ფ. 351). ივანე ანდრონიკაშვილი პეტერბურგიდან ქალაქის გამგეობას უდეპეშებდა: „გილო-ცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას, გულწრფელად ვხარობ ბათუმისთვის“ (აცსა, ფ. 7, ს. 664, ფ. 352). მიუხედავად საკმაოდ რთული ფინანსური მდგომარეობისა

(ბიუჯეტის დეფიციტურობა), ქალაქის გამგეობა არ ერიდებოდა აუცილებელ დარგთა დაფინანსებას. ეს კიდევ უფრო რთული იყო იმის გამო, რომ 10-იან წლებში ბათუმის მოსახლეობა სერიოზულად იზრდებოდა და 1913 წლის საქალაქო აღნერის მონაცემებით თითქმის 40 000 მიაღწია (აცსა, ფ.7, ს.551, ფ.18).

ბათუმის ბიუჯეტის სოლიდური წილი განათლების სფეროზე იხარჯებოდა. თუ 1888 წ. განათლებაზე ხარჯებმა 2300 მანეთი შეადგინა, 1901 წ. ამ მიმართულებით ხარჯებმა 38 821 მანეთი შეადგინა, ხოლო 1911 წ. 84 394 მანეთს მიაღწია (სცსა, ფ.13, ა.2, ს.403, ფ.9). განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქალაქის მმართველობის როლი ვაჟთა გიმნაზიის და წმინდა მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსების საქმეში (აცსა, ფ.7, ს.554, ფ.6-7).

განათლების სამინისტრომ მას შემდეგ გასცა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის გახსნის ნებართვა, როცა ქალაქის თვითმმართველობამ იკისრა მშენებლობისათვის ხარჯების გადება და შემდგომში ყოველწლიური სუბსიდია 15 000 მანეთის ოდენობით. გიმნაზიის აგებაზე თვითმმართველობამ დახარჯა 215 000 მანეთი და შემდეგშიც არ აკლებდა მას ყურადღებას. აღსანიშნავია თვითმმართველობის მონდომება გაემზადებინა გიმნაზიის წინ სანაპირო ზოლი, სადაც მცირე ავდრის შემთხვევაშიც ტალღები ახლადაგებული შენობის საძირკველს აღწევდა და აზიანებდა. თვითმმართველობამ გამოაცხადა სპეციალური კონკურსი სამუშაოების ჩასატარებლად (აცსა, ფ.6, ს.645, ფ.39). შემდეგშიც არაერთხელ განიხილა ეს საკითხი (აცსა, ფ.7, ს.512, ფ.5; ს.513, ფ.3, ს.520, ფ.2)

XX ს. დასაწყისიდან ბათუმში საზოგადოება მოითხოვდა პროფესიული თეატრის დაარსებას. 1912 წ. შალვა დადიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა დრამატული კოლექტივი, ხოლო 1913 წ. დაარსდა ბათუმის დრამატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე მესხი აირჩიეს. ადგილობრივი დასის პარალელურად 1912-1914 წწ. ბათუმს ხშირად სტუმრობდნენ თბილისისა და ქუთაისის თეატრალური კოლექტივები. ყველაფერი ეს ხორციელდებოდა ქალაქის გამგეობაში მყოფი პატრიოტულად განწყობილი ქართული დასის მიერ ივანე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით.

XX ს. 10-იანი წლების ბათუმი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოძრაობის ცენტრიც იყო. 1905-1907 წწ. რევოლუციისა და შემდგომ რეაქციის წლებში ბათუმის ბევრი სანარმო დაიხურა, მუშათა რაოდენობა შემცირდა, რასაც საგაფიცვო მოძრაობის შესუსტებაც მოჰყვა. 10-იან წლებში ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდაც მოჰყვა, მაგრამ მუშათა სოციალური პირობები მეტად მძიმე რჩებოდა, რაც იწვევდა მუშათა საპროტესტო გამოსვლების გაძლიერებას. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ამ გამოსვლების შესაჩერებლად. ცდილობდა ჩაეკეტა ბათუმისა და ბათუმის ოლქის საზღვრები სხვა მაზრებიდან „არაკეთილსამედო ელემენტები-სათვის“ (აცსა, ფ.1, ს.454, ფ.26-27), აძლიერებდა ჯაშუშურ საქმიანობას, ხშირი

იყო „არაკეთილსაიმედოობის“ ბრალდებით მუშათა დაპატიმრების შემთხვევები (აცსა, ფ. 1, ს. 617, ფ. 23). მაგრამ მთავრობას აღარ შეეძლო მუშათა მოძრაობის შეჩერება. 1913 წლიდან საგაფიცვო მოძრაობა გააქტიურდა. ოქტომბერში გაიფიცნენ ნავთის ქარხნების „არვანიტიდისისა“ და „მარსის“ მუშები (აცსა, ფ. 1, ს. 638, ფ. 16-19). მსგავსი გამოსვლები ბათუმის სხვა საწარმოებშიც ხდებოდა. 1914 წელი პოლიტიკური გამოსვლების თვალსაზრისით უფრო აქტიური გამოდგა. მთავრობა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით ცდილობდა კონტროლის შენარჩუნებას. ბათუმის ოლქის გუბერნატორი მეფისნაცვლის კანცელარიაში გაგზავნილ საიდუმლო მიმართვაში ახასიათებდა რა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, მოითხოვდა „საგანგებო მდგომარეობის ვადის ერთი წლით გაგრძელებას“ (აცსა, ფ. 1, ს. 640, ფ. 7-9).

ამრიგად XX ს. 10-იან წლებში ბათუმი ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით აღმავლობას განიცდიდა. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ძირეულად შეცვალა ვითარება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 454 (შემოკლებით აცსა, ფ. 1, ა. 1, ს. 454)
2. აცსა, ფ. 1, ა. 1, ს. 617
3. აცსა, ფ. 1, ა. 1, ს. 638
4. აცსა, ფ. 1, ა. 1, ს. 640
5. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 645
6. აცსა, ფ. 1, ა. 1, ს. 512
7. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 513
8. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 520
9. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 547
10. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 551
11. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 554
12. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 664
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 2, საქმე 403 (სცსსა, ფ. 13, ა. 2, ს. 403)
14. სცსსა, ფ. 13, ა. 2, ს. 574
15. სცსსა, ფ. 13, ა. 2, ს. 847
16. „ბათუმის გაზეთი“, № 29, 1911 წელი
17. ბენდიაშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკ-რატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი 1982

Jemal Karalidze

BATUMI IN 10S OF XX CENTURY (ACCORDING TO THE DOCUMENTS PROTECTED IN ARCHIVES ADMINISTRATION)

Summary

XIX-XXth centuries Batumi has become one of the important trade-industrial center of Russia Empire. Soon as international economical, as social-political factories, which was developed in Russia has seriously impeded development of Batumi.

From 10s of XX century, before the First World War the situation has changed. Batumi from the economical point of view was experiencing rising, therefore has revived cultural and social-political life.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნება აჯარასთან მიმართებაში XIX- XX სს. მიჯნაზე

საზოგადოებრივი აზროვნება ერთი იმ ბურჯთაგანია, რომელსაც ერი თავის წინსვლასა და განვითარებაში საიმედოდ ეყრდნობა. იგი იმავდროულად ამა თუ იმ ეპოქის საჭირბოროტო პრობლემებზე დაკვირვების, მისი შესწავლისა და ანალიზის უტყუარი წყაროცაა. ამიტომაც ნებისმიერი ქვეყნის ისტორიული მეცნიერება მის გამოკვლევასა და გაშუქებას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. ამ მხრივ გამონაკლისა არც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია შეადგენს, რომლის აქტუალობა არა თუ კლებულობს, რაც დრო გადის, შეიძლება ითქვას, იზრდება კიდეც. მისდამი ყურადღებას ჩვენში დღეისათვის მხოლოდ მეცნიერული ინტერესი არ განაპირობებს: ქართული ყოფითი სინამდვილე, ჩვენი რეალობა გვიბიძგებს ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სიძნელეთაგან თავდაღწევის გზები წარსულის ამ ძვირფას საგანძურშიც ვეძიოთ.

აჭარა საქართველოს ძირძველი კუთხეა. მისი ნამყოს ობიექტური და მიუკერძოებელი შესწავლა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რომ ამ მხარის მკვიდრთა ტრაგიკული თავგადასავალი საუკუნეთა მანძილზე ორგანული ნაწილია საერთო ქართული ისტორიისა. სამი ასწლეულის განმავლობაში ძალადობით დედა-სამშობლოს მოწყვეტილი და რჯულმეცვლილ აჭარაში ძალუმად ფეთქავდა ეროვნული, ქართული სული. დამპყრობლებმა ვერ შესძლეს მისი ჩაკვლა. ოსმალთა უღლისაგან თავდახსნილი აჭარა XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს იურიდიულად ახალი იმპერიის-რუსეთის შემადგენლობაში მოექცა, მაგრამ ფაქტობრივად იგი თავის სამშობლოს, საქართველოს დაბრუნდა, რომელიც ბედუკულ-მართობის გამო მაშინ, იმავე იმპერიის ერთ განაპირა მხარედ ქცეულიყო. ბუნებრივია, ასე აღიქვეს იგი იმდროინდელ საქართველოში და აჭარის შემოერთება აღნიშნეს, როგორც საკუთარი სამშობლოს გამთლიანების გზაზე მიღწეული მნიშვნელოვანი გამარჯვება.

ჩვენი მიზანია მეტ-ნაკლებად წარმოვაჩინოთ ის ქართველი მამულიშვილები, მნერლები თუ საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც აჭარის განთავისუფლებისა და საქართველოსთან შეერთების შემდეგაც თავდაუზოგავად იღწვოდნენ აჭარის აღორძინება-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის. მათ შორისაა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ ვოლსკი, ნიკო ნიკოლაძე, ეგნატე ნინოშვილი და სხვები.

დიდი ქართველი განმანათლებლები და მათი თანამოაზრენი მუდამ მხარში ედგნენ სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწე-მოაზროვნებს, ეხმარებოდნენ მათ სიტყვით, საქმით, მორალურად თუ მატერიალურად. აინტერესებდათ რა 134

სამხრეთის მუსლიმანი ქართველების ბედი, ბევრმა მათგანმა, მათ შორის თედო სახოკიამ, გიორგი ყაზბეგმა, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, აპ. წულაძემ, ივანე კერესელიძემ, სერგი მესხმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა, მიუხედავად თურქი ხელისუფლების მხრივ შექმნილი სიძნელეებისა, მოახერხეს და იმოგზაურეს ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე, ე.წ. „ოსმალეთის საქართველოში“

უურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ 1869 წელს მოიარა „ოსმალეთის საქართველო“ და გააცნო ქართველებს ზემო აჭარა. ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ორჯერ მოიარა და შეისწავლა აჭარა და კვლევის შედეგები გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომით „ მოგზაურობა აჭარაში“ (1871წ.) ამავე წელს ოფიცერმა და ისტორიკოსმა გიორგი ყაზბეგმა მოახერხა აჭარისა და ლაზეთის სამხედრო-ტოპოგრაფიული აღნერა, რომელიც 1876 წელს გამოაქვეყნა სათაურით „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. სხვასაც ბევრს უმოგზაურია აქ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში 40 ათასამდე ქართველი მონაწილეობდა. ომის მიმდინარეობას ქართულ და რუსულ პრესაში აშუქებდნენ სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე დიდად ზრუნავდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც იგი ქართული კულტურის აკვნად მიაჩნდა და მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ ერთობასა და განუყოფლობას ასაბბუთებდა.

ი.ჭავჭავაძემ ომის წინა დღეებში გამოქვეყნებული ვრცელი წერილით „ოსმალოს საქართველო“ თანამოძმებს გააცნო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიადი წარსული, ამ მხარის წვლილი ძველი ქართული კულტურის აყვავების საქმეში. „ ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულია - წერდა იგი,- ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულობის აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქედან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს“ (1. 11-12) დავეხმაროთ ახლადგამოხსნილ ძმებს ! - ილია ჭავჭავაძის 1878 წლის ამ მოწოდებას მხარს უჭერდა ყველა ქართველი მოღვანე. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრების თაოსნობით და დახმარევით 1881 წელს გაიხსნა ბათუმის პირველი ქართული სკოლა.

ასევე ზრუნავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე აკაკი წერეთელი, რომელიც ამტკიცებდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ენის, მიწა-წყლის, კულტურის, ისტორიის ერთობას და წერდა: „ ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსასრულო ნაწილებად დარჩებიან. ერთად შეერთებით კი ერთ სულს შეადგენენ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ. ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ

ყოველთვის.“ იგივე გაუმეორა აკაკი წერეთელმა 1878 წელს მაჰმადიან ქართველთა დელეგაციას თბილისში.

აკაკი წერეთელი ლადო მესხიშვილთან, კოტე მესხთან, დავით კლდიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ბათუმში მოწყობილ საქველმოქმედო საღამოში, რომელზეც შემოსული თანხა 3 ათასი მანეთის ოდენობით მთლიანად მოხმარდა ბათუმის პირველ ქართულ სკოლას.(2.98)

მე-19 საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ სერგეი მესხმა 6. ნიკოლაძესა და გ. წერეთელთან ერთად შეადგინა ჯგუფი „ახალი ახალგაზრდობის“ სახელწოდებით. ამ ჯგუფის წევრებმა თავი მოიყარეს გაზ. „დროების“ გარშემო, რომელსაც რედაქტორობდა სერგეი მესხი 14 წლის მანძილზე. გაზ. „დროება“ ს. მესხის ინიციატივით სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს აჭარაში ქართული სკოლების გახსნისა თუ სხვა საჭირობოთო საკითხების მოგვარების შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზ. „დროებამ“ შეამზადა ნიადაგი ბათუმში ქართული სკოლის გახსნისათვის.

სამხრეთ -დასავლეთ საქართველოს მოღვაწე - მოაზროვნებთან ახლო კავშირი ჰქონდა ვაჟა-ფშაველას. დიდი პოეტი 1915 წელს წერდა: „ დიდი სიამოვნებით ვეგებები მუსლიმანი ძმებისადმი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას, ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მიღხენს იმედი, რომ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს დუღაბი კვლავ შეაერთებს. პირადად დამივლია აჭარა-ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო, დიდებული მესხეთი. დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე, ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი, უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართული წინაპრებისა. დღესდღეობით ქართველი მუსლიმანებისათვის ყველაზე საჭიროდ მიმაჩნია მორალური და ნივთიერი დახმარება“ (ალმანახი, ფურცელი, 1915)

ვფიქრობთ ეს სიტყვები სავსებით საკმარისია ქართველი ძმებისადმი ვაჟა-ფშაველას უაღრესად გულისხმიერი და თბილი დამოკიდებულების დასადასტურებლად. ვაჟა- ფშაველას გულთან მიუტანია გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეთა უკიდურესობამდე სავალალო მდგომარეობა და მიუხედავად პირადი ხელმოკლეობისა, სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულს მათ დასახმარებლად გაზ. „სახალხო ფურცლის“ საშუალებით უკანასკნელი დანაზოგი გაუგზავნია.

აჭარის მოამაგეთა შორის გამოიკვეთა თედო სახოკიას პიროვნება. იგი მრავალმხრივი მოღვაწეა - ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, მთარგმელი და უურნალისტი. ქართულ პერიოდიკაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი პუბლიცისტურ - კრიტიკული წერილები, შთამბეჭდავი ეთნოგრაფიული მასალები და გამოკვლევები. ამასთან გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათამდე მეცნიერული და ლიტერატურული ნაშრომები. მათ შორისაა ნარკვევი

„მოგზაურობანი, - გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი.“ ეს კრებული თავი-
სი შინაარსით, ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ხასიათის აღწერით დაინტერესე-
ბული ადამიანისათვის ერთგვარი მატეანეა. მასში გარკვეული ადგილი აქვს
დათმობილი აჭარის ქართველთა ყოფა-ცხოვრების აღწერას, ასევე მათ რაინ-
დულ ხასიათს, თავაზიანობას და ზრდილობას.

აჭარის დიდი მოამაგე იყო მნიგნობარ-ისტორიკოსი, ქართველთა შორის
წერა-კითხვის გავრცელების დიდი მეცნატი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც დღე-
ნიადაგ ზრუნავდა მაპმადიან ქართველთა კეთილდღეობისათვის. ამ მისით მან
რამდენჯერმე ფეხით შემოიარა აჭარა. აღწერა აჭარა- ქობულეთის ყველა სო-
ფელი, ღრმად ჩანვდა და გაეცნო მის წარსულ ისტორიას, უსასყიდლოდ ამარა-
გებდა მაპმადიან ქართველებს წიგნებით.

ზ. ჭიჭინაძემ აჭარის შესახებ დააგროვა მდიდარი მასალა და სისტემატუ-
რად აქვეყნებდა წერილებს საჭირბოროტო საკითხებზე. მანვე მოამზადა და გა-
მოსცა ვრცელი ნაშრომი ამ მხარის შესახებ („ქართველების გამაპმადიანება“)

მოწინავე ქართველ მწერალთა შორის, რომელსაც სულის სილრმემდე
ძრავდათ აჭარის მცხოვრებთა სავალალო მდგომარეობა, იდგა დიდი ქართველი
მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი. ბათუმში საეკტაკლებს მართავდა ხოლმე ქარ-
თველ მსახიობთა დასი, რომელსაც ერთხელ ჰელებია ალექსანდრე ყაზბეგი. მას
მონაწილეობა მიუღია წარმოდგენაში და შემოსული თანხა მთლიანად შეუწი-
რავს ბათუმის პირველი ქართული სკოლისათვის. ამ ფაქტს თავის მემუარებში „
ჩემი ცხოვრების გზაზე“ იგონებს დავით კლდიაშვილი. უდროოდ დაღუპულ
ალექსანდრე ყაზბეგს დაუმთავრებელი დარჩენია აჭარის თემაზე დაწყებული
მოთხოვობა „ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“.

აჭარაში ეროვნული გათვითცნობიერების საქმეს დიდად შეუწყო ხელი
აჭარის რაიონებში მუფუტკრე - მებალედ დიდხანს მომუშავე აპოლონ წულაძის
მიერ 1915 წელს გამოქვეყნებულმა აღმანახმა „ძმური სიტყვა ქართველ მულსი-
მანებს“, აგრეთვე მისმა ნაშრომმა „ფუტკარი და მეფუტკერეობა“, რომელიც სას-
წავლო სახელმძღვანელოდაც იყო აღიარებული და აჭარაში მეურნეობის ამ
დარგის ასალორძინებლადაც.

უსაზღვროდ უყვარდა აჭარა დავით კლდიაშვილსაც, რომელიც დიდხანს
ცხოვრობდა და მსახურობდა ბათუმში. იგი არა მარტო საქველმოქმედო საღა-
მოებს მართავდა იქაურ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და-
სახმარებლად, არამედ აქტიურად ერეოდა საქალაქო თვითმართველობის საქ-
მებში.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოვაჩინეთ სამშობლოსაგან მოწყვეტილი
და გამაპმადიანებული აჭარის მოსახლეობისადმი ქართველ მწერალთა და სა-
ზოგადო მოღვაწეთა ძმური თანადგომის მაგალითები, ავლნიშნეთ მათი წვლი-
ლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული განათლების, ქართული

თვითშეგნების გაღვივების საქმეში და მათზე დაყრდნობით მართებულად დავძენთ, რომ მათი ამგვარი მოღვაწეობა ახალისებდა, ენერგიას მატებდა, ავსებდა და აძლიერებდა „ სამუსლიმანო საქართველოში“ მცხოვრები ქართველი მამულიშვილების თავდადებას ამ კუთხის აღორძინებისათვის ბრძოლაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ი.ჭავჭავაძე თხზ. სრული კრებული, ტ.4, თბ., 1955
2. ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ., 1950
3. თ. სახოკია, მოგზაურობა გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1949
4. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ., 1913
5. აპ. წულაძე, ძმური სიტყვა, თბ., 1990

Марина Джинчарадзе

ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННАЯ МНЕНИЕ ПО ОТНОШЕНИЙ АДЖАРИИ НА КАНУЛЕ XIX-XX ВВ.

Резюме

В настоящей работе освещена роль передовой грузинской интеллигенции в просвещении, возрождении и объединении с родиной Юго-западной Грузии. Показано как помогали грузинским мусульманам идеально, морально и материально Д. Бакрадзе, И. Чавчавадзе, А. Церетели, Я. Гогебашвили, А. Казбеги, Важа-Пшавела, Д. клдиашвили и др.

პრისტიანულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ტოპონიმი აზრაში

ერის ხასიათის, მისი ეთნიკური იერსახის, ფსიქიკის, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების შეცნობის უმთავრესი წინაპირობაა მის მიერ განვლილი ისტორიული გზის გააზრება-გაანალიზება და ამ გზაზე შექმნილ სულიერ მემკვიდრეობაში ჩაღრმავება. წარსული ისტორიული გზის გაცნობიერება დღევანდელობის შეცნობისა და ხვალინდელობის განჭვრეტის საფუძველთა საფუძველია.

საქართველოს ისტორიას აქვს საკუთარი შინაარსი. მისი სახით ჩვენს წინაშეა განსაკუთრებული სამყარო, რომელშიც ძალიან ბევრი რამ იდუმალებითაა მოცული. სიძველისა და ისტორიული ბედუკულმართობის წყალობით ჩვენამდე მოუღწევლობის გამო წარსულის ბევრი საინტერესი მოვლენის კარები დაკეტილია, გასაღები კი დაკარგული. დიდაჭარაში არსებული უპირველესი ქრისტიანული სამლოცველოს არსებობის დამადასტურებელი გასაღების პოვნა შორეული წარსულის კარის გასაღებად თანამედროვე ისტორიკოს-არქეოლოგთა ერთერთი უმთავრესი ამოცანაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა. უკვე I საუკუნეში აქ მოვიდნენ პირველმოციქულები ანდრია პირველნოდებული, სიმონ კანანელი, შემდეგ მათე (მატათა) ბათლომე, იულია, თადეოზი. „ქართლის ცხოვრების” მიხედვით ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს „ნოსტის თავითვან ზღვამდე... არს სამცხე და აჭარა.” (ქც. 1955: 24).. მ. ჯანაშვილის თქმით („ქც”-ის ცნობაზე დაყრდნობით) ანდრიამ ქრისტიანობა პირველად დიდაჭარაში იქადაგა („შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების...“) (ურნალი „საქართველო“, 1908, № 9: 12). დოროთეოს ტვირელის (III ს) და ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) ცნობებით ანდრია მოციქული „მოვიდა იქ, სადაც არის აფსარის ციხე“ (იხ. პ.ინგოროვა, 1954: 223). სოფრონის (IV ს) ინფორმაციით აფსარის ციხესთან მოღვაწეობდა ანდრიას თანამოღვაწე მათე (მატათა) და იქვეა დასაფლავებული (პ.ინგოროვა, 1954:223).

ქრისტიანობის გავრცელება და ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების, პოლიტიკური კულტურის, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების მაღალი დონის გამოხატულება, რადგან იგი აძლიერებდა ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნის ცენტრალიზაციას და კონსოლიდაციას.

ის, რაც ცნობილია წერილობითი მონაცემებით, შემაგრებულია ქრისტიანული საკულტო დანიშნულების ძეგლებით, ტოპონიმებითა და ხალხური გადმოცემებით. ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ გაიშალა ტაძრების მშენებლობა. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი დიდაჭარაშიც უნდა ყოფილიყო. ჯერ აშენებდნენ პატარა და პრიმიტიულ საკულტო ნაგებობებს. გვიან იწყებენ დამუშავებული მასალით მშენებლობას. უვაროვას თქმით, რელიგიური ობიექტები აჭარაში უფრო მეტი იყო, ვიდრე აფხაზეთსა და სხვა მხარეებში. ფიჭვნარის ორნავიანი ეკლესია, ციხისძირის ბაზილიკური ტაძარი, აბუსერიძეების სასახლის ეკლესია ხიხანში, მახარობლის ეკლესია თხილვანაში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია-ცხმორისში, ვერნების, კალოთის, სხალთის (სხალთის ეკლესიის შიგა მოხატულობა გამოირჩეოდა მაღალი ოსტატობით. მასზე გამოსახულია ქრისტე ხუცურად დაწერილი წიგნით ხელში, სულთმოფენა, ხარება, ლაზარეს აღდგინება, ნათლისდება, ქრისტესშობა, მწყემსთა თაყვანისცემა, მეძავი ქალი ქრისტეს წინაშე, საიდუმლო სერობა და ა.შ.), აგარის, ზენდიდის, მაჭახლის ხეობის სოფლების და სხვა ეკლესიები.

ჩვენი მხარის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები წარმოდგენილია უძველეს ტოპონიმებში. ქრისტიანობასთან უშუალოდაა დაკავშირებული შემდეგი ტოპონიმები: სოფლის სახელები: **დიაკონიძეები, დიოკნისი, დეკანაშვილები** - ხულოში (აღ. საქართველოში გვხვდება გვარები: დეკანოსიძე, დეკანაძე, დეკანაშვილი), **ზედა და ქვედა კვირიკე** - ქობულეთში, **ფერია-ხელვაჩაურში**. ყველა ესენი ნაწარმოებია კულტის მსახურების-დიაკონის, დეკანოზისა და წმინდა კვირიკედან.

სამება -ქობულეთსა და ხელვაჩაურში;

ნამონასტერევი-ქედისა და ხულოს რაიონებში, ასევე ამ სახელწოდების უბნები სხვადასხვა სოფელში;

ეკლესია - ჰქონია ადგილებს სხალთაში, სამებაში, ახალშენში;

ეკლესიაგვერდი - სათესი კირნათში;

ნაეკლესიარი - სათესი ზუნდაგაში, კოლოტაურში, ვანაძეებში (ღორჯომი), აჭყვაში;

ნაეკლესიევი - ბუჩქნარი ღორჯომის უბან გორგაძეებში, ტყე ბობოყვათში;

ნამონასტრევი - ტყე კვაშტაში, სათესები განახლებასა და ელელიძეებში (ხულო);

სატიტყე - ადგილი კაპნისთავში;

სატიმამული - უბანი ზედა აგარაში (ქედა), ტყე და სათესი დოლოგანში, ჩაის ნაკვეთი მეძიბნაში;

ხრისტოქოსი - ტყე ფუშრუკაულში;

ბეთლემი - (ქალაქი, სადაც ქრისტე დაიბადა) - ქედი ზედა აგარაში, მთა ზე-სოფელში;

საყდარი - ბალი კაპნისთავში, ბუჩქნარი მაღლაკონში, სათესი ხერთვისში;

საყდარიყელი - უბანი კვაშტაში, სათესი ტუნაძეებში;

საყდარქვეში - სათესი ინაშარიძეებში;

ნასაყდრალი – ადგილი კალოთაში, ბუჩქნარი ტაკიძეებში, ადგილი დღვანში, საძოვარი კობალთაში, სათესი თხილვანაში;

ნასაყდრევი -ადგილები მახუნცეთში, ძმაგულაში, გეგელიძეებში, ძენწმანში, საღორეთში, გუნდაურში;

ნაქილისვარი - (ნაწარმოებია თურქული ქილისიდან), ე.ი. ნაეკლესიარი-კიბეში, უანივრში, ომბოლოში, მახვილაურში, ზანაქიძეებში;

ქილისეკარი – ადგილები ჭარნალში, სარფში;

ქილისესერი - სათიბი საციხურის უბან პანტნარში;

საყდარი - სათიბი კორტოხში, ტყე სიმონეთში, ბუჩქნარი მურვანეთში;

ხუცუბანი - სოფელი ქობულეთში;

ხუციშვილები - უბანი დიდაჭარაში;

ხურციალები - სათესი ზუნდაგაში;

ხუცური - სათესი მახალაკიძეებში, საძოვარი ფურტიოსა და დიდაჭარის უბნებში;

ხუციქედი - უბანი ყინჩაურში;

ხუციერი - უბანი ლომანაურში;

ხუცივაკე - სათესი დავლაძეებში (ხულო);

ხურცაული - სათესი ლურტაში;

ამაღლება - სათესი ძმაგულაში;

გორაწმინდა - სათესი ქედლებში;

მიქელწმინდა - ნაკადული და სათესი მერისში;

სამიქელური - უბანი სხეფში;

მიქელაური - სათესი ბესელაშვილებში (მიქელწმინდა, ნიქაღაური, სამიქელაური. მომდინარეობს მთავარანგელოზ მიქელადან, რომელიც ამარცხებს მტრულ სულებს, ადამიანებს იფარავს უბედურებისა და ცოდვებისაგან);

მთავარანგელოზი - სათესი და საძოვარი ჭვანაში, ტაკიძეებში, ტყე ნენიაში, სათიბი და საძოვარი წაბლანაში (ხულო), სათესი კვატიაში (ი. ბექირიშვილი, 1990: 66-69.). ზოგიერთი ადგილისათვის ჩვენს წინაპრებს ჭექა-ქუხილისა და ავდრის ღვთაება ელიას (წინასწარმეტყველი) სახელი შეურქმევიათ. ეს წარმართობიდან მომდინარეობს და მას უკავშირდება მიკროტოპონიმები:

ელია წმინდა - სათესი დიდაჭარაში, ოქტომბერსა და შავაძეებში;

ელიაური - სათესი პაქსაძეებში;

იმარწმინდა - სათესი დუაძეებში.

აჭარაში, ისევე, როგორც სრულიად საქართველოში მეტად პოპულარული იყო წმინდა გიორგი. იგი ქართველთა ერთიანობის გამომხატველი სინონიმი იყო.

თეთრ ცხენზე ამხედრებული გიორგი საქართველოს სახელმწიფო დროშასა და ბეჭედზეც გამოსახეს. იგი ქართველთა წარმოდგენით მცველ-მფარველი და უძლებელი მხედარია, რომელსაც ქრისტიანობამ 365 საყდარი აუგო და 365 საყდარზე დალოცვას ან დაწყევლას უძლევად მიიჩნევდა. წარმართული ღვთაება-მთვარის ადგილი ქრისტიანობის დროს წმინდა გიორგიმ დაიკავა (ი. ჯავახიშვილი, 1960: 45).

წმ. გიორგის სახელობის საკულტო დაწესებულებები იყო ხიხანში, ცხმორისში, ჭვანაში, შუშანეთში და სხვაგან. ტბელ აბუსერიძემ 1233 წელს ხიხანში დაწერილ თხზულებას „სასწაული წმინდისა მთავარმონამისა გიორგისანი” უწოდა. მწერალი მოგვითხრობს, რომ ორი ცხმორისელი ტყვედ ჩაუვარდათ მაჰმადიანებს. წმ. გიორგიმ მათ დახმარება გაუწია. ისინი აიტაცა. ერთი პირდაპირ სოფელში – ცხმორისში დასვა ტაძართან, მეორე კი სოფლის შემოგარენში. წმ. გიორგისთანაა დაკავშირებული უამრავი ტოპონიმი. ჩამოვთლით ზოგიერთს:

გორგიული – უბანი შუახევის რაიონში, ვენახი და სათიბი ქიზინიძეებში, უბანი ხარაულაში (ქედის რ-6);

გორგილაქედი – ვანში (შუახევის რ-6);

გორგიმელეთი – სათესი ტომაშეთში (შუახევის რ-6);

გორგაულები – საძოვარი ვაშლოვანში (ხულოს რ-6);

გორგალაძეები – სოფელი ხულოსა და ქობულეთის რაიონში.

მეტად საინტერესოა რ. ერისთავის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ცაგერის რაიონის სოფელ ალპანასა და აჭარაში (ლეჩეუმი) იციან წმ. გიორგის დღესასწაული (23 აპრილი). „ალპანაში სჭამენ ხორცსაც ამ დღესასწაულზე, აჭარაში კი შეექცევიან პურ-ღვინო-ლობიოს „მრავალუამიერით”, იციან წირვა, გალობა და ა.შ. (რ. ერისთავი, 1986: 23)

ალპანას მეზობლად არის სოფელი აჭარა, რომელიც აჭარიდან წასულების მიერ უნდა იყოს დაარსებული (ი. ბექირიშვილი, 1990: 74). თუ ეს ასეა, მაშინ იმდროინდელ ალპანელებს გიორგობის დღესასწაულის ვარიანტი აჭარიდან წაუღიათ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აჭარაში ამ დღეს ხორცს არ ჭამდნენ და პურ-ღვინოს შეექცეოდნენ.

ჯვარი – უბანი ბარათაულში, სათესი განახლებასა და დეკანაშვილებში, ოქრუაშვილებსა და ძირკვაძეებში;

საჯვარეთესი – ჭერში;

ჯვართანი – ბურქნარი საციხეურში;

ქვაბიჯვარი – მთა საციხეურში;

კოტაჯვარი – ბურქნარი ჩაოში;

ჯვარედინი – სათესი უჩხოში.

კობიჯვარი – საძოვარი, რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის ლისოვსკი ლორჯომის აღწერისას. ასეთი ტოპონიმი გვხდება დიოკინისშიც. ლეგენდით აქ ად-

რე ვენახი იყო გაშენებული, მაგრამ მტერს იგი აუჩეხია. მტერთან ბრძოლაში დაღუპული ერთ-ერთი ვაჟკაცი ქედზე დაუმარხსავთ და სასაფლაოზე ჯვარი დაუდგამთ. ეს სახელიც რწმენისა და ვაზის სიყვარულის გამოხატულებაა. ზოგადად ჯვარი წარმართობიდან იღებს სათავეს. ქრისტიანობამ იგი თავი სიმბოლოდ აქცია. საციხურისა და აგარის საყდართან 1979 წელს აღმოჩნდა ქვის ორი ჯვარი, რომელზეც მზის დისკო გამოხატული. ჯვარი არის ბუთურაულისა და ხულოს სკოლის გვერდით მდებარე სასაფლაოზეც. ხულოს რაიონის სოფელ აგარაში აღმოჩნდა ჯვარდასმული ბუხრის ჯაჭვიც (სდსკ. IV, 1976: 84).

სოფელ აღმეში აღმოჩნდა ქვის კუბო სახურავზე ჯვრით და ჯიხვის ფიგურით. იგი ამჟამათ ინახება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აკად. გ. ჩიტაიამ მას სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა (იხ. მის. „ქვის კუბო აღმედან“). ისლამის გავრცელების მიუხედავათ აჭარაში ქრისტიანული ემბლემა-ჯვრის გამოსახულება უმნიშვნელოვანესი ორნამენტი იყო მოჩუქირთმებისას. იგი ჩუქურთმის წნულში იყო ჩაქსოვილი. ასე შენიდბულად ჯვარს გამოხატავდნენ სახლის კარებზე, ჭერზე და ა.შ. დიდაჭარელი ა. დემეტრაძის სახლის სასტუმრო ოთახის ჩუქურთმაში სწორედ ასეთი ჯვარია ჩაქსოვილი (ი. ადამია, 1956: 46).

იგივე მოტივი გვხდება ლორჯომის სხვა სოფლების ნაგებობების ინტერიერში, ქართული ჩუქურთმებითაა შემკული მარადიდისა და მაჭახლისპირის ჯამეებიც, რომლის შესახებ აღნიშნავდა აკად. ა. პავლინოვიც (ი. ბექირიშვილი, 1990:79).

ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც ცალკე ახსნას მოითხოვს. ვაზისგან ნაკეთები ჯვარი ქართველობის სამბოლოდ იქცა. თურქეთის აგრესის პირობებში მისი შემონახულობა აჭარის მოსახლეობის ქართველობისათვის ბრძოლის ნათელი გამოხატულებაა (სდსკ. საკითხები, 1983: 4-5).

დღემდე შემონახულია ოსმალობისდროინდელი ბეჭედი, რომელზეც ჩვენს წინაპრებს ჯვარი და ვაზი გამოუსახავთ. ოსმალობის პერიოდში აჭარაში რა თქმაუნდა მეჩეთებსაც აშენებდნენ, მაგრამ ეროვნული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, რითაც იცავდნენ თავიანთ ქართველობას და ქრისტიანობას (უნდა ითქვას, რომ პირველი მეჩეთები აჭარაში თანზიმათს უკავშირებდა. 1878 წლისათვის აჭარაში სულ 2 ათეულამდე მეჩეთი იყო. მათი რაოდენობა გაიზარდა რუსების შემოსვლის შემდეგ).

ისლამის ძალდატანებით გავრცელების მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა წინ აღუდგა ქრისტიანული ძეგლების ნაბილწვას. ყოველივე ეს კარგად აისახა ხალხურ გადმოცემებში. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით სხალთის ეკლესია ერთ ბრძენ კაცს აუშენებია. მას წინასწარ გამოუანგარიშებია - რამდენი ქვა იყო საჭირო მის ასაშენებლად და იმდენი გამოათვლევინა. ტაძარი ააგეს, მაგრამ ერთი ქვა დაკლებიათ. ქვას რატომ არ დებთო - წყენით უკითხავს მშენებელს, ხმა არავისთვის გაუცია და წასულა. საღამოს იგი მკვდარი უნახავთ. ქვა მეორე

დღეს უნახავთ ჭინჭარში გადაგდებული. შურიან კაცს გადაუმალია თუ თვალს მიფარებოდა, დღემდე არავინ იცის.

ცნობილია ხალხური გადმოცემები სხალთის ტაძრის სასწაულმოქმედების შესახებ. ხოჯებს განუზრახავთ ტაძრის მეჩეთად გადაქცევა, მაგრამ გაგიჟებულან და ტყეში გაჭრილან.

ერთ მწყემსს ტაძარში ცხვარი შეუყრია. მწყემსს 200 თავი გაწყვეტია, თვითონ კი გადაჩეხილაო.

სხვათა შორის მსგავსი გადმოცემები დავამოწმეთ ტაოშიც. პარხალში გვითხრეს, რომ ხოჯამ თეთრად გადაღება ტაძრის კედლები, ტაძრისა, რომელიც „დედა ტაძარამ ააშენა“, ამიტომ ის ხოჯა მოკვდაო. ამ და სხვა გადმოცემებში ხაზგასმითაა გამოხატული პროტესტი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების ნგრევა-წაბილწვისადმი.

ოსმალთა ბატონობის მიუხედავად მკვიდრი მოსახლეობა მამაპაპათა ტრადიციებს არ დალატობდა. უვაროვას, მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერილობასთან ერთად ყურადღება გაუმახვილებია ტრადიციულ ყოფაზეც. იგი შესწრებია ახალგაზრდა ქალის დასაფლავების ცერემონიალს. ქალს მთელი სოფელი მიასვენებდა. ეცვათ სუფთად ახალი ტანსაცმელი. კუბოს აბრეშუმის ქსოვილი ეფარა. კუბოს ქალებიც მიაცილებდნენ (რაც ისლამური ნორმებით იკრძალებოდა) ქალი ნიგვზნარში დაუმარხავთ.

ჭეშმარიტად, ქართული ტრადიციების დაცვა, ეროვნული წეს-ჩვეულებების იდუმალ პირობებში შესრულება იყო ოსმალობის ნინააღმდევ ბრძოლის გზა და ემსახურებოდა ეროვნული თვითმყოფადობის, ქართველობის დაცვის ინტერესებს.

სხვათაშორის, ხოჯა-მოლათა შორისაც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობდნენ და იბრძოდნენ თავისთავადობის შენარჩუნებისა და აჭარის მოსახლეობის ინტერესების დაცვისათვის. მათ შორის იყვნენ: ნური ბერიძე, ისკენდერ თავართქილაძე, ხაფიზ მეხეშიძე, ყელირ ზაქარაძე, შუქრი ხალვაში (ბეგი), დედიალა ნიუარაძე, მუფთი ახმედ ხალიფაშვილი და მრავალი სხვა.

ისკენდერ თავართქილაძე იყო ლორჯომელი ხოჯა, ნიჭიერი და განათლებული ადამინი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში დანარჩენ საქართველოსთან ერთობას უჭერდა მხარს. იმ დროს საჯაროდ ამის გაცხადება ადვილი არ იყო, მაგრამ იგი არ შეუშინდა მოსალოდნელ საშიშროებას და აშკარად გამოხატა დანარჩენ საქართველოსთან ერთობის სურვილი (აპ. ნულაძე, 1991: 23.).

ხოჯა ხაფიზ მეხეშიძე ხულოს ორკლასიან სკოლაში რჯულის მასწავლებელი იყო, ისწავლა ქართული წერა-კითხვა და სხვებსაც ასწავლა.

ნური ბერიძე (ხოჯა) აშკარად დაუპირისპირდა აჭარელთა ოსმალეთში გადა-
სახლებას და თავისი გავლენით ხელი შეუშალა მუჰაჯირობას, ახმედ ხალიფაშვი-
ლი კი ოსმალობის პერიოდშიც ჯამეში ქართულად ქადაგებდა და „ყურანსაც“ ქარ-
თულად უხსნიდა მრევლს, რის გამოც ოსმალებმა სტამბულში გაიხმეს და სამარ-
თალში მისცეს, მაგრამ მან თავი იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი ენაც
ქართულიაო“. მისმა გავლენამ ხელი შეუშალა აჭარელთა მასობრივ ემიგრაციას.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების მოტანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ საღი გო-
ნებით გადავავლოთ თვალი ჩვენს წარსულ ისტორიას. ამის გარეშე შეუძლებელია
დღევანდელობის შეცნობა. ანტყოს სეცნობის გარეშე კი წარმოუდგენელია მო-
მავლის პერსპექტივების განჭვრეტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბ. 1956.
2. ბექირიშვილი ი., ქრისტიანობა აჭარაში, ბათ. 1990.
3. ერისთავი რ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ. 1986, გვ.
4. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თბ, 1954.
5. „მნათობი“, 1971, №7.
6. სდსკე-ის საკითხები, I, თბ, 1983.
7. „საქართველო“, 1908, № 9.
8. ქც. ტ..I, თბ.1955.
9. ჯავახისვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. .I. თბ,1960.
- 10 წულაძე აპ., ძმური სიტყვა, ბათ. 1991.

*Tamaz Putkaradze
Tsiuri Katamadze*

TOPONYMS CONNECTED WITH CHRISTIANITY IN AJARA

Summary

Georgia is one of the countries, where Christianity was spread. Already in I century there came: apostles – St. Andrew the First, Simon the Zealot, Matthias, Bartholomew, Thaddeus. Later, Ottoman's three century domination conditioned religious transformation of region's population. In article is presented toponyms connected with Chistianity in Ajara.

PRESENTATION, ISSUE AND KEEPING OF THE SERVICE RECORD ACCORDING TO THE BULGARIAN LABOR LEGISLATION

In accordance with the legal definition of the term provided in Article 347 of the Labour Code (LC)⁶¹ the “service record” is an official document certifying of circumstances entered therein related to the labour activities of the employee. As an official certifying document the service record does not provide rights, but it is only an evidence of the facts and circumstances reflected in it. It has evidentiary effect in the sense of Article 179 of the Code of Civil Procedure (CCP)⁶². Facts and circumstances entered into it shall be deemed to have occurred until the contrary be proved by the due court procedure. Witnesses’ testimonies for disproof of the data entered into the service record are not allowed according to an argument of the provision of Article 164, para. 1, item 2 of the CCP.

For all other facts and circumstances entered into the service record, beyond these specified in the provision of Article 349, para. 1 and Article 350a of the LC and Article 4 of the Decree on the service record and length of service (DSRLS) it has no certifying character.⁶³ ⁶⁴

Service record shall be issued by the employer⁶⁵ in cases when the employee enters into service under employment relationship for the first time. The employee shall verify this fact to the employer by a written statement, whose certifying power derives from the provisions of Article 348, para. 2 sentence 2 of the LC. The obligation of the employer derived from Article 348, paragraph 2, sentence 1 of the LC is to provide the employee with a service record within 5 days from starting work. According to the provision of

⁶¹ Promulgated, SG, No. 26 of 1.04.1986, Amend. And Suppl, No. 7 of 24.01.2012

⁶² Promulgated, SG, No. 59 20 Jul 2007, In force from 01.03. 2008, Amend. And Suppl.

⁶³ Accepted by Council of Ministers Decree No. 227 of 23.11.1993, Promulgated SG, No. 102 of 3.12.1993, Amend. And Suppl.

⁶⁴ See Decision № 689 of 28.01.2004 of the Supreme Administrative Court on the administrative case № 6201/2003 r. I o., with which the court accepts that the additional notice made on the last page of the service record and defining the expended labour category, can not serve as an evidence for the category of labor, as it is not among the circumstances subject to a formal certification in the service record and specified in detail in Art. 349, para. 1 LC.

⁶⁵ According to the §1, issue 1 of the Supplementary provisions of the Labour Code "employer" shall be any natural person, body corporate or division thereof, as well as any other organizationally and economically autonomous entity (enterprise, office, organization, cooperative, farm, establishment, household, association and the like), that independently hires employees under employment relationships, including work at home or distance work. For more information see: Topalova, M., Employer as a party of an individual employment relationship., Sofia, Sibi, 1997.

Article 63, para. 4 of the LC the deadline for issuing a service record starts from the moment of actual performance of the employment obligations by the employee which shall be verified in writing.⁶⁶ In view of the fact that the term has instructive nature, the service record can be issued after this date, but in case the deadline is not met by the employer it leads to violation of the provisions of the labor legislation and therefore administrative liability under Article 414, para. 1 LC.

In some cases fixed in Article 7, para. 1 of the DSRLS the Labour Inspectorat is authorized to issue a new service record. These are cases where a service record has been lost or destroyed – i.e. the employee no longer has it because it has been lost or destroyed as a result of a theft, fire, flood and of others.

For restoration of the lost or destroyed service record the legislator provides a procedure under Article 350, para. 2 and para. 3 of the LC and Article 7 DSRLS. The respective labour inspectorate shall issue a new service record upon a written request - a declaration written by the employee, stating that the service record has been lost, who has lost it, the employee or his employer and the necessary data from previous employers as well.

When the service record has been lost or destroyed by the employee, the selfsame is obliged to provide the respective labour inspectorate veritable data about the length of the acquired service concerning all of the previous employers the employee has worked with. This information shall be verified by the sample certificates or other original documents containing these data (Article 7, para. 2 of the DSRLS).

According to the argument pointed in Article 7, para. 3 of the DSRLS if the service record has been lost or destroyed by fault of the employer, the respective labour inspectorate shall oblige him within the period of one month to submit a sample certificate with the necessary data about the facts and circumstances occurred during his employment relationship with the employee as well as those occurred during the employment relationships with previous employers. In this hypothesis the term “fault” is not used within the legal meaning of the term, but rather to indicate that the service record kept by the employer when it has been lost or destroyed and therefore as a consequence of this the obligation for him shall be in accordance with the Article 7, para. 3 DSRLS.

In the above mentioned cases, employers are obliged to issue the requested certificates within the term of 7 days after their request, otherwise they are liable with their property for damage caused to the employee by the untimely issuance of necessary documents for the facts and circumstances that occurred during his employment relationship with the employee according to the Article 226 para. 1 of the LC.⁶⁷

⁶⁶ See Sredkova, Kr. in V. Mrachkov, K. Sredkova, A. Vasilev. Commends of the Labour Code. X suppl. issue., Sofia, Sibi, 2009, 1037.

⁶⁷ See: Vasilev, A., Compensation under the employment relationship, Sibi, Sofia, 1997, 151 – 153.

The Relevant Labour Inspectorate shall issue new service records, and shall enter the data written in the submitted by the employer or the employee sample certificate.

Term, necessary for issuance of a new service record by the labor inspectorate, after the presentation of the necessary certificates by the employee or employer, is not provided. In my opinion, in a subsequent change in the legal order of the service record a term should be provided, such as the term specified for the employer in the first issuance of the employee service record – i. e. 5 days. Thus, the labor inspectorate and the employer will be equal regarding to the obligation to provide the employee in due time with this so important for him certifying document - service record.

The obligation of the employee to present his service record to the employer when he starts work stems from the provision of Article 348, para. 1 of the LC.⁶⁸ He is obliged, without an invitation from the employer to provide his service record to the relevant official in order to enter the necessary data related to his entrance into office, the position he will occupy, salary, the beginning of his obligations implementation under the employment, etc. Of course, the service record can be presented in an earlier time - at the conclusion of the employment contract, in an application to occupy a competitive or elected position, along with the other necessary documents required by Decree № 4 of 1993 on the documents necessary for the conclusion of an employment contract.⁶⁹ Personally, I do not share the standpoint of the Ministry of Labour and Social Policy of Republic of Bulgaria expressed in the letter № 37-9 of 21.02.2007 that when the employee does not present the service record to the employer before the conclusion of an employment contract it hinders the employer to conclude the contract and to fulfill his legal obligation under Article 61-62 of the LC. According to Article 1, item 3 of the Decree № 4, a document certifying the length of service is specified as a necessary document for the conclusion of the employment contract, and it is when for the position a person is applying for requires the acquisition of such a service length, i. e. it is not obligatory the service record to be this document. It is true that an employer may require other documents different from those specified in Article 1 of the Decree, but only if it is provided by or is derived from the law or a normative act. By virtue of Article 348, para. 1 of the LC, the obligation of the employee to present his service record to the employer comes at the time of commencement of work under an employment relationship, not before its beginning. However, entry of the data related with the employment relationship should be made when the employee has started the actual fulfilment of his obligations. If the employee exercises his right not to start work in the terms specified in Article 63, para. 3 sentence 1, Article 86, para. 2 and Article 96, para. 2 of the LC by virtue of the created

⁶⁸ See: for correctional interpretation of the phrase "starting work", Sredkova, K. In: C. Mrachkov, Sredkova K., A. Vassilev. Comment of the Labor Code, ibid – p. 1036

⁶⁹ Promulgated, SG, No. 44 of 20.05.1993, Amend. And Suppl.

legal fiction, employment relationship will not occur and there will be a document containing false information.⁷⁰ In cases when certain length of service is required for the occupation of a position and any other documents, verifying it size are not submitted by the employee, then in these cases, in my opinion, the service record should be presented at the conclusion of the employment contract with a submission of the documents necessary for participation in the competition or in the choice. Otherwise there is a risk the occurred employment relationship to be deemed invalid, if the employee does not have the necessary length of service.

Notwithstanding that the value of the service record is negligible (at the present moment about 5 Bulgarian leva), the legislator provides that when it is issued for the first time, the costs are at the expense of the employer. If the record has been lost or destroyed the costs are at the expense of the employee or the employer, depending on the reason and who caused it (Article 1, para. 3 DSRLS).

For the service records issued by the employer, he must keep a sample diary (Article 1, para. 5 DSRLS) numbered, stringed through and verified with his signature and seal. In accordance with Annex № 1 of the Decree (DSRLS), in the diary for issuance of a service record the employer should enter the service record serial number, the date of issuance, employee personal data and the date on which the employee has received his service record, certifying that fact with his signature.

Obligation to keep diary of the issued service records has also the relevant directorate "Labour Inspectorate" when issuing new service record to the employee in cases provided by Article 7 of the DSRLS.

Since the employee has the right to keep his service record on his own, he is obliged to present it to the employer upon request both to consult and to enter circumstances and facts related to the employment relationship. According to the provision of Article 6 para. 2 sentence 2 of the DSRLS only upon termination of the employment relationship, the date of the service record submission by the employer to the employee shall be entered in the diary for issuance of a service record. The "movement" of the service record between the parties exists also at the time of data entering with regard to the moment when the employee has started his work as well as for the compulsory entry of new circumstances therein during the execution of employment relationship. In the practice some examples can be seen in which the time of transfer of the service record shall be certified by a protocol signed by both the employer and employee. But very often the parties of the employment relationship transfer the service record in between each other without mentioning this fact in written form. This would make it difficult to prove the fact, for instance, in connection with the issuance of a new service record, whose is the reason for

⁷⁰ Vasilev, A., Labour law, Bourgas, Bourgas free university, 1997, 531.

its loss or destruction and what are the consequences in the sense of DSRLS. Or to evidence a delay in entering of circumstances which must be entered in the service record, by fault of the employer or officials in a dispute about their liability under Article 226, para. 1, item 1 of the LC.

In my opinion, it would be reasonable from a practical standpoint, all the information regarding the "movement" of the service record between the parties to the employment relationship to be specified by the provision of a specific sample diary in which employers should enter the date of receipt of the service record by the employee and the relevant date of the submission of the record to the employee. According to Article 6 para. 2 sentence. 2 of the DSRLS the employer is obligated to enter the date of the service record submission to the employee in this diary.

In the practice, there are instances where, due to numerous entries all the pages of the employee's service record are depleted. This is the reason for a continuation of the service record, which does not mean issuance of a new record. In these cases, the employer shall issue a continuation of the service record and shall place the number of the originally issued service record, the date of issuance and who has issued it on the relevant pages of the record. The employer shall mark with a "continuation" each page of the record where facts related to the employment relationship are entered. In these cases, the issued service record shall not be entered into the diary of the issued service records kept by the employer.

Service record shall be issued on a fixed sample with approved technical parameters in accordance with Article 3 of the Council of Ministers' Decree № 227 of 1993⁷¹ and distinguishing features defined by the Ministry of Labour and Social Policy.⁷² Under § 1 of the final provisions of that Decree, service record under the new sample shall be issued only to employees entering into employment for the first time, as well as those to whom a new service record must be issued because of loss or destruction of the "old" one, i.e. issued on a previous sample. In practice there are still cases where pages of the issued service record of the old sample have not been depleted. Then the new entries in the record shall continue to their depletion. Then a service record shall be issued on the new sample as an continuation of the old record and the new one shall not be entered in the diary for issuance of a service record.⁷³

In connection with the obligation of the employee under Article 348, para. 3 of the LC, to keep his service record, I think that the legislative decision with the amendment of

⁷¹ Promulgated, SG, No. 102 of 23.11.1993

⁷² Order № 45 of 24. 02. 1995 for the using of the new sample service record issued by the Minister of Labour and Social Policy.

⁷³ See: Instruction of the Ministry of Labour and Social Policy, letters №26-00-52 of 26.02.1998.; №94-M-0017 of 03. 05. 2000; №26-180 of 4. 04. 2006.

the provision of 1992⁷⁴, did not achieve the intended objective - to prevent its possible withholding by the employer when it has been presented to him upon request for entry of new circumstances therein. The practice shows that there are rare cases where the employee has lost his service record and because of this he will be devoid, for example, of any additional remuneration for acquired length of service and experience for the period of obtaining a new one. Moreover, in practice there is a difficulty in relation to the service record's transfer verification between the parties in cases when the employee is requested to present it for entry of every change in the content of the employment relationship. Similarly, upon termination of the employment relationship the employer shall request the employee to submit his service record in order to enter the necessary data and then "immediately", according to Article 6, para. 2 of the DSRLS, to return it to him, otherwise a liability for damages for the employer shall occur under Article 226, para. 2 of the LC - for unlawful withholding of employee's service record. For example, when the employment relationship is terminated by presentation of an order and then the employee has submitted his service record to the employer. Some time is necessary the data related to the employment relationship to be entered and signed by the employer and the chief accountant. Only then the service record shall be submitted to the employee. The possibility of the employer to submit the service record to the employee immediately upon termination of the employment relationship will be real if the record is kept by the employer. Practice shows that in order to reduce the possibility of loss employee prefers his service record to be kept by the employer. If there is no such agreement between them, the employer is not obliged to keep employee's record.

In view of the above-mentioned, I think that from a practical standpoint it would be more appropriate *de lege ferenda* the old version of Article 348 of the LC to be returned – service record shall be kept by the employer. Or a legal possibility should provide the service record to be kept by the employer upon request of the employee.

In cases where despite the request of the employer the employee has not appeared to receive his service book, it shall be stored in the company for the period of 50 years, along with the diaries and copies of the issued certificates of the length of service. In the same period the labor inspectorate shall keep the service record and certificates that it has issued before that if the employee has not received them. Since 2009, following the amendment of Article 8 of the DSRLS⁷⁵, the employer is not obliged to submit the service records and the other specified documents to the State Archives after the expiration of the period of 50 years.

According to the amendment of Article 8, para. 2 of the DSRLS of 06.02.2009, in case of closure of the company, when there is no assignee, the employer shall submit the

⁷⁴ Art. 348, para. 3 of the Labour Code, Amend. SG, No 100 of 1992.

⁷⁵ Art. 8 of the DSRLS, Amend. SG, No 10 of 2009.

service records and the other specified documents which certify the employment activities of the employees to the Regional Offices of the National Insurance Institute under Article 8, para. 2 of the DSRTS.

The rules regarding presentation, issue and keeping of the service record are of great importance for the unimpeded exercising of the citizens' labor rights. Therefore, the specification of the legal order of the service record institute would lead to the favorable legal consequences in the process of facts and circumstances verification in relation to the employment activities of the employees.

ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
თამარ შალიკაძე

ა ხ ა ლ ი ა რ ე ლ ი ლ ი ტ ი ბ ი ა ღ მ ა რ ჩ ე ნ ე ნ ე პ ი პ ი ს ც ი ხ ე ხ

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ მიმდინარე წლის მაისსა და აგვისტოში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ბათუმის ციხის ტერიტორიაზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შესახებ შემოგვენახა საინტერესო უძველესი წერილობითი ცნობები; არსებობს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობაც (ა. კახიძე; დ. ხახუტაიშვილი, 1989:5-41, იქვე ლიტერატურა); მაგრამ მაინც, სამოსახლოს არსისა და მნიშვნელობის შესახებ უტყუარ ცნობებს არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული ნივთიერი კულტურის ძეგლები იძლევიან. არსებითია ისიც, რომ ჩვენი ქალაქის ისტორია ამ უნიკალური დასახლებით იწყება.

ბათუმის ციხის არქეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო. საველე სამუშაოები განხორციელდა აკროპოლისა და ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე. მიმდინარე წელს კი ეს თხრილი გავათართოვეთ აღმოსავლეთის მიმართულებით, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ სექტორებში (ტაბ. 1).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული იქნა საკმაოდ მრავალ-რიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა. წამყვან ადგილს იკავებენ კოლხური სამეთუნეო ნაკეთობანი, თევზჭერასთან დაკავშირებული ნივთები, იმპორტული კერამიკული ნაწარმი და ა.შ.

განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა კოლხური ქვევრები, როგორც ჩანს ანტიკურ ხანაში მექევევრეობა-მეთუნეობის ცალკე სპეციალიზებულ დარგად ქცეულა. ქვევრის ძირითადი ფუნქცია მეღვინეობასთანაა დაკავშირებული (ბოჭორიშვილი, 1949:112; ბოხოჩაძე, 1963:114-149), თუმცა, მას მარცვლეულის, ზეთის, დამარილებული თევზის და სხვა სახის პროდუქციის შესანახადაც იყენებდნენ (ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981:14-42). ხდებოდა ქვევრების ექსპორტიც (ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ. 1975:93-106). ქვევრი მიწაში არ იმარხებოდა, ამიტომაც მათ გარეგნულ შემკულობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ფორმა ჯერ კიდევ წინანტი-

კურ ხანაში ჩნდება. მათი საპოლოო ჩამოყალიბება ხდება ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან (მიქელაძე, 1974:62). სწორედ ამ ხანიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოში არ გვეგულება არც ერთი ნამოსახლარი, სადაც დიდი რაოდენობით არ იყოს წარმოდგენილი კოლხური ქვევრების ნაშთები (ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, 2010:96) ბათუმისციხეზე აღმოჩენილ ქვევრებს აქვს მასივური პირი, მომაღლო ყელი, მხრებგამოყვანილი ტანი და ბრტყელი ძირი. პირის, ყელის, მხრებისა და ტანის დიდი ნაწილი დაფარულია სხვადასხვა სახის დეკორით. წამყვანია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზოლები, დახრილი მერიდიანული, სწორი თუ ტალღოვანი ქედები, დაკბილული იარაღით გამოყვანილი რომბული ბადის რელიეფურ, ჰორიზონტალური ზოლები და სხვა (ტაბ. II). ისინი მსგავსია წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშებისა (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:60; ტაბ. XII/1-5; XII/2-5) იგივე ითქმის დერგების შესახებაც, რომლებიც სიახლოვეს იჩენენ ციხისძირის, ფიჭვნარის, სიმაგრის, გურიანთის, ზემოფარცხმის, ვანისა და კვაშტის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ნიმუშებთან (ა. კახიძე; დ. ხახუტაიშვილი, 1989:61-62, ტაბ. XIX/6-11. აქვე ლიტერატურები; ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, 2010:96).

საოჯახო კერამიკიდან გამოირჩევა თიხის მცირე ზომის ხუფები (ტაბ. II/2). ამავე დანიშნულებისაა რიყის ბრტყელი ქვებიც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ანტიკურ ხანაში თიხის ხუფები ფართოდ არ ჩანს გავრცელებული. რამდენიმე ფრაგმენტი მოპოვებულია კვაშტისა და ჭარნალის ძვ.წ. V საუკუნის ნამოსახლარზე (ა. კახიძე; დ. ხახუტაიშვილი, 1989:64).

გვხვდება ყურმილიანი დოქის ფრაგმენტიც. ქვევრების მსგავსად ისინი კოლხური კულტურის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. ფიჭვნარის ქვიშაზვინულების, დიუნური დასახლებების მიხედვით ჩანს, რომ ფორმა სათავეს ძვ.წ. VIII—VII საუკუნეებიდან იღებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მზადდებოდა ძვ.წ. VI—V სს. არსებობას განაგრძობს ძვ.წ. IVს და IIIს პირველ ნახევარში. ამის შემდგომ ყურმილიანი დოქების წარმოება წყდება (ა. კახიძე, მ. ვიკერსი, 2004:31-32, სურ28, 41, 58 და სხვა; ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, 2010:32, სურ. 40/9, 124/11 და სხვა).

ასევე ერთეული ცალებითაა წარმოდგენილი სუფრაზე მოსახმარი კოლხური კერამიკული ნანარმის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა-სასმისებიც (ტაბ.II/1). მათი გაჩენა კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას უკავშირდება (მიქელაძე, 1974:62). კოლხური სასმისები ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VII და განსაკუთრებით VI—V საუკუნეებში. ისინი მასობრივი წარმოების საგანი ხდება (ა. კახიძე, მ. ვიკერსი, 2004:137, სურ. 315, 322, 324, 326).

მოპოვებულია თიხის კვირისტავი (ტაბIII/3). იგი უკავშირდება საოჯახო ხელოსნობას, კერძოდ, რთვა-ქსოვას და ითვლება უძველეს საკულტო ნივთადაც (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:67-68; ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, 2010:31-32).

ბათუმისციხის გარე სამყაროსთან ურთიერთობის ამსახველია სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული კერამიკული ტარა — ქიოსური, სამოსური, თაზოსური, და სხვა განუსაზღვრელი ცენტრის ამფორები (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:74-86 აქვე ლიტერატურა), არის სადაზოლებიანი იონური კერამიკა. სწორედ ამ საწარმოო ცენტრების ნაწარმი იძლევა საბერძნეთის აღმოსავლეთ რაიონებთან კოლხეთის ურთიერთობის ადრეული საფეხურის შესწავლისათვის საჭირო ინფორმაციას. როგორც ცნობილია, ამ სახის კერამიკა დიდი რაოდენობით მზადდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრში ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან მთელი VI საუკუნის განმავლობაში და ნაწილობრივ V საუკუნეშიც. ბათუმისციხის მასალის მიხედვით ჩანს, რომ ძვ.წ.VIIს. ბოლოდან აღმოსავლეთ საბერძნეთის კერამიკის შემოტანა, ხოლო ძვ.წ. VI ს. შუახანებიდან სისტემატური ხასიათი მიეცა (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:86-88). ჯერჯერობით ბათუმისციხეზე აღმოჩენილი თეთრანგობიანი ქიოსური ამფორები და ვერცხლისფერი ანარეკლის მქონე სადაზოლებიანი იონური კერამიკული ნაწარმი მრავალრიცხოვანი პარალელების მიხედვით ითვლება უძველეს ძერძნულ იმპორტად ამიერკავკასიაში (ტაბIII/4,5; ტაბ.IV/1-3). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. მათი სიმცირე მიუთითებს, რომ კლასიკურ ხანაში ათენთან ურთიერთობაში ამ სამოსახლოს როლი უმნიშვნელოა (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:88-89).

ბათუმისციხეზე მოპოვებულ მასალებს შორის ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ზომის ბადის საწაფები (ტაბ.IV/4), რომლებიც რიყის ქვისგანაა დამზადებული. დიდი ზომის საწაფები გამოიყენებოდა ზღვაზე თევზჭერისას, მცირე ზომისა კი- მდ. ოროლისწყალზე. საწაფების სტატისტიკა გვიდასტურებს, რომ აქაურ მკვიდრთა საქმიანობის მნიშვნელოვან დარგს თევზჭერა წარმოადგენდა (ა. კახიძე; დ.ხახუტაიშვილი, 1989:90). აღმოჩენილია ორი ცალი ქვის ხელსაფეხვავიც.

ფეოდალური ხანის მასალიდან აღსანიშნავია ნგრევის შედეგად გადმოქცეული კედლის მძლავრ ფენაში აღმოჩენილი ყავისფერკეციანი დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი, მწვანედ მოჭიქული ჯამის ძირ-კედლი, ფაიანსი და ჩიბუხი, რომელსაც აქვს მომრგვალებული კორპუსი და მოკლე სატარე მილი (ტაბ.IV/7). გვხვდება სამშენებლო კერამიკაც (კრამიტები, აგურები). ისინი მსგავსია გონიო-აფსაროსში მოპოვებული თანადროული ეპოქის მასალისა (ა. კახიძე; შ. მამულაძე, 2004:46)

სხვადასხვა წარმოიდგინდა გამოირჩევა კაუის ორფერდა ლამელა, ატყვია მცირე დამუშავების კვალი (ტაბ.IV/6). იგი მსგავსია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მოპოვებული მასალისა (ნებიერიძე, 1978; გოგიტიძე, 1978).

კაუის დამუშავებული იარაღები წინა წლებში წარმოებული გათხრების დროსაც იყო გამოვლენილი, მაგრამ ერთეული მონაპოვრების მიხედვით ამ მიდამოებში ქვის ხანის ადამიანის არსებობის პირობების შესახებ მსჯელობა ჭირს. იმედია ძეგლზე სამუშაოების გაგრძელების შემდეგ მსგავსი სახის მასალა გამრავლდება, რაც სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

არქეოლოგიური გათხრების გზით დასტურდება, რომ ბათუმის ციხე წარმო-ადგენს ბუნებრივ გორასამოსახლოს, რომელიც ზღვის ნაპირთან მდებარეობს, მდ. ყოროლის წყლის მარცხენა მხარეს. აქ დასახლება ადრერკინის ხანიდან, კერძოდ, ძვ.წ. VIII-VII სს-დან იწყება. ირგვლივ ზღვითა და მდინარით დაცულ დასახლებას გააჩნია მეტად მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა. სწორედ ამიტომაც ათასწლეულების განმავლობაში იგი წარმოადგენდა ყოროლისწყლის ხეობის, პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. ბათუმისციხის აღმოჩენებით დასტურდება, რომ ამიერკავკასიაში ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობების ამსახველი უძველესი არქეოლოგიური მასალა სწორედ ამ ძეგლზეა დადასტურებული. ძვ.წ. IV-III საუკუნეებისათვის სოფ. აგარასთან ერთად ბათუმისციხე წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წყაროებით ცნობილი საერთაშორისო ტრანსკავკასიური მაგისტრალისა, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს რიონ (ფაზისი)- ყვირილის, მდ. მტკვრის, კასპიისპირეთისა და შუა აზის ანტიკური ხანის სახელმწიფოების გავლით აკავშირებდა ინდოეთთან.

ურბანიზებულ სამოსახლოს ბევრი გადაკეთება, თავდასხმა და რბევა განუცდია. ასეთად მიგვაჩნია ძვ.წ. VII ს-ის ბოლოსათვის იონური კოლონიზაციის შედეგად გაჩენილი წვა-რბევის ამსახველი ნახშიროვანი შრე. განსაკუთრებით მძლავრი ნგრევა განუცდია გვიანშუასაუკუნეებისათვის. ამასვე ადასტურებს ახალი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ქვისა და რკინის ჭურვები (ტაბ.IV/5). მიმდინარე წელს გამოიკვეთა ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე ამ ნგრევის ამსახველი სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი ნ., 1949: ქართული კერამიკა, I, თბილისი.
2. ბოხოჩაძე ა. 1963: მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი.
3. გოგიტიძე ს. 1978: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლიტური კულტურა, თბილისი.
4. ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ. 1975: კოლხური ქვევრი.-სდსძ, V. ბათუმი.
5. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. 1989: მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XVIII, თბილისი.

6. კახიძე ა., ვიკერსი მ. 2004: კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვის- პირეთში. ფიჭვნარი, I, ბათუმი-ოქსფორდი.
7. კახიძე ა., მამულაძე შ. 2004: სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერი- ტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები.- გო- ნიო-აფსაროსი, IV, ბათუმი.
8. კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 2010: ელინიზმი და კოლხეთი. ფიჭვნარი, III, ბათუმი- ოქსფორდი.
9. ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირ- ცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.ნ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან, ვანი V, თბილისი.
10. მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზ- ღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.
11. ნებიერიძე ლ. 1978: დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი.

*A. Kakhidze
N. Surmanidze
T. Shalikadze*

NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES ON BATUMI FORTRESS

Summary

In May and August of the current year Batumi Archaeological Museum expedition by funding of Cultural Heritage Preservation Agency of Ajara realized Archaeological research on Batumi fortress. In article is presented the latest archaeological data discovered on Batumi fortress.

სოფა- მაკრიალის საფორტიფიკაციო ნაგებობაზე

აღმოსავლეთ ჭანეთის უმნიშვნელოვანესი რეგიონების მაკრიალისა და ხოფის შესახებ როგორც უცხოურ, ისე ქართულ წერილობით წყაროებში მნირი ცნობებია დაცული. მაკრიალი (დღევანდელი ქემალფაშა), სავარაუდოდ, ისტორიულ წყაროებში ჯერ კიდევ ახ.ნ. II ს-დან გვხვდება. კერძოდ, ის პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (V, 6, 6) ნახსენებ ქსილინესთან იგივ-დება (Качаравა, Квириквеля, 1991: 149). საკუთრივ ტოპონიმი მაკრიალი პირველად კომნენოსთა სამეფოს ოფიციალური ისტორიკოსი მიქაელ „ტრაპიზონის ქრონიკაში“ (XIV ს) გვხვდება - მაკრიალის და მაკრეგიალის ფორმებით. ბერძნულად მაკროს-აიაგალოს გრძელ ნაპირს ნიშნავს, თუმცა ალ. გამყრელიძის აზრით ის ადგილობრივი წარმოშობის ტოპონიმი უნდა იყოს (მ.პანარეტოსი, 1960: 80, შენიშვ. 133).

1367 წ ივნისში მაკრიალში მიიყვანეს ტრაპიზონის კეისრის ალექსი III (1349–1390) ასული ანა, რომელიც საქართველოს მეფე ბაგრატ დიდზე (1360–1393) თხოვდებოდა. საპატარძლო მაკრიალამდე მშობლებმა, სახმელეთო და საზღვაო დანაყოფებმა მოაცილეს (მ.პანარეტოსი, 1960: 38).

ათი წლის შემდეგ 1377 წ, აქვე საქართველოს მეფე დავით IX (1348–1360) ასულის გულეან-ხათუნის (ევდოკია) და ტრაპეზუნტის კეისარ იოანე-ალექსი III (1350–1390) უმცროსი ძის მანუილის მაყრიონები შეხვდა. მიქაელ პანარეტოსი წერს: „ლაზიკეში რომ მივედით, მთელი ზაფხული, 15 აგვისტომდე, იქ გავატარეთ, ადგილში [სახელად] მაკრეგიალუსს. მაშინ წამოპრძანდა იგი (ე.ი. ქართველთა მეფის ასული) გონიიდან მაკრეგიალუსს“ (გეორგია, VII, 1967: 206–207).

ოსმალურ პერიოდში მაკრიალი არქაბეს (არხავეს) კაზაში შედიოდა, ხოლო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ სასოფლო საზოგადოების (სარფი, უჩყარდაში, შანა, მაკრიალი, ჩანჩხარა, ქიოფრიჯი, სოველი, ყული-განისი, ლიმანი, მენელ-ოლლი, ხემშინი) ცენტრი გახდა (Лиозен, 1906: 161).

ადგილობრივები მაკრიალს ნოღედსაც უწოდებენ, რომელიც XVII ს შემდეგ აღარ გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში. ეს ტოპონიმი აქ საქალაქო ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს (თანდილავა, ვანილიში, 1964: 105, შენ. 1; ასათიანი, 1974: 40-42). მას საკუთარი ნავსაყუდელიც უნდა ჰქონდა, რაც იქვე, ხემშინის აღმოსავლეთით მდებარე ტოპონიმ და პიდრონიმ ლიმანით დასტურდება (Лиозен, 1906: 156, 161).

„დანიელ მესვეტის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ხოფაში საფორტიფიკაციო ნაგებობა ლეონ I მმართველობის პერიოდში, V ს 60-70-იან წლებში ფუნქციონირებდა და ის ლაზეთის საზღვართან მდებარე სასაზღვრო პუნქტს წარმოადგენდა (კეკელიძე, 1961: 5-6).

XI–XII სს ქართულ წყაროებში ხოფა მოხსენიებულია ხუფათის ფორმით (ქც, I, 1955: 209, 304, 333, 338). ევლია ჩელებთან ის გვხდება როგორც დაბა ხობანი (ევლია ჩელები, 1971: 94), ვახუშტისთან მცირე ქალაქია (ქც, IV, 1973: 689), კ. კოხთან ხოფა (სიხარულიძე, 1977: 63), გ. ყაზბეგთან ხოფა (ყაზბეგი, 1995: 99–103). ამჟამად ის ართვინის ილის ხოფის ილჩეს ადმინისტრაციული ცენტრია.

ამ რეგიონის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს აქ განლაგებული სხვადასხვა ეპოქის მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორიცაა ქვის თაღლოვანი ხიდები, საეკლესიო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები და სხვა. ამჯერად მოკლედ შევჩერდებით მაკრიალისა და ხოფის (არხავეს-ჯიხას) საფორტიფიკაციო ნაგებობებზე.

ქემალფაშაში (ძვ. მაკრიალი), ჩაის ფაბრიკასთან გვერდით, ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს (150 მ) არის ძველი ნაგებობების კომპლექსი (ტაბ.I, 1), რომელიც შემოსაზღვრულია სამმხრივ კარგად შემონახული გალავნის კედლით (დაზიანებულია ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი). ეს კომპლექსი გამხოლობულია სწორკუთხა გალავნით, ნაგებია დუღაბითა და რიყის ქვით, კედლების სწორხაზოვნება დაცულია, რადგან ყალიბშია ამოყვანილი და სავსებით შესაბამება წყობის ადრებიზანტიურ ხასიათს და კომპლექსის შემადგენელ ელემენტებს შორის ყველაზე ადრეულად გამოიყურება, თუ არ ჩავთვლით კოშკის შემადგენლობაში გამოყენებულ ჩანართებს.

კომპლექსში შედის სწორკუთხა გეგმის კოშკი, რომლის სიმაღლე 12 მ, სიგრძე 3, 22 მ, სიგანე 4,63 მ. ნაგებობა შედგება 3 სართულისაგან. სართულები კამარებითაა გადახურული. კოშკს აღმოსავლეთისაკენ ებმის დუღაბზე რიყის ქვით ამოყვანილი კამარა და ისახება შუალედურ სივრცედ კოშკსა და დარბაზულ ეკლესიას შორის; ტალანის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეებში შეისრული თაღებით დასრულებულ ღიობებს შეიცავდა თავის დროზე, რომელიც შემდგომში ამოუქოლიათ; ტალანიდან ეკლესიის სივრცეში შესასვლელი არქიტრავით არის გადახურული და თავის დროზე ღია ლუნეტს შეიცავდა. ლუნეტი შემდეგ ამოუქოლავთ სრულ ლუნეტად უქცევიათ, შეულესავთ და შეუღებავთ. შელესილობაზე საღებავის კვალი დღემდე შეინიშნება. თაღოვანი ღიობები და ლუნეტის ოდნავ შეისრული თაღებიც აგურითაა ამოყვანილი (27X27X03); ლუნეტის აგურების ზომაა 25X25X04; კოშკი აღმოსავლეთის მხრიდან მაღალ და საზეიმო ღიობს შეიცავს, რომლის სიმაღლე ამჟამად 3,80 მ; კამარა ბრტყელი, საგანგებოდ შერჩეული ფილებითაა ნაგები; მთლიანი კომპლექსი აბსოლუტურადაა და-

მორჩილებული დასავლეთ-აღმოსავლეთის დერძს; კოშკის უკიდურეს ქვედა სტრუქტურაში შეინიშნება ქვიშა-ქვისგან დამზადებული კვადრები, როგორც ჩანს ისინი მეორადი გამოყენების შემდეგაა აյ მოხვედრილი; ძირითადი მასა დუღაბზე რიყის ქვითაა ნაგები; კუთხებში ძირითადი დატვირთვა სამშენებლო კერამიკას ეკუთვნის, მასში გამოყენბულია აგურის წყობები, მათ შორის დუღაბის სისქე საკუთრივ აგურის სისქეს უტოლდება; შიგადაშიგ გვხვდება კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, როგორიცაა ამფორის, დოქების, წყალგაყვანილობის მილის ფრაგმენტები და სხვ (ტაბ.I. 2). მშენებლობაში ასევე გამოყენებული ჩანს პლინტუსის შედგენილი ცალკეული ბლოკები, რომლებიც სხვა რომელიდაც ადრეული ნაგებობიდან ჩანს მოტანილი და ისინი წყობაშია ჩართული. ასეთივე სურათს ქმნის კერამიკის ფრაგმენტებით შედგენილი დუღაბის მასა, რომელიც ასევე ადრეული ნაგებობის კუთვნილება უნდა იყოს. ჩანართი პლინტუსების ზომები (27X27X03) მთლიანად შეესაბამება გვიანრომაული პლინტუსის სტანდარტებს (ტაბ.I. 3).

ხოფა-არხავეს წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს მეორე ციხეც(ტაბ.II. 1,2); . მას ადგილობრივი მოსახლეობა ხოფას, ზოგჯერ არხავეს ციხესაც ეძახიან. სწორედ ამ მიდამოებში პონტოს მთიანეთიდან ზღვისპირეთისაკენ რამოდენიმე ქედი ეშვება. მათგან ყველაზე მაღალი ე.წ. არხავეს ქედია. ცენტრალური მონაკვეთიდან იგი თანადათანობით იშლება და მოზრდილ ტერასისებურ მოვაკებებს ქმნის, რომლებზედაც სხვადასხვა სოფლებია გაშენებული. ქედი ქვემოთ ზღვის სანაპირო ზოლთან მიახლოებისას ქმნის მკვეთრად დახრილ, მაღლივ გაუვალ კლდოვან რელიეფს. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ხოფასა და არხავს შორის დამაკავშირებელი ძველი სახმელეთო გზები, სწორედ ზღვისპირეთიდან საკმაოდ მაღლა, ქედის შუაწელზე არსებულ ფერდობებზე შეფენილ სოფლებზე გადიოდა.

საკუთრივ ციხე მდებარეობს არხავის ქედის დასაწყის მონაკვეთში, ყველაზე შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი არემარე ოთხივე მხრივ, განსაკუთრებით კი ზღვისპირა ზოლი და მისი შემოგარენი ტერიტორია თვალუნვდენელ მანძილზე. იგი უშუალოდ ზემოდან დასცეკრის არხავსა და ხოფას შორის დამაკავშირებელ სახმელეთო გზას.

უშუალოდ ციხისათვის შერჩეული ტერიტორია მკვეთრად გამოყოფილი მაღალი კლდოვანი ბორცვია. ციხის გალავნის კედლები კლდოვანი მასივის გარე კონტურებს მიუყვება და ბუნებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურადაა გამოყენებული. საკუთრივ ციხის შიდა ტერიტორია კლდოვანი რელიეფის შესაბამისად რამდენიმე ტერასადაა დანაწევრებული. ციხე მთლიანობაში საკმაოდ დაზიანებულია. შედარებით უკეთაა დაცული ქვედა, პირველ იარუსზე არსებულ ნაგებობათა ნაშთები. მისი გეგმა რელიეფის შესაბამისად გრძივად ჩრდილო აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული. ნაგებობის ჩრდილოე-

თი კედელი კლდოვანი კონტურის შესაბამისად მრავალხაზოვანია. შედარებით სწორხაზოვნებას ინარჩუნებს სამხრეთ-დასავლეთისა (ტაბ.III. 2) და სამხრეთის კედლები. აქ გალავნის კედლებს შიგნით მოქცეული მთლიანი ფართობის სიგრძე 33 მ-ია, სიგანე საშუალოდ 16 მეტრს უტოლდება. კარის ღიობი შექმნილია სამხრეთი გალავნის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ.III. 1). მისი სიგანე 1,30 მეტრია, სიმაღლე 1, 54 მეტრი. კარის ნირთხლები 20 სმ. სიგანისაა და ღიობის კედლებიდან 12 სანტიმეტრითაა გაზიდული. გარე მხრიდან კარი არქიტრავით იხურება, ხოლო შიდა მხრიდან იგი თაღოვანია. კარი შიდა მხრიდან ურდულითაც იკეტებოდა. გვერდით კედლებში დღემდე შემორჩენილია ურდულის სამოძრაო ჭრილები, რომელთა სიმაღლე 24 სანტიმეტრია, სიგანე 22 სმ-ი. შურდულისათვის განკუთვნილი ჭრილები იატაკის დონიდან 80 სანტიმეტრზეა დატანილი.

გალავნის კედლები შედარებით სქელია იმ მხარეს, რომელიც შედარებით სუსტადაა დაცული. აქ მათი სისქე ზოგჯერ 2,20 მეტრს აღწევს. იგი შეიცავდა 50 სმ. სიმაღლის ბორდიურს, ხოლო შიდა მხრიდან 1,30 მ სიგანის სასიარულო არეს. ციხის ამ მონაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ უკიდურეს წერტილში შექმნილია კლდოვანი ხვრელი, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ოსტერნას-საიდუმლო გასასვლელს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ.IV. 3). ამ მხრიდან გარე სივრცეს უშუალოდ კლდოვანი მასივი განსაზღვრავს. ციხის ამ მონაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელიც უშუალოდ კლდოვან მასივს ებჯინება. ამჟამად აქ არსებული ხშირი მცენარეული საფარის გამო არ იკითხება სიმაგრე შეიცავდა თუ არა კოშკებს. რაც შეეხება საკუთრივ კარს, იგი ფლანკირებული არ არის კოშკებით, ე.ი. იგი არ შეიცავდა კარიბჭეს.

ციხე ჩრდილოეთით, კლდოვანი მასივის რელიეფის შესაბამისად, ტერასებად მიემართებოდა სიმაღლეებისაკენ. აღწერილი სტრუქტურის გარდა სულ გამოიყოფოდა 4 ტერასა. თითოეული მათგანი მეორისაგან საკმოად მკვეთრად დახრილი კლდოვანი მასივით გამოიყოფოდა მომდევნოსაგან. თითოეული ტერასა ხშირ შემთხვევაში მეორესთან დაკავშირებულია კლდეში ნაკვეთი საკმაოდ მოგრძო საფეხურებით.

მეორე ტერასა პირველთან შედარებით მცირე მოცულობის ტერიტორიაა. აქ არსებული გალავნის კედლებიც საკმაოდ დაზიანებულია და აქა-იაქა შემორჩენილი. გალავნის კედლებს შიგნით მოქცეულ ფართობზე სამი სწორკუთხა ფორმის ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. მათგან ორი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. ერთი მათგანი შედარებით კარგადაა დაცული. არაა გამორიცხული ის სამაცივრო ნაგებობად ყოფილიყო გამოყენებული, რომელიც ძირითადად კლდოვან ქანშია ჩაჭრილი. ვფიქრობთ, აქ შეიძლებოდა მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება. დანარჩენი ორის კონკრეტული დანიშნულების განსაზღვრა ჭირს. შედარებით მაღლაა მესამე ტერასა. აქაც აქა-იქ შემორჩენილი გალავნის კედლებს შიგნით არსებული ტერიტორია შედარებით მცირეა. შეინიშნე-

ბა ორი ნაგებობის ნაშთი. თუმცა მათ ფორმასა და დანიშნულებაზე წარმოდგენის შექმნა ჭირს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შედარებით კარგადაა ჩვენამ-დე მოღწეული მეორე და მესამე ტერასას შორის დამაკავშირებელი კლდეში ნაკ-ვეთი კიბის საფეხურები. შედარებთ მცირეა მეოთხე ტერასის ტერიტორია. აქ შემორჩენილია ერთადერთი, შედარებით კარგად დაცული ნაგებობის ნაშთი. იგი წაგრძელებული ფორმის მცირე მოცულობის ნაგებობაა. შიდა სივრცე თა-ლოვანია. გადახურვა ბანოვანი. მისი ზომებია: სიგრძე - 3მ, სიგანე - 2მ. ნაგებია გარეზედაპირ ჩამოსწორებული კლდის ქვებით. მისი კონკრეტული დანიშნულე-ბის შესახებ რაიმეს თქმა ჭირს.

რაც შეეხება ციხის კედლებს მის მშენებლობაში ძირითადად გამოყენებუ-ლია კლდოვანი მასივიდან ანატკეცი ქვები. თუმცა ზოგიერთი ნაგებობის კუთ-ხეების გადაბმაში გამოყენებულია შედარებით კარგად დამუშავებული მოგრძო ფორმის ქვების ურთიერთმონაცვლე რიგები (ტაბ.IV. 2). ორივე შემთხვევაში შემაკავშირებელ მასალად გამოყენებულია კირხსნარის სუსტი ფენები. ციხის დათვალიერებისას ჩანს, რომ ოქროს მაძიებლებს საკმაოდ ბევრი უმუშავიათ. გადანაყარში გვხვდება მცირე რაოდენობის არქეოლოგიური მასალაც. მათზე ვრცლად სხვა დროს იქნება საუბარი. ამჯერად მოკლედ ავლნიშნავთ, რომ აქ წარმოდგენილი იყო, როგორც ადრებიზანტიური (VI-VIIIსს), ისე ადრე და განვი-თარებული შუასაუკენების კერამიკული ნაწარმი. ჩანს, ციხე ფუნქციონირებას იწყებს საკმაოდ ადრეული პერიოდიდან და იგი აგრძელებს არსებობას მომდევ-ნო ეპოქებშიც. არაა გამორიცხული ეს ის ციხე იყოს, რომელიც „დანიელ მესვე-ტის ცხოვრებაში“ მოიხსენიება და ფუნქციონირებდა ჯერ კიდევ ლეონ I მმარ-თველობის პერიოდში, V ს 60-70-იან წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ასათიანი ირ., ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი, 1974
- 2.გეორგიკა, ტ. VII, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1967
- 3.ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", ნაკვ. I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ.ფუთურიძემ, თბილისი, 1971
- 4.თანდილავა ა., ვანილიში მ., ლაზეთი, ბათუმი, 1964
- 5.კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბილისი, 1961
- 6.მ.პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ.გამყრელიძემ. - მსკა, ნაკვ. 33, თბილისი, 1960
- 7.სიხარულიძე ი., ჭანეთი (ლაძეთი), ბათუმი, 1977
- 8.ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973
- 9.ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995
- 10.Качарава Д.Д., Квирквелия Г.Т., Города и поселения Причерноморья античной эпохи, Тбилиси
- 11.Лиозен З., Берег русского Лазистана.- ИКОИРГО, 3, 1906

*Shota Mamuladze
Emzar Kakhidze*

KHOPA-MAKRIALI FORTIFICATION BUILDINGS

Summary

The article is reviewed in written sources protected notices about Khopa-Makriali. There is also discussed about Makriali castle-tower and Khopa (Arhavi) fortification buildings. Both of these buildings seems quite early and can be dated 5-6 centuries.









სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქველი მოსახლეობის
სამაურნეო სახე ნეოლით-ადრერაინის ხანაში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მისი ზღვისპირეთითა და მიმდებარე მთისწინა და მთიანი ზოლით, სწორედ ის რეგიონია, სადაც არქეოლოგიური მონაცემების მოშველიებით, საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ აქ მცხოვრებ-თა მეურნეობრივი განვითარების პროცესებს უძველესი დროიდან.

წარმოდგენილი რეგიონი ხასიათდება რთული ოროგრაფიული პირობებით, მდინარეთა ხშირი ქსელით და შავი ზღვის სიახლოვით. სწორე ეს განსაზღვრავდა ამ მხარის ეკონომიკურ თავისებურებას, ადამიანთა სამეურნეო ხასიათს, ეკონომიკური განვითარების დონეს, რაც მთლიანობაში ქმნიდა ყველა პირობას მრავალდარგობრივი მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის.

გამოვლენილი მასალების მიხედვით, რეგიონი ადრენოლითიდან ან გვიან-მეზოლითიდან ჩანს ათვისებული. სამნუხაროდ, ენეოლითზე ადრეული ძეგლების მიკვლევა კოლხეთის აკუმულაციურ დაბლობზე მეტად ძნელია, რადგან ისინი გადახურულია 25-30 მეტრი სისქის დანალექი შრით, რომელიც ნარმოიქ-მნა პერიოდშიდა ზღვური ტრანსგრესიების დროს, ძვ. წ. IX ათასწლეულის მომ-დევნო ხანაში (ჭ. ჯანელიძე, 1973: 11-12).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა აკუმულაციური ზოლი ჰო-ლოცენში დემოგრაფიული არასტაბილურობით ხასიათდებოდა (ნ. ხახუჭაიშვილი, 1986: 10-12). მსგავსი სურათი შეინიშნება კოლხეთის დაბლობის აკუმულა-ციური ზონის სხვა უბნებზედაც. კერძოდ აკუმულაციური ველის ზღვისპირა ზოლი, რომელიც უშუალოდ ებჯინება ახალშავზღვურ ტერასას, დასახლებული ჩანს ადრებრინჯაოს ხანაში თითქმის უკაცრიელია შუაბრინჯაოში და კვლავ ათვისებულია გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისში (დ. ხახუთაშვილი, 1984: 146-148)

შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების უქონლობის რამდენადმე დამაჯერებელი და სრული ახსნა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ “III ათასწლეულის მეორე ნახევარში მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდის. თანდათანობით იცვლება მეურნეობის ხასიათი. იზრდება მესაქონლეობის როლი, განსაკუთრებით მეცხვარეობისა. მთისწინა და მთის ზოლს უფრო ინტენსიურად ითვისებენ, ბარში მოსახლეობა თანდათანობით თხელდება. ძველი ნასახლარი ადგილები მიტოვებულია (დ. მუსხელიშვილი, 1977: 189-192). კოლხეთის ზღვისპირეთში ცხოვრება კვლავ აღორძინებულია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ისტორიის საწყისი პერიოდი, დღევანდელი მონაცემებით, ახალი ქვის ხანაა, როდესაც სა-

ფუძველი ჩაეყარა მწარმოებლურ მეურნეობას და დაიწყო ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ბინადრობის უძველესი კვალი მეზოლითიდან გვაქვს დადასტურევული. სამწუხაროდ, შესასწავლ რეგიონში დღემდე არ არის დაფიქსირებული ამ ეპოქის უძრავი ფენების შემცველი ნამოსახლარები, თუმცა აქაური ადრენელითური ხანის ნამოსახლარების მასალებში აშკარად შეინიშნება მეზოლითური ნაწარმი. ეს ეხება როგორც იარაღის დამუშავების ტექნოლოგიას, ასევე თვით იარაღთა ტიპებსაც.

ამის დასტურია ისეთ ღია სადგომ-ნამოსახლარებზე წარმოდგენილი მასალა, როგორიცაა: ჯიხანჯური, ჩოლოქი, კვირიკე, ბეშუმი, ნანილობრივ სოფ. ქობულეთი და სოფ. ხუცუბნი.

ზღვისპირეთსა და მთიანეთში აღმოჩენილი ყველა ნამოსახლარი თუ სადგომი ღია ტიპისაა და განლაგებულია ტერასებზე თუ გორაკ-ბორცვებზე. საცხოვრისების გასამართი ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული. გათვალისწინებული იყო ტყის, მდინარისა თუ დელის სიახლოვე, ზოგჯერ თვით ტერასისა თუ ბორცვის სიმაღლე და მისი დაცვის შესაძლებლობანი. ასეთი არჩევანი ადამიანს უქმნიდა ცხოვრებისათვის შედარებით უკეთეს პირობებს. მდინარე თუ დელეთევზჭერის გარანტიას იძლეოდა. ამ დროს ზღვისპირეთის ტერასები და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი საცხოვრისად უკვე გამოყენებულია (ო. ჯაფარიძე, 2002: 38-40). ამისი მოწმობაა აქ გამოვლენილი ძეგლები: კვირიკეს (მდებარეობს ქობულეთიდან 6-კმ-ზე მდ. კინკიშას მარჯვენა ნაპირის ტერასაზე), ჯიხანჯურისა და ჩოლოქის (მდებარეობენ ქობულეთის რ-ში, მდ. ჩოლოქის ტერასაზე, ბორცვოვანი ზოლში), ჩოლოქ - მა კ ვ ა ნ ე თ ი ს ნამოსახლარები (მდ. ჩოლოქის მარჯვენა ტერასაზე), ბეშუმის ნამოსახლარი (სადგომი), რომელიც მდებარეობს მაღალმთიან ზონაში (ზ. დ. 1830 მ). როგორც ირკვევა, აქაური მოსახლეობა ძირითადად ნადირობას, ველური ნაყოფის შემგროვებლობასა და მეთევზეობას მისდევდა (ს. გოგიტიძე, 1978: 23-30). როგორც მასალები მიუთითებს, უკვე ადრენელითური ხანიდან ათვისებული ჩანს არა მარტო ზღვისპირეთი, არამედ მთიანი მხარეც.

ქობულეთ-ხუცუბნის იერის ყველა ნამოსახლარი სრულიად მსგავსი და ერთგვაროვანი ძეგლია. მათი ქრონოლოგიური დაშორება არ შეიძლება და ისინი გვიანმეზოლითიდან ადრენელითზე გარდამავალი საფეხურით უნდა დათარიღდეს (ს. გოგიტიძე, 1974: 4-33). ამ ნამოსახლარებისათვის ჯერ კიდევ უცნობია რიყის ქვისა და სხვა მაგარი ქანებისაგან იარაღის დამზადების ტექნოლოგია, მათი გახეხვა-გაპრიალება, გეომეტრიული იარაღები (ტრაპეცია, სეგმენტი, სამკუთხედი და სხვა).

ამ პერიოდისათვის უკვე დაწყებული ჩანს გვაროვნული კოლექტივების დანაწევრება და ტომობრივ სტრუქტურათა შექმნის პროცესი (Бадер Н.О. 1970:

91-92).

აჭარის ტერიტორიაზე მ ა ხ ვ ი ლ ა უ რ ი ს ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, რომელიც უკავშირდება როგორც ადრე, ისე განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებს (ა. კალანდაძე, 1994: 132-133). ზღვისა და მდინარის სიახლოვემ განსაზღვრა მახვილაურის სამოსახლოს მცხოვრებლების ყოფაში მეთევზეობის განსაკუთრებული ადგილი (ს. გოგიტიძე, 1971: 19-24). უნდა ითქვას, რომ მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარი აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სრულიად ახალი ტიპის ძეგლია. კაუისა და ობსიდიანის იარაღებთან ერთად აქ გამოვლენილია რიყისა და ბაზალტის ქვის იარაღებიც. მახვილაურში ობსიდიანი არსებით როლს არ ასრულებდა. ასეთივე სურათი ჩანს დასავლეთ საქართველოს განვითარებული ნეოლითური ხანის სხვა ნამოსახლარებზეც (ოდიში, ანასეული II, მამათი, კისტრიკი დას ხვ.). წინარეგვიანმეზოლითადრენეოლითურ ხანაში მისი გამოყენება აშკარად უფრო ინტენსიური იყო. ირკვევა, რომ ანატოლიასა და ამიერკავკასიას შორის არსებობდა ობსიდიანით რეგულარული მონესრიგებული “ვაჭრობა” (მუხაევ P.M., მერპერთ H. Я., 1981:117-118). სამხრეთ კოლხეთი ობსიდიანით შეიძლებოდა მომარაგებულიყო აგრეთვე ვულკანური მინით მდიდარ სამხრეთ საქართველოდან (ლ. ნებიერიძე, 1987: 56).

შეინიშნება საკმაოდ ხანგრძლივი წყვეტილი უადრეს ნეოლითურ ძეგლებსა (ხუცუბანი, ქობულეთი) და მახვილაურის ნამოსახლარს შორის.

ქობულეთ-ხუცუბანის ტიპის ძეგლებისათვის სრულიად უცნობია გეომეტრიული მიკროლითები. პირველად ისინი სწორედ მახვილაურის ნამოსახლარზე ჩნდება, რაც გვიდასტურებს, რომ განვითარებულ ნეოლითში გეომეტრიული მიკროლითები გადმონაშთი კი არ იყო, არამედ განვითარების უფრო მაღალი საფეხურის მანიშნებელი სიახლე.

ამ დროს საფუძველი ეყრება ადამიანის მოღვაწეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა მინათმოქმედება, მესაქონლეობა, რთვა-ქსოვა, მეთუნეობა და ა.შ.

ამ ნახტომს საზოგადოების ისტორიაში განსაკუთრებით ნათლად მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარი ასახავს. აქ მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ იმ რადიკალურ ცვლილებებს, რაც შეინიშნება ქვის დამუშავების ტექნიკაში.

მახვილაურის ტერიტორია ძვ.წ. VII-VI ათასწლეულში ჩანს ათვისებული, ხოლო აქ მოპოვებული მასალები მიგვანიშნებს, რომ საქმიანობის ძირითად დარგებს მეთევზეობა, ნადირობა, მინათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ამ პერიოდის საზოგადოების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა თიხის პლასტიკური თვისებების მიგნებამ და მეთუნეობის გაჩენამ. მახვილაურის ნამოსახლარი აჭარის ტერიტორიაზე დღემდე ერთადერთი ძეგლია, სადაც

ადრეული კერამიკაა გამოვლენილი. აქაური კერამიკული ნაწარმი არ გამოირჩევა სიმრავლითა და ფორმათა ნაირფეროვნებით, არ ახასიათებს ორნამენტი და არც დიდი ზომებით გამოირჩევა. ჭურჭლის დასამზადებლად ჩვეულებრივ გამოყენებულია ნითელი თიხა, ასე ფართოდ რომაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლში და მეტნაკლები ოდენობით შეიცავს კვარცის, ქარსის, მინდვრის შპატის, არგილიტის მინარევებს (Воеводский М.В., 1957: 60-61). თიხის ჭურჭლის უძველესი ფორმები ქილისებრი მოყვანილობის ბრტყელძირა ნაკეთობაა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ნითლად ანგობირებული კერამიკის ფრაგმენტებმაც, რომლებიც სრულიად თავისებურია და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ-ენეოლიტურ კერამიკაში ვერ პოულობს რაიმე ხელშესახებ პარალელებს; არც კავკასიის სხვა რეგიონებში აღმოჩნდა მსგავსი კერამიკა. მხედველობაშია ნითლად ანგობირებული თიხის ჭურჭლების როგორც მდიდრულად ორნამენტირებული, ისე სადა ფრაგმენტები. შემკულობა შესრულებულია ჭდეების, ტალღისებრი, ნინვისებრი და შერეული რთული ორნამენტის სახით. ასეთი ჭურჭლების ზოგიერთი სახე ცნობილია ისპანისა და ნამჭედურის ნამოსახლარების ფენებში. (ს. გოგიტიძე, 2007: 128-134).

მახვილაურის ნამოსახლარის შესწავლა გვიჩვენებს რომ ამ დროს ნეოლითური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე ასულა. სამწუხაროდ, მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით არ ხერხდება აქაური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის სხვა მხარეების გაშუქება.

ქობულეთ-ხუცუბნის უძველესი ადამიანის იარაღებში განსაკუთრებული ადგილი თუ საფხეკებს და საჭრისებს ეკავა, მახვილაურში სურათი კარდინალურად შეცვლილია: აქ როგორც საჭრისების, ისე საფხეკების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ერთი მხრივ, ეს შეიძლება აიხსნას მონადირეობის როლის დაქვეითებით, ხოლო მეორე მხრივ, ახალი სამეურნეო ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებით. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ მონადირეობის როლი თანდათანობით კლებულობს, მაშინ რამ გამოიწვია მახვილაურის ნამოსახლარზე შურდულის ქვების სიმრავლე (200 ერთეული). ფიქრობენ, რომ შურდულის ქვას იყენებდნენ არა მარტო ნადირობაში, არამედ საბრძოლო დანიშნულებითაც. შურდულის ქვებთან ერთად საბრძოლო იარაღებად უკვე გამოიყენებოდა შუბი, მშვილდისარი, საბრძოლო ცული, უფრო მეტად - გეომეტრიული მიკროლითები-საგან შედგენილი რთული იარაღები.

შინამოხმარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სანაყებს, სახეხ-სასრესებს, ხელსაფქავებს და სხვა იარაღებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მიწათმოქმედებაში, ისე ნადირობა-შეგროვებით მოპოვებული პროდუქტების გადასამუშავებლად. რიყისა და ბაზალტის ქვისაგან დამზადებული ნაკეთობანი წამყვანია მახვილაურის ნამოსახლარზე მოპოვებულ კოლექციაში. ამ

მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია ბაზალტის ცულები (20), რომელთაც ემჩნევათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. ცულების და სხვა იარაღების დამზადებისას გამოყენებულია ძირითადად გახეხვა-გაპრიალებისა და ე.წ. “წერტილოვანი” დამუშავების ტექნიკა, რომელთა უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ხეს კი არ ჩეხდა, ხლეჩდა ან ფლეთდა, არამედ ჭრიდა, რაც ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ამას დიდ მნიშვნელობა ჰქონდა მარტივ მიწათმოქმედებაში (მიწის ფართობის განთავისუფლება მცენარეთა საფარისაგან). მსგავსი ცულები ფართოდაა გავრცელებული რეგიონის არა მარტო მთისწინეთსა და ზღვისპირა ზოლში, არამედ მთიანეთშიც (ბეშუმის მიდამოებში). მთიანეთი მომდევნო პერიოდებშიაც ინტენსიურად ჩანს ათვისებული.

მიწისა და ხის დამუშავების პროცესში გამოიყენებოდა აგრეთვე ბაზალტის თოხისებური იარაღები, სათლელები, სატეხ-სათლელები, სატეხები, პიკისებური იარაღები, წერაქვისებური, სოლისებური, სახნისისებური მაკროლითები და სხვ.

მახვილაურის ნესტიან ბუნებრივ გარემოში შეუძლებელი იყო ხორბლისა და ქერის წარმოება ისეთივე გზით, როგორც ეს წინა აზისა და აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სამიწათმოქმედო ცენტრებშია ფიქსირებული. ისევე როგორც კოლხეთის სხვა რეგიონებში, აქაც ადრეულ პერიოდში ძირითადად ჭვავი, ლომი და ფეტვი მოყავდათ (ი.კიკვიძე, 1976: 10). უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთში ჭვავი არქეოლოგიურად დამოწმებული უძველესი მარცვლეულია. რაც შეეხება ლომს, იგი აღმოჩენილია არუხლოს ენეოლიტურ ნამოსახლარზე (ტ. ჩუბინიშვილი, 1973: 19; ივ ჯავახიშვილი, 1930: 64).

გვიანმეზოლითში და ადრენეოლითში იმის გამო, რომ თევზეულს ადამიანის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, საცხოვრისების უმრავლესობა განთავსებული იყო ზღვისპირა ზოლში, მდინარეთა ტერასებზე, მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში.

ამგვარად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა უკვე ადრენეოლითიდანვე დასტურდება, ხოლო გვიანნეოლითში იგი მიწათმოქმედებით, მეცხოველეობით, მეთუნეობით და პირველყოფილი ხელოსნობის სხვა სახეების საწყისი ფორმირებითაა წარმოდგენილი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შედარევით სუსტადაა შესწავლილი ენეოლითის ხანის ძეგლები. თუმცა, გვაქვს შემთხვევითი აღმოჩენებისა და სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დაგროვილი მასალა (ჯანჯღარი, კვირიკე).

ადრებრინჯაოს ხანის მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქედის რ-ნის სოფ. კოლოტაურის მონაპოვარი.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის შესასწავლად განსაკუთრებით მდიდარი მასალები მოგვცა კურორტ ქობულეთთან არსებულმა ი ს პ ა ნ ი ს ტორფქვეშა ნამოსახლარმა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. მონაპოვარ-

ში წარმოდგენილი იყო ყუამილიანი ცულის ყალიბები, საბერველების საქშენი მილები, მინიატურული ტიგელები, ყუადაქანებული ცულის ხის მოდელი, თიხის პატარა ზომის ანთროპომორფული სკულპტურა, კაჟის ისრისპირები და ა.შ. (დ. ხახუტაიშვილი, 1979; დ. ხახუტაიშვილი, 1995: 33-39; ნ. ხახუტაიშვილი, 1987). მასალებში მრავლადაა ხელსაფქვავები, როდინები, საბეგველები, ფილთაქვები, ბადისა თუ ანკესის საძირავებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები, კაჟის, ნამგლის ჩასართები, შურდულის ქვები, აგრეთვე მრგვალნახვრეტიანი ქვის ცული და ა.შ. ისპანის მოსახლეობას დიდხანს შეუნარჩუნებია ნეოლითური ტრადიციები. კოლხეთის დაბლობის ამ მონაკვეთის ათვისება სწორედ ენეოლითის საფეხურიდან უნდა დაწყებულიყო, ხოლო მსხვილი სამოსახლო ადრებრინჯაოს ხანაში წარმოქმნილა. იგრძნობა შეგროვებითი მეურნეობის ტრადიციების ნიშნები: აღმოჩენილია წაბლის, თხილის, წინიბოსა და რკოს ნაშთები, დელფინისა და სხვა თევზეულის, აგრეთვე ცხოველთა ძვლები. ამასთან, ისპანში განხორციელებულია მხოლოდ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. ჩანს, ამ ძეგლის სახით ჩვენ საქმე გვაქვს კოლხეთის დაბლობის ერთ-ერთ მსხვილსა და უადრეს დასახლებასთან. მისი წარმოქმნა ამ ადგილას დაკავშირებული ჩანს ზღვის რეგრესიის პერიოდთან, რასაც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან თანდათანობით ტრანსგრესიული პროცესები შეენაცვლა (Хахутаишвили დ.ა. 1984: 1460151).

ისპანის მონაპოვარში წამყვანია კერამიკული ნაწარმი, სადაც წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, რთვა-ქსოვასა თუ მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული თიხის ნაწარმის მთლიანი ცალები და დიდი რაოდენობის პროფილირებული ნატეხები. სამეთუნეო ნაწარმის ასეთი სიმრავლე დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არც ერთ ძეგლზე არ არის ფიქ-სირებული. ისპანის სამეთუნეო ნაწარმი ხელითაა ნაძერწი, ხშირად ტლანქად, ატარებს არქაულ იერს. პატარა ზომის სუფრის ჭურჭლის ზედაპირი საგულდაგულოდაა მოსწორებული, ზოგჯერ გაპრიალებული. ისპანის მონაპოვარში წარმოდგენილია შავად გაპრიალებული ჭურჭლების ნატეხებიც, რომლებიც მტკვარ-არაქსის გვიანდელ ნაწარმთან ნახულობს სიახლოვეს და კოლხეთის დაბლობისათვის იმპორტულ ნაკეთობადა მიჩნეული. წამყვანია ბრტყელძირიანი ცილინდრული მოყვანილობის ქვაბ-ქოთნები თუ ქილები, არის მომრგვალებულტანიანი ნიმუშებიც. უფრო მეტად პატარა ზომის ქოთნები და კოჭობები. სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია სამარილეები თუ სამედიცინო დანიშნულების მინიატურული ჭურჭლები, ჯამები და ა.შ. ისპანის კერამიკა სათავეს უდებს დასავლეთ ამიერკავკასიის, უფრო მეტად კოლხეთის ზოლის, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მეთუნეობას.

ადრებრინჯაოს ხანის ფინალური საფეხურისათვის ისპანის მოსახლეობა ადგილის დაჭაობების გამო ტოვებს სამოსახლოს (ა. ინაიშვილი, 1973; დ. ხახუ-

ტაიშვილი, 1995).

ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ხულოს რაიონის სოფ. ნაგომარში, ასევე ქობულეთის რ-ის სოფ. აჭყვისთავშიც.

ამდენად, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის ათვისებული ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის როგორც მთიანეთი, ასევე ზღვისპირა ზოლი.

ადრებრინჯაოს ხანში ხელოსნური წარმოება საკმაოდ დაწინაურებულია, რაც წინამორბედი პერიოდის შესახებაც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის გათხრების პროცესში მოპოვებული მასალის მიხედვით შეიძლება საუბარი ხელოსნობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მეთუნებლა, მშენებლობა, ლითონის დამუშავება, ფეიქრობა. აქ მოპოვებული ხელოსნური წარმი, ბუნებრივია, ტექნიკური აზროვნების განვითარების გარკვეული დონის ამსახველია (ა. ინაიშვილი, 1977; დ. ხახუტაიშვილი, 1995; ნ. ხახუტაიშვილი, 1987).

ამ პერიოდში მეთუნეები ჯერ კიდევ არ იყენებენ მორგვს და თიხის ჭურჭელი ხელითაა დამზადებული. თიხის ჭურჭელთა ასორტიმენტი მათ ფუნქციონალურ მრავალგვარობაზე მიუთითებს. დეკორი იშვიათობაა, მაგრამ წარმის ესთეტიკურ მხარეს გარკვეული ყურადღება ექცევა: ჭურჭლის ზედაპირი ყურადღებითაა დამუშავებული, ფორმები დახვეწილია, სახეზეა ქუსლიანი ჭურჭლის შექმნის მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. როგორც ჩანს, უკვე იცნობენ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ტექნიკური დონე როცა შესაძლებელია წითელკეციანი წარმის მიღება. ადრებრინჯაოს ხანის ადგილობრივი კერამიკული წარმი შავი და ლეგა ფერისაა. ამგვარი კერამიკის მისაღებად კი, ქურაში $600\text{--}700^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის განვითარებაა საკმარისი. რამდენადაც, თიხისგან დამზადებული კარგად გამომწვარი პროდუქცია გარკვეული დონის ტექნიკურ დახელოვნებას მოითხოვდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ხდებოდა გარკვეული “მეთუნე-ოჯახების” შერჩევა. ეს იყო პროფესიულ მეთუნეთა ფენის ფორმირების გარიურავი.

შედარებით უკეთაა განვითარებული ლითონების დამუშავება. ხელოსნობის ეს დარგი იცნობს როგორც ჭედვას, ისე ჩამოსხმას. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოპოვებული იყო ლითონის ჩამოსხმასთან დაკავშირებული საყურადღებო ინვენტარი (დ. ხახუტაიშვილი, 1995), სადაც ყურადღებას იქცევს ყუამილიანი ცულის ხის მოდელი. ხის ამგვარ მოდელზე მზადდებოდა ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი, რომელშიც მიიღებოდა სასურველი ფორმის წარმი. გარდა ამისა, ამავე ნამოსახლარზე ნაპოვნია თიხისგან დამზადებული ყალიბების ფრაგმენტები, აბაზანის ფორმის მინიატურული ტიგელები და საბერველების საქშენი მიღების მოდელები. ლითონჩამოსასხმელი ხელოსნობის მთელი ეს

აღჭურვილობა პარალელს პოულობს წინააღმოსავლეთის, განსაკუთრებით ანატოლიისა და ეგეიდის ადრებრინჯაოს ხანის ნივთიერ კულტურაში. ბუნებრივია ამიერკავკასია არ შეიძლებოდა გვერდზე მდგარიყო იმ პროცესებისაგან, რაც ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში მიმდინარეობდა.

ადრებრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, ხდებოდა რთვა-ქსოვის ტექნოლოგიის შემდგომი სრულებრივი. ამ დროს ფართოდ გავრცელებული კვირისტავები ამისი უდავო მოწმობაა. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. “ქსოვილიანი კერამიკის” ადრეულ ჯგუფზე.

ადრებრინჯაოს ხანა საყოველთაო აცივების პერიოდი იყო და, ბუნებრივია, კლიმატური რყევის ამგვარი გამოვლინება იმდროინდელი ადამიანის წინაშე აყენებდა სიცივისგან საიმედოდ დაცვის საკითხსაც. ეს გარემოება მოსახლეობის წინაშე დამატებით პრობლემას ქმნიდა - იგი იძულებული იყო ეშენებინა ისეთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მას არა მარტო ნადირისაგან დაიცავდა, არამედ სიცივისგანაც დაიფარავდა. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე და კოლხეთის ველის სხვა უბნებზე გადარჩენილი ადრებრინჯაოს ხანის საცხოვრებელი სახლების ნანგრევები ამისი უდავო დადასტურებაა. ეს არის ნაგებობა (ჯარგვალი), რომლის კედლები კანგაუცლელი მრგვალი მორებით (ჯა-მორი) არის ნაგები. ძელები ერთმანეთს უკავშირდება სპეციალური ნაჭდევებით. კედლის მშენებლობის ეს ხერხი დასავლეთ საქართველოში თითქმის დღემდე შემორჩია, ხოლო ფარლალალა ადგილები, როგორც ჩანს, მოზელილი თიხით შეივსებოდა. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე გადარჩენილ ნაგებობებზე შემორჩინილი ნიშნებით ჩვენ საშუალება გვეძლევა ნარმოვიდგინოთ მშენებლობის ხელოვნების დონე ადრებრინჯაოს ხანის როგორც ადრეულ, ისე მოგვიანო საფეხურზე. კლიმატური თავისებურებების გამო დასავლეთ საქართველოს ბარში ძირითადი სამშენებლო მასალა მერქანი იყო. ბუნებრივია, ეს გარემოება განსაზღვრავდა ისეთი სადურგლო იარაღების შექმნის აუცილებლობას, როგორიცაა პირბრტყელი ცული, ბირდაბირი (ხერხი), სატეხი, ეჩო და ა.შ.

ამგვარად ხელოსნობა – ლითონჩამოსხმა, მეთუნეობა, ფეიქრობა, ხითხურობა და ა.შ. - ადრებრინჯაოს ხანის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან დარგებს ნარმოადგენდა.

ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში შედარებით ნაკლებადა გამოვლენილი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები, რა თქმა უნდა, რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის უკმარობით უფრო აიხსნება, ვიდრე ამ პერიოდის ძეგლების უქონლობით.

შუაბრინჯაოს ხანის ისტორიისა და ნივთიერი კულტურის კვლევის უმთავრეს წყაროს ნარმოადგენს შემთხვევითი აღმოჩენებით ნარმოდგენილი მასალა (სოფ. ხელვაჩაურში, მახუნცეთში, განთიადში, ვერნებში).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგიდან საქართველოში და სა-

ერთოდ, ამიერკავკასიაში, საზოგადოების განვითარების ახალი საფეხური იწყება. ეს არის გვიანბრინჯაოს ხანა. ამ პერიოდში კარდინალური გარდაქმნები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო: ირლვევა ადრე არსებული საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები გარე სამყაროსთან, თითქმის მთელ კავკასიაში გარკვეული კულტურული იზოლაცია შეინიშნება და საზოგადოების განვითარების თავისებური გზა ისახება. ამიერკავკასიის შიგნით, გარკვეულ ოლქებში, მკვეთრად გამოსახული ადგილობრივი კულტურები ყალიბდება. მეურნეობაში მომხდარ ძვრებს, ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებას შედეგად ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება მოყვა. ცხოვრების საერთო დონის წინსვლამ მოსახლეობის რიცხვის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი და საქართველოს მთაცა და ბარიც საკმაოდ მჭიდროდ დასახლდა. ამ ეპოქაში, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, შემოდის რკინა. ერთხანს ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია თანაარსებობენ, მაგრამ შემდეგში რკინა სულ უფრო მძლავრად იყიდებს ფეხს. ამიტომაც ამ პერიოდს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანასაც უწოდებენ.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი ბრინჯაოს ინდუსტრიის შემდგომი დაწინაურებითა და საერთოდ მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესით გამოიჩინა. ამ დროიდან კოლხურ კულტურაში ვრცელდება მრავალგვარი იარაღ-საჭურველი, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ მის თავისებურ ხასიათს. ამ პერიოდის მასალები ნამოსახლარებიდან და კოლხეთის ტერიტორიაზე მრავალად აღმოჩენილი მელითონეთა განძებიდანაა უპირატესად წარმოდგენილი. ამ დროის სამაროვნები ჯერჯერობით თითქმის ცნობილი არ არის, რაც ართულებს კოლხური კულტურის ადრეული საფეხურის შესახებ მეტნაკლებად სრული სურათის წარმოდგენას. უფრო გვიან, კოლხური კულტურის აყვავების ხანიდან, გარდა ნამოსახლარებისა, კარგადაა ცნობილი, აგრეთვე, სამაროვნები, რომლის მასალები უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევიან ამ დროის საზოგადოების შესახებ. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს უძველეს ისტორიაში. მათ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის პირველებმა შეამზადეს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საფუძველი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მიმდგომი ოლქებით, ცხოვრებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობდა. როგორც ჩანს, მინათმოქმედება აქ მეურნეობის ნამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო. ამ დროისათვის ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სახის ლითონის სამეურნეო იარაღები, რომლებიც უპირატესად მინის დამუშავებას უკავშირდებიან. სწორედ ამან განაპირობა ძირითადად ამ მხარის ინტენსიური ათვისება, რაც კოლხური კულტურის შემდგომი დაწინაურების საფუძველი გახდა. ლითონის სამეურნეო იარაღზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ მეტალურგიული წარმოების გაფართოება გამოიწვია. მართალია, აქარის გორაკ-ბორცვოვან ზოლში ნამოსახლარი ადგილები ჯერ კიდევ მა-

ინცდამაინც ცნობილი არ არის, მაგრამ აქ ლითონის სამეურნეო იარაღის სიუხვე და მრავალსახეობა უთუოდ იმის მოწმობაა, რომ მიწათმოქმედებას აქ მაღალი დონისათვის მიუღწევია.

ამ დროისათვის კიდევ უფრო დანინაურდა სამთო საქმე და მეტალურგია, ამოქმედდა მსხვილი და შედარებით წვრილი მეტალურგიული ცენტრები, სადაც ლითონის მიღების ყველა პირობა იყო: მადნეულის სიჭარბე, წყალი, საწვავი თიხა და სხვ. ერთ-ერთი წამყვანი კერა სპილენძის მაღნის მოპოვებისა უნდა არსებულიყო ჭოროხის აუზში (Иессен A.A.1985: 44,128).

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ფერადი ლითონის საწარმოო ცენტრებიდან ძირითადად დარიშხანიანი ბრინჯაოს წაწარმი გამოდიოდა (აბესაძე, ბახტაძე, დვალი, ჯაფარიძე, 1988: 59; ალ. რამიშვილი, 1974: 107). კალიანი ბრინჯაო აქ, ჩანს, ძირითადად კოლხური ცულების დასამზადებლად გამოიყენებოდა (ზენითის, ჭოროხის, ერგეს, სახალვაშოს და სხვ. განძები) (აბესაძე, ბახტაძე, 1988: 7-8; ქოიძე, 1965: 124-125). აქ ლითონის იარაღის ისეთი ფორმები ჩამოყალიბდა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა კოლხეთის სამეურნეო სინამდვილეს: კოლხური ცული, თოხი, წალდი, ნამგალი, სეგმენტისებრი იარაღი.

გვიანბრინჯაოს ხანაში სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში მოსახლე ტომების მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე იყო გადატანილი, რაც თავის მხრივ შესაბამისი აღჭურვილობის წარმოების მოცულობის ზრდის სტიმული იყო. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობი უკვე საკმაოდ კარგადაა ათვისებული, რასაც უფრო სრულქმნილი ლითონის იარაღის ინტენსიურად გამოყენებამ შეუწყო ხელი. ლითონის სამეურნეო იარაღი ტყეებზე შეტევის საშუალებას იძლეოდა.

გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კულტურულ ფენებში, ისევე როგორც წინარე საფეხურზე, უხვადაა წარმოდგენილი კერამიკული მასალა. თიხის ჭურჭელი, მართალია გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს უფრო ადრეულ კერამიკასთან, მაგრამ უკვე გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იგი შავად ან მოყავისფროდა გამომწვარი და ხშირად საკმაოდ მდიდრულად შემკული, განსაკუთრებით ჭურჭლის ზედა ნაწილი; გვხვდება სხვადასხვა კომბინაციები ღარებისა, ჭდეების, კოპების, შვერილების, თაღისებრ ამოღარული ხაზები, ტალღოვანი ორნამენტი, კონცენტრული წრეები, სავარცხლისებრ დაკბილული შტამპი და სხვ. უპირატესად წარმოდგენილია ქოთნები, ტოლჩები, ქილები, ბადიები, კოჭობები და სხვ. ჭურჭლის ყურებიდან გამოირჩევა მუხლისებრი შვეული ქიმები, ზოომორფული და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის სადგრები, რომელთა მსგავსი არ გვხვდება კოლხეთის დაბლობის სხვა რეგიონების თანადროულ ნამოსახლარებზე (ი. ჩავლეიშვილი, 1983: 30-32). ეს რქიანი სადგრები კოლხეთის ბარის სამხრეთი რეგიონის ნამოსახლარებზე გვიანბრინჯაოს

ხანის ადრეულ საფეხურზე გამოჩნდა და განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ადრერკინის ხანაში (ი. ჩავლეიშვილი, 1988: 37-40). კოლხეთის დაბლობის ნამო-სახლარებზე გვიანბრინჯაოს ხანაში შედარებით ნაკლებად გვხვდება ქვისა და ძვლის იარაღები.

მიწათმოქმედების გვერდით მესაქონლეობის როლი მეურნეობაში საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ნამოსახლარებზე ნაპოვნი ძვლოვანი მასალების მი-ხედვით მსხვილფეხა საქონელს წამყვანი ადგილი ეკავა. უპირატესად გავრცე-ლებული იყო ტანმორჩილი ჯიშის მსხვილფეხა საქონელი. კარგადაა წარმოდგე-ნილი აგრეთვე შინაური ღორის ნაშთები. მეღორეობას ტყით მდიდარი კოლხე-თის მეურნეობაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა უნდა ქონოდა. ნანადირევს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეში. სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ქონოდა მეფუტკრეობასაც. ნიშანდობლივია რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემონახულია ეთნოგრაფიული მასა-ლა მეფუტკრეობის ძველი ფორმების გასაცნობად (ა. რობაქიძე, 1960: 68). შინა-ური მეფუტკრეობის პროდუქტს ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა აგრეთვე მეტალურგიაში (ცვილს ფართოდ იყენებდნენ ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმე-ლი ყალიბების დასამზადებლად) (Микеладзе, ხახუთაშვილი, 1985: 25).

სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა ხასიათმა, საკვები პროდუქტების შედა-რებითმა სიუხვემ, საზოგადოების ერთი ნაწილის სამეურნეო საქმიანობიდან განთავისუფლების პირობები შექმნა, რამაც ხელოსნობის სხვადასხვა დარგების თანდათანობით დაწინაურებას შეუწყო ხელი. მოსახლეობის ერთი ნაწილი, ჩანს, უფრო ფართოდ ჩაერთო მეტალურგიულ საქმიანობაში, სადაც შრომა ალბათ უკვე დიფერენცირებული იყო - მაღნის მოპოვება, ლითონის მიღება, ნივთების დამზადება და ბოლოს მათი რეალიზაცია. მეორე დარგი, რომელიც აგრეთვე დახელოვნებულ ოსტატობას მოითხოვდა, ხით ხურობა იყო. მერქანს კოლხე-თის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. გარდა სამშენებლო საქმისა, ხეს ფართოდ იყენებდნენ მეჭურჭლეობაში, ნაოსნობაში, მეტალურგიაში და სხვ (ა. რამიშვილი, 1974: 112-113).

წერილობითი ტრადიცია თუ ნივთიერი მასალები ადასტურებს, რომ ად-რერკინის ხანის კოლხეთის ბარი, რომელიც ზღვისპირა აკუმულაციურ ველსაც მიითვლიდა, მეურნეობრივად მაღალგანვითარებული მხარე იყო, სადაც ცალკე-ულ დარგთა შეთანაწყობის საკმაოდ ჰარმონიული სურათი შეინიშნება. მეურნე-ობის საფუძველს მრავალდარგობრივი ინტენსიური სოფლის მეურნეობა შეად-გენდა.

მიწათმოქმედება ადრერკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარში სამეურნეო საქმიანობის წამყვან დარგს წარმოადგენდა. მასობრივი ხდე-ბა ნიადაგის მოხვნითი დამუშავება. სახვნელში გამწევ ძალად ხარი გამოიყენე-

ბოდა, რომლის კულტს ჩვენ აქ უკვე ნამჭედურის ნამოსახლარის უძველეს ფე-ნაშივე ვადასტურებთ (დ. ხახუტაიშვილი, 1995: 50-51).

ძვ.წ. VIII საუკუნეში კოლხეთში რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანა დგება. ამ დროიდან ფართოდ ჩნდება რკინის სამეურნეო იარაღები. თავდაპირ-ველად იგი თითქმის არ იცვლის ფორმას და ბრინჯაოს იარაღის მიბაძვითაა გა-მოჭედილი.

განვითარებული სამინათმოქმედო კულტურა თავის მთლიანობაში გუ-ლისხმობს არა მარტო ნიადაგის დამუშავებისა და თესვისთვის, ნათესის მოვლი-სათვის აუცილებელ აღჭურვილობას, არამედ მოსავლის აღებისა და დაუნჯები-სათვის საჭირო ინვენტარის ქონებასაც. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს სამკალი იარაღები, მათ შორის ე.წ. “კოლხური ნამგალი”. ლითონის ნამ-გლის გავრცელებას ჩვენში ხორბლეულის ახალი ჯიშების გამოჩენას უკავშირე-ბენ. კოლხეთის ზღვისპირეთში ლითონის ნამგლები ჯერჯერობით მხოლოდ ცი-ხისძირისა და ზენითის განძებშია წარმოდგენილი (ო. ჯაფარიძე: 2009: 65-67). ქრონოლოგიურად ისინი სწორედ ადრერკინის ხანის საწყის ეტაპს მიეკუთვნე-ბიან. ბუნებრივია, ნამგალი იქ და მაშინ ჩნდება, სადაც, და როდესაც თავთავია-ნი პურეულის შესაბამისი ჯიშების მასობრივი მოშენება იწყება. ასეთი პერიოდი კი, კოლხეთის ზღვისპირეთში, სწორედ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანა-ში დგება.

მომკილ ხორბლეულს ბუნებრივია გალენვა ესაჭიროებოდა. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოდან ჯერჯერობით ცნობილი არ არის კევრის აღმოჩე-ნის არქეოლოგიური ფაქტი.

მართალია, ჩვენში არც ადრეული ხანის საცეხველები შემორჩა, მაგრამ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ძველად ისინი, როგორც ჩანს, ხის მორებისაგან მზადდებოდა.

მარცვლეული, როგორც ჩანს, საცხოვრებელ სახლში ინახებოდა. აქედან თავთავი სხვენში, ხოლო გალენილი (გაცეხვილი) მარცვალი თიხის ქოთნებში, დერგებში, ქსოვილის ტომრებში ინახებოდა. ნამჭედურის ნამოსახლარის ერთ-ერთი ნახანძრალი ჯარგვალის გათხრებისას გამოვლენილი თიხის ზოგიერთი ჭურჭელი ღომის კარბონირებული მარცვლებით იყო სავსე, ხოლო ნაგებობის ჭერთან ერთად დანახშირებული იყო როგორც ღომის, ისე ხორბლის (სპელტას) თავთავები.

მარცვლეულის დამუშავება, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელსაფქვავებით ხდებოდა, ხოლო მიღებული პროდუქტი ნამცხვრის დასამზა-დებლად გამოიყენებოდა, თუმცა არ არის გამორიცხული რომ ხორბლეული მო-ხარშული კერძების სახითაც მოიხმარებოდა. ნამცხვრის მისაღებად გამოიყენე-ბოდა კერამიკული კეცები (“ტაფები”). მათ შორის ხშირია მრავალგანყოფილე-ბიანი კერამიკული ტაფები, რომლებზეც მიიღებოდა როგორც საოჯახო, ისე სა-

წესო-რიტუალური ნამცხვრები. ასეთი ტაფები დადასტურებული გვაქვს კოლ-ხეთის ზღვისპირეთის წინაანტიკურ ნამოსახლარებზეც (ნამჭედური, ბობოყვა-თი, ციხისძირი და ა.შ.).

შესასწავლი პერიოდის მიწათმოქმედება, ბუნებრივია, მხოლოდ მემინ-დვრეობით არ შემოიფარგლებოდა. აქ წარმოდგენილი იყო მევენახეობა, მება-ლეობა, მებოსტნეობა. სამწუხაროდ, არქეოლოგიური თუ სხვა რიგის მონაცემე-ბი ამ დარგების შესასწავლად თითქმის არ გაგვაჩნია.

აღნიშნულ რეგიონში ადრერკინის ხანაში წარმოდგენილი იყო შინაური ცხოველების ძირითადი სახეები: ხარი, ძროხა, ღორი, ცვარი, თხა და ა.შ. აგ-რეთვე მეცხოველეობასთან დაკავშირებული სადგომები და ინვენტარი (ქალტა, ფარეხი, მწყემსის სალამური, რძის პროდუქტების გადამუშავება-შენახვასთან დაკავშირებული ინვენტარი). ამ მონაცემებს ამტკიცებს მითოლოგიური და წე-რილობითი ცნობებიც (დ. ხახუტაიშვილი, 1995: 61-62).

მაშასადამე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოში, მისი “მთითა და ბა-რით” მესაქონლეობის განვითარებისათვის იმთავითვე საუკეთესო პირობები არსებობდა (ვ. შამილაძე, 1969: 20-22, 39-43). აქ იგი ჰარმონიულად იყო შერ-წყმული ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან.

საკვები რაციონის შევსება ხდებოდა არა მარტო მემინდვრეობისა და მეც-ხოველეობის პროდუქტებით, არამედ ნანადირევითა და თევზეულით.

ადრერკინის ხანა საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული საფე-ხურია. ამ დროს მნიშვნელოვანი რიგი კარდინალური ძვრები ქვეყნის სამეურ-ნეო, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც გამოხატულე-ბას ნახულობს ხელოსნური წარმოების განვითარებაში. სახეზეა ხელოსნობის ისეთი დარგები როგორიცაა მეთუნეობა, ფეიქრობა, ხით ხუროობა, ფერადი ლითონების ჩამოსხმა, რკინა-ფოლადის მიღება, საიუველირო საქმე და ა.შ.

მრავალდარგობრივი მეურნეობა და დაწინაურებული ყოფა სტიმულს აძ-ლევდა სამეთუნეო ტექნოლოგიის, კერამიკული წარმოების ხერხების სრულ-ქმნასა და დახვეწას, ამრავალფეროვნებდა წარმოებული პროდუქციის ასორტი-მენტს. გარდა ამისა, კერამიკული ჭურჭლის ზოგიერთი, იმდროინდელ ყოფას-თან უკეთ შეხამებული ფორმები, უფრო ფართოდ ვრცელდება და ზოგჯერ და-სავლეთ ამიერკავკასიის მთელ ზღვისპირა ზოლსა და მთისწინეთში გვხვდება. გარდა ფართო კანელურებით შემკული ჭურჭლებისა, ადრერკინის ხანაში ფარ-თოდ ვრცელდება ე.წ. ზოომორფული ყურებით შემკული ნაწარმი (ნ. ხახუტაიშ-ვილი, 1987: 51-53).

ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკა გამოირჩევა დეკორის მრავალფე-როვნებით, სადაც ჭარბობს გეომეტრიული სახეები. ამ დროს ზღვისპირა ზო-ლის მეთუნეები არ ანარმოებენ მოხატულ ჭურჭელს (ნ. ხახუტაიშვილი, 1987: 52-53).

დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის შესასწავლი პერიოდის თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, აგრეთვე სამეთუნეო მორგვი, მაგრამ ქართველური მოდგმის განსახლების სხვა რეგიონში, კერძოდ შიდა ქართლში, ამ დროს თიხის ჭურჭელი ფეხის ჩარხზე მზადდებოდა და ჰორიზონტალურ ერთიარუსიან ქურაში გამოიწვოდა.

ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმის მრავალფეროვნება-მრავალსახეობა, თიხის ჭურჭელთა ფუნქციონალური დიფერენცირებულობის აშკარად გამოკვეთილობა, დეკორის ფორმათა სიმრავლე, რაც მისი შესრულების მანერის განსხვავებასაც გულისხმობს, და ზოგიერთი სხვა გარემოება, გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს თიხის ჭურჭლის ძირითადი მასა პროფესიონალი ხელოსნების შრომის პროდუქტია და მეთუნეობაც უკვე ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგადაა წარმოდგენილი. ეს გარემოება სრულებით არ გამორიცხავს თიხის ჭურჭლის “საოჯახო” წარმოებას.

კოლხების მაღალი მიღწევები საფეიქრო საქმეში გვაფიქრებინებს, რომ მას ძირძველი ტრადიციები ასაზრდოებდა.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ამ რეგიონის მოსახლეობა ტრადიციისამებრ ხის მორებისაგან აშენებდა საცხოვრებელ, სამეურნეო და საწესო ნაგებობებს. რაც შეეხება კოლხეთის სინამდვილეში მშენებლობაში ქვის გამოყენებას, როგორც ჩანს, იგი მხოლოდ ელინისტური ხანიდან ვრცელდება, ისიც უფრო შიდა ზონაში.

იმის გამო, რომ შესასწავლ რეგიონში თითქმის არა გვაქვს არქეოლოგიური ნორმების დაცვით გათხრილი ადრერკინის ხანის სამაროვნები, გვიძებული ხელოსნობის მთელი რიგი დარგების შესახებ არგუმენტირებული საუბარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბესაძე ც. ბახტაძე რ. დვალი თ. ჯაფარიძე ო. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958;

აბესაძე ც. ბახტაძე რ. კოლხური კულტურის მეტალურგიის ისტორიისათვის, თბ., 1988;

გოგიტიძე ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1978;

გოგიტიძე ს. მახვილაურის ნამოსახლარზე 1982-1983 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, სდსd, XVII, თბ., 1988;

გოგიტიძე ს. ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან, სდსd, თბ., 1977;

- გოგიტიძე ს.** ქვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე. მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ფორმების ნარმოქმნა, სდსი, თბ., 2007;
- ინაიშვილი ა.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარების და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევის-ძიების შედეგები, სდსძ, III, თბ., 1973;
- კალანდაძე ა.** თეთრი მღვიმე, თბ., 1994;
- მუსხელიშვილი დ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977;
- ნებიერიძე ლ.** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978;
- რამიშვილი ა.** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974;
- რობაქიძე ა.** მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960;
- შამილაძე ვ.** ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969;
- ჩავლეიშვილი ი.** მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, სდსძ, XVII, თბ., 1988;
- ჩავლეიშვილი ი.** კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ- ოჩხამურის ხერთვისში, სდსძ, XIX, 1991;
- ხახუტაიშვილი დ.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები, სდსძ, VII, თბ., 1979
- ხახუტაიშვილი დ.** ქობულეთის “ქვეყანა”, I, ბათუმი, 1995;
- ხახუტაიშვილი ხ.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბ., 1986;
- ჯანელიძე ჭ.** ფასისის ლოკალიზაციის გეოგრეფიული ასპექტი, თბ., 1973;
- ჯაფარიძე ო.** საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1949;
- ჯაფარიძე ო.** დასავლეთ საქართველო ადრებრინჯაოს ხანაში, I, “მაცნე”, თბ., 1982;
- Бадер Н.О.** Мезолит. Каменный век на территории СССР. М., 1970;
- Воеводский М.В.** К изучению гончарной техники первобытно-коммунистического общества на территории лесной зоны европейской части РСФСР, СА, 1, 1936;
- Иессен А.А.** Из истории древней металлургии Кавказа, М., 1935;
- Крайнов Д.А.** Стоянка и могильник Сахтыш УШ.- Кавказ и Восточная Европа в древности, М., 1973;
- Мунчаев Р.М. Мерперт Н.Я.** Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, М., 1981;
- Микеладзе Т. Хахутиашвили Д.** Древнеколхидское поселение Намчедури, Тб., 1985;
- Хахутиашвили Д.А.** Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоценена, «Кавказско-ближневосточный сборник», VII, Тб., 1984;

Nana Khakhutaishvili

ECONOMIC TYPE OF SOUTH-WEST GEORGIA OLD POPULATION IN NEOLITH-EARLY IRON AGE

Summary

North-east Georgia is that region, where by archeological datas, we can see there living people industrial and cultural developments process from early period. The article is reviewed, how progressively is changed farming character, how develops agriculture, cattle breeding and other primeval types of handicraft.

ავაზანი სამცხის ტოპონიმიაში

მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება ისეთი სახელები, რომელთაც მეტი სიახლოვე აქვთ დიალექტთან, ვიდრე სალიტერატურო ქართულთან, რაც განპირობებულია მათი არქაულობით.

ავაზანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით არის „ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი სითხეების სადუღებლად ან გამოსახდელად, — ზარფუში“ (ქ ე გ ლ, 1950 :145). იგივე განმარტებაა დატოვებული პროფ. ა. არაბულის რედაქტორობით გამოცენულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, ოღონდ მოხსნილია ზარფუშის მნიშვნელობა (ქ ე გ ლ, 2008 :227). **ავაზანი** ძველ ქართულში გვხვდება და უძველეს ძეგლებშია დამოწმებული. მისი მნიშვნელობაა: „სიავი“, ქვაბი, აუზი, ემბაზი: „მოაბ ავაზანი სასოებისა ჩემისაძ“; „ავაზანი, რომელი სხუათა რწყავს და რცხის“... (აბულაძე, 1973 :2). სულხან-საბა ორბელიანი ავაზანს განმარტავს შემდეგნაირად: „წყლის სადგომი“. ვარიანტებში კი გვაქვს: „წყლის (წყალთ) საგუბარი“; „გობი პირუტყვის საჭმელი“ (ორბელიანი, 1965 :44). ავაზანს აქვს სინონიმები **ავზი** და **ისარნა** (ისარნები): „წყალთ შთასასხმელია ხვასტაგთ სასმელად და მისთანათა“; „წყლის სადგმელია ხვასტაგთ სასმელად“ (ორბელიანი, 1965 :340). ავაზანში შეიძლება ბანაობა, ამიტომაც **საბანელი** არის „აბანო, გინა ავაზანი, გინა ემბაზი“ (ორბელიანი, 1966 :21).

დიალექტებიდან ავაზანი გვხვდება მესხურში, იმერხეულსა და აჭარულში. მისი მნიშვნელობა არის: „დიდი გეჯა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად“ (ღლონტი, 1984 :24). მოცემული განმარტებები არ აზუსტებს, ავაზანი შეიძლება იყოს ცალკე თუ წყაროსთან აუცილებლად. ამ მხრივ საყურადღებოა არ. მარტიროსოვის განმარტება: „წყაროსთან დადგმული ხისაგან გამოთლილი ან ქვითკირით ამოშენებული ნავი, რომელშიც პირუტყვის სასმელი წყალი გროვდება“ (მარტიროსოვი, 1984 :222). ეს განმარტება შედარებით აზუსტებს ავაზნის მნიშვნელობას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ ქვითკირის ავაზანი შედარებით გვიანდელი მოვლენაა და საბჭოთა პერიოდს განეკუთვნება. ავაზანი კეთდებოდა **ხისგან ან ქვისგან**.

ავაზნის ეტიმოლოგია ეკუთვნის მ. ანდრონიკაშვილს. მისი აზრით „ქართული ავაზან-ი და სომხ. avazan, როგორც ამას გვიჩვენებს ფონეტიკა, მომდინარეობს არა სასანურ-ახალი სპარსულიდან, არამედ ჩრდილო-ირანული დიალექტური წრიდან (ან სოლდურ-პართულიდან ან სკვითურ-ალანურიდან)“ (ანდრონიკაშვილი, 1966 :218). სომხურში ავაზანს აქვს **ტბის, გუბის** მნიშვნელობა. ასე-

ვე **წყალს, გუბეს, დენას, დაგუბებას, წყალსაცავს, სადინარს** უკავშირდება სხვა ენებშიც ამ სიტყვის სემანტიკა (ანდრონიკაშვილი, 1966 :218).

მესხეთში ავაზანს აქვს კონკრეტული დანიშნულება. ის აუცილებლად უნდა იდგეს გამომდინარე წყაროს ნინ, უნდა იყოს გათლილი ხისგან ან ქვისგან. როგორც წესი, ხის ავაზნები დროთა განმავლობაში ლპება, ფუჭდება და კვალიც იშლება. ხშირად ხდება, რომ ასე გამქრალი ავაზნის ადგილას მხოლოდ წყარო დის, აღარ არის ავაზანი, მაგრამ ხალხი მას მაინც ავაზანს უწოდებს. ბოლოს და ბოლოს შრება წყაროც.

სოფ. ტატანისის მიკროტოპონიმიაში მთის და საძოვრის სახელად გვხვდება **ავაზანა**. სიტყვის ბოლოში -ა მატოპონიმებული ფუნქციისაა, ხოლო **ავაზანი** ახლომახლო არსად ჩანს, არ მოედინება არც წყარო. სამცხეში შედარებით ნაკლებად, მაგრამ ვისაც ჯავახეთის ან ჩვენს ფარგლებში მყოფი ერუშეთის სოფლები ან ნასაოფლარები უნახავს, რომელთაც გარს აღჰური საძოვრები აკრავს, გაიხსენებს ხის ან ქვის ავაზნებს. ასეთი ავაზნები სოფელთა შუაგულში სოფლის წყაროების ნინ არის ჩარიგებული, რომ შიგ საქონელმა წყალი დალიოს. სოფლის გარდა, საძოვრებზეც იყო ავაზნები, შუა დღით წყლის სასმელად. ქვის ლამაზი ავაზნები ბოლო დრომდე დგას ხიზაბავრისა და ოკმის ცენტრში. კოლმეურნეობის დროს ლითონის ავაზნებიც გააკეთეს. რეინის მსხვილდიამეტრიან მილებს შუაზე ჭრიდნენ და იქმნებოდა თანამედროვე ავაზნები. ტატანისშიც სწორედ ამ ადგილზე მდგარა ერთ დროს ავაზანი, რომლის ხსოვნაც ტოპონიმი-ამ შემოგვინახა.

ავაზანი ტატანისში კიდევ ერთ კომპოზიტურ სახელში გვხვდება, ეს არის **ოთხავაზნები**. ასე ჰქეითა წყაროსა და მის გარშემო ყანებს. შინაარსი ასე უნდა აიხსნას: რადგან რიცხვითი სახელი ურევია, ოთხი გეჯა ყოფილა. ეს აშკარაა, მაგრამ მაშინ ქართულისთვის უცნაური ფორმა იქმნება. რიცხვითი სახელი დგას მრავლობით რიცხვში. ოთხავაზნებში ეს —ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანი ავაზნების რაოდენობას, მის სიმრავლეს არ ასახავს. სახელის ისტორია ასე უნდა განიმარტოს: თავიდან წყაროსთან იდგა ოთხი ავაზანი, ალბათ ხისა, რადგან ქვისა რომ ყოფილიყო, დღევანდლემდე მოაღწევდა, ამიტომ ოთხი ავაზანი ან **ოთხავაზანი** დაერქვა წყაროს, რომლის სახელიც ყანების ფონზე აღმოჩნდა მთავარი ორიენტირი. მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმია, როდესაც წყაროს სახელი გადავიდა ყანაზე. ოთხავაზანი ეწოდა ყანას, მაგრამ ყანა ერთი არ იყო, ამიტომ ყანების სიმრავლე გამოიხატა -ებ-ის საშუალებით (ბერიძე, 2010 :182).

ავაზნები რადგან კეთდებოდა წყაროს ნინ, მასში ჩამდინარე უნდა ყოფილიყო წყაროს წყალი. შეიქმნა წყაროს ერთგვარი სახეობა, კულტურის ფორმა. ავაზნის წყარო უპირისპირდებოდა, მაგალითად, **სამხობელას**, რომელიც მისგან განსხვავდებოდა როგორც ფუნქციით, ისე ფორმით. სამხობელები მხოლოდ ადამიანის სასმელად გამოიყენებოდა. ის არის რეზერვუარი, რომელშიც იკეტე-

ბა მიღი, გროვდება წყალი და მხოლოდ დილით ადრე იხსნება მოსახლეობისათვის. ავაზნები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავებულიყო რაღაც ნიშნით. პირველ რიგში ასხვავებდნენ ავაზნების რაოდენობის მიხედვით: **ერთავაზნიანი, ორავაზნიანი** და **ა. შ.** ცალკეული სოფელი ამაყობდა თავისი ავაზნებით, რადგან წყაროთა და ავაზანთა სიმრავლე სოფლის ძლიერების მაჩვენებელი იყო. ყოველივე ეს კი აისახებოდა ტოპონიმიაში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ჰიდრონიმია წარმოადგენს.

ასპინძის რაიონის სოფ. ჭობარეთის ინფორმატორები მოგვითხრობენ: ჭობარეთის წყაროები არის ოთხი. სამი ქვისა და ერთი ხისა. ავაზნებიდან ორიღა დარჩა ქვისა (თითო ოთხიანია). ორი დაამტკრიეს, სამშენებლოდ წაიღეს. პირველ ავაზანს **თულუნჯიენთ ავაზანს** ეძახდნენ (თულუნჯიენი ხმალაძეები იყვნენ, რომლებიც თულებს, გუდასტვირს აკეთებდნენ, მერე მჭედლები იყვნენ, მათი გაკეთებულია, ამიტომ ჰქვია თულუნჯიენთი). მათ **თულუნჯიენთ ავაზნებსაც** ეტყვიან, რადგან ოთხი ქვის ავაზანი დგას წინ, სოფლის ბოლოს, ზველის გზაზე, მარცხენა მხარეს. მეორეს ხის **ავაზანი (ავაზნები)** ერქვა, ის მდებარეობს თულუნჯიენთ ავაზნების ზევიდან. ამ წყაროსთან ახლოს დასახლება არ არის. მას საქონლის დასაწყურვებ ლად იყენებენ. სახელი მასალის გამო შეექვა. ხე რომ ლპებოდა, ცვლიდნენ ხოლმე. მესამეს ერქვა **დანგრეული ავაზნები**, სოფლის აღმოსავლეთით იყო უზარმაზარ ლოდებში ამოკვეთილი ოთხი ავაზანი. რადგან წყალი აღარ მოდიოდა, აქედან ამოთხარეს, წაიღეს ქვები მანგალას გაღმა და სახელიც დანგრეული იმიტომ უწოდეს. მეოთხე — **ბალის ავაზნები**. ვერანა ჭობარეთის ბალები იყო, დღეს ახალი დასახლებაა, ავაზნები კი ძველია და სახელი იქიდან მოდის. ბალის ავაზნებს **ბალების ავაზანსაც** ეტყვიან, წყარო გამოდის სოფლის აღმოსავლეთით, ზველის საზღვართან ახლოს. **ვერანა ჭობარეთსა და მანგალას** შორის არის **თომიენთ ბალები** (თომიენი ზედგინიძეები არიან), რომლის ჩრდილოეთით არის ქვის ოთხი ავაზანი, **ბალის ავაზნები**, რომლის წყალიც უკეთესია დებეტით და სასმელადაც შემრგოა. ჭობარეთის ავაზნები გაკეთებული უნდა იყოს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, კომუნისტებამდე, ზოგი, შეიძლება, ბევრად უფრო ადრეც (ბერიძე, 2011:189-190).

სოფელ ზველში რამდენიმე ადგილს ჰქვია ავაზნები: 1. სოფლის ჩრდილოეთით, ორასიოდე მეტრის დაშორებით, **ქარაფის ძირში**, რომელიც დასცექრის

ლობიეთს, გამოდის ხუთი წყარო. თითოეულ წყაროს ცალ-ცალკე ავაზნები აქვს მიდგმული. ერთ წყაროს უდგას ხუთი ავაზანი, ერთს — ოთხი, ერთს — სამი, ორი და ერთსაც — ერთი. ეს წყაროები გვერდი-გვერდ არის და ყველას ერთად ჰქვია **ავაზნები**. წყაროს წინ ყველა ავაზანი ქვისაა. ავაზნები არის მათი საერთო სახელი, მაგრამ ცალ-ცალკეც ასახელებენ, როდესაც გარჩევა უნდათ. ოთხავაზნიან წყაროს **ჰეტრიენთ ავაზნებს** ეძახიან. პეტრიენი დიასამიძე-

ები იყვნენ. სამავაზნიან წყაროს **ანაქალოს ავაზნები** ჰქვია. ანაქალო ზველე-ლიქალბატონი ყოფილა, ფული გადაუხდია, გაუკეთებინებია ავაზნები, რომ მისი სახელი დარჩენილიყო (ბერიძე, 2012:39).

მესხეთში სახელის დატოვება სხვადასხვა ფორმოთ ხდებოდა. ერთ-ერთი სწორედ წყაროს კეთება იყო. მაგალითად, ურავლის ხეობაში არის **ოქრომელიძე სიმონას წყარო**. როგორც ამბობენ, ამ წყაროს გაკეთებაში ოქრო-მელიძე სიმონამ საქონელი გადაიხადა და გააკეთებინა, ამიტომ მას **სიმონას წყაროს** ეძახიან.

ზველის მესამე ერთავაზნიან წყაროს სახელი არა აქვს, მას **ავაზნის წყაროს** ეტყვიანდა ასე გაირჩევა სხვებისაგან. ეს არის ავაზნების ერთი ჯგუფი. 2. არის კიდევ ერთი წყარო, რომელსაც **ავაზნებს** ეძახიან, რადგან წყაროს წინ იქაც ავაზნები დგას. მათ **გლავიენთ წყაროც** ჰქვია. იგი გამოდის ჭობარეთის

მხარეს და როცა იყითხავენ, რომელ ავაზნებზე მიღიხარო, **ჭობარეთის მხარეს ან ჭობარეთის მხარის ავაზნებზე**, — არის პასუხი. ეს ავაზნებიც გა-დასცექერის ღობიერთს. 3. ავაზნები უდგას და მას ყოველგვარი მსაზღვრელის გარეშე **ავაზნებად** მოიხსენიებენ სოფლის ცენტრში მომდინარე წყაროს. ამ წყაროს სათავე აქვს მთაში, საიდანაც რკინის მილებით მოჰყავთ, ამიტომ **თის წყაროს** ეტყვიან მას. ავაზნები წყაროს სინონიმად იქცა. მას დაუკავშირდა მრა-ვალი რიტუალი. სოფლიდან მტკვარი შორს არის, ამიტომ წყალკურთხევის დღე-საწაული ავაზნებზე ტარდებოდა. ასევე ულოცავდნენ წყაროს (ავაზანს) ახალ წელს. ინფორმატორთა ცნობით, “დილით, უთენია, ოჯახის ახალგაზრდა წევრი გადიოდა წყაროზე უბარი წყლის მოსატანად და ახალი წლის მისალოცად. შიგ ყრიდა სახლიდან წალებულ ქერს, ხორბალს ან სიმინდს. თუ წყაროზე მისულს მარცვლეული ჩაყრილი დახვდებოდა, იგი ამოიღებდა წყაროდან მარცვლებს, რაც იყო ჩაყრილი და თავისას ჩაყრიდა. თუ წყაროზე მისულს ხორბალი არ დახ-ვდებოდა, ქვიშა უნდა წამოედო, თავისი მარცვალი კი უნდა ჩაეყარა, წყაროზე მიჰქონდათ ასევე ლობიო ან სიმინდი. ჰყონიდნენ წყაროში და თან ამბობდნენ: “როგორც შენი წყალობა არ დაიღევა, ისე ჩვენც ნუ გამოგვილიოს დოვლათ-ბა-რაქა”. წყაროდან წამოლებულ მარცვლეულს ან ქვიშას ქათმებს უყრიდნენ”. არის სხვა ვარიანტიც: ოჯახის უფროსი მამაკაცი ახალ წელს დილით ადრე ბეღ-ლიდან ამოიღებდა ხორბალს, ვედროში ჩაჰყრიდა, წყაროზე გაიტანდა და იტყო-და: “წყალო და წყლის დედაო, ბრძენმა შემოგითვალაო, როგორც შენ ხარ ულე-ველი, ისე ჩვენი ოჯახი იყოს ულეველიო”.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება ავაზნის ამ მიზნით გამოყე-ნება. ის, რომ ავაზანი ემბაზის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ეტყობა, არ იყო შემთხვევითი და მას სარიტუალო დანიშნულება ქრისტიანობამდეც ჰქონდა. მო-ვიყვან აპოკრიფული ლიტერატურიდან ციტატას, რომელიც დამოწმებული აქვს მ. ანდრონიკაშვილს: „ედგა თორნესა ავაზანი დიდი; და მას ზედა დაკლიან

კაცნი და შთადინ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და აღმოიღებედ მას სისხლი-საგანსა და სუმმედ და მიიხუნედ კაცნი იგი და მომწყდარნი დასხნეს მას ავაზანსა“ (ანდრონიკაშვილი, 1966 :218). ავაზნები იქცევა ხოლმე ერთ-ერთ ცენტრალურ ორიენტირად სოფელთა მიკროტოპონიმიაში, მასთან არის დაკავშირებული მისსავე ვექტორში მოქცეული სხვა ონიმები, რომლებშიც ავაზანს მართული მსაზღვრელის ფუნქცია აკისრია. ასეა, მაგალითად, სოფელ ზელის ტოპონიმიაში: **ავაზნების ყანები; ავაზნითავი, — ყანები. ავაზნითავს ეძახიან **გლავიენთ ავაზნითავსაც.** ყანები არის გლავიენთ ავაზნის თავზე და არა სხვა ავაზნებისა. ავაზნებს ზევით არის **ავაზნითავი**, ყანებთან შედარებით ამაღლებული ადგილია. ავაზნითავებში არის **გლავიენთ ყანა, იორდანიენთ ყანა** და **ქუმელიენთ ყანა.** გლავიენი და იორდანიენი ზედგინიძეებია, ქუმელიენი — ივანიძეები. ავაზნითავს **ავაზნითავებსაც უწოდებენ** და იქ მდებარე ყანები იგულისხმება; **ავაზნის ყანების თავი; ავაზნიყანები; ავაზნის წყარო** და სხვა.**

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო ირანულიდან დილექტსა და სალიტერატურო ენაში შემოსულ ავაზანთან დაკავშირებული ლექსიკა ტოპონიმთა ძველ ფენას მიეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973წ.
2. ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966წ.
3. ბერიძე, 2010 — მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, 2010წ.
4. ბერიძე, 2011 — მ. ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ, 2011წ.
5. ბერიძე, 2012 — მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, 2012წ.
6. მარტიროსოვი, 1984 — ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, 1984წ.
7. ორბელიანი, 1965 — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV 1965 წ.
8. ორბელიანი 1966 — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, 1966 წ.
9. ქ ე გ ლ 1950 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I, 1950წ.
10. ქ ე გ ლ, 2008 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. ავთან-დილ არაბულის რედაქციით, 2008წ.
11. ღლონტი, 1984 — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლონტი, მეორე გამოცემა, 1984წ.

AVAZANI IN SAMTSKHE TOPONYMS

Summary

In Meshkheti toponyms we can be found such names, which are closer to dialects, than to the literal Georgian. One of these name is „Avazani”, which by „Georgian explanatory dictionary” means „impermeable closed potteries for boiling or distillation liquids” – Zarfushi”. In this article is expressed, that from the average Iranian in Georgian dialects and literary language to the incoming Avazani related to vocabulary belongs to the toponyms old layers.

ГОРОДСКАЯ ОБЩИНА АЛЕКСАНДРОПОЛИЯ И ЭСНАФСТВА

Приданого девочкам-сиротам.⁷⁶ Еще в средневековье в крупных армянских ремесленно-торговых центрах (Ани, Двин, Карин, Ван и т.д.) и колониях (Константинополь, Тифлис, Львов, Новая Джуга и др.) в формировавшихся ремесленных братствах – городских цехах основной задачей было урегулирование положения социальной, экономической и бытовой гармонии. Один из крупнейших армянских исследователей XIX века профессор юриспруденции Казанского университета Согомон Егиазарянц (С. Егиазаров)⁷⁷, изучив цеховое строение закавказских, и в частности армянских городов, провел интересные параллели между средневековыми европейскими цехами и последними. По мнению С. Егиазарянца корпоративные строения и́ западного, и́ восточного типа кроме решения задач экономического характера, имели социально-уравновешивающие функции, которые получали свое юридическое оформление утвержденные со стороны высших эшелонов власти «уставами». Егиазарянц по праву рассматривал цеха как первооснову общественно-социального строения городской общины, на котором и возвелись все внутренние и внешние связи. Здесь надо отметить, что во внешних связях (власть - община), упомянутых корпоративных построек есть существенная разница, которая является результатом существования разного рода собственности на землю между Западом и Востоком. Если средневековые известные западно-европейские города были собственностью представителя богатой элиты (крупного феодала), и жители этого города считались подданными сюзерена (исключение составляли «свободные города»), то на Востоке ситуация была иная. Здесь города были собственностью монарха, а жители – поданными государства и считались налогоплательщиками государственной казны. Европейские цеха, исходя из подчинения членов своей общины, нормализовали отношения с феодалом – сюзереном, а восточные амкары находились в тех же юридических взаимоотношениях с царем, то бышь с государством. В случае с армянскими цехами, как позднего средневековья так и начала новой эпохи, имеем дело не с собственными, а с чужими (османскими, персидскими, польскими, русскими и т.д.) властными структурами и взаимоотношениями типа государство – армянская

⁷⁶ Г.Аганян, Городские цехи..., с. 51.

⁷⁷ С. Егиазаров, Исследования по истории учреждений в Закавказье, часть 2, городские цеха. Организация и внутреннее управление закавказских амкарств, Казань, 1891.

община.⁷⁸ Ко всем вышеуказанным функциям в случае с армянскими цехами прибавляется еще одна важная «обязанность» – защита общины и гарантия его нормального существования. Формированный на историческом опыте переселенцев, вышедших из традиционных ремесленно-торговых центров, Александрополь наследовал пришедшие еще со средневековья все цеховые традиции, которые были свойственны Карину, Карсу и Баязету. Отсюда и вытекал тот характер общественных отношений и строений, который был свойственен западноармянской классической городской общине: внутреннее широкое самоуправление, опосредственные связи типа государство-городская община, пережитки традиционных структур самообороны (имеются ввиду сформированные при средневековых общинах полувоенизованные возрастные группы молодых членов городских цехов-«Братства уdalьцов»). Исходя из западноармянских традиций, цеховые братства в Александрополе назывались эснафствами (эснафутюн), а его члены – эснафами. Для сравнения надо отметить, что городские цехи Восточной Армении (Ереван, Нахичеван и др.) назывались амкарствами, а члены цеховых организаций – амкарами.

Все внутренние юридические и другие жизненно важные общественные задачи нормализовались эснафскими Уставами и нормами традиционного обиденного права. Первоначально даже российские власти держались в стороне от внутриобщинных дел населения города (в конце XIX века в связи с муниципальными реформами Российской империи ситуация немного изменилась). Руководящие структуры цехов и их старосты выступали в роли своеобразного буфера между общиной и государственными потесторальными структурами. Эснафство старались «близко не подпускать» властные структуры во внутреннюю жизнь общества и любой ценой отгораживали своих членов от лишних «контактов» с государственными органами. Корпоративные (профессиональные) и общественные интересы ставились выше всего, и эснафская община пробовала решать все внутренние вопросы и возникающие проблемы, исходя из письменных и устных правовых норм общины. Главные мастера (устабаши) и варпетац – варпеты (усталар - устаси) могли наказывать мастеров и подмастерьев за те или иные проступки или решать споры, возникающие среди эснафцев без вмешательства государственных органов. Соблюдение общественного порядка и моральных норм тоже в той или иной мере соприкасались с цехами, которые этим в какой-то мере «облегчали заботы

⁷⁸ Г.Аганян, Городские цеха Александрополя в XIXв. : (амкарский ритуал), Научные труды Центра арменоведческих исследований Ширака НАН РА, вып. XI, Гюмри, 2008, с. 49; его же, Место амкарств в соционормативной культуре армян (на примере Александрополя), Материалы VII научной сессии посвященной историко-культурному наследию Ширака, Гюмри, 2007, с.139 (на арм. яз.).

государственных органов»⁷⁹. Так, в конце XIX и начале XX веков в довольно большом для тех времен 30-тысячном Александрополе служили и соблюдали общественный порядок чуть больше одного десятка жандармов и полицейских.

Александровольские эснафства осуществляли функции совместного хозяйствования (приобретение по оптовым ценам сырья, совместное урегулирование политики цен и т.д.), взаимопомощи и другие действия в пользу городской общины. Каждый эснаф должен был заботиться о своем соработнике «брате - ремесленнике», если тот по стечению обстоятельств оказывался в тяжелой ситуации (мастеру могли предоставить сырье, денежную помощь, заказ и т.д., и было абсолютно необязательно, чтобы выявлялось имя благодетеля). Задачей эснафов было также ставить на «истинный путь» отклонившегося от моральных и традиционных норм мастера. Если какой-либо эснаф злоупотреблял спиртным, уличался в семейной измене, допускал излишнее превышение в тратах своих доходов, скандалил или натравливал людей друг на друга, то товарищи сначала упрекали его, давали ему братские советы. И если это тоже не помогало, то они обращались к самой строгой мере: эснафа лишали права считаться мастером (делали «йол суз»). Пристав отраслевого эснафства (игитбashi), исполняя указания цехового собрания или уstabashi, в присутствии общины снимал фартук с «йол суз» мастера и вешал на двери ларька. Жизнь этого мастера в городе превращалась после этого в сущий ад, и он мог даже уйти из общины.

До конца XIX и начала XX веков во всех предприятиях, имевших для города важное жизненное и духовно-культурное значение, главными действующими лицами так и основными исполнителями являлись эснафства и эснафы. Это и' строительство церквей и общественных строений, где все эснафы без исключения работали бесплатно, и' участие в строительных работах, что считалось своего рода жертвоприношением (во многих странах со старыми городскими традициями эти работы были тоже одной из форм общественного бытия. Например, у древних греков они были известны как «литургия», что на армянском языке означает «патараг», то есть жертвоприношение).

Соционормативные функции цехов особенно четко выделялись внутри городской общины на уровне возрастных и половых отношений. Согласно цеховому Уставу полноправными членами этой организации являлись мужчины – мастера и подмастерья, но в действительности на уровне привычного права туда входили также их жены и дети. В ремесленных семьях разделение труда имел жесткий характер, где была отделена производственная сфера от домашней-воспроизводственной. Обучение ремеслу и труд в цеховых организациях был доступен только мужчинам, женщины

⁷⁹ Г.Аганян, Городские цехи..., с. 50.

туда не допускались, и их роль ограничивалась семейной сферой. Это сопровождался формированием раздельных сфер труда для мужчин и женщин, а также дифференциацией специализации мальчиков и девочек. Труд мужчин вне дома становиться основным источником средств существования для семьи, а женщина остается замкнутой в домашние рамки. Но вместе с этим приписываемые женщинам или чисто женские ремесла как полноправные элементы не входили в цеховые организации и их взаимосвязь осуществлялась посредственно.⁸⁰

Надо отметить, что в соционормативной культуре города особое место отводилось супруге мастера. Вдова мастера, имевшая несовершеннолетних детей, имела полное право распоряжаться мастерской или ларьком мужа (продавать, сдавать в аренду и т.д.), заранее получив согласие главного мастера данной отрасли. Дети усопшего мастера окружались особой заботой и отраслевые цеха за счет своей казны заботились об образовании сирот и их судьбе. Из цеховой казны отводились средства для приготовления

В начале XX века в Александрополе средствами цехов были построены и содержались учебные заведения для двух полов, где юноши и девушки вместе с неполным средним образованием совершенствовались в ремеслах. Следует отметить, что в этих учебных заведениях преобладающая часть учащихся были дети из малоимущих семей. В этом случае тоже цеха полностью осуществляли свои соционормативные функции. Средствами эснафства Александрополя на протяжении 1860 – 1896 гг. в городе действовал «ахкатаноц» (богадельня), который перешел в дальнейшем под опеку городской Думы.

В конце XIX и начале XX веков в итоге общероссийских либеральных реформ соционормативные и регулирующие функции цехов значительно сократились. Но большое число корпоративных традиций продолжало бытовать вплоть до утверждения советской власти. Благодаря «усилиям» новых властей александропольские цеховые традиции и традиционные средства управления общиной в начале 30-х годов XX века почти полностью были искоренены.

⁸⁰ К.Базеян, Женские ремесла среди армян XIXв. и их взаимосвязи с цеховыми организациями, Научные труды Центра арменоведческих исследований Ширака НАН РА, вып. IV, Гюмри, 2001, с. 145(на арм. яз)..

ОБРЯДНОСТЬ ДЕТСКОГО ЦИКЛА У ГРУЗИН АДЖАРИИ

Предлагаемая статья касается небольшой части обрядности детского цикла и основана на полевых материалах, собранных в 1983 г. в горной Аджарии, в Хулойском (села Ганахлеба, Дзирквадзееби, Диаконидзееби, Кедлеби, Окруашвилеби, Раквта), Шуахевском (с. Фуртио) и Кедском (с. Вайо) районах Аджарской АССР. В этих районах в силу их относительной отдаленности и изолированности долго сохранялись в быту или же в памяти старшего поколения многие элементы интересующего нас традиционного цикла обрядов.

В дореволюционный период и в первые годы советской власти женщины рожали обычно в жилом доме, откуда мужчины на это время уходили. Роженице (мелогине) помогали повитуха (груз. *бебиа-кали*, тур. *эбе*) и несколько женщин из ее семьи. Обычно в каждом селе была одна или несколько повитух, которые славились своим мастерством. Женщина рожала, стоя на коленях. Если повитуха определяла, что ребенок лежит неправильно и это может затруднить роды, она укладывала роженицу и делала ей массаж, исправляя положение младенца. В случае трудных родов прибегали также к различным магическим приемам. Так, приглашали женщину, которой довелось когда-либо разнять змею и лягушку: чтобы ускорить рождение ребенка, она должна была погладить роженицу по животу; иногда поясом, взятым у этой женщины, опоясывали роженицу. Полагали, что после этого мать и ребенок должны были легко разъединиться.

После появления новорожденного на свет к пуповине привязывали кусок кожи (например, шнур от кожаной обуви), чтобы послед «не пошел вверх и не задушил бы роженицу». Одновременно пуповину перевязывали у основания и перерезали.

Чтобы послед (груз. *момколи*, *буде*) быстрее вышел, роженице давали пить шербет (сладкую воду), делали массаж, клали на живот холодные компрессы. Если послед не выходил в течение нескольких дней, повитуха вынимала его рукой. С последом было связано выполнение ряда магических действий. Повитуха тщательно мыла послед с мылом (по словам информантов, так же, как моют покойника), чтобы на нем не осталось крови, заворачивала в ткань и зарывала в землю на восточной стороне дома или около молодого дерева. Считалось, что от этого ребенок также будет хорошо расти — *момавали икнеба*.

Пуповину ребенка (*чипи*) мать впоследствии относила в мечеть (*джаме*), в школу или хранила дома в книге — верили, что это поможет ребенку впоследствии хорошо учиться, стать «ученым».

Ребенок, родившийся в «рубашке» (груз. *карчхи, бедниери перанги*), считался счастливым; рубашку хранили, так как существовало поверье, что тому, кто имеет частичку подобной рубашки, во всем будет сопутствовать удача.

Запеленав ребенка, повитуха клала его в постель к матери. Если женщина не хотела вскоре после этого забеременеть, ребенка клали ей в ноги. Существовало и другое иррациональное средство предотвратить нежелательную беременность: когда выходил послед, повитуха прикасалась к нему столькими пальцами, сколько лет женщина не хотела рожать.

По обычаю, как только повитуха перерезала пуповину, она сразу же должна была дать имя реоненку; говорили, что это «благодать» — *мадли*. Повитуха по совету родственников или по собственному выбору давала новорожденному одно из мусульманских имен (Осман, Омер, Мэвлюд, Турсун, Исмеил, Мемед и др.). С 1930-х годов, когда влияние ислама ослабело, регистрируя ребенка в сельсовете, ему обычно давали, как отмечали информанты, грузинское имя, т. е. имя из общегрузинского антропонимического фонда (Гурам, Автандил и др.). Таким образом, дома ребенка нередко называли именем, которое давала ему повитуха, а в школе — вторым, «официальным» именем.

Существовал обычай перемены имени. Если маленький ребенок был очень слаб (*данграли*), долго болел, то по совету муллы могли изменить ему имя, так как считалось, что первое имя «не подошло», ребенок «с этим именем не пошел вперед» (*ам сахелзе ар цамовида ции*).

После рождения ребенка свекровь или другая старшая женщина из семьи варила ритуальную кашу (*nana, хавици*) из пшеничной или кукурузной муки на воде или молоке, добавляя туда сливочное масло и сахар. Эту кашу называли также «кашой роженицы» — *миобиаре калис nana*. В первую очередь ею угощали роженицу, повитуху и остальных женщин, помогавших при родах. В последующие дни кашей угощали всех домашних (и женщин и мужчин), а также всех тех, кто приходил поздравить семью с рождением ребенка, в том числе и родственниц роженицы, которые приносили колыбель для ее первенца. По народным представлениям, ритуальная каша оказывала положительное влияние на будущую жизнь ребенка, поэтому всех, кто приходил с поздравлениями, обязательно надо было угостить этой кашей, чтобы ребенок «был спокойным», «не был чересчур шустрым, резвым», не остался «без удачи», «без доли» (*укисмето, убедо*), был счастливым (*бедиани икос*).

Обычно повитуха купала ребенка сразу после рождения или на следующий день. Чтобы при этом вода не попала ребенку в ранку пуповины, она клала его животом себе на ладонь и сверху поливала водой. На следующий день после родов эбе купала также роженицу, добавляя при этом в воду разные травы.

Повитуха ухаживала за роженицей и новорожденным первые три дня после родов. Затем она в течение семи — десяти дней навещала их, обычно до тех пор, пока роженица находилась в постели. Если в семье не было других женщин, повитуха помогала готовить обед, ухаживала за ребенком. За работу ей дарили в зависимости от состоятельности семьи что-нибудь из одежды (платье или отрез на платье, чулки), деньги и обязательно мыло, чтобы та могла «очиститься» после родов и ухода за роженицей. В случае рождения мальчика родственники на радостях одаривали ее более щедро.

К родственникам с известием о рождении ребенка посыпали «благовестника» (*махаробели*), которого одаривали за радостную весть какой-нибудь вещью (носками, платком и т. п.) или деньгами. Если рождался «желанный сын» (*нанатри швили, ушвилло швили*) у супругов, долго не имевших детей или не имевших сына, махаробели могли подарить даже коня.

С особой радостью встречали рождение мальчика, отмечая это событие ружейной стрельбой. Дед со сторон отца дарил ребенку деньги; счастливый отец резал барана и приглашал на угощение по случаю рождения сына (*бичиаоба*) мальчик родственников и соседей. Девочки радовались лишь в том случае, когда у супругов уже было несколько сыновей. Если у супругов рождались только девочки, что считалось большим несчастьем для семьи, муж, чтобы не остаться без наследника, мог привести вторую жену.

С поздравлениями по случаю рождения ребенка приходили в основном самые близкие женщины-родственницы, приносившие подарки для новорожденного и роженицы — обычно что-нибудь из одежды, сладости, деньги. Прежде чем войти в помещение к роженице, подходили к горящему камину или обводили вокруг себя горящей спичкой, зажженной свечой — чтобы «не принести с собой испуг» (*шиши ар моквеба*). Ребенка показывали только в том случае, если он не спал, так как считалось, что спящего ребенка легче сглазить. Для защиты от сглаза лоб ребенка мазали сажей.

Роженицу старались всячески оберегать от действия «нечистых сил», сглаза и т. п. Особенно опасным для рожениц считался злой дух Али (букв. «пламя»)⁵. Верили, что «нападение Али» (*алис дацема*) может произойти, если роженицу оставить одну в первые дни после родов и ей в одиночестве померещится что-нибудь устрашающее, чего она испугается — пригрезится огонь (*али, цецхи моэландеба*), незнакомые люди, почудится, что ее кто-то ударил, и т. д. По народным представлениям, причина этих явлений — Али. В этом случае, чтобы излечить роженицу «от испуга», приводили лошадь определенной масти (*алати үхени*), женщина должна была покормить ее из подола сеном или кукурузой. Считалось, что если женщина выздоравливалась от испуга, лошадь якобы должна была умереть, — как говорили, «*кали морчеба, үхени*

моквдеба». По свидетельству Г. Ф. Чурсина, под подушку роженицы для защиты от Али клали кинжал⁶.

В постели роженица находилась от трех до восьми дней — в зависимости от состояния здоровья и ситуации в семье. Встав, женщина сразу же приступала к домашним делам, освобождали ее только от тяжелых физических работ. Период сорокадневия после родов (*ормоци*) характеризовался соблюдением ряда запретов. Так, до истечения 40 дней между мужем и женой запрещались супружеские отношения: считалось, что нарушение этого запрета равносильно кровосмесению. В период ормоци женщина не следовала выходить на улицу, ходить за водой. Из дома она могла выйти только днем, когда было уже тепло, чтобы не простудиться. Как отмечали информанты, до 40 дней хорошая свекровь не выпускала невестку из дома, так как, по народным представлениям, в это время женщина легче поддавалась сглазу. Существовало также убеждение, что, если в период сорокадневия роженица зайдет в чужой дом, там появится множество мышей и крыс.

В период ормоци ряд особых правил и запретов соблюдали также при уходе за новорожденным. Так, ребенка не выносили из дома, не оставляли одного, чтобы его «не ударили ужмури» (*ужмури* — букв. неурочный, безвременный, т. е. злой дух). Если все же приходилось оставлять ребенка одного, для защиты от ужмури около колыбели ставили веник, палку, клали спички, ножницы. До 40 дней не расчесывали волос ребенка — чтобы у него зубы не были редкими; нельзя было допускать, чтобы ребенок увидел себя в зеркале — «лицо будет маленькое», «глаза будут косыми» (*элами гахдеба*). До 40 дней ребенку не обрезали ногти, так как верили, что это делают ангелы — *мелейкеби*. Когда младенец улыбался, полагали, что он видит этих ангелов и им улыбается. Существовало также представление, что все, к чему приучался ребенок за первые 40 дней жизни, становилось его привычкой, поэтому мать старалась редко качать колыбель, чтобы впоследствии ребенок не требовал этого и не мешал ей заниматься хозяйством. Таким образом, по народным представлениям, признавалось необходимым начинать воспитание ребенка с первых дней его жизни.

Завершение сорокадневия отмечали ритуальным омовением матери и ребенка. Для этого собирали 40 небольших камней, над каждым из них читали по-арабски молитву. Это делал кто-нибудь из женщин семьи, сама роженица не могла читать молитву, так как до завершения ормоци она еще считалась «нечистой». Камни заворачивали в чистый платок, опускали в воду и купали в ней роженицу, ребенка, а затем стирали в этой воде постель, на которой женщина спала эти 40 дней, и пеленки ребенка. Роженица, у которой завершилось сорокадневие, говорила: «Я вошла в ормоци — и вышла из ормоци» (груз. *ормоции шеведи* — *ормоцидан гамоведи*, тур. *кирха гирдум* — *кирхадан чихдум*). После 40 дней тюфяк и простыни в колыбели

переворачивали — верили, что если до этого ребенок был беспокойным и плаксивым, то теперь характер его должен измениться к лучшему.

После 40 дней ребенка впервые выносили из дома: это делал кто-либо из членов семьи, нередко предпочтение отдавали мальчику-подростку (*бичи багана*). Родители новорожденного в силу бытовавших обычаяев избегания не могли выполнять этот обряд, так как им не следовало брать ребенка на руки в присутствии родителей и старших родственников. Ребенка обносили вокруг дома, вносили в хлев — считалось, что это поможет ему стать крепким, здоровым (*магари*), не подверженным сглазу, он быстро начнет ходить и ничто дурное не повредит ему (*арапери ар цээребао*).

Большое значение придавали первой стрижке волос ребенка. Ее устраивали после завершения сорокадневия: полагалось «не оставлять волос сорокадневия» (*ар шеетевен ормоцис тмас*) на голове ребенка, иначе он якобы мог стать *мэтвала, твалцемаре*, т.е. человеком, у которого «дурной глаз», который может «сглазить», принести вред окружающим своим взглядом. Первую стрижку ребенка предпочитали устраивать в четверг, при полной луне. Сначала немного волос состригали ножницами, как говорили, чтобы «выстричь слова» (*ром ситквеби гакначос*), т.е. чтобы впоследствии ребенок хорошо говорил; оставшиеся волосы сбивали. Стричь ребенка могли мать, отец, другие родственники или же мальчик-подросток, но только если у них были живы родители. И для мальчиков и для девочек стрижку устраивали одинаково. Первые волосы ни в коем случае не выбрасывали: их хранили в доме, зарывали в землю около молодого дерева или же, завернув в бумагу, чтобы их не растащили птицы, привязывали на ветку дерева.

Колыбель (*аквани*) для первенца со всем полагающимся убранством (*аквнис цкобилоба*), по обычаю, должна была принести мать роженицы. Этот день назывался *аквнис мотана* или *аквнис митана* — «доставка колыбели». Колыбель приносили (в зависимости от экономических возможностей семьи) во время ормоци или сразу после завершения этого периода. Вместе с родителями роженицы приходили ее ближайшие родственники (родные и двоюродные братья и сестры, брат матери и др.), причем среди гостей преобладали женщины. Родственники дарили новорожденному подарки — *багнис сачуквари*; деньги, материю, одежду; иногда приносили и посуду: кувшин (*гугуми*), котел (*кардали*) и др. Мать роженицы первенцу своей дочери иногда вместе с колыбелью дарила и корову. Тому из мужчин, кто нес аквани, свекровь молодой женщины давала немного денег. Угощение для мужчин и женщин устраивали в разных помещениях. Как уже отмечалось, гостей в этот день обязательно угощали ритуальной кашей.

Впервые ребенка укладывали в колыбель на восходе солнца, в период полнолуния (*савсе тваре*), когда луне было 10—12 дней, в любой из дней недели, кроме среды и субботы. По народным представлениям, ребенок, уложенный в аквани

в воскресенье (*квира*), вырастет «чудесным», «удивительным» (*саквирвели*); понедельник (*оршабати*) выбирали для этой цели потому, что ребенок тоже ведь существо «о двух ногах» (*орпехи*). Народное объяснение выбора этих дней, основанное на созвучии слов, несомненно, позднее явление. Как известно, в дохристианский период у грузин дни недели были посвящены отдельным божествам языческого пантеона: воскресенье считалось днем Солнца, понедельник — днем Луны⁷ и т. д. Как отзыв о этого до XIX в. в быту грузин сохранялась традиция выполнения некоторых обрядовых действий в определенные дни недели.

Ребенка укладывали в колыбель через 8—10 дней после рождения. Если к этому дню не успевали принести колыбель, то новорожденного в присутствии домашних и соседок, для которых устраивалось скромное угощение, клади в старую колыбель, имевшуюся в семье или взятую у соседей; позднее его перекладывали в аквани, принесенное родителями роженицы.

Первое укладывание в колыбель поручали обязательно «счастливому» человеку (*бедиани адамиани*) — повитухе или кому-либо из родственниц. Нередко эту роль исполняли юноша или девушка — первенцы. Укладывание в колыбель сопровождалось произнесением благословения («*Бисмилла!*»).

Появление у ребенка первого зуба также обычно отмечалось особым обрядом. Тому, кто первый увидел появившийся зуб, мать что-нибудь дарила (платок, рубашку, печенье). В этот день домашних угостили рисовой кашей с маслом и сахаром или жесыпали сухой рис на голову ребенка — «чтобы зубы у него были белые, не болели, легко прорезались».

Большинство рассмотренных обрядов детского цикла, как показывают полевые материалы, были насыщены разнообразными магическими действиями, исполнение которых должно было, по народным представлениям, способствовать благополучному развитию ребенка.

У грузин Аджарии важным событием в жизни семьи считалось выполнение обряда обрезания — *дасунатва, сунет* (от тур. *sunnet*). Обрезание разрешалось делать через один-два месяца после рождения, но обычно его устраивали, когда ребенку было от двух до семи—десяти лет; после 10 лет считалось, что мальчик уже становится мужчиной. Считалось также, что в раннем возрасте рана у мальчика заживет быстрее. Тем не менее бывали случаи, что обрезание откладывали до 12—15 лет. Но народным представлениям, обрезание лучше было устраивать, когда ребенку было нечетное число лет и, как правило, зимой, так как в холодное время рана заживет быстрее.

Одним из главных участников этого обряда был *кирва* (от тур. *kirve*) — человек, который должен был держать ребенка; по отношению к нему употреблялись также собственно грузинские термины — *натлиа* (крестный) и *мамобили* (названный отец). Кирву выбирала семья ребенка по своему желанию, обычно старались пригласить на

этую роль какого-нибудь «уважаемого» человека. Поскольку это было одним из видов установления искусственного родства, выбору кирвы придавали большое значение; было особенно почетным для семьи, если в этой роли выступал кто-то из местных дворян. Так, у одного из наших информантов, Демурали Османовича Сурманидзе (Сунаноглы), 1897 г. рожд., жителя с. Диаконидзееби, кирвой был местный дворянин Джемал-бек. Кирвой мог быть и родственник, но предпочитали взять на эту роль чужого человека, чтобы «расширить родство».

Существовало несколько терминов, обозначавших день совершения обрезания, — *кирвоба*, *кирвианоба*; грузинские по происхождению термины — *натлоба*, *монатвла*. Если это событие широко отмечали и было много приглашенных, его называли *сунет дугуни* или *сунет корцили*. Число гостей зависело от состоятельности семьи; в бедных семьях в этот день приглашали обычно только самых близких родственников (дядю, двоюродного брата и др.) и соседей. Основную часть гостей составляли мужчины; женщины находились на женской половине, отдельно от мужчин.

Обряд производил специальный человек, который имелся обычно в каждом селе — *сунечи* (от тур. *sunnetci* — совершающий обрезание). Ребенка в рубашке усаживали на колени к кирве, тот отвлекал его разговорами, ласкал, давал конфеты и сладости, чтобы мальчик «не чувствовал горечи», не плакал. В это время сунечи делал ребенку массаж и производил обрезание. Обрезанную часть впоследствии зарывали в землю «на чистом месте», там, где никто не ходил. Рану посыпали специальным порошком из желудей и листьев инжира, а затем укладывали мальчика в постель.

Кроме сладостей, кирва обычно приносил ребенку в подарок верхнюю и нижнюю одежду, деньги; он же платил сунечи за работу. Родители ребенка также одаривали кирву — дарили сладости, курицу, носовой платок, вязаные носки и др.

После совершения обряда гости веселились, уговаривались; из напитков в этот день обязательным считался шербет. На стол подавали также поднос (*гоби*) с грецкими орехами и яблоками, куда все собравшиеся бросали деньги в подарок ребенку; гоби ставили затем у изголовья мальчика. После того как ребенок поднимался с постели, его родители в ближайший праздничный день приносили кирве подарок (обычно что-нибудь из одежды). В этот день кирва приглашал также своих родственников и устраивал угощение в честь гостей. Семья могла приглашать для всех сыновей одного и того же кирву, но обычно этого не делали, чтобы круг родственников был шире. Родство с семьей кирвы признавалось в народе очень близким; между представителями этих семей не разрешались браки. С этим видом родства было связано много специальных терминов. Так, кирва звал ребенка «крестником» (*натлули*), «названным сыном» (*ишвилобили*), ребенок звал его «кирва» или «названным

отцом» (*мамобили*), жену кирвы — «названой матерью» (*дедобили*). Дети кирвы и «крестник» считались названными братьями и сестрами (*дзмобилеби, да-дзмобилеби*).

На свадьбу крестника кирва должен был привести в подарок барана; если женился кирва, ему, в свою очередь, тоже дарили барана или буйвола. Кирва наряду с ближайшими родственниками должен был мстить за крестника в случае его убийства.

Как свидетельствуют полевые материалы, обрядность детского цикла грузин Аджарии в главных чертах имела много общего с этой частью традиционно-бытовой культуры других регионов Грузии. Вместе с тем в ней прослеживается и локальная специфика, характерная для Аджарии как одной из историко-этнографических областей. В определенной мере эта специфика была обусловлена конфессиональной принадлежностью грузин Аджарии. Распространенность в Аджарии турецкого языка определила своеобразие терминологии, используемой в рассматриваемых обрядах. В ряде случаев отмечается параллельное употребление турецких и грузинских терминов, что особенно ярко прослеживается в обряде кирвоба.

ლიუბოვ სოლოვიოვა

საგავავო ციკლის ნეს-ჩვეულებები აჭარის მოსახლეობაში

რეზიუმე

სტატიაში მაღალმთიანი აჭარის, საკუთროვ ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების საველე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე განხილულია საპავმვო ციკლის ნეს-ჩვეულებების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ხალხური დღესასწაული – ქუშინარობა

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი ხალხური დღესასწაულია დაფიქ-
სირებული. მათი ძირითადი ნაწილი ბუნების ძალთა აღორძინებასა და აგრალური
კულტმსახურებისადმი იყო მიძღვნილი. რიტუალებში მკაფიოდ იკვეთებოდა განა-
ყოფიერების, მოსავლისა და საქონლის გამრავლების ტრადიციები. მიუხედავად
იმისა, რომ დროთა განმავლობაში დაირღვა პირობითად შემუშავებული კანონზო-
მიერება, მსგავსს დღესასწაულებში შემცირებული ეპიზოდები დროდადრო ივსე-
ბოდა ახალ-ახალი დამატებითი სცენებითა თუ თემებით, რომელთა ახლებურად
გადაწყობას დროის ცვალებადობა მოითხოვდა. ასე შეიქმნა ცნობილ თუ ნაკლებად
ცნობილ ხალხურ დღესასწაულთა ცალკეული ვარიანტები.

ამჯერად ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ ხალხურ დღესასწაულზე – „ქუშინა-
რობაზე“ შევჩერდებით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მრავალმხრივ იპ-
ყრობს. მაგ: ტარდებოდა მთიანი აჭარის მხოლოდ ერთ სოფელში, მანყვალთაში.
საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ დღესასწაულში მამაკაცთა მონაწილეობა არ
შეიძლებოდა. ამდენად ქუშინარობა ქალთა დღეობების რიგს მიეკუთვნება.

ქუშინარობის დღესასწაული რამდენიმე დღით წინ უსწრებდა შუამთობის
დღესასწაულს. ადგილს, სადაც თავს იყრიდა სოფლიდან წასული ხალხი „კორტო-
ხი“ ერქვა. იგი მანყვალთიდან დაახლ. 8-10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობ-
და. ადგილობრივთა გადმოცემით „კორტოხი“ მინდორ, ანუ დავაკებულ ადგილს
ერქვა, საიდანაც კარგად მოჩანდა მთების: ჩირუხის, სანალიას, დღვანის, ქიძინიძე-
ების მთის და მარეთის სოფლების დიდი ნაწილი. იმ ადგილზე, სადაც ხალხი თავს
იყრიდა მიწა დღესაც გატკეპნილია და ბალახი არ ამოდის...“

დღესასწაულის ჩატარების ადგილი, ანუ „კორტოხი“ ყიშლებს ეკუთვნოდა,
ხოლო მის მიმდებარე ტერიტორიას სულ ქუშინარი ერქვა. ეს ადგილი მთასთან,
ანუ ეილებთან უფრო ახლო იყო, ვიდრე თვით სოფელთან.

დღესასწაულს ხელმძღვანელობდა ე.წ. „მეწინავე“ (ნ. ჩელებაძე, 2005, 115)
ანუ მეთაური, ორგანიზატორი ქალები (ი. ზოიძე, 2008, 175). ისინი წინასწარ პატი-
შებდნენ დღეობაში ნათესავ-მოყვარეებს მეზობელი სოფლებიდან (ოლადაური,
ჯუმუშაური, კარაპეტი, მახალაკიძები და სხვ.), რომლებიც დათქმულ დღეს დი-
ლით ადრე იკრიბებოდნენ სოფლის თავში, რომელსაც გასაყარი ჰქვია, საიდანაც
ერთად შეუყვებოდნენ დანიშნულების ადგილისაკენ მიმავალ აღმართს.

დღესასწაული დაახლოებით 12 საათიდან იწყებოდა და 5 საათამდე გრძელ-
დებოდა. ზეიმის მონაწილეთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერდნენ ჩონგურ-
ზე, ფანდურზე, აკორდეონზე დამკვრელები. ქუშინარობის დღესასწაულის დამ-
სწრე მთელ საზოგადოებას მასპინძლობას უწევდა მანყვალთის მთის მემთეურები.

მათ ეილებიდან მოჰქონდათ ყველი, ნაღები, მაწონი, გევრეგი, ხავიწი და რძის პრო-დუქტებისაგან დამზადებული სხვა საკვები. პურობის შემდეგ ახალი ძალით გრძელდებოდა მელექსეობა, სიმღერა და ცეკვა-თამაში. ქუშინარობის დღესასწაულზე ქალების მიერ სრულდებოდა ხალხური ცეკვები: „განდაგანა“, „ხორუმი“, „ყოლსამა“ და ა.შ. მაწყვალთაში ხანდაზმულ თაობას დღესაც ახსოვს მათი სოფლის მკვიდრის, ქალბატონ ალთუნ მაკარაძე-ნაკაიძის ცეკვა „ჩაკუნა“, რომელსაც მოცეკვავე საკრავი ინსტრუმენტების გარეშე, სიმღერით, მაყურებელთა ტაშის თანხლებით ასრულებდა.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მეგარმონე-მოცეკვავე ქალები: აიშე, ნადიმე (დედა-შვილი) და ემინე ზოიძეები. ისინი თან უკრავდნენ საკრავს და თან ასრულებდნენ სხვადასხვა ხალხურ ცეკვებს, რომელთა ნაწილიც დავიწყებას მიეცა.

ქალთა დღეობა მზის ჩასვლამდე 2 საათით ადრე მთავრდებოდა, ზეიმის მონაწილეები ემშვიდობებოდნენ მემთეურებს და სიმღერა „ორირამას“ ომახიანი ჰანგებით ბარის მიმართულებით ეშვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ „ორირამას“ მომღერალთა ორი ან სამი გუნდი იქმნებოდა, ერთი გუნდის მიერ დაწყებულ სიმღერას აგრძელებდა მეორე, შემდეგ ისევ პირველი, შემდეგ მესამე და ა.შ. ასე სიმღერ-სიმღერით ისინი მიდიოდნენ ყიშლიდარემდე, საიდანაც კარგად მოსჩანს სოფელი მაწყვალთა. ყიშლიდარეზე უკანასკნელად იმართებოდა ხანმოკლე დროით ცეკვა-თამაში, ზეიმის მონსწილეები სიმღერა „ორირამათი“ აქედან ამცნობდნენ თანასოფლელებს ქუშინარობის დღესასწაულის დასრულებას.

ქუშინარობა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ აღარც ჩატარებულა.

ამდენად ამ მივიწყებული ქალთა დღეობის ჩვენამდე შემორჩენილი დეტალების მოკლე ექსკურსი ნათლად მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს წარმართული დროიდან მომდინარე დღესასწაულთან. თუმცა ხელჩასაჭიდი ბევრი არაფერია. ჩვენამდე მოლწეულ დღესასწაულთან დაკავშირებით ველზე მოპოვებული მასალები მეტად მწირია. ოველ შემთხვევაში იმისთვის მაინც, რომ ასე ხელაღებით ვუწოდოთ ქუშინარობას წარმართული პერიოდიდან მომდინარე. ცნობილია, რომ ზოგადად სახალხო დღესასწაული ან რომელიმე რელიგიური რიტუალი დროის მსვლელობასთან ერთად გამარტივებისკენ ამჟღავნებს მიდრეკილებას. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მისი მასშტაბები და აღმოცენების პირველწყარო გაცილებით ღრმა დატვირთვის მატარებელი იყო და რომელიმე ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალსაც ითავსებდა. ამის თქმის საფუძველს მრავალი გარემოება გვაძლევს. მაგალითად: ქუშინარობის დღესასწაულის არსის კვლევისას შეუძლებელია შუამთობის დღესასწაულს ავუაროთ გვერდი. მეტიც, ვფიქრობთ შუამთობა და ქუშინარობა საერთო ძირიდან მომდინარეობს. შუამთობა ანუ მემხლიანობა წინათ ქალთა დღესასწაული ყოფილა. ზოტელი იუსუფ ანთაძის თქმით: „მემხლიანი/მენხლიანი ძველია, შუამთობა კი ახალი სიტყვაა. მენხლიანად ქალები წავიდოდნენ, ქალების

დღე იყო მენხლიანობა. ქალები ცხენით მიდიოდნენ მთაზე (იაილაზე) ივლისის შუა რიცხვებში. (ეს დროც ემთხვევა ქუშინარობის დღესასწაულის დაწყებას).. იქ ისვენებდნენ, დროს ატარებდნენ სამ-ხუთ დღეს, ერთ კვირას და უკან პრუნდებოდნენ..“ (თანდილავა ზ. 1980, 17)

თუ მივიჩნევთ, რომ ქუშინარობა შუამთობის მონათესავე დღესასწაულია, ასეთ შემთხვევაში ნინა პლაზე უნდა წარმოვნიოთ შუამთობის წარმართული დეტალები, რათა ნაწილობრივ აღვადგინოთ ქუშინარობის დღესასწაულის პირვენდალი სახე. მაგ: დღემდე შემორჩენილი კოცონის დანთების ტრადიცია, რაღაც მისტიურს უნდა უკავშირდებოდეს. საგულისხმოა და სიმბოლურია ისიც, რომ შუამთობის დღესასწაულის დაწყების ნიშნად კოცონს პატარა გოგონა აანთებდა, დამთავრებისას კი ხნე ქალი ჩააქრობდა. (ჩელებაძე ნ. 2005, 115)

ასევე საყურადღებოა შუამთობისას თეატრალური წარმოდგენის „ფადიკოს“ გათამაშება, სადაც მთავარ როლს ქალად გადაცმული მამაკაცი ანსახიერებს. „ფადიკოს“ თამაშისას ნათლად იკვეთება მთელი რიგი წარმართული ხასიათის დეტალები: ცეკვა-როკვის, დასველების, მსხვერპლშენირვის, ფალოსის კულტის გამომსატველი სცენები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფალოსის კულტი უნივერსალული რელიგიური ინსტიტუტია, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრირებული იყო ღვთაებების გარშემო (თანდილავა ზ. 1980, 42). არსებული მასალები უთუოდ მიგვანიშნებენ, რომ შუამთობის ადრინდელი ფუნქციები ნაყოფიერების მფარველის მიმართ სიმპათიით, სამეურნეო დოვლათის, სიუხვისა და შვილიერება-გამრავლების საერთო იდეებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. საფიქრებელია, რომ ზუსტად იგივე არსი იყო ჩადებული ქუშინარობაშიც. ველზე მუშაობისას რამდენიმე რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიმღერა „ორიორამას“ გარეშე დღესასწაულის ჩატარება წარმოუდგენელი ყოფილა. მაღალმთიან აჭარაში „ორიორამა“ იგივე „მაყრულია.“ ვფიქრობთ „ორიორამას“ ქუშინარობაში მღერა პირობითი არ უნდა იყოს და იგი შორეული წარსულიდან უნდა იღებდეს სათავეს. აღვნიშნავთ, რომ „ორიორამას“ შუამთობის დღესასწაულსა და ქორწილშიც მღეროდნენ.

შუამთობა/მემხლიანობის და ქუშინარობის დღესასწაულთა ურთიერთმონა-თესავე აზრის მართებულობას მკველვარ როინ მალაყმაის ლიგანის ხეობაში მიკვლეული ცნობაც ადასტურებს. მის მიერ დევსქელში ჩაწერილი მასალებით ირკვევა, რომ მემხლიანობა შუამთობისგან განსხვავებული და მისგან დამოუკიდებელი დღესასწაულია ყოფილა. ხალხის გადმოცემით იგი ალპურ მეურნეობასთან დაკავშირებული ხალხური კალენდარული დღესასწაულია, რომელშიც ქალები მონაწილეობდნენ. მემხლიანობა შუამთობაზე ადრე ტარდებოდა. მისი ჩატარების ტრადიცია საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პერიოდს უკავშირდება, რომელიც ცნობილია შემგროვებლური მეურნეობის სახელწოდებით. საკვების მოპოვება ამ პერიოდში კოლექტიურ ხასიათს ატარებდა, რომელსაც, შესაძლოა, თავდაპირველად რელიგიური რიტუალის შესრულებაც თან ახლდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა

მემხლიანობის პერიოდში წმინდა ადგილების მონახულებაც, რასაც თან სდევდა განკურნებისა და შვილიერების ვედრება. (მალაყმაძე რ. 2008, 141-143.) მემხლიანობის დღესასწაული ლიგანის ხეობაში დავიწყებას მიეცა, მისი ზოგიერთი ელემენტი, რომელსაც რიტუალური ხასიათი ჰქონდა, შუამთობის ტრადიციულ დღესასწაულს დაუკავშირდა.

ლიგანის ხეობაში მიკვლეული მასალა კიდევ უფრო ამყარებს აზრს იმის შესახებ, რომ შუამთობის დღესასწაულის დაწყებამდე ნამდვილად არსებობდა ქალთა უძველესი დღესასწაული, რომელსაც წარმართობის დროინდელი კვალი აჩნდა. ვფიქრობთ, ქუშინარობის დღესასწაულის შუამთობის დღესასწაულიდან გამოყოფა ამ უკანასკნელში მამაკაცთა დამკვიდრებამ გამოიწვია. მამაკაცები კი ქალთა დღეობებში სასტიკად იკრძალებოდა. ამ აზრის გასამყარებელ არგუმენტად ფერეიდანელ ქართველებში შემორჩენილ ქალთა დღესასწაულის კიდევ ერთ ვარიანტს მოვიყვანთ: ირანში, ბახტიარიის მთებში, ფერეიდანის პროვინციაში ოთხი საუკუნეა ცხოვრობენ შაჰ-აბასის მიერ ტყვედქმნილ ქართველთა შთამომავალნი. სწორეთ მათ შემოვინახეს ე.წ. „დედაკაცთა დღეობა“. იგი ზაფხულში იმართებოდა, მასში ლამაზად მორთული ქალები იღებდნენ მონაწილეობას. დღესასწაულის მსვლელობისას იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, მაგ: აირჩევდნენ ნეფეს, ყვავილებით მორთავდნენ და ტახტზე დასვამდნენ, ასევე ირჩევდნენ ნაზირვეზირებს და ა.შ. ქალები ამ დღეს ხუმრობა, ცეკვასა და თამაშში ატარებდნენ. დასასრულ ღმერთს ცხვარ-ბატყანს სწირავდნენ.

ქართველ ქალთა მიერ მოწყობილ „დედაკაცთა დღეობაში“ მამაკაცებს გამოჩენა ეკრძალებოდათ. თუ ვინმე მაინც გაბედავდა ისეთ დღეს დააყრიდნენ თავბედს აწყევლინებდნენ, მაგ: თავზე მანონს გადაასხამდნენ, წყლით გალუმპავდნენ, ვირზე უკუღმა შესვამდნენ და ა.შ.(კოჭლაშვილი ნ. 2001).

ეჭვგარეშეა, რომ ამ დღესასწაულსაც რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს ქუშინარობასთან. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ მისი წარმართული წარსული საჭოჭმანო არ უნდა იყოს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისტორიულ საქართველოში ქალთა უძველეს დღეობებს მასიური სახე ჰქონდა და ისინი შინაარსობრივად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ მსგავსი ქალთა დღესასწაული მთელს მთიან აჭარაშიც იყო გავრცელებული, უბრალოდ მხოლოდ მაწყვალთამ შემოინახა იგი ბოლო დრომდე.

რაც შეეხება დღესასწაულის სახელწოდებას. ადგილობრივთა თქმით იგი შემდეგნაირად მონაცვლეობს: **გუშინარი/კუშნარი/ქვიშნარი/ქუშინარი**. უმრავლესობა კი მხოლოდ უკანასკნელ ვერსიას ემხრობა. ჩვენი აზრით ქუშინარობა ადგილის აღმნიშვნელი ტოპონიმიდან უნდა მომდინარეობდეს. სხვა მოსაზრებით **ქუში** — მთებში გავრცელებული ბალახის სახელწოდებაა (ლლონტი ალ. 1974, 580). შესაძლოა ამ ბალახით დაფარულ ადგილს ქუშინარი დაერქვა, სადაც შემდგომში დღესასაულის ჩატარების ტრადიცია დამკვიდრდდა.

არსებობს სხვა ვერსიაც, ადგილობრივთა აზრით დღესასწაულის სახელწოდებას „ქუშინარი“ შეიძლებოდა მთის სახელი „კუშინარიც“ დასდებოდა საფუძვლად, რომელიც „კორტოხიდან“ - დღეობის ჩატარების ადგილიდან კარგად მოსჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ ქუშინარობის ეტიმოლოგია საგანგებო კვლევას საჭიროებს, და ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ვარაუდის დონეზეა გამოთქმული.

ამრიგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა ქალთა უძველესი დღესასწაული „ქუშინარობა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თემა მეოცე საუკუნის 70 იან წლებში პირველად გააჯღერა ქალბატონმა ეთერ ზოიძემ – ველზე მოპოვებული მასალის სახით. ვფიქრობთ, ქუშინარობის არსის კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რადგან ჩვენი აზრით მსგავსი შინაარსისა და დატვირთვის დღესასწაული მაღალ-მთიან აჭარაში კიდევ არსებობდა. სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო ნ. ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მასალების გადახედვა არ მოხერხდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალში გაგრძელებული კვლევა ვფიქრობთ მრავალი საინტერესო დეტალით შეავსებს მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.6. ჩელებაძე, ქალი და ოჯახი. თბილისი, 2005
- 2.ი. ზოიძე, შუახევი, (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები. ბათუმი, 2008
- 3.ალ.ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984
- 4.რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობა. თბილისი, 2008
- 5.6. კოჭლაშვილი, „დედაკაცთა დღეობა“ ფერეიდანში. გაზეთი „კვირის პალიტრა“ 2001 წელი, 11-17 ივნისი
- 6.ზ.თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბილისი, 1980

FOLK FESTIVAL – KUSHINAROBA

Summary

Many folk festivals are observed in Georgian ethnographical life. Their main part was dedicated to the revival for nature forces. One such event is - „Kushinaroba”, which was carried out only in one village of Ajara-Makvalta. It is noteworthy, that men's couldn't take a part in this festival. In this article is represented descriptive material about this festival.

ხალხური დრამის ელემენტები აჯარის ხალხურ გუსიკალურ ფოლკლორში

აჭარის მოსახლეობამ კარგად შემოინახა უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხის მრავალგვარი წეს-ჩვეულება და მათთან დაკავშირებული ხალხური მუსიკალური შემოქმედება.

სიმღერა თან ახლდა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროსა და ეტაპს, ამიტომაც აჭარაში შემონახულია შრომითი საქმიანობის ყველა სფეროსა (მინათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა-ხელოსნობა) და ცხოვრების ყველა ეტაპის (ქორნინება, ძეობა, საოჯახო ყოფა, გარდაცვალება) ამსახველი სხვადასხვა ჟანრის (შრომის, საწესჩვეულებო-მაგიური, საძეობო, სააკვნო, საქორნილო, სამგლოვიარო და სხვ.) ლექს-სიმღერები. მათში დიდი რაოდენობითაა შენარჩუნებული თეატრალური ელემენტები, რადგან ხალხურ-თეატრალურ ქმედებათა ყველაზე ადრინდელ საწყისებს სწორედ შრომის პროცესისადმი მიძღვნილი საკულტო სიმღერების, ცეკვების თამაშობების ერთობლიობა შეიცავდა. ეს ცერემონიალები წარმოადგენდნენ შრომითი პროცესების სიმბოლოებს და შენარჩუნებული ჰქონდათ რიტუალური წარმართული წესების ცალკეული მომენტები (გ.ჭელიძე, 1987:16). ამგვარად, ხალხური საკულტო დრამის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს შრომის სიმღერა-თამაშობანი, საფერხულო მისტერიები. ამიტომაც საკულტო დრამის ელემენტები კარგადაა შემონახული ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებაში.

ხალხური დრამას აქვს ისეთი უმთავრესი მახასიათებლები როგორიცაა: სპეციალური მოქმედების ადგილი (იგივე “სცენა”), მოქმედი პირები, მოქმედების თანმიმდევრობა, დიალოგური ფორმით ტექსტის შესრულება და სხვ. ყველა ეს დრამატული პლასტი კარგადაა შენარჩუნებული აჭარულ ნადურ სიმღერებში, რომლებიც უშუალოდ კოლექტიური შრომის პროცესს - ნადს უკავშირდება, ორიგინალური ოთხმიანობით ხასიათდება და ინახავს ხალხური დრამისათვის დამახასიათებელ დრამატულ-სანახაობით მხარეს: სიმღერა ორპირია, წინამდოლისა და გუნდის სიმღერა შეძახილებს წარმოადგენს და ფაქტიურად არის მუსიკალური გაბასება; იკვეთება მწყობრი მოძრაობა და რიტმული ჰარმონია; მოქმედება მიმდინარეობს გარკვეული თანმიმდევრობით და წარმოადგენს ნაწილების ანუ სურათების მონაცვლეობას (დასაწყისი, შრომითი პროცესის “გახურება”, სადილობა, დასასრული (ელევსა), ვახშამი), ახასიათებს თეატრალური ელემენტები. მაგალითად, ხულოს რაიონში სპეციალური რიტუალი სრულდებოდა ნადის დამთავრების შემდეგ: სამუშაოების დამთავრებისას თოხის ტარს რამდენიმე კაცი თავსა და ბოლოში მოკიდებდა ხელს, ზედ მასპინძელს შესვამდა და

სახლში მიყავდათ შეძახილებით: “ყანის პატრონო, ყანამ გიკეთოსო!”. გზაზე მგზავრულს მღეროდნენ. მასპინძლის სახლში მონადეებს ვახშამი ელოდათ, რაც ხშირად ცეკვა-სიმღერითა და გართობა-თამაშებით მთავრდებოდა (ჯ.ნოლაიდელი, ჯ.ჩხეიძე, 1960:83). ამდენად, ნადურები წარმოადგენს საფერხულო სანახაობის წინამორბედს და ინახავს ხალხური დრამის კომპონენტებს.

ხალხური დრამის ელემენტები იკვეთება აჭარის მუსიკალურ ფოლკლორში შემონახულ საწესო ლექს-სიმღერებშიც, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, შეხედულებებს გარესამყაროზე, უკავშირდებიან სხვადასხვა არქაულ ღვთაებებს და ინახავენ რიტუალების სიმბოლურ მნიშვნელობას. ასეთი ხალხური დრამის ნიმუშებიდან აღსანიშნავია საწესო ფერხული “ოჰოი, ნანო”, რომელიც წაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს (ა.ინაიშვილი, ჯ.ნოლაიდელი, გ.ჩხეივაძე, 1961:5).

“ოჰოი, ნანო” ფერხულის სახით შესრულებული სახუმარო ცეკვაა. მან ისტორიული ტრანსფორმაციის შედეგად დაკარგა თავისი თავდაპირველი ფუნქციონალური დანიშნულება და ქორნილსა და ნადშიუკვე დაღლილი ხალხის მოსაფხიზლებლად და გასამხიარულებლად სრულდებოდა (ა.ახვლედიანი, 1970:14). მაგრამ მისი ჩაღრმავებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ეს იყო უძველესი წარმოშობის რელიგიურ-მისტიკური ფერხული. “ოჰოი, ნანო” შემდეგნაირად სრულდებოდა: კორიფე შეძახილით “გავაღვიძოთ!” რიგრიგობით ურტყამდა ჯოხს და „აღვიძებდა“ ფერხულის მონაწილე 9-11 კაცს. ჯოხის დარტყმას თითოეული მონაწილე ხვდებოდა შეძახილით “ოჰოი”, რასაც მოპყვება კორიფეს პასუხი – “ნანო”. გაღვიძებული მონაწილეები ჩააბამდნენ ფერხულს და კორიფის გარშემო კრავდნენ წრეს. კორიფე წრის შიგნით ექცეოდა და ჯოხს ურტყამდა მოფერხულეებს. მათ შორის იმართებოდა დიალოგი. ამგვარად, სტრუქტურულად “ოჰოი, ნანო” გუნდისა და კორიფის დიალოგზე იყო აგებული. შესრულების ფორმით ესაა ფერხული, რომლის მსვლელობისას გუნდი ჯერ მიჰყვება წინამდობლს, მელის კუდივით იგრიხება, მიუხვ-მოუხვევს, წრეს კრავს, შემდეგ წრე იშლება და კორიფე ჯოხით მიერეკება მეფერხულეებს. ამდენად, “ოჰოი, ნანო” არის არა მხოლოდ სიმღერასთან შეწყობილი რიტმული მოძრაობა, არამედ გარკვეული სიუჟეტის თეატრალური განსახიერება. ძეგლის არქიტექტონიკაზე დაკვირვებით პროფ. ე.მაკარაძე მიიჩნევს, რომ “ოჰოი, ნანო” არის ქორეოგრაფიული დრამის ნიმუში. მისი რიტუალური რეკვიზიტი – ჯოხი – უნდა წარმოადგნდეს ნადირთლვთაების კუთვნილი საკრალური საგნის - მათრახის ვარიანტულ სახესხვაობას, რომლის მეშვეობითაც, ქართულ მითოლოგიაში არსებული სიუჟეტების თანახმად, ნადირთლვთება აცოცხლებს შეჭმული ნადირის ძვლებს. ე.მაკარაძე ასკვნის, რომ “ოჰოი, ნანოში” ჯოხი, რომელიც ხელთ უპყრია კორიფეს, სწორედ ამ მაგიური ძალის მატარებელი უნდა იყოს. კორიფე ჯოხის დარ-

ტყმით აღვიძებს//აცოცხლებს მოფერხულეებს. ამდენად, იგი ვარაუდობს, რომ ამ ძეგლს საფუძვლად უდევს ნადირობასთან დაკავშირებული მითოსური საფანელი (ე.მაკარაძე, 2002:304-305). თუმცა, თავისი არსით, შესრულების წესებით, რიტუალური ატრიბუტიკით “ოპოი, ნანო” მეტ სემანტიკურ ერთობას ავლენს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ კარგად ცნობილ ისეთ რიტუალებთან, როგორიცაა “მელიაი ტულეფიაი”, “ბერიკაობა-ყენობა” და სხვა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. აჭარის მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარი ბ-ნი ა.მსხალაძე, მას სავსებით კანონზომიერად მიიჩნევდა სვანური “მელიაი ტულეფიაის” აჭარულ ნაირსახეობად (ა.მსხალაძე, 1969:93). „მელიაი ტულეფიაი” ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქართული წარმართული მისტერიაა. აქაც რიტუალის მონაწილეები იყოფოდნენ ორ გუნდად: მეთაურს ჰქონდა ჯოხი, წკნელი, ხის ხმალი, რომლითაც ცემდა გუნდის წევრებს თავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, თეძოებზე, ფეხებზე. ზოგადად, ქართულ ეთნოგრაფიაში ჯოხები, ხის ხმლები, შამფურები, ჩხირები ითიფალურობის გამომხატველად ითვლებოდა. მიჩნეულია, რომ ამ ნივთებით ცემა და ჩხვლეტა უნდა იყოს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრავლებისათვის წარმოებული მაგიური მოქმედება (ივ.ჯავახიშვილი, 1951:64; ვ.ბარდაველიძე, 1953:134). ასე, რომ ამ მსგავსი ელემენტებით აჭარული „ოპოი, ნანო” როგანულ კავშირს ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულებთან.

ხალხური დრამის ელემენტები იკვეთება აჭარულ მუსიკალურ ფოლკლორში შემონახულ კიდევ ერთ სანესო საფერხულო სიმღერაში “ნაძნა ნინაძნა”, რომელიც ძეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. რიტუალი სრულდებოდა როგორც მთის, ისე ბარის აჭარაში ახალშობილი გოგონას თუ ვაჟის, განსაკუთრებით კი – ვაჟის, დაბადებისას. ფერხული წრიული იყო და ასრულებდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები. „ნაძნანნინაძნას” მუსიკალური ტექსტი, არქიტექტონიკის სიძველით, უშუალო კავშირს ამჟღავნებს იმ სიმღერებთან, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ადრეულ ეტაპებს ასახავენ. „ნაძნა ნინაძნას” შესრულების წესში მკაფიოდ ჩანს წარმართული ხანიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენების კვალი. ამ სიმღერა-ფერხულს სამართლიანად უკავშირებენ ნაყოფიერების ქალღვთაების დიდი დედა ნანას კულტს.

დრამის მთავარი სპეციფიკა სათქმელის თეატრალური განსხვაულებაა. გარდა ზემოთაღწერილი ფერხულებისა, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დრამის ელემენტები შემონახულია ისეთ ქორეოგრაფიულ ნიმუშებში, როგორიცაა: „ყოლსამა” (ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული „მუცლით ცეკვა”), „თოფალოინი” (კოჭლის ცეკვა-მოძრაობა), „ჯაყდანანა” (ორ შემსრულებელს შორის ცეკვითა და კაფიობით შეჯიბრება სიმღერის თანხლებით), საბრძოლო ცეკვა „ხორუმი” და სხვ. თეატრალურ-დრამატული ელემენტების სიჭარბით გამოირ-

ჩევა „ხორუმი”, ანუ „ხორონი”. ესაა მეომართა ცეკვა, რომელშიც ბრძოლის თან-მიმდევრობაა წარმოდგენილი: პირველ ნაწილში წარმოსახულია მოცეკვავე-მე-ომართა საპრძოლო მზადება. მეორე ნაწილში - მტრის დაზვერვა (ყურის ფი-ცარნაგზე დადებით მტრის მოძრაობის შეცნობა, მზვერავთა ერთმანეთთან მო-თათბირება). შემდეგ სცენაში გადმოცემულია იერიში და ცხარე ბრძოლა. ცეკ-ვის კულმინაციაა ბოლო, ანუ დასკვნით ნაწილი, რომელიც ერთმანეთზე გადახ-ვეული წყობით, სპეციფიკური ილეთებით („გადახვეული ხორუმი“) გამარჯვე-ბული ჯარის უკან დაბრუნებას ასახიერებს. „ხორუმი“ არის ცეკვაში განსხეუ-ლებული საპრძოლო დრამა.

საკულტო დრამის ელემენტები შემოგვინახა საწესჩვეულებო ხასიათის ცეკვა “ფადიკო”-მ, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სხვა კუთხეებში “ბე-რიკაობასთან” დაკავშირებულ იმ უძველესი ხასიათის ცეკვის ერთ-ერთ სახეს, რომელიც დიონისესა და დემეტრეს კულტთან დაკავშირებულ თამაშობებსაც წააგავს (ლ.გვარამაძე, 1957:54).

“ფადიკო”-ს შესრულების სხვადასხვა ვარიანტია ცნობილი აჭარაში, მაგ-რამ მისი სიუჟეტური ქარგა და აზრობრივი დატვირთვა ყველგან ერთნაირია. ესაა გროტესკული ქორნინების ინსცენირება, რომელშიც თავს იჩენს ბერიკაო-ბა- ყეენობისათვის დამახასიათებელი არაერთი კომპონენტი: ფუნქციონალუ-რად მსგავსი პერსონაჟები, საკრალური ქორნინებისა და სქესთა ურთიერთობის იმიტაცია, პრეტენდენტთა ორთაბრძოლა, ფადიკოს გატაცება, ”მეფის“ მიძინე-ბა-გაღვიძება და სხვ. თუმცა, “ფადიკო” აჭარაში ცეკვის სახეობადაა შემორჩე-ნილი, მასში ბერიკაობა-ყეენობის იდენტური ელემენტების არსებობა ადასტუ-რებს, რომ “ფადიკო” აჭარაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი უძველესი მისტერიის გადმონაშთი უნდა იყოს, რომელიც ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და უკავშირდება სამეურნეო ყოფას.

ამგვარად, აჭარის ხალხურმა მუსიკალურმა ხელოვნებამ შეინარჩუნა სა-წესჩვეულებო მაგიური დრამის ელემენტები, მაგიურ-სამეურნეო ხასიათის მის-ტერიები, საკულტო შინაარსის დრამატულ-თეატრალური სანახაობები, რომ-ლებიც ხალხური დრამატული ხელოვნების საწყისებს ინახავენ და საწესჩვეუ-ლებო რიტუალ-ცერემონიალების უძველეს ნიმუშებს წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970
2. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953
3. ლ. გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957
4. ა.ინაიშვილი, ჯ.ნოღაიდელი, გრ.ჩხიცვაძე, მასალები აჭარული მუსიკა-ლური ფოლკლორიდან, თბ., 1961
5. ე.მაკარაძე “ხიხაძირული “ოპოი, ნანო”, ბსუ-ს სამეცნიერო ცენტრის კრებული, II, ბათუმი, 2002
6. ა.მსხალაძე’ ქართული საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან. თბ., 1969
7. ჯ.ნოღაიდელი, ჯ.ჩხეიძე, აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960
8. გ.ჭელიძე, ქართული ხალხური დრამა, თბ., 1987
9. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951

Tamila Lomtavidze

ELEMENTS OF FOLK DRAMA IN AJARA FOLK MUSIC CULTURE

Summary

Ajara population is well kept and retained magical elements of drama, mysteries of magic-the economic nature, cult character dramatic-theatrical shows which kept basics of folk dramatic art and represents ancient artifacts of ritual-ceremonies.

სოფელი ზოტი

სოფელი ზოტი მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (აღმოსავ-ლეთი გურია), მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე გუბაზეულის ხე-ობაში ზ.დ. 820 მ. მაღალმთიანი გურიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ჩოხა-ტაურის ცენტრიდან დაშორებულია 36 კმ-ის მანძილით.



სოფელ ზოტის შემადგენლობაში შედის სოფელი ზოტიმერია, მთა მესხე-თის ქედზე მდინარეების გუბაზეულისა და ქვაბლიანის სათავეებში. შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით.

„ზოტიყელის ალპური ველის ღრმა ფერდში აქვს სათავე გუბაზეულს. ათასწლოვანი ნაძვნარის ტყეებით ვეება ქვებზე მოხტის ეს გიჟი ღელე. მაღალ მდინარედქცეული, ულამაზესი პეიზაჟებით გარშემორტმული, კლდეებთან ნაბ-რძოლი და აქაფებული, გადმოდის მაღალ მთაზე და შემოდის ღრმა ხევში” (გო-გიბერიძე მ., 1978:274).

მდინარე გუბაზეული ორ ნაწილად ჰყოფს სოფელ ზოტს. ისტორიული წარ-სული ზოტის შესახებ არ არსებობს, ადგილზე აღმოჩენილი მატერიალური კულ-ტურის და შემთხვევით ნაპოვნი არქეოლოგიური ძეგლები ცხადყოფს, რომ ტე-რიტორია უხსოვარი დროიდანაა დასახლებული, მოსაზრებას ადასტურებს სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა და ადგილზე გავრცელებული ტოპონიმე-ბი: „ჭადიგორა”, „ელიას მთა”, „ხახუტას ნაკვალევი”, „წიწკატას გორი”, „წმინ-და კვირიკეს გორი”, „ხახუტას მთა” და სხვ. გუბაზეულის ხეობაში, ნაკლებად მოიძებნება სოფლის მოსახლეობისთვის ასეთი ყოველმხრივ დადებითი თვისე-ბებით შემკული ადგილი.

სოფელი ზოტი, როგორც გურიის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მტერის შემოსევის დროს ყველაზე მეტად ზიანდებოდა. ზოტის გავლით გადიოდა სავაჭრო საქარავნო გზა გურიიდან ახალციხისაკენ.

თურქთა შემოსევებმა შეაშინა სოფლის მოსახლეობა და დაიწყეს გახიზვნა საცხოვრებელი ადგილებიდან ცენტრალური გურიისაკენ. დაცარიელდა სოფელი ზოტი. თუმცა სოფლის ტერიტორიას, მისი საუკეთესო საძოვრებითა და მეფუტკრეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების გამო, არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

XIX საუკუნის II ნახევრისათვის, ტყვეთა მტაცებლობის შეწყვეტიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ ორმაგდება გურულებისა და აჭარლების კეთიმეზობლური დამოკიდებულება. ღორჯომის ხეობის მოსახლეობა გურიის თავადებთან შეთანხმებით აარსებს რამდენიმე იაილას (საძოვარს) აჭარის მოსაზღვრე გურიის მთებზე: „საომლია”, „ზოტიყელი”, „ზოტიმერია” და სხვები. ისინი გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ მთების მეპატრონებს და კმაყოფილი რჩებოდა ორივე მხარე. მეპატრონები თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ იაილის მცხოვრებლების დაცვას. აქვე დავსძენთ, სწორედ აჭარის მოსახლეობის დაცვის დროს მოკლეს მთაზე ხახუტა კეკელიძე. ამ მთას დღესაც ხახუტას მთას ეძახია.

საყურადღებოა თედო სახოკიას მონათხრობი: „პირველ ეილას, აჭარის გზაზე მდებარე, ზოტი-ყელის ეილა ჰქვიან. ორი გზა მიდის ამ ეილაში: ერთი საცხენოსნოა და შორს უხვევს, მეორე კი თვით ბახვისწყალს აჰყვება.

მთის წყლები: ლაშისფერდისა და ჩრდილოსწყალი ერთდება და ორსავეს ერთად ქვია ბახვისწყალი. აქ არის ზოტიყელის ეილა, სადაც დგანან ზემოაჭარის სოფლის, ღორჯომის მცხოვრებლები თავიანთი საქონლითა. ამ წყლების იქეთ-აქეთ ნაპირზე გადმოდგმულია ორ-ორ სართულიანი ჯარგვალისებური ხის სახლები, როგორც აქ ეძახიან, კონალები. ეს თუ გნებავთ საზაფხულო სოფელია. ეილა ზოტიყელის მთაზედ არის გაშენებული და სახელიც აქედან დაერქვა ზოტი-ყელის ეილა. სოფელი ხევშია და ყოველმხრივ დაფარულია ქარებისა-გან. ეილაზე სოფლები მაისის გასულს ამოდიან. თან მოჰყავთ ცოლშვილი და მოაქვთ საპან-გობანი და ავეჯი, რაც კი რამ დასჭირდებათ ოჯახში. ყველა ოჯახს თავისი კონალი აქვს, ორსართულიანი, მრგვალი ძელებისაგან გაკეთებული.

ასეთი ეილები ზოტი-ყელის მახლობლად ორი-სამი არის აჭარლებისა. სანამ დაბნელდებოდა, მე და ჩემმა მასპინძელმა ირემაძემ შემოუარეთ მთელს ეილას. ყველგან ქართულად გვესალმებოდნენ „გამარჯობას” რომ ვეტყოდით „გადღეგრძელოს” მიპასუხებდნენ” (სახოკია თ., 1985:52).

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სოფლის მოსახლეობის დღევანდელ მცხოვრებლებზე, რომელთა ჩამოსახლების პერიოდს უკავშირდება სოფლის ისტორია. მტერთაგან შევიწროებული ზემო აჭარის მოსახლეობა იძულებული

გამხდარა გახიზნულიყო ისეთ ადგილას, სადაც ტრადიციას არ დაკარგავდა და საცხოვრებლადაც შესაფერისი პირობები ექნებოდა. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება სოფელ ზოტის ტერიტორიაზე აჭარის მოსახლეობის დასახლება.

ისინი თავდაპირველად დასახლდნენ ზოტიყელის ახლოს სოფელ ზოტიმერიასთან. ზოტიყელის ალპურ საძოვრებიდან ღორჯომში აღარ დაბრუნდნენ. შექმნეს ე.ნ. „ზამთრის ქოხები”. აქ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა ერთად შეკავშირებული. ზოტიმერიელები გურულ თავადებს გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო ისინი გარდა მესაქონლეობისა, მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. მოჰყავდათ სიმინდი და სხვა კულტურები.

საკმაოდ მკაცრი ზამთარი იცის მთიან გურიაში. ზვავის დროს რამოდენიმე კაცი წაუღია მეწყერს, მოსახლეობა შეშინებულა და დაუწყია უკეთესი საცხოვრებელი ადგილის ძებნა მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზოტიმერიაში მცხოვრებთა რიცხვი, თანდათან იზრდებოდა. ისინი ეკონომიკურ კავშირს წყვეტენ ახალციხესთან და უფრო მჭიდრო ურთიერთობას მეზობელ სოფლებთან ამყარებენ. 1890 წლისათვის ზოტიმერიაში უკვე 12 ჯარსულიანი ოჯახი ცხოვრობდა. სავარაუდოდ უზეირ ანთიძე, იდრის ირემაძე, გულახვედი ქათამაძე, ოსმან ყარაყუშოლლი და სხვები.

საცხოვრებლად კარგი პირობები, მიწა მოსავლიანი, ეკონომიკური ურთიერთობები მოგვარებული, მეზობელი სოფლების მოსახლეობასთან კარგი დამოკიდებულება და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან გამომდინარე ზოტიმერიის მცხოვრებლები საბოლოოდ აქ დამკვიდრდნენ. უზეირ ანთაძის ინიციატივით ზოტიმერიელები, ზოტის და მისი მიდამოების მფლობელ ლევანტი კეკელიძისაგან იჯარით იღებენ მიწას ზოტის ტერიტორიაზე და ამუშავებენ.

თანდათანობით იწყება აჭარიდან სხვა ოჯახების ჩამოსახლებაც. მაგ: 1895 წელს სოფელში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსახლდა უზეირ მემედის ძე ანთაძე, მცირე დროში ჩასახლდა ძმა ასან ანთაძე. თანდათან ივსებოდა სოფელი ღორჯომიდან და ჭვანის ხეობებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით. ზოტის ერთ-ერთი იაილა მდებარეობს „ღომის მთაზე”, ზღვის დონიდან 2.300 მ. სიმაღლეზე. იგი ზოტის ცენტრიდან დაშორებულია 15 კმ-ით. იმავე ტერიტორიაზე, „ღომის ციხე”, ნრომელიც წარმოადგენს ბუნებრივი დიდრონი ქვებით ნაგებ 25 კუბური მეტრი მოცულობის სამ ერთმანეთთან შეერთებულ ქვაბულს.



ლომის ციხე

შესასვლელი ქვაბულს მხოლოდ ერთი აქვს მოკლე და ვიწრო გვირაბით. ქვაბულები შუა ნაწილის ზემოთ ნაგებია ქვევრისებური ფორმით, რომლებიც მინის ზედაპირთან შეერთებულია ვიწრო ხვრელებით, რაც ზემოდან ადამიანის თვალისათვის შეუმჩნეველს ხდის. მთის ზონის მცხოვრებლები ამ ქვაბულებს „ნაოდვარს“ უწოდებენ. ადგილის გათვალისწინებით, სადაც ქვაბულებია აგებული, უნდა წარმოადგენდეს საუკეთესო თავშესაფარს მებრძოლი რაზმებისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ მოხერხებულად შენიღბულ ადგილას ადამიანებს შეეძლოთ დიდი ხნით ყოფნა ქვაბულების მოცულობისა და თავისებურებათა გათვალისწინებით. იაილაზე ქვაბულებს თამარის ციხესაც ეძახიან. ღაც შეეხება „ლომის ციხეს“, ამ ნაგებობის თავისებურება ის არის, რომ ნაშენია უდუღაბოდ, მასალა ამოტანილი უნდა იყვეს მდინარის ნაპირებიდან, მიმდებარე ტერიტორიაზე ასეთი ქვები არ მოიპოვება.

ნანგრევები შემორჩენილია აგრეთვე სოფელ ზოტის შესასვლელში. სავარაუდოდ იგი საყდარი უნდა იყვოს. დგილობრივები ამ ტერიტორიას „საყდრის ყელს“ ეძახიან.



საყდრის ყელი

საყდრის ყელს მინიჭებული აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი. ამ ადგილს არქეოლოგის ხელი არ შეხებია. აქვე ნაპოვნი თიზის ჭურჭელი დაცულია ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმში (დაბა ჩოხატაური 6. დუმბაძის 13). აღნიშნულ მუზეუმშია დაცული შემთხვევით ნაპოვნი მონეტები, რომელიც მუზეუმს, კვლევის შემდეგ საჩიურად გადმოსცა არქეოლოგმა კარლო კალანდაძემ. მონეტები აღმოჩენილია სოფლის ცენტრში, შემაღლებული ზეგნის თავზე, ადგილობრივი მკვიდრის რ. ირემაძის საკარმიდამო ეზოში. 1999 წ. გაზაფხულზე მიწის სამუშაოების ჩატარებისას, ოჯახის პატრონმა შემთხვევით მიაკვლია ლოდების ძირში, დოქით დაფარულ მონეტების განძს. ერთი მონეტა გაეგზავნა ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს. ერთი მონეტა ოჯახიდან წაიღო გურიის ექსპედიციის წევრმა კ. კალანდაძემ. განძი 130 მონეტიდან შედგებოდა, რომელთა შუბლი და ზურგი დაფარულია არაბული წარწერებით. მონეტა გაშიფრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირ. ჯალაღანიამ. ისი მტკიცებით, „ქუთური დირჰემი მოჭრილია სახალიფოს ქალაქ. მუჰამადიაში, ალ. რაშიდის მეფობის დროს, ჰ 183=799/800“. ერთი მონეტა ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში, ერთიც ქალაქ თბილისის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, რომელიც გადმოეცა ჩოხატაურის 6. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს” (ჩოხატაურის 6. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აღნიშნული ექსპონატის პასპორტი).

მეორე მონეტა, თურქული „აყჩე“, რომელიც არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა გადმოსცა ჩოხატაურის 6. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ნაპოვნია სოფელ ზოტში და თარიღდება 1614 წლით (პროფ. ი. ჯალაღანიის განმარტებით). მონეტა ნაპოვნია რეზო ჭაღალიძის ეზოში 2002 წლის თებერვალში (ჩოხატაურის 6. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, აღნიშნული ექსპონატის პასპორტი).

ბატონყმობის პერიოდში ზოტის ტერიტორის მფლობელები იყვნენ ბულლიეთელი აზნაურები - კეკელიძეები. მათ აზნაურობა ნაბოძები ჰქონდათ თავად გურიელისა და გურიის ერისთავის მიერ. ზოტში დასახლების მსურველები სწორედ კეკელიძებისაგან და მათი შთამომავლებისაგან იღებდნენ მიწას იჯარით, ყიდულობდნენ, ხშირ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით იხდიდნენ მიწის საფასურს. მაგალითად ზოტელ ბერიძეებს მოწონებიათ სოფელ ერკეთში გათხოვილ ხახუტა კეკელიძის ძმიშვილის მიწის ნაწილი. ამჟამად, კეკელიძეების ოჯახის სიძემ გრიგოლ მგალობლიშვილმა მიწა უსასყიდლოდ დაუთმო მიგრანტებს, რადგან ხედავდა აჭარიდან ჩამოსახლებულთა შრომიმოყვარეობასა და ერთგულებას.

მარია სოლომონის ას კეკელიძე (გათხოვილი სოფელ ხიდისთავში პანტელეიმონ ჭანიშვილზე), ნედლად იღებდა მიწის საფასურს. ზოტელები შემოდგო-

მის ბოლოს ჩადიოდნენ სოფელ ხიდისთავში სურსათ--სანოვაგით დატვირთულები. მასპინძელი დიდი სიხარულით ხვდებოდა - „ჩვენი ზოტელები” მოვიდნენ. ოჯახის შვილიშვილი მარია ჭანიშვილი იხსენებს: „ისინი საპალნე აკიდული ცხენებით მოდიოდნენ მოპქონდათ, ხის ლამაზ კოთხოებში ჩასხმული რძის სხვადასხვა პროდუქტები, ტომრებით კარტოფილი, სიმინდი. ბებიაჩემი (ბაბუის ძმის ცოლი), სიყვარულით ეგებებოდა მათ. გამოკითხავდა სოფლის ამბებს. ბებიას ძალიან უხაროდა სოფლის მოსახლეობის ზრდა, რადგან მან კარგად იცოდა ამ კუთხის მადლი. ლამეს თითქმის საუბარში ვათენებდით”.

ზოტელ ახალმოსახლეთა მთავარი საზრუნავი იყო მეჩეთის აგება. 1902 წელს სოფელ ზოტში უკვე 13 კომლი ცხოვრობდა. მათ შეაგროვეს თანხა, მოინვიეს აჭარიდან ოსტატები და წაბლის ხის მასალისაგან ააგეს ჯამე, რომელსაც ადგილობრივი კულტურის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.



ზოტის ჯამე



ზოტიყელის ჯამე

მეჩეთის აგებამდე მოსახლეობა თავის თავს ხიზნებს უწოდებდა. მთავრობას ისინი გათავისუფლებული ჰყავდა გადასახადებისაგან, გარდა იმ საძოვრებისა, რომლებიც ხან ხაზინის ეპყრა, ხან გურიის თავადების საკუთრება იყო. მეჩეთის აგების შემდეგ ისინი მუდმივ მაცხოვრებლებად ითვლებოდნენ. ამიტომ დადგინდა გადასახადებიც. ზოტელი გლეხები არ იყვნენ დაყოფილი კატეგორიებად. ისინი გადასახადს იხდიდნენ ნატურით ქათმის და წვრილფეხა პირუტყვის სახით.

ზოტი შედიოდა „ერკეთის საზოგადოებაში”. სოფლის საზრუნავი იყო აგრეთვე გზა. სოფელში მხოლოდ ერთი საცალფეხო ბილიკი შედიოდა. შემოსავლის ძირითად წყაროს მესაქონლეობის პროდუქტები წარმოადგენდა. მათ მეზობელი სოფლის მცხოვრებლებს შეასწავლეს რძის პროდუქტების ხარისხიანი დამზადება. მიგრანტებმა ნოყიერი და ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებით გაითქვეს სახელი. კურორტ ბახმაროს ბაზარი მთლიანად დაკავებულია მათ მიერ წარმოებული პროდუქტებით (ბოსტნეული: კარტოფილი, მწვანილი, პომიდორი, ლობიო. მესაქონლეობის

პროდუქტები რძე, არაუანი, მაწონი, კაიმალი, ერბო, ნადული. ხორცი). დამსვენებლები კურორტის ახლოს იაილებზე ხშირად ადიან სტუმრად, რათა დააგემოვნონ „ბორანო”, „ასუთა”, დიდი ემოციით აკვირდებიან „ყურუთის” დამზადებას.



ყურუთი

ზოტში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები განაპირობებდა მეფუტკურეობის განვითარებას. სოფელი დღესაც გამოირჩევა საუკეთესო თაფლის წარმოებით.

კურორტ ბახმაროში სეზონი იწყება 15 ივნისიდან და გრძელდება 15 სექტემბრამდე. 1944-1949 წნ. ბახმაროს გზის გაყვანაში ზოტელმა გლეხებმაც მიიღეს მონაწილეობა. აჭარის მოსახლეობა კურორტის მიმდებარე ტერიტორიის საზაფხულო კარვებში გვიან გაზაფხულზე ადის და რჩება გვიან შემოდგომამდე. სეზონის დასასრულს, 19 აგვისტოს ტრადიციულად იმართება დოლის დღესასწაული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ე. წ. „დოსტები” - აჭარელი დურგლები, რომლებიც სეზონის განმავლობაში დადინახვდასხვა დასახლებულ პუნქტებში და ყიდიან მათ მიერ დამზადებულ ხის ნაკეთობებს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებს: გობებს, კოვზებს, აკვნებს, ასევე ორიგინალურ სათამაშოებს: „საკრიჭინას”, „საბზრიალებს”, „საგორიალებს” და ა.შ.



„დოსტები” უმეტესად არიან ღორჯომისა და ჭვანის ხეობის მცხოვრებლები, რომლებიც ზოტიყელისა და მიმდებარე ტერიტორიის ალპურ საძოვრებზე ცხოვრობენ ზაფხულის განმავლობაში. სოფლების: ჭახაურის, სტეფანაშვილე-

ბის, წინწერაშვილების, ადაძეების, ტუნაძეების, მერჩხეთის, ლაპაძეების მცხოვრებლები უკვე საუკუნეზე მეტია გადმოდიან და არ კარგავენ ტრადიციას. ქალები სიტყვაძუნნობით გამოირჩევიან, ბავშვები თითქოს უფრო ლაღები და თავისუფლები არიან. გოგონები სწავლობენ ქსოვასა და ქარგვას. სახლებში არის ლამაზად განყობილი სედრეები, ფერთა სიუხვით გამოირჩევა ხელით ნაქ-სოვი ფარდაგები და სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ნივთები. ხემზი არ-თმელაძის ოჯახში რელიქვიასავით ინახავენ მამის გაკეთებულ სუფრას (თ. სახოკია მოიხსენიებს, როგორც ფეშეუმს).



ასიე ბერიძე (93 წლის) იგონებს: „კარგად მახსოვს, როგორ მოვდიოდით რამდენიმე ოჯახი ცხენებით, მძიმე ტვირთით. გვარდებში ბავშვებიც გვყავდა ჩასმული, საქონელს მოვერეკებოდით. 20-25 სული საქონელი ყველა ოჯახს ჰყავდა. აქ ბევრჯერ თოვლსაც მოუსწრია, ხოშკაკალსა და გადაბმულ წვიმებს ხშირად შევუწებივართ. თუ კარგი ამინდებია სექტემბრის ბოლომდეც ვართ. დღეს პირობები შეცვლილია. ძირითადად მანქანით გადავდივართ. რაღა დროს ჩემი სიარულია, მაგრამ მიყვარს აქაურობა, შეშა კერჩხიანიდან მოგვაქვს. მომავალი წლის შეშა ყველა ოჯახს უკვე მომზადებული აქვს. 5-6 წელია დავრგეთ არყის ხეები, მაგრამ უჭირს, არ იზრდება”.

ზოტიყელის იაილა კურორტ ბახმაროდან შედრეკილის (განდრეკილი) იაილის გავლით უკავშირდება ახალციხესა და გურიას.

ზოტიყელი მდებარეობს ხევში და ყოველმხრივ დაფარულია ქარებისაგან. ზოტიყელში არის ჯამე (აგებულია 1937-1940 წწ.). ჯუმა დღეს სალოცავი მთლიანად ივსება ხალხით. აღნიშნულ ტერიტორიაზე სასაფლაო არ არის, მეჩეთში ინახება თაბუთი, რომლითაც მიცვალებული გადაყავთ თავიანთ სოფელში.



თაბუთი

ჩოხატაურის სოფლების მცხოვრებლებისაგან განსხვავებით, ზოგის მოსახლეობა გამოირჩევა საკმაოდ კარგად განვითარებული შინამრეწველობითა და ხალხური ხელოსნობის ტრადიციული დარგებით. ისდევდნენ ნადირობასაც, რომელსაც ორგვარი სარგებელი მოჰქონდა ზოტელი გლეხისათვის. ერთის მხრივ თავს იცავდა მტაცებელ ცხოველისაგან, ასევე ნანადირევის ცხიმისაგან ამზადებდა საპონს, რომლის შესაძენად ბარის სოფლის მცხოვრებლები სოფელ-ში, სპეციალურად ადიოდნენ.

იცოდნენ ტყავის დამუშავების საკმაოდ კარგი მეთოდი. ახალციხიდან ვაჭრები გადმოდიოდნენ ტყავის შესაძენად. ისინი იაფ ფასებში ყიდულობდნენ ზოტელებისაგან შინამრეწველობის პროდუქტებს, თითონ კი „მამასისხლად“ აძლევდნენ სხვადასხვა საჭირო საგნებს.

ტყავის დამუშავების მაღალ ხარისხზე მიუთითებს შინაური ცხოველის ტყავის ნარმოებაც, მაგალითად ქალამნების შეკერვა, უნაგირების მორთვა, ტახტებისთვის გადასაფარებლების დამზადება და სხვა.



ტყავის ფოსტი (სალოცავი)

ქალამნები

აქაურ ქალებს ქსოვისა და ქარგვის ტრადიცია დღემდე არ დაუკარგავთ. ქსოვენ წინდებს, რომლის ლამაზი და რთული ორნამენტი ხიბლავს მყიდველს. გურულებისთვის უცხოა ორნამენტირებული წინდების ქსოვის ტრადიცია.



წინდები

აქაურებს სოფლის პატარა ღელეებზე მოწყობილი ჰქონდათ დაზგები, სა-დაც ხისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა საოჯახო ნივთებს: მაგიდებს, ჯამებს, გობებს, სანაყ ჭურჭლებს. სინი იყიდებოდა მეზობელ სოფლებშიც. მათ მიერ დამზადებული საოჯახო ინვენტარის მცირე ნაწილი დაცულია ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხრეთმცოდნეობის მუზეუმში.

ზოტი მდიდარია წიაღისეულითაც. აქ მოიპოვება პირიტის, ასევე სანის-ლიას თერმული მინერალური წყალი და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემები დააინტერესებს და წახალისებს არქეოლოგებს, ეთნოლოგებს და ამ კუთხით დაინტერესებულ სპეციალისტებს, რათა მომავალში საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ზოტელების ტრადიციული ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიბერიძე მ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტომი 4. თბილისი 1978;
2. სახოვია თ., „მოგზაურობანი” ბათუმი 1985;
3. ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აღნიშნული ექსპონატის პასპორტი)

VILLAGE ZOTI

Summary

Village Zoti is located in Chokhatauri municipality (East Guria). It's away from the Chokhatauri center 36 km. It's characterized by everyday life and cultural – specific features. The article presents rich ethnographic data about this village.

ჩვენი ავტორები:

1. **ბიჭიკო დიასამიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ემერიტუსი;
2. **ინგა ელიავა** – ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო საცნობარო განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
3. **მერაბ მეგრელიშვილი** – აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. **შოთა მახარაძე** – ასოც. პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
5. **ფრიდონ ქარდავა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
6. **გურამ ჩაგანავა** – სრული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
7. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის მთავარი სპეციალისტი;
8. **ნათია მირიანაშვილი** – საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების უფროსი;
9. **მარინე იტრიაშვილი** – საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
10. **ოთარ თურმანიძე** – მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
11. **მადონა გოგიტიძე** – აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
12. **ვლადიმერ წვერავა** – ასოც. პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტი;
13. **თამაზ ფუტკარაძე** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ნატო ქიქავა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
15. **ციცი ცინცაძე** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების

- ბის პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- 16. ნაზი ნაგერვაძე** – ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- 17. საპა სალუაშვილი** – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობისა და დაკომპლექტების განყოფილების სპეციალისტი; წმ. ანდრია პირველნოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი;
- 18. რამაზ სურმანიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- 19. თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- 20. ოთარ გოგოლიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხონ ახვლედიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე;
- 21. ჯემალ კარალიძე** – ასისტენტი პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 22. მარინა ჯინჭარაძე** – ასოც. პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 23. ციური ქათამაძე** – აკად. დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 24. ვერა ლაზაროვა** – ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი;
- 25. ამირან კახიძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, ემერიტუსი პროფესორი;
- 26. ნარგიზ სურმანიძე** – აკადემიური დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი;
- 27. თამარ შალიკაძე** – აკადემიური დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი;
- 28. ნანა ხახუტაიშვილი** – ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 29. შოთა მამულაძე** – სრული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 30. ემზარ კახიძე** – აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

31. **მარიამ შალიკავა** – აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
32. **თამილა ლომთათიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
33. **კარინა ბაზეიანი** – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთმცოდნეობის შირაქის ცენტრი, მეცნიერებათა კანდიდატი;
34. **გ. აგანიანი** – არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (სომხეთი)
35. **ლიუბოვ სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი;
36. **მერაბ ბერიძე** – სრული პროფესორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
37. **ნათელა კალანდაძე** – მეცნიერ-თანამშრომელი, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

OUR AUTHORS:

1. **Bichiko Diasamidze** – professor of Shota Rustaveli State University;
2. **Inga Eliava** – senior specialist National Archives documents preservation, registration and scientific-informational department;
3. **Merab Megrelishvili** – academic doctor of Shota Rustavelis State University;
4. **Shota Makharadze** – assoc. professor of Shota Rustaveli State University;
5. **Fridon Kardava** – Ajara Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department;
6. **Guram Chaganava** – full professor of Shota Rustaveli State Univeristy;
7. **Tea Katamadze** – senior specialist of Kutaisi central archive;
8. **Natia Mirianashvili** – head of the central archive of contemporary history documents utilization department;
9. **Marine Itriashvili** – senior specialist of the central archive of contemporary history documents utilization department;
10. **Otar Turmanidze** – doctor of science, Niko Berdzenishvili scientific-research institute;
11. **Madonna Gogitidze** – academic doctor of Shota Rustaveli State Univeristy;
12. **Vladimer Tsverava** – assoc. professor of history department of Kutaisi Akaki Tsereteli University;

13. **Tamaz Putkaradze** – Ajara Archives Administration, head of foreign, public, media relations and publication and utilization department; professor of Batumi Shota Rustaveli State University;
14. **Nato Kikava** - Ajara Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department;
15. **Tsitsi Tsintsadze** - Ajara Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department;
16. **Nazi Nagervadze** –
17. **Saba Saluashvili** – specialist of national archives central historical archive science-methodical work department;
18. **Ramaz Surmanidze** – MD, professor;
19. **Tinatin Jabadari** – senior specialist of the central archive of contemporary history documents utilization department;
20. **Otar Gogolishvili** – doctor of historical science, assoc. professor of Shota Rustaveli State University, deputy chief od Khariton Akhvlediani local Museum;
21. **Jemal Karalidze** – assistant professor of Shota Rustavelis State University;
22. **Marina Jincharadze** – assoc. professor of Shota Rustaveli State University;
23. **Tsiuri Katamadze** – academic doctor of Shota Rustaveli State Univeristy;
24. **Vera Lyubenova Lazarova** – Head Assistant Professor, PhD, Department of "Civil Law and Civil Procedure", Law and History Faculty, Sout-West University "Neofit Rilski", Blagoevgrad, Bulgaria;
25. **Amiran Kakhidze** – director of Batumi Archaeological Museum; professor;
26. **Nargiz Surmanidze** – scientific worker of Batumi Archaeological Museum;
27. **Tamar Shalikadze** – scientific worker of Batumi Archaeological Museum;
28. **Nana Khakhutaishvili** – assoc. professor of Shota Rustaveli State University;
29. **Shota Mamuladze** – full professor of Shota Rustaveli State Univeristy;
30. **Emzar Kakhidze** – academic doctor of Shota Rustaveli State Univeristy;
31. **Mariam Shalikava** – academic doctor of Shota Rustaveli State Univeristy;
32. **Tamila Lomtatisidze** –scientific worker of humanities and social science studies of Shota Rustaveli State University;
33. **Karina Bazeyan** – candidate of science, Shirak Armenology Research Center (Armenia);
34. **G. Aganyan** – Archaeology and Ethnography institute (Armenia);
35. **L. T. Soloveva** – professor of N.N. Miklukho-Maklai institute of Ethnology and Anthropology (Russia);
36. **Merab Beridze** – full professor of Akhaltsikhe State and Learning University;
37. **Natela Kalandadze** – scientific worker of Chokhatauri local Museum.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორია

წინასიტყვაობა.....	3
ბიჭიკო დიასამიძე – საიდან იწყება სხალთის ეპარქიის ისტორია.....	5
ინგა ელიავა – ახმედ ეფენდი ხალვაში – ართვინისა და გონიოს უბნების პირველი ქართველი უფროსი.....	10
მერაბ მეგრელიშვილი, შოთა მახარაძე – საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ისტორიიდან	15
ფრიდონ ქარდავა – ბრიტანული კორესპოდენციები ლაზების დეპორტაციის შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში	23
გურამ ჩაგანავა – დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნების ზოგიერთი ფსიქოლოგიური პრობლემა	35
თეა ქათამაძე – დიმიტრი ყიფიანი აჭარის თავადაზნაურობის შესახებ....	40
ნათია მირიანაშვილი, მარინე იტრიაშვილი – აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან	47
ოთარ თურმანიძე – 1929 წლის აჯანყება აჭარაში	54
მადონა გოგიტიძე – საქართველოს არქივებში დაცული 1877-1878 წლების რუსეთთურქეთის ომის პერიოდის მასალები	65
ვლადიმერ წვერავა – მეფის რუსეთის სამისიონერო საქმიანობა აჭარაში	70
თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა, ფიცი ცინცაძე – ებრაელების რელიგიური თემის საქმიანობა ბათუმში სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით	75
ნაზი ნაგერვაძე – აჭარა პირველ მსოფლიო ომში სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით.....	80
საბა სალუაშვილი – ბათუმის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით).....	91
რამაზ სურმანიძე – სად მდებარეობდა ქალაქი ფრიქსოპოლისი (გვარა-ხუცუბნის ნაქალაქარის საიდუმლო)	103
თინათინ ჯაბადარი – პარიზელი ქართველის ილია ჯაბადარის ურთიერთობა აპმედ მელაშვილსა და თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველებთან	113

ოთარ გოგოლიშვილი – სამხრეთ – დასავლეთ საქართველო XIX ს.	
70-80-იან წლებში (რუსეთ-თურქეთის ომი და აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნება)	121
ჯემალ კარალიძე – ბათუმი XX საუკუნის 10-იან წლებში (საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით)	129
მარინა ჯინჭარაძე – ქართული საზოგადოებრივი აზროვნება აჭარასთან მიმართებაში XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე.....	134
თამაზ ფუტკარაძე, ციური ქათამაძე – ქრისტიანულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში.....	139
Vera Lyubenova Lazarova - Presentation, Issue and Keeping of the service record according to the Bulgarian labor legislation	146

არქეოლოგია

ამირან კახიძე, ნარგიზ სურმანიძე, თამარ შალიკაძე – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე	153
შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე – ხოფა-მაკრიალის საფორტიფიკაციო ნაგებობანი	158
ნანა ხახუჭაიშვილი – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძვ. მოსახლეობის სამეურნეო სახე ნეოლით-ადრერკინის ხანაში	168

ეთნოლოგია

მერაბ ბერიძე – ავაზანი სამცხის ტოპონიმიაში	184
Карина Базеян, Г. Аганян – Городская община Александриполя и Эснафства	190
Любовь Соловьева – Обрядность детского цикла у Грузин Аджарии	194
მარიამ შალიკავა – ხალხური დღესასწაული – ქუშინარობა	202
თამილა ლომთათიძე – ხალხური დრამის ელემენტები აჭარის ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში.....	208
ნათელა კალანდაძე – სოფელი ზოტი	213
ჩვენი ავტორები	224



გამომცემლობა „უნივერსალ“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge